4 სტატია ეყრდნობა ფილმის 104-წუთიან მონტაჟს.

extracompositional intermediality), რომელიც სცდება ერთი მედიაპროდუქტის ფარგლებს. ამ შემთხვევაში კვლევისთვის რელევანტური კატეგორია – **ინტერმედიური ტრანსპოზიცია** (ინგლ. intermedial transposition) – სწორედ გარე ინტერმედიურობის კონფიგურაციას განეკუთვნება. ეს უკანასკნელი აღნიშნავს შინაარსის გადაცემას (ერთგვარ ტრანსფერს) ერთი მედიიდან (ამოსავალი) მეორეში (სამიზნე). ამ პროცესში მედიებს შორის გენეტიკური ურთიერთკავშირი მყარდება, თუმცა საბოლოო მედიაპროდუქტი დამოუკიდებელ მხატვრულ ნამუშევარს წარმოადგენს, ე.ი. შეუძლებელია მასში ჩართულ მედიათა დამოწმება ერთმანეთისგან განცალკევებით, რაკი მათი კომბინაციის შედეგად წარმოიქმნება ჰომოგენური სემიოტიკური სისტემა. ამ შემთხვევის ფართოდ გავრცელებული მაგალითია მხატვრული ნაწარმოებების კინოადაპტაციები და პირიქით, კინოფილმების გარომანებული ვერსიები (Wolf 2002, 19-20; Wolf 2018, 244).

საკუთრივ ფილმების რომანებად ადაპტაციის შესახებ უნდა ითქვას, რომ ფილმების გარომანებული ვერსიები თითქმის იმდენივე ხანს ითვლის, რამდენსაც თავად კინო: ჯერ კიდევ XX საუკუნის 20-30 წლებში გამოიცემოდა ამერიკული მუნიციპალიტეტის კინოს გარომანებული მასალა ფოტოსურათებით ე.წ. Photoplay Editions, 1960-იანი წლებიდან კი ჰოლივუდში თხელყდიან რომანიზაციებზე მოთხოვნა გაიზარდა და მათი განსაკუთრებული კომერციული წარმატებაც სწორედ ამ დროიდან აითვლება (Larson 1995, 3-4). რომანიზაციის მთავარი თავისებურება ის არის, რომ იგი – რაკი ნარატივს ემყარება – რეციპიენტს აძლევს შესაძლებლობას, კონკრეტული ეპიზოდის გაცნობიერებისას მხოლოდ მსახიობის გამომეტყველებას ან მის ოსტატობას აღარ დაეყრდნოს, ე.ი. რომანიზაცია ავტორისათვის ერთგვარი ინსტრუმენტია, გაამჟღავნოს ის, რის საშუალებასაც კინოკამერა არ იძლევა – გმირის მოტივაციის ნარატიული დასაბუთება ან მისი ფიქრები დიალოგის წარმართვისას (Larson 1995, 15; Hutcheon and O’Flynn 2013, 118). თანამედროვე კინოინდუსტრიაში მიიჩნევა, რომ კინოფილმების რომანიზაციები მარკეტინგული სტრატეგიის ნაწილია, რომელთა მიზანი ყურადღების მიქცევა და შემოსავლის გაზრდაა. ამრიგად, რომანიზაციები კინოფილმის ისეთივე თანმდევი სარეალიზაციო პროდუქციად განიხილება. როგორცაა სათამაშო, კომიქსი, ელ. მატარებელზე ჩაწერილი ფილმი ან მისი მუსიკალური ნაწილი და სხვ. (Larson 1995, 12; Van Parys 2011).

როგორც უკვე აღინიშნა, რომანიზაციას, როგორც ნარატიული თხრობის ერთ-ერთ ფორმას, გლობალურ კონტექსტში ფინანსური მოგების მიღების მიზნით მიმართავენ, ქართულ რეალობაში კი წი-

ნამდებარე შემთხვევის გაანალიზებას – როგორც ფილმის წარმოების, ასევე რომანის გამოცემის შემთხვევაში – საბჭოთა ცენზურის მძიმე ზემოქმედებამდე მივყავართ, ცენზურისა, რომელიც „ცნობიერების მართვის ისტორიაა“ (გვახარია 2021, 274). ამ ორივე ხელოვანის შემოქმედების გააზრება წარმოუდგენელია მათი ბიოგრაფიებისგან დამოუკიდებლად. 1937 წლის საბჭოთა რეპრესიებმა მძიმე კვალი დაამჩნია მომავალი რეჟისორისა და მწერლის ცხოვრებას, საბჭოთა ცენზურა კი სწორედ მათი ამ ტრავმული გამოცდილების ასახვას ეწინააღმდეგებოდა კინემატოგრაფსა და ლიტერატურაში.

ლანა ლოლობერიძის მამა – ლევან ლოლობერიძე, ბოლშევიკი, პირველი თაობის რევოლუციონერი, რომელიც სხვადასხვა წელს მაღალ პარტიულ თანამდებობებს იკავებდა, 1937 წელს დახვრიტეს, მისი მეუღლე, პირველი ქართველი ქალი კინორეჟისორი – ნუცა ხუციშვილი-ლოლობერიძე⁵ კი დააპატიმრეს, როგორც „ხალხის მტრის ოჯახის წევრი“ (ლოლობერიძე 2023, 15), და ათი წლით ქალთა საკონცენტრაციო ბანაკ „პოტამში“; ხოლო მოგვიანებით ვორკუტის ქალთა საკონცენტრაციო ბანაკ „ჩესეირიში“ (რუს. „член семьи изменника родины“) გადაასახლეს (კონტრიძე 2022, 146). 2020 წლის ინტერვიუში ლოლობერიძე ამგვარად აჯამებს თავის შემოქმედებას:

არის ასეთი მოსაზრება, რომ ყველა ხელოვანი იბადება იმ ტრავმიდან, რომელიც ბავშვობაში გადაიტანა. მე შემძლია გითხრათ, რომ ეს სიმართლეა, ჩემი მაგალითი ამას ადასტურებს. ამას ეხლა ვხდები, მაშინ როცა ფილმებს ვაკეთებდი, რა თქმა უნდა, ამაზე არ ვფიქრობდი... რომ ეს იმდენად ძლიერი ტრავმა იყო ჩემს ცხოვრებაში... აი, შვიდი წლის ასაკში დედა დაკვარავე ათი წლით და მერე როცა შევხვდი, შევხვდი უცხო ადამიანს (...) ეს ძალიან მძიმე პროცესი იყო. (ლოლობერიძე 2020)

მისი ამ პირადი ტრავმის – გადასახლებიდან დაბრუნებული დედის როგორც უცხო კინემატოგრაფიულ დამუშავებას ვხდებით 1978 წლის ფილმში „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“⁶ საბჭოთა ცენზურის მთავარი ორგანო, „სახკინო“, რომელიც იმპერიის დედაქალაქში, მოსკოვში ფუნქციონირებდა, რეჟისორისგან სწორედ ამ სცე-

5 მან გადასახლებამდე სამი კინოფილმის გადაღება მოასწრო.

6 საცნაურია, რომ ფილმში გადასახლებიდან დაბრუნებული დედის როლს 1937 წელს რეპრესირებული ქართველი ღირსიუროსი, ევგენი მიქელაძის ქვრივი, ქეთევან ორახელაშვილი ასრულებს. იმავე წელს დახვრიტეს ორახელაშვილის მშობლებიც, საბჭოთა პარტიული თანამდებობის პირები – მამია და მარიამ ორახელაშვილები – მას კი, როგორც ხალხის მტრის ოჯახის წევრს, გადასახლება მიესაჯა. გარკვეულ ხანს ლოლობერიძის დედა და ქეთევან ორახელაშვილი ერთსა და იმავე ბანაკში იმყოფებოდნენ – სწორედ ამ მიზნით სთხოვა რეჟისორმა ორახელაშვილს, განესახიერებინა დედის პერსონაჟი, მიუხედავად იმისა, რომ მას მანამდე არასოდეს ეთამაშა კინოში და არც სპეციალური განათლება ჰქონდა (ლოლობერიძე 2019, 345).

ნის ამოღებას მოითხოვდა,⁷ რადგან სისტემისთვის დაუშვებელი იყო საბჭოთა რეპრესიების, ამ შემთხვევაში, გადასახლების საეკრანო მოტივად ქცევა (ლოლობერიძე 2019, 350-351). მოგვიანებით, დამოუკიდებელ საქართველოში, 1992 წლის ფილმში – „ვალსი პეჩორაზე“ რეჟისორი კვლავ დაუბრუნდება დედის გადასახლების ამბავს, მასში ლოლობერიძე დაეყრდნობა იმ მოთხრობებს, რომლებიც რეჟისორის დედამ გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ დაწერა. მათ ნუცა ლოლობერიძე-ხუციშვილი „დოკუმენტურ-მხატვრულ“ მოთხრობებს უწოდებდა.

მსგავსად ლოლობერიძის⁸ შემოქმედებისა, რომელშიც რეჟისორი რეპრესირებული დედის ხატს ამკვიდრებს, ზაირა არსენიშვილმა 1937 წელს რეპრესირებული მამა – ივანე (ვანო) არსენიშვილი, „ვა, სოფელოს“ ასევე ტრაგიკულ პერსონაჟად აქცია. ვანო არსენიშვილი, თელავის აღმასკომის მგეგმავ-ეკონომისტი (იგი არასოდეს იკავებდა რაიმე მაღალ პარტიულ თანამდებობას) 1937 წლის დეკემბერში აბსურდული მიზეზით, დასმენის ნიადაგზე დააპატიმრეს და ორ თვეში დახვრიტეს, თუმცა ამის შესახებ ოჯახმა მოგვიანებით, მისი რეაბილიტაციის შემდეგ შეიტყო (რატიანი 2010, 229; არსენიშვილი 2011; არსენიშვილი 2014). მწერალი ამ დროისათვის ექვსი წლის იყო, თუმცა ტრავმული მენსიერება მთელი ცხოვრების განმავლობაში გაჰყვა: „მამის გამო ადრეულ ბავშვობაში მიღებული განცდა დღემდე არ მტოვებს“ (არსენიშვილი 2000, 8).

ფართო საზოგადოება ზაირა არსენიშვილს სიცოცხლეში იცნობდა როგორც სცენარისტსა და მუსიკოსს, ნაკლებად – როგორც მწერალს. მიუხედავად იმისა, რომ სისტემის მამხილებელ რომანებზე – „ვა, სოფელო“, „რეკვიემი ბანის, სოპრანოსა და შვიდი ინსტრუმენტისთვის, ანუ ახალგაზრდა მთხზველის პორტრეტი“⁹ – მუშაობა მან ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო,¹⁰ არსენიშვი-

7 საბოლოოდ ფილმის ბედი ედუარდ შევარდნაძის უშუალო ჩარევამ გადაწყვიტა, მასსა და სახკინოს თავმჯდომარეს, ფილიპ ერმაშევს შორის სატელეფონო კომუნიკაცია შედგა, რის შემდეგაც, როგორც ლოლობერიძე თავის მემუარებში – „რაც მაგონდება და როგორც მაგონდება“ – იხსენებს, ფილმი კუპიურების გარეშე დაამტკიცეს. აღსანიშნავია, რომ ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ედუარდ შევარდნაძემ კინოფილმის პროდუქციასთან დაკავშირებით რეჟისორს დახმარება გაუწია.

8 რეჟისორის უკანასკნელი, 2023 წლის დოკუმენტური ფილმი „დედა-შვილი ან ლამე არ არის ბოლომდე ბნელი“, ასევე დედას და მის დედასთან ურთიერთობას ეძღვნება.

9 შემდეგში გამოყენებული იქნება რომანის შემოკლებული სათაური – „რეკვიემი“.

10 2011 წელს ჰაინრიხ ბიოლის ფონდში გამართულ დისკუსიათა სერიაზე „საბჭოთა კავშირის გააზრება“, მომხსენებლის სიტყვებს – „პერსექუციის პერიოდში, როცა რუსული პრესა მიჰქონდა ე.წ. „არალეგალურ“ ლიტერატურას, ქართველებმა თითქმის ვერაფერი ვერ აღმოვაჩინეთ. (...) 30-იან წლებიდან მწერალთა კავშირის გარეთ საქართველოში ხარისხიანი ლიტერატურა არ იქმნებოდა. შოთა ჩანტლაძე და ნიკო სამადაშვილი გამონაკლისია“ (ბექიშვილი და კეკელიძე 2012, 16) – ზაირა არსენიშვილის პროტესტი მოჰყვა: „(...) უნდა შემოგედათ: მაშინ, როცა არაფერს

ლის შემოქმედების აქტიური რეცეფცია ფაქტობრივად 21-ე საუკუნეში შედგა. შესაძლებელია, ითქვას, რომ იგი „უჯრისთვის“ ქმნიდა „ალიტერნატიულ ლიტერატურას“ იმ იმედით, რომ ოდესმე მათ გამოქვეყნებას შეძლებდა. მწერალი 1960-იან¹¹ წლებში, ასევე 1980-იანი წლების ბოლოს, „პერესტროიკის“ პერიოდში ეცადა, თავისი ანტისაბჭოთა შეტყობინებები მიეტანა მკითხველამდე, მაგრამ ადგილობრივმა პერიოდიკამ არსენიშვილის ტექსტების გამოქვეყნებაზე „გლასნოსტის“ დროებაშიც კი უარი თქვა, მისი სიტყვებით – „მე ხელი მქონდა ჩაქნეული, ვიცოდი, რომ არ ბეჭდავდნენ“ (ინტერვიუ 2011).

როგორც დასაწყისში აღინიშნა, რომანი „ვა, სოფელო“ სრული სახით პირველად, 2002 წელს,¹² ფილმის გამოსვლიდან 19 წლის შემდეგ გამოიცა,¹³ მეორედ კი, კვლავ მცირე ტირაჟით, 2011 წელს – არც ერთ ამ გამოცემას რაიმე მნიშვნელოვანი გამოხმაურება არ მოჰყოლია.

ფართოდ გავრცელებული მოსაზრებაა, რომ წარსულის გასააზრებლად გარკვეული დროითი დისტანციის არსებობა აუცილებელი წინაპირობაა (Ottomeyer 2004, 5-6). სავარაუდოა, რომ ზაირა არსენიშვილის შემთხვევაც ამ პოზიციას ამყარებს: მწერლის შემოქმედების თავიდან აღმოჩენა, ფაქტობრივად, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობას“ უკავშირდება, რომელმაც რომანი „ვა, სოფელო“ 2019

მიბეჭდავდნენ, დაწვერე ორი რომანი და მოთხრობები ამ სისტემის წინააღმდეგ. (...) იქ („ვა, სოფელო“ – ნ.ბ.) არის 24 წელი, კოლექტივიზაცია, 37 წელიც (ბექიშვილი და კეკელიძე 2012, 23).

11 1960-იან წლებში არსენიშვილმა შეძლო ლიტერატურულ პერიოდიკაში გამოქვეყნებინა მონაკვეთი „ვა, სოფელოდან“, რომელშიც ევა პატარა რუსიკოს ტყეში სოკოს საკრეფად წაიყვანს. რედაქციამ ავტორს შესთავაზა, წინადადებიდან – „ჩვენ, დარბეულები ბებია ევამ შეგვიფარა“, ამოეღოთ ფორმულირება „დარბეულები“, რაზეც ავტორმა კატეგორიული უარი განაცხადა, ამრიგად ეს მონაკვეთი ცენზურას არ დაექვემდებარა. მოგვიანებით, იგივე რედაქცია არსენიშვილის რომანიდან 1905 წლის რევოლუციის ეპიზოდის დაბეჭდვას არც კი განიხილავს. საგულისხმოა, რომ თითქმის სამი ათეული წლის შემდეგ, 1988 წელს, მწერალი კვლავ ეცადა ამჯერად „რეკვიემიდან“ სოლანლულში მემორიალის გახსნის ეპიზოდის დაბეჭდვას, რომელზეც ასევე უარი ეთქვა (ინტერვიუ 2011).

12 მომდევნო წელს „ვა, სოფელო“ ახლად დაარსებული ლიტერატურული პრემია „საბას“ (2003) საუკეთესო რომანის კატეგორიაში წარადგინეს, თუმცა პირველობა აკა მორჩილაძის წიგნს „შენი თავგადასავალი“ ერგო. ჟიურის ამგვარი გადაწყვეტილება აღძრავს შთაბეჭდილებას, რომ ქართული საზოგადოება საბჭოთა წარსულზე ლიტერატურული რეფლექსიისთვის მხოლოდ მსუბუქ, გასართობ მოდულში იყო მზად. აღსანიშნავია, რომ უფრო ადრე, ვერც არსენიშვილის პირველი რომანისათვის, „რეკვიემისთვის“, 1998 წელს მინიჭებულმა სახელმწიფო პრემიამ (შოთა რუსთაველის სახელობის პრემია) ვერ შეძლო ხალხის ყურადღების მიპყრობა.

13 ირონიულია, რომ 19-წლიან მონაკვეთში, როგორც ფილმის გამოსვლისას (1983 წელი), ისე რომანის პირველად გამოცემისას (2002 წელი), საქართველოში ქვეყნის პირველი პირის თანამდებობას ედუარდ შევარდნაძე იკავებს. საბჭოთა კავშირის პერიოდში იგი საქართველოს სსრ კომპარტიის ცკ-ს პირველი მდივანია, ხოლო დამოუკიდებელ საქართველოში – ქვეყნის პრეზიდენტი.

წელს გამოსცა. მცირე ხანში რომანი ბესტსელერთა სიის სათავეში მოექცა – ერთი მხრივ, ცხადია, წარმატება რომანის მაღალმხატვრულ ღირებულებას უკავშირდება, თუმცა მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს გამომცემლობის მიერ წარმართული სწორი მარკეტინგული სტრატეგია. გამომცემლობამ შეძლო, საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცია ზაირა არსენიშვილი და მისი დიდტანიანი რომანი. მწერლის ამ რომანის გამოცემა რედაქციისთვის წარმატებული აღმოჩნდა, რაკი მომდევნო წლებში მათ არსენიშვილის შემოქმედება სრულად გამოსცეს. მკითხველთა დაინტერესება იმ მწერლის რომანებითა და მოთხრობებით, რომლის შემოქმედების მთავარი კონცეპტუალური ჩარჩო საბჭოთა წარსულზე განსჯაა, მიანიშნებს იმაზე, რომ ქართულ საზოგადოებას XXI საუკუნის 20-იან წლებში აღმოაჩინდა მზაობა მტკივნეულ წარსულზე დასაფიქრებლად.

საცნაურია ფილმის პროდუქციისა და ცენზურასთან შემოქმედებითი ჯგუფის ურთიერთობის ისტორია, რადგან ამ შემთხვევით ეპოქის რეალური სახე წარმოჩნდება. ფილმზე მუშაობა 1980 წელს მოსკოვის „სახკინოს“ მიერ სცენარის მიღების პროცესით უნდა დაწყებულიყო. ამ დროს ლოლობერიძეს მთავარმა ცენზორებმა განუცხადეს: „თქვენი სცენარის მიხედვით გამოდის, რომ ყველაფერი, რაც იყო, ფუჭია – რევოლუციაც, კოლექტივიზაციაც და, საერთოდ, მთელი ბრძოლა უკეთესი ცხოვრებისთვის. შედეგი მიტოვებული სოფელი და ადამიანის მუდმივი მარტოობა“ (ლოლობერიძე 2019, 366). ამ გარემოებათა გათვალისწინებით კი რეჟისორს არა თუ სარედაქციო შესწორებებს სთხოვდნენ, არამედ ერთმნიშვნელოვნად უარს ეუბნებოდნენ ფილმის დაფინანსებაზე. სავარაუდოდ, ყველაფერი სცენარის ეტაპზევე შეჩერდებოდა, რომ არა ედუარდ შევარდნაძის კეთილი ნება,¹⁴ რომელიც ამ დროისათვის, გარდა იმისა, რომ საქართველოს სსრ კომპარტიის ცკ-ს პირველი მდივნის თანამდებობას იკავებდა, პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატიც იყო, რაც სახკინოს წინაშე მეტ ძალაუფლებას სძენდა. შევარდნაძემ წაიკითხა სცენარი და ლოლობერიძეს მცირედი ცვლილების შეტანა ურჩია, რათა ცენზორები დარწმუნებულიყვნენ,

14 რადგან წინამდებარე კვლევაში ლოლობერიძის ცენზურის წინააღმდეგ ბრძოლისას შევარდნაძის ფიგურა დადებითად წარმოჩნდება, მცდარი ინტერპრეტაციისგან თავის ასარიდებლად აუცილებელია აღინიშნოს შემდეგი: გავრცელებული მოსაზრება, თითქოს 1970-იან წლებში ედუარდ შევარდნაძის დამსახურებით ქართული კინო ადგილობრივ დონეზე ცენზურისგან გათავისუფლდა, სიმაართლეს არ შეესაბამება. ეროვნული ცენზურა ამოქმედდებოდა მყისიერად, როგორც კი შევარდნაძის პირად კარიერას საფრთხე შეექმნებოდა: შესაძლებელია, სულ მცირე, ორი კინოფილმის დასახელება – გელა კანდელაკის 1979 წლის ფილმი „უბედურება“ და მერაბ კოკოჩაშვილის იმავე წელს დასრულებული ფილმი „ცხელი ზაფხულის სამი დღე“, რომელთა ცენზურაში შევარდნაძე უშუალოდ ჩაერია (გვახარია და კოკოჩაშვილი 2011, 34-35; გვახარია 2021, 240-246).

რომ გადამღები გუნდი კომპრომისებზე თანახმა იყო (ლოლობერიძე 2019, 367). დათმობის შედეგად, ფილმის პროტაგონისტი ევა, სცენარის ვერსიისგან¹⁵ განსხვავებით, ფინალში მარტოობაში აღარ კვდება, ეს ეპიზოდი ერთგვარად გათამაშებული აღმოჩნდება – მას ქალაქიდან მობრუნებული შვილიშვილის ხმა გამოაფხიზლებს. ეს იყო ხარკი, რომლის გაღებაც რეჟისორს მოუწია, რათა ფილმს პესიმისტური დასასრული არ ჰქონოდა. წლების შემდეგ რეჟისორი ინტერვიუში განაცხადებს: „მე ეხლაც არ ვიცი რა სჯობდა, მომკვდარიყო თუ არა“ (ლოლობერიძე 2020). საბოლოოდ, დასაწყისში დაწუნებული ფილმი სისტემამ „საექსპორტო ფილმად“ გამოიყენა: „დღეს ღამე უთენებია“ 1984 წლის კანის კინოფესტივალის მთავარ საკონკურსო პროგრამაში იყო ჩართული. მიუხედავად იმისა, რომ ფილმი არც ერთ კატეგორიაში არ აღუნიშნავთ, ადგილობრივი პრესა თავად ამ ფაქტსა და სურათის ქართულ ეკრანებზე გამოსვლას მხოლოდ დადებითად გამოეხმაურა: „პოეტური ფილმი“ (კომუნისტი, 1984 წლის 20 მაისი), „აღამიანი გაიმარჯვებს კიდევ“ (ლოლობერიძე 1984), „კანის ფესტივალის ექვ“ (ლიტერატურული საქართველო, 1984 წლის 17 აგვისტო), „ეკრანზე ახალი მხატვრული ფილმი“ (თბილისი, 1984 წლის 31 დეკემბერი).

ტრანსმედიაური ნარატოლოგია როგორც რომანიზაციის კვლევის ინსტრუმენტი

ამერიკელი კინომკვლევარი რენდელ ლარსონი (Randall D. Larson) რომანიზაციის სამ ფორმას გამოყოფს: ა) თუ კინოფილმი რომანის ეკრანიზაციაა, გამოიცემა რომანის რეპრინტი, რომლის გარეკანიც ფილმიდან აღებული კადრით ფორმდება, ხოლო თუ სურათი ეკრანებზე შეცვლილი სათაურით გამოვიდა – კინოფილმის შესაბამისად იცვლება ახალი გამოცემის დასათაურებაც; ბ) სცენარისთვის რომანის ფორმის მიცემა (შინაარსის უცვლელად) და მისი გამოცემა; გ) თვისებრივად ახალი რომანის შექმნა, რომელიც ფილმის პერსონაჟებს, თემატიკასა და გარემოს (ინგლ. setting) ეფუძნება (Larson 1995, 3). ადაპტაციის კვლევებში შემუშავებული მიდგომის ფარგლებში კი გამოიყოფა ადაპტაციის სამი ტიპი: ა) ე.წ. „ერთგული“ ადაპტაცია (ინგლ. close), ბ) თავისუფალი ადაპტაცია (ინგლ. Loose) და გ) შუალედური (ინგლ. intermediate) ადაპტაცია (Desmond and Hawkes 2006, 3). წინამდებარე თეორიული წინამძღვრების გათვალისწინებით, ზაირა არსენიშვილის

15 სიუჟეტის ეს ხაზი შენარჩუნებულია რომანში: მაკა, კინოფილმის ევას ერთ-ერთი „ჰიპოსტასი“ სწორედ ფილმში ნაჩვენებია სიკვდილის სცენით ესალმება სიცოცხლეს – იგი საგანგებოდ მოირთვება ქართული ეროვნული სამოსით, რომელსაც ამ დღისთვის წლების მანძილზე სკივრში ინახავდა.

რომანი „ვა, სოფელო“ შესაძლებელია განვიხილოთ რომანიზაციად, რომელშიც იგულისხმება ფილმზე დაფუძნებული თვითმყოფადი (ინგლ. original) მხატვრული ტექსტის შექმნა. ამასთან, რაკი ზაირა არსენიშვილის იგივე რომანი, თავის მხრივ, ადაპტაციას წარმოადგენს, ეს უკანასკნელი უნდა განვსაზღვროთ შუალედურ ადაპტაციად.

ამოსავალსა („დღეს ღამე უთენებია“) და სამიზნე („ვა, სოფელო“) მედიებს შორის კონტრასტულ და ეკვივალენტურ მიმართებათა გამოსავლენად სტატიაში გამოყენებულია ვერნერ ვოლფის მიერ შემუშავებული „ტრანსმედიური ნარატოლოგიის“ თეორია. ტერმინი „ტრანსმედიური“ აღნიშნავს ფენომენებს, რომლებიც განსხვავებულ მედიებში იჩენს თავს, ე.ი. მათი წარმოშობა არც ერთ კონკრეტულ მედიას არ უკავშირდება (Wolf 2004, 82). ამგვარი დაშვება საშუალებას იძლევა, სხვადასხვა მედიუმში წარმოდგენილი ნარატივი ერთი და იმავე მიდგომით იყოს გაანალიზებული. მედიის განურჩევლად ნებისმიერი ფიქციური ნარატივი მოიცავს „ნარატემების“ სიმრავლეს – ნარატემები „ინტრაკომპოზიციური ელემენტებია, რომლებიც გადმოსცემენ ტექსტებისა და არტეფაქტების ნარატივებს და განსაზღვრავენ მათ ნარატიულ თავისებურებებს“¹⁶ (Wolf 2004, 87). თეორეტიკოსი გამოყოფს ნარატემების სამ ჯგუფს, სახელდობრ: ა) **ზოგად, თვისებრივ ნარატემებს** (ინგლ. general, qualitative narratemes), რომლებიც აღნიშნავენ: დროს (რომელიც მოთხრობილი ამბების შედეგად აშკარავდება), მოთხრობილ სამყაროებსა და რეციპიენტის გამოცდილებას (ემოციურად და წარმოსახვითად იყოს მონათხრობზე მიჯაჭვული); ბ) **შინაარსობრივ ნარატემებს**¹⁷ (ინგლ. content narratemes), რომლებიც მოიცავენ: მოქმედების შუაგულში მოქცეულ ანთროპომორფულ პერსონაჟებს, დროსა და სივრცეში განფენილ ხდომილებებს (კონფლიქტს), ცალკეულ აგენტებს, რომლებიც მხატვრულ ტექსტში მათი ჩართვის მიუხედავად ამოიცნობა როგორც ფაქტობრივი; გ) **სინტაქსურ ნარატემებს** (ინგლ. syntactic narratemes), რომლებშიც თავს იჩენს დისკურსი შინაარსობრივი ნარატემების სელექციის, კომბინაციისა და რეპრეზენტაციის შედეგად. დისკურსის წარმოებით (შინაარსობრივი ნარატემების დამუშავებით) სინტაქსური ნარატემები უკავშირდება ზოგად ნარატემებს, ამრიგად, იქმნება არისტოტელესეული ერთიანობა დასაწყისის, შუაგულისა და დასასრულისა, წარმოიქმნება თემატური მთლიანობა. სინტაქსურ ნარატემებთანაა დაკავშირებული ასევე ქრონოლოგია და ტელეოლოგია – ეს უკანასკნელი მოიცავს მოქმედი პირის გეგმებსა და მიზნებს, წინააღმდეგობებსა

16 (..) the intracompositional factors that render texts and artefact narratives and determine their degree of narrativity (..).

17 ვოლფი მათ ტექსტის მთავარ „სამშენებლო მასალას“ უწოდებს (Wolf 2004, 88).

და სირთულეებს, რომლებიც მას გადახდება. ამასთან, სინტაქსური ნარატემების შემადგენელი ნაწილია იმგვარი სტრუქტურული ელემენტები, როგორცაა ტექსტში არსებული თავდაპირველი ჰარმონიის, სამართლიანობის აღდგენა, რაც დიდწილად განსაზღვრავს კიდევ სიუჟეტის განვითარებას (Wolf 2004, 87-88).

ზოგადი ნარატემები ფილმსა და რომანში

კინოსურათისა და რომანის შედარების საფუძველზე ტრანსმედიაური ნარატემების განხილვამდე, საჭიროა გამოიყოს ძირეული სიუჟეტური განსხვავებები, რომლებიც საკვლევ ობიექტებში იჩენს თავს: ტექსტი მრავალპერსონაჟიანია – მოქმედ პირთა სიმრავლე ავტორის ხელში ერთგვარი ხელსაწყოა სხვადასხვა საკითხის წამოსაჭრელად. რომანის მთხრობელი ავტორთან, ზაირა არსენიშვილთან იგივედება, რაც ავტობიოგრაფიული ელემენტების ჩართვით აშკარავდება. ამასთან, მხატვრულ ტექსტში ასახულია ისტორიული რეალობა: 1924 წლის „სისხლიანი ქორწილის“ ეპიზოდი, საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მებრძოლი ქაქუცა ჩოლოყაშვილის კრიტიკა, თავად-აზნაურობის „პოგრომი“ კახეთში, 1937 წლის რეპრესიები, გაცილებით ღრმად და მტკივნეულად წარმოჩნდება „ნეპ“-ისა და კოლექტივიზაციის თემატიკა, მეტად განვითარებულია საბჭოთა ხელისუფლების მიერ რელიგიასთან ბრძოლის ხაზი, ვხვდებით ბელადთან, სტალინთან, დაკავშირებულ წინააღმდეგობრივ ნარატივებს (ფილმში სტალინის სახელი მხოლოდ ერთხელ, მოხეტიალე მსახიობების სიმღერაში გაიჟღერებს); ცენზურისგან გათავისუფლება ავტორს ასევე აძლევს შესაძლებლობას, ფილმის მოქმედ პირთა ბედი რომანში სრულად, მისეული ვერსიით გვიჩვენოს, მაგალითად: ფილმში დადებითად წარმოდგენილი, მარქსისტული იდეებით გამსჭვალული, ახალგაზრდა რევოლუციონერი არჩილ აბელიშვილი რომანში სისტემამ ჯერ „სამეულის“ წევრად, ჯალათად აქცია, საბოლოოდ კი არც დაინდო იგი და დიდი წმენდისას დახვრიტა. ფილმში პრობლემურ საკითხად დასმული მაღალმთიანი სოფლის დაცლის თემატიკა სრულად უგულვებელყოფილია რომანში.

საწყისი და სამიზნე მედიაპროდუქტების დიფერენსში რეტროსპექტიულად გადმოიციემა ამბები, რომლებიც მოხდა საქართველოს გასაბჭოებამდე და მის შემდეგ. მხატვრული დროის, როგორც ზოგადი ნარატემის გაანალიზებისას, ორივე მედიაში აშკარავდება მინიშნება რეციპიენტთა თანამედროვეობის, მათი აწმყო დროის შესახებ. ფილმში მოვლენათა განვითარება, შესაძლებელია ვივარაუდოთ, 1980-იან წლებამდე აღწევს, რომანში კი წყვეტილი თხრობა 2000-იანი წლების დასაწყისამდე განვრცობილი. ჯერ კიდევ რუსი საბჭოთა კი-

ნომცოდნე, ანრი ვართანოვი 1985 წლის წერილში – „დღე და ღამე“ – აღნიშნავდა, რომ მოხუცი ევას ცხოვრება მთაში, ეს მათი, მაყურებლის დროა (ვართანოვი 1985, 42). რაც შეეხება რომანს, მასში სათხრობი დროის დიაპაზონი შემდეგი ციტატით ამოიცნობა: 1962 წელს გარდაცვლილი რუსუდან ბებიის შესახებ მთხრობელი, რუსიკო, ამბობს – „ოთხ ათეულზე მეტმა წელმა განვლო მას შემდეგ (...)“ (არსენიშვილი 2019, 653-655), ეს უკანასკნელი კი მეტ-ნაკლებად ემთხვევა რომანის პირველი გამოცემის დროს – 2002 წელს. ავტორთა მხრიდან კინოფილმსა და რომანში ჩართული რეჟერენსი აწმყო დროზე, მათი მიმართვა უწინარესად თანამედროვეთათვის და ამრიგად, დიალოგის წამოწყების მცდელობა, შესაძლებელია გავაიგივოთ ერთგვარ შეტყობინებასთან: წარსულზე განსჯა და რეფლექსია, მისი გადალახვის წინაპირობაა, წარსულის შესახებ სიმართლის ცოდნა თანამედროვე საზოგადოებისთვის ტკივილისგან გათავისუფლების ერთადერთი გზაა, მხოლოდ ამ შემთხვევაში იქცევა იგი ისტორიის კუთვნილებად. წარსულის გააზრებისა და დაძლევის მოტივი, მისი აუცილებლობა რომანში ღიად, ევას სიტყვებითაც დასტურდება, იგი პატარა რუსიკოს არიგებს: „(...) ამას ყველაფერს იმიტომ გეუბნები, ჩემო კარგო და მშვენიერო, რომ წინა კაცი უკანას ხილია და შენც იქნებ რამეში წაგადგეს ჩემი ამბავი...“ (იქვე, 212).

რაკი ფილმის კომპოზიცია გახსენების პროცესს ასახავს, მას სპეციფიკური დროითი სტრუქტურაც აქვს, რაც იმაში გამოიხატება, რომ პროტაგონისტის, ევას ცხოვრებაში უკვე მომხდარი მოვლენები ანალეფსისებისა და პროლეფსისების სახით გადმოიცემა, ე.ი. ეკრანზე ხანში შესული მთავარი მოქმედი პირის აწმყოს წარმოდგენა მუდმივად წყდება წარსულის ჩართული ეპიზოდებით. ამასთან, აშკარაა, რომ ევას მიერ თავისი ცხოვრების გახსენებით, ცალკეული ინდივიდის მიერ, ერთი შეხედვით, პირადი, ქალის ტრავმის გადმოცემით, მაყურებლის წინაშე საქართველოს ისტორია საცნაურდება: სათხრობი დრო ერთგვარ დიქოტომიურ არეალშია მოქცეული, რაც აღძრავს შთაბეჭდილებას, რომ ფილმში ინსცენირებულია ორი დროის, ფორმაციის – ძველისა (გასაბჭოებამდელი საქართველო) და ახლის (რევოლუციის შემდგომი საქართველო) – შეჯახება ორი ადამიანის სახით (ევას პირველი და მეორე ქმარი – გიორგი და სპირიდონა). ეს უკანასკნელი დასტურდება სივრცობრივადაც: წარსულში ევას ბედნიერი ქორწინება გიორგისთან მთაში და ევას უმიზნო ცხოვრება სპირიდონასთან, ურბანულ გარემოში. სხვაგვარად რომ ითქვას, ფილმში წარმოდგენილია „მითოლოგიზებული არაკისა“ და „კინემატოგრაფიული რეალიზმის“ (ვართანოვი 1985, 42) შეპირისპირება.

რაც შეეხება, „ვა, სოფელოს“, როგორც უკვე აღინიშნა, ინტერმედიური ტრანსპოზიციის შედეგად, მასში თავს იჩენს დამატებულ პერსონაჟთა სიმრავლე. რომანის მთავარი სიუჟეტური ქარგაც, – ბეზისა და შვილიშვილის (რუსუდანი და რუსიკო) მიერ წარსულის თხრობა ევას გარდაცვალების ღამეს – რომელიც ნაწარმოების სხვადასხვა ხაზს ამთლიანებს, სწორედ დამატებულ მოქმედ პირთა საშუალებით აიგება. ორი ქალის – ძველი და ახალი თაობის – ხანგრძლივი, წყვეტილი და დროში განფენილი მონათხრობი, რომელიც საქართველოს გასაბჭოებამდე იწყება, სხვა არაფერია თუ არა, გახსენების პროცესი. გარდა იმისა, რომ რომანის სიუჟეტში შენარჩუნებულია საეკრანო ევას თავგადასავალი, რომელშიც საქართველოს ისტორიის, ბედის ამოკითხვაა შესაძლებელი, საცნაური ხდება ავტორის ინტენცია, რომ იგი ახალგაზრდა მთხრობელთან, რუსიკოსთან გაიგივდეს (ზაირა არსენიშვილის ავტობიოგრაფიული ელემენტები საკუთრივ ამ პერსონაჟთან მიმართებით დაუფარავად ჩნდება რომანში). თუ კინემატოგრაფიულ ვერსიაში ევას ცხოვრებაზე დაკვირვებით, სიმბოლურ-ალეგორიულად, საქართველოს წარსული იკითხება, ლიტერატურულ ვარიანტში ზაირა არსენიშვილის ავტობიოგრაფიის ჩართვა და ამრიგად, რეპრესირებული ოჯახის სატკივრის გადმოცემა, უფრო მეტად ამძაფრებს რეჟიმის მხილების ამოცანას. შემოქმედებითი თავისუფლების მოპოვების შედეგად, სამიზნე მედიის მხატვრულ სამყაროში დამატებული მწერლის ცხოვრების ტრავმული ეპიზოდები, მკითხველის მიერ რეცეფციის პროცესში ამოიცნობა, რაც წარსულის რეკონსტრუირებისას მონათხრობს განსაკუთრებულ ლეგიტიმაციას სძენს.

შინაარსობრივი ნარატემები ფილმსა და რომანში

ამოსავალსა და სამიზნე მედიაში მთავარი კონფლიქტის განმაპირობებელი ხდომილება საბჭოთა რევოლუციას, სწორედ რევოლუციასთან დაკავშირებული ტრაგიკული მოვლენები აყენებს პერსონაჟებს ტრავმას. ფილმში პროტაგონისტად წარმოდგენილი ევა რომანიზაციაში „ისტორიული ქარტეხილების მომსწრე“ (არსენიშვილი 2019, 156) სამ ქალად (ევა, რუსუდანი და მაკა) გარდაიქმნა – თითოეული ეს პერსონაჟი ფილმის ევას პიროვნული ან მისი ცხოვრებისთვის დამახასიათებელი ნიშნებით აღიწერება. მედიური ტრანსფორმაციისას სამიზნე ტექსტში პროტაგონისტთა რაოდენობრივი ცვლილება იდეოლოგიური წნეხისგან გათავისუფლების ერთ-ერთი საგულისხმო მაჩვენებელია, რადგან სწორედ დამატებულ პერსონაჟთა საშუალებით ხდება შესაძლებელი „ვა, სოფელოში“ დასახულ საკვანძო საკითხზე – წარსუ-

ლის გააზრება, გადალახვა – დაუფარავად განსჯა. რაც შეეხება კონფლიქტის ცენტრში მოქცეულ ანთროპომოფრულ პერსონაჟებს, რომლებიც წინამდებარე მედიებში გაიაზრება როგორც ანტაგონისტები, კინოსურათის შემთხვევაში ეს სპირიდონაა, რომანში კი ავტორმა, სავარაუდოდ, მიზანმიმართულად (სამი ქალი პროტაგონისტის საპირწონედ), მამრობითი სქესის სამი უარყოფითად კონოტირებული ანტაგონისტი (წარსულში რევოლუციონერი სპირიდონა, თელავის რევოლუციური უჯრედის მესვეური არჩილი და ჩეკისტი ალიოშა) წარმოადგინა. თითოეული მათგანი სხვადასხვაგვარად უკავშირდება რევოლუციას და ამასთან, მათი ქმედება, უკვე ნახსენებ ქალ პროტაგონისტთა ცხოვრებაზე, მხოლოდ უარყოფით გავლენას ახდენს.

მიუხედავად იმისა, რომ ევა „შემძლე“ გლენის ქალიშვილია, იგი დაბალ სოციალურ ფენას განეკუთვნება. ის გარემოება, რომ მის ცხოვრებაზე ისტორიული გარდატეხა მძიმედ აისახა, ააშკარავებს ფილმის ლაიტმოტივს – რევოლუცია სულაც არ ყოფილა მსუბუქი და ბედნიერების მომტანი გლენობისთვის, ე.ი. სწორედ იმ კლასისთვის (მუშათა კლასთან ერთად), ვისი სახელითაც რევოლუცია მოხდა. საცნაურია, რომ სურათში ასევე თავს იჩენს ბიბლიური ალუზიები, სახელდობრ, გიორგისთან, ევას პირველ ქმართან მიმართებით: ევას მიერ წინა ღამით ნანახი სიზმარი თუ ხილვა, დილით ახდება, როდესაც მათ მიდამოს მწყემსი გიორგი მოადგება, ახალგაზრდა მამაკაცს ცხვარი დაეხრჩო, სწორედ ისე, როგორც ქალის მიერ ნანახ ჩვენებაში. მიუხედავად იმისა, რომ კინოფილმში გიორგი თითქმის ეპიზოდურად ჩნდება, მაინც შესამჩნევია, რომ მისი სახის განვითარება ვიზუალურ პარალელიზმს ეფუძნება – კინოსურათში წმინდა გიორგის ხატზე ევას სატრფოა გამოსახული, თუმცა საეკლესიო სწავლებისგან განსხვავებით, გიორგი, ძველი საქართველოს სიმბოლო, ვერ ამარცხებს ურჩხულს – ახალი „დროების კაცს“, რევოლუციონერ სპირიდონას. სწორედ სპირიდონა კლავს მას, ისევე, როგორც კინემატოგრაფიული დიეგეზისის სოციალურ სინამდვილეში ძველი დროების საქართველოზე იმარჯვებს საბჭოთა რევოლუცია. ამასთან, სპირიდონა ირიბად გიორგის შთამომავლობის მკვლელადაც იქცევა, რაკი გიორგიზე დარდი ევას მუცლად მყოფ ბავშვსაც აკარგვინებს. აღსანიშნავია, რომ ეს რელიგიური მოტივი მედიათეორის „თარგმანისას“ პოსტსაბჭოთა რომანშიც შენარჩუნებულია.

ევას ჰარმონიული ცხოვრება მთაში სრულდება სპირიდონას ბოროტი ჩანაფიქრის აღსრულებით (გიორგის მოკვლით) და პირველი ქმრის, ჭეშმარიტი სიყვარულის სიკვდილის შემდეგ შინაგანად კვდება ევაც. პროტაგონისტის ცხოვრების უდიდესი ტრავმა კინოსურ-

რათში უთქმელობის ტოპოსით¹⁸ გამოიხატება, რაც შესაძლებელია ამგვარად განიმარტოს: „ახალი დროების კაცის“ მიერ ევასთვის მიყენებული ტკივილი და ტრავმა იმდენად ძლიერია, რომ იგი ვერბალურ გამოხატულებას არ ექვემდებარება. ტრავმის გამოუთქმელობა დაიძლევა ახლად შექმნილ მედიაპროდუქტში, სახელდობრ, რომანში ევა შეძლებს, ენობრივად გადმოსცეს ტრავმა: იგი გამუდმებით იხსენებს გიორგის, რითაც არც თავს და არც გარშემომყოფებს გიორგის დავიწყების საშუალებას არ აძლევს. ლიტერატურულ ტექსტში უთქმელობის ტოპოსის ვერბალური არტიკულაციით ჩანაცვლებას კვლავ ცენზურის წნეხის გაუქმებასთან მივყავართ: რომანში ევა რევოლუციურ პერსონაჟად გარდაიქმნება, ცხოვრების მეორე ნახევარში იგი დევინტია და იმ საზოგადოების სოციალურ-კულტურულ ნორმებს უგულვებელყოფს, რომელშიც ცხოვრობს, ამგვარი მთავარი მოქმედი პირის საეკრანო სახედ ქცევას კი საბჭოთა კავშირის მთავარი საცენზურო ორგანო, სავარაუდოდ, არ დაუშვებდა, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი სხვა მახასიათებლებთან ერთად, ფილმს პესიმისტურ ფინალსაც უწუნებდნენ (იხ. ზევით). იდეოლოგიური ჩარჩოსგან გათავისუფლების შედეგად, რომანის პერსონაჟი ევა შესაძლებელია გაგებულ იქნას, როგორც საეკრანო ევას კრიტიკული გადააზრება, ამ ორ მოქმედ პირს შორის გამოხატული რადიკალური სხვაობა აღძრავს შთაბეჭდილებას, რომ შემოქმედებითი თავისუფლების პირობებში ავტორს თავისი ნამდვილი ჩანაფიქრის განხორციელების შესაძლებლობა მიეცა. გიორგის სიკვდილის შემდეგ სპირიდონასთან თანაცხოვრებისას ევა მთას არასდროს არ დაპზრუნებია. იგი ამბობს: „ჩემთვის თავისუფლება საყვარელ შრომასთან და სიყვარულთან იყო დაკავშირებული. მე კი ერთიც დავკარგე და მეორეც. დავკარგე ჩემი ადგილი... და დავკარგე თავისუფლება... და კიდევაც ეს იყო უბედურება“ (იქვე, 212). რომანში მოხუცი ევა „აღქაჯად“, „ტყის ქალად“ იქცა, თამბაქოს მოიხმარს, „დარწყილულ“ საცვლებს ატარებს და მარტოსულ დღეებს ბანქოს თამაშით იხალისებს. „ევას თუმცა შვილიც ჰყავდა და შვილიშვილებიც, თავისი რძლის, მაროს გამოისობით, ყველას მიერ, დიდი ხანია აბუებული იყო“ (იქვე, 21). ამაზე რომანის სივრცობრივი სემანტიკაც¹⁹ მიანიშნებს: იგი დემონსტრაციულად ჩადის სახლის სარდაფში და სიკ-

18 ქეთი ქარუთი (Cathy Caruth) წიგნში „Unclaimed Experience: Trauma, Narrative and History“ (1996) ამტკიცებს, რომ ტრავმის, ტრავმული სიმართლის გადმოცემა ენობრივად მიუწვდომელია. ამრიგად, მის თეორიაში ტრავმა გამოუთქმელობას (ინგლ. Silence of Trauma (1996, 9)), გადმოცემის შეუძლებლობას დაუკავშირდა.

19 სივრცის სემანტიკური თავისებურება რომანის იმ ეპიზოდშიც იჩენს თავს, როდესაც გარდაცვლილი ევა სარდაფში განისვენებს, მისი რძალი კი სახლის მეორე სართულზე „კუროსთან ნებივრობს“. ამგვარად, ევას მუდმივი მოქიშპე მისი დამცირების შესაძლებლობას ქალის სიკვდილის შემდეგაც არ უშვებს ხელიდან.

ვდილამდე იქ იდებს ბინას. ევა მოქმედებს როგორც ქალი, რომელსაც დასაკარგი აღარაფერი დარჩა, მას შემდეგ, რაც შეიტყობს გიორგის სიკვდილის ნამდვილ მიზეზს, სპირიდონას დატირებაზე უარს აცხადებს, სწორედ მისი დაკრძალვის დღეებში იგი ხაზგასმულად „თავადერილი აქეთ-იქით დადის“ (იქვე, 56).

ეკრანზე კი ოთხმოც წელს მიტანებული ევა ტრავმას უთქმელად დაითმენს და ტკივილის შემსუბუქებას შრომით ცდილობს, რაც კონტრასტულ მიმართებაშია ევას ლიტერატურულ სახესთან. კინოფილმში ევას ცხოვრების კრედო მკაცრ მორალურ კოდექსს ემყარება („კაცს სიკეთის რწმენა უნდა ჰქონდეს“, „კაცი ჭირისთვისაც არის გაჩენილი და ლხინისთვისაც“) და შვილიშვილსაც, გიორგის, მიყრუებულ სოფელში ამავე პრინციპით ზრდის („მთას არ უყვარს ზედმეტი ხორცი“), ქალისთვის ასევე უცხოა მწარე სიმართლის შელამაზება (საკმარისია, გავიხსენოთ ევასა და მისი შვილობილის, დარეჯანის – ეს უკანასკნელი სპირიდონას მეძავისგან შეეძინა – ურთიერთობა). ხასიათის სიხისტითა და სხვა თვისებებით ევა თავის ლიტერატურულ წინაპარს, ოთარაანთ ქვრივს მოგვაგონებს. ილია ჭავჭავაძის მოთხრობის პერსონაჟის მსგავსად, ქვრივი ევასთვის გიორგი ერთადერთი იმედია (ბებიის დამოკიდებულება შვილიშვილის მიმართ ხაზგასმით წარმოჩნდება სურათის უკანასკნელ სცენაში), სწორედ მასში ცდილობს იგი სიკეთის მარცვლის გაღვივებას.

მთაში მარტო დარჩენილი ქვრივი მძიმე ფიზიკურ შრომას ეწევა და ამგვარად იბრძვის, რათა ბარში ჩასული მოსახლეობისთვის მაგალითად იქცეს, უბიძგოს მათ უკან დაბრუნებისკენ მაშინ, როცა ქალაქად მცხოვრები ახალგაზრდა ევა რევოლუციის შემდგომი ახალი საქართველოს მშენებლობის პროცესში არავითარ ინიციატივას არ იჩენს. საბჭოთა იდეოლოგია, რაკი ეს უკანასკნელი უდანაშაულო მსხვერპლსა და ძალმომრეობაზე დგას, ქალისთვის სრულიად გაუგებარია. ევას მხრიდან ახალ სისტემასთან დროებითი დაზავება, მხოლოდ ერთხელ, მის მიერ სოფლად კოლექტივიზაციის განხორციელებაში ჩართვით გამოიხატა (ეს უკანასკნელი პროტაგონისთვის მიწასთან, შრომასთან დაბრუნების ერთადერთი საშუალება იყო), თუმცა აქაც იმედი გაუცრუვდა, რაკი ტოტალიტარულ სახელმწიფოში აგრარული სისტემაც ძალმომრეობის პოლიტიკის ნაწილია (გლენები უარს აცხადებენ კოლექტივში ნებაყოფლობით გაწევრიანებაზე). საცნაურია, რომ უკვე დამოუკიდებელ საქართველოში გამოცემულ რომანში ევას ლიტერატურულ ორეულს კოლექტივიზაციის კეთილშობილური მიზნებით თავის მოტყუება არ უწევს, ეს მოტივი ლიტერატურულ ტრანსფერში გამოტოვებულია. ამრიგად, თავდაპირველ ვერსიაში ევას

ჩართვა კოლექტივიზაციაში უნდა მივიჩნიოთ დროისთვის პოლიტიკური კონიუნქტურისთვის გადახდილ ხარკად.

კინოფილმის მთავარი ანტაგონისტი, ბიბლიურ ურჩხულთან გაიგვივებული სპირიდონა, საბჭოთა პერიოდში შექმნილ მედიაპროდუქტში იმითაა მნიშვნელოვანი, რომ სწორედ მისი საშუალებით ხდება შესაძლებელი მინიშნება რეპრესიებზე. სპირიდონა იმგვარი მოქმედი პირია, რომელიც მიწისქვეშა რევოლუციურ ორგანიზაციას მხოლოდ მერკანტილური მიზნებით შეუერთდა. მას არ ეპატია, რომ რევოლუციას „უგანა“ და „ნეპმენად“ იქცა. თვითმკვლევლობამდე სპირიდონა ევას გაუმხელს: „მომდევენ, ევა, მომდევენ. ხალხის მტერი ხარო, მშრომელი ხალხის სისხლის მწოველი წურბელა ხარო. უნდა დაგიჭიროთ და გაგასამართლოთ, ევავ.“ როგორც ირკვევა, სიცოცხლის თავისივე ხელით მოსწრაფებით მამაკაცმა სისტემას მხოლოდ დაასწრო.

ლიტერატურულ ტექსტში სიუჟეტის ტრანსფორმაციის შედეგად, რომანში დაუფარავად ჩანს ის, რაც მხოლოდ მინიშნებულია კინოფილმში – საბჭოთა რეპრესიები. რეპრესიები ბოროტ ძალასთან გარიგებას ემსგავსება: „შავ სიაში“ მოხვედრილი სპირიდონა თავის გადასარჩენად (მას ყარაღაჯაში ბამბის სამუშაოებზე გადასახლება ემუქრება, იქ, სადაც „ხალხი პანტასავით ცვივა ციებისგან“ (იქვე, 371)) და ვაჟისთვის „სოცმდგომარეობის ცნობის“ საშოვნელად (წინააღმდეგ შემთხვევაში გიგლას უნივერსიტეტიდან გარიცხავენ) „შინსახკომის“ დამსმენი ხდება. „ჩეკას“ აგენტობა სპირიდონას იძულებს, გასწიროს ოჯახის წევრი (სიმამრი) და ამრიგად, დააბეზლოს მაწია, რაკი მას უარუყვია კოლექტიური მეურნეობისთვის მოხალისეობრივად საქონლის ჩაბარების შესაძლებლობა. რომანის ამ ეპიზოდით აშკარავდება ჩეკას მუშაობის პრინციპები: დაშინება, „დამუშავება“, იძულებით, მუქარით გადაბირება. გასაკვირი არ არის, რომ ცენზურის პირობებში ეკრანებზე გამოსულ ფილმში „ჩეკა“ ან მისი ფუნქციონირების მექანიზმი, მათ შორის იძულების წესით ოჯახის წევრთა დაბეზლება, საერთოდ არ გხვდება – საბჭოთა კავშირი ებრძოდა იმ ბოროტების გამოშვურებას, რომელზეც იგი იდგა, როგორც ტოტალიტარული სახელმწიფო. ამრიგად, კინემატოგრაფიულ მედიუმში შექმნილ მხატვრულ სამყაროშიც კი იკრძალებოდა საბჭოთა იდეოლოგიის წინააღმდეგ მიმართული სიმართლის რეპრეზენტაცია.

რომანში ღიად წარმოჩნდება დასმენის შედეგიც: „სოფლის ბურჯი, ველ-მინდვრების ბატონ-პატრონი, ღირსებით სავსე, თავმოძრონე მაწია“ (იქვე, 468) ტაშკენტის ციხეში ხვდება, – მისი ცხოვრების ამგვარი განვითარება ფილმში არ ჩანს – სადაც ღრმად მოხუცი ასრულებს სიცოცხლეს: „ყველაზე ძალიან უსამართლობას სწუხდა, მინდა ვიცოდე,

რატომ ვისჯებით... რატომო... რატომო... სიტყვა, რომელიც მთელ ქვეყანას პირზე ეკერა...“ (იქვე). მაწიას რიტორიკულ კითხვას ეხმიანება მთხრობლის, ამ საზოგადოების რიგი წევრის მიერ დასმული კითხვა, საზოგადოების, რომელშიც „საუკეთესო ხალხი თავისი სიკვდილით არ კვდებოდა“ (იქვე, 584), – „რატომ ვართ ჩვენ ყველა ასეთი უბედურები... რატომ?“ (იქვე, 167).

როგორც უკვე აღინიშნა, სპირიდონას, როგორც რევოლუციონერის, სახისმეტყველება კინოსურათში მეტაფორულად წმინდა გიორგისთან მებრძოლ ურჩხულს უკავშირდება. რომანში ეს ხაზი შენარჩუნებულია და უფრო მეტიც, გამძაფრებულია: ტექსტში გხვდება პარალელიზმი რევოლუციონერ სპირიდონასა და მავნე მწერს შორის, იგი სიმბოლურად მალარიის – რევოლუციის – გადამტან კოლოსთან, ანოფელესთან იგივდება. ამრიგად, რომანში რევოლუცია ერთმნიშვნელოვნად ტანჯვას (სისხლის წოვას) დაუკავშირდა. მალარიით დასნებოვნებული სპირიდონა საავადმყოფოში ექიმის მიერ პრაქტიკანტებისთვის მიცემული დარიგების უნებლიე მსმენელი ხდება. იგი მოსმენილს შინაგან მონოლოგით ეხმიანება:

რა ყოფილა თურმე ეს ციებ-ცხელებათ, რა მოდებული, მთელ ქვეყანაზე გავრცელებული, ყველა სარტყელშიო, მთელ მსოფლიოში... კოსმოპოლიტური ინფექციააო, ანუ, ინვაზიაო, მსოფლიო რევოლუციასავით ყოფილა... (...) ხო სულ იმას ამბობენ, მსოფლიო რევოლუციაო შეჭველიაო... ძალიან კარგი, სწორედაც ყველამ უნდა იწვნოს ეს სიკეთე, (...) ყველა რო იწვნევს, მაშინ შემოირტყამენ თავში ხელს...

(...) აქა-იქ ჩაესმოდა ხოლმე ყურში საკვირველი ამბავი ადამიანისა და კოლო ანოფელესისა... „ანო-ფე-ლე-სი...“ – რა სახელია, (...) უცხოდ მჟღერი, თითქოს ბედისწერასავით გარდაუვალი (...) სპირიდონას ისე აოცებს ეს კავშირი, (...) ადამიანსა და ანოფელესს შორის... ანოფელესი მალარიის გადამტანიაო, (...) მაგრამ ჯერ თვითონ უნდა დაავადდეს ადამიანისგანო (...) ესე იგი, ჯერ თვითონ უნდა დაავადდეს? და ადამიანი ვისგან უნდა დაავადდეს? ანოფელესისაგან... და ანოფელესი? ადამიანისაგან... (...) ანოფელესი ხომ სწორედ ისეა აგებული, სისხლი უნდა წოვოს, თავისი გრძელი, სამკაპიანი ხორთუმიო (...) ... ანოფელესი სისხლის მწოველია, სისხლი მისთვის იგივეა, რაც ჩვენთვის არსებობის პური და უფრო მეტიც, იმიტომ, რომ მისი განაყოფიერებული კვერცხები სისხლის გარეშე ვერ გამრავლდება... (...) ესე იგი, მე გამრავლებ ანოფელესს... (იქვე, 385-388)

რევოლუციის სისხლიან დანაშაულთა მხილებას ემსახურება ასევე რომანში ისტორიული რეალობის შემოჭრა, რომელიც საწყისს მედი-

აში არავითარი ფორმით არ ჩნდება. ფაქტობრივ აგენტად ტექსტში „სისხლიანი ქორწილის“ ეპიზოდი განისაზღვრება, რომელიც 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ, თელავში გაიმართა. ნინა რცხილაძისა და ოფიცერ საშა გამყრელიძის ტრაგედიალ ქცეული ქორწილის (რაკი ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულობის ბრალდებით უდანაშაულო ადამიანები დაიხოცნენ) შემდეგ,²⁰ თელავის „გიგოს გორა“ ადგილობრივთა მესხიერებაში „თელავის გოლგოთად“, „მესხიერების ადგილად“²¹ გარდაიქმნება. რომანში იდენტობის განმსაზღვრელი ტრაგედია, რომელიც საზოგადოებას საბჭოთა რევოლუციის შედეგად მიაღება, მატერიალურ-სიმბოლური სახით, მესხიერების ადგილად, არის წარმოდგენილი.

რომანში ლხინს ქართველი თავად-აზნაურები – „ქაქუცას დასაყრდენი“ (იქვე, 547) – ესწრებიან, მათ შორის ისტორიული პირები.²² საცნაურია, რომ ქორწილი სწორედ იმ დროს იმართება, როდესაც საგანგებოდ ქაქუცას რაზმის უგნებელსაყოფად ბოლშევიკური ხელისუფლება თელავში ცენტრიდან „ჩონ“-ს (რუს. Части Особого Назначения) მიაგლენს ჩეკისტი ტოლსტოვის მეთაურობით (ამ მოქმედ პირსაც რეალური პროტოტიპი მოეპოვება). „სამეულთან“ შეთანხმებით „გეპეუს“ რაზმი საცხოვრებელს ალყას შემოარტყამს და სტუმართაგან მხოლოდ მამაკაცებს წაასხამს „გეპეუსში“. მათ უმრავლესობას დახვრეტენ და ნაჩქარევად გათხრილ ორმოებში, გიგოს გორაზე მიწას მიაყრიან (ეს უკანასკნელი დასტურდება არქივით). რომანში ასევე აღწერილია ეპიზოდები, რომელთა ფარგლებშიც ჭირისუფალმა „ჩეკას“ ოჯახის წევრის სხეული არ დაანება და ცხედარი გვიან ღამით ქურდულად მოიპარა. ამგვარად, ერთ დროს თავადი გიგო ვა-

20 ამ საკითხს იკვლევს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი თენგიზ სიმაშვილი. 2020 წელს გამოიცა მისი წიგნი: „საბჭოთა რეპრესიები თელავში 1921-1924 წლებში: ნაწილი I“. 2019 წელს კი სიმაშვილის ავტორობითა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივზე დაყრდნობით, მომზადდა მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი: „გიგოს გორა – თელავის გოლგოთა“.

21 „მესხიერების ადგილები“ (ფრ. Lieux de Mémoire) ფრანგი ისტორიკოსის, პიერ ნორას (Pierre Nora) მიერ შემუშავებული ცნებაა, იგი აღნიშნავს ერის იდენტობისა და კოლექტიური მესხიერების ადგილებს, რომლებზეც მესხიერება კრისტალდება. აღსანიშნავია, რომ ნორას კონცეფციაში „ადგილი“ გაიზარება სიმბოლურ ინსტრუმენტად, ამრიგად, იგი შესაძლებელია არსებობდეს როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური სახით (Nora 1989, 7; Nora 1998, IX-X, 632).

22 ქაქუცას შეფიცულნი ელიზბარ და ბიძინა მაცაშვილები (თუმცა, ეს უკანასკნელნი საბჭოთა ჯარის წინააღმდეგ გამართულ შეტაკებებში უშუალოდ არ მონაწილეობდნენ), მათი მამა გიორგი მაცაშვილი, გიორგი ციციშვილი – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, თელავის ვაჟთა გიმნაზიის პედაგოგი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნათესავი და მისი მხარდამჭერი, ადვოკატი ნიკოლოზ რაზმაძე, კახეთის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის ყოფილი თავმჯდომარე, ასევე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი. თუმცა, ეს არ არის რომანში დასახელებულ ისტორიულ პირთა სრული ჩამონათვალი.

ხვანიშვილის კუთვნილი მიწა რომანში „მეხსიერების ადგილად“ ნიშნად იქცა. ტკივილის მატერიალური გამოხატულება – „გიგოს გორა“ – დაღუპულთა ოჯახებს რევოლუციის სახელით ჩადენილი დანაშაულის ხსოვნას აიძულებს და ცალკეულ ინდივიდებს საერთო ტრავმის მოზიარე ადამიანთა ერთობად აქცევს.

კინოფილმის გარომანებულ ვერსიაში შეუსაბამო დროს გამართული ლხინის მოტივი თემატურად ქაქუცა ჩოლოყაშვილის კრიტიკას ებმის.²³ წიგნში დაუფარავადაა ნახსენები, რომ უკვე საკმარისი ხალხი დაიხვრიტა ქაქუცას მიზეზით, მისი ცოლ-შვილიც კი აწიოკებულა ბოლშევიკების მიერ, და გამოითქმის ეჭვი, რომ უბრალო ხალხზე არც ერთი მხარე არ ფიქრობს. ისტორიულ ფაქტს განეკუთვნება ასევე მემამულეთა დარბევის გადმოცემა: აგვისტოს აჯანყებისა და სისხლიანი ქორწილის წელს ძალადობრივმა სისტემამ ქართველ თავადაზნაურობას დარაზმული „ბოგანო გლეხობა“ დამსჯელ რაზმთან ერთად მიუქსია „ქვებით, კეტებით, თოფებით შეიარაღებულები“ (იქვე, 577) და ნება დართო, მათ ქონებას დაჰპატრონებოდა. აღსანიშნავია, რომ ეს ამბავი არა მხოლოდ მოითხრობა, არამედ მას თან ერთვის მთხრობლის კომენტარი. მისი ინტერპრეტაციით, დადგმული „პოგრომები“ ემსახურებოდა სიცრუეს, რათა შექმნილიყო კლასობრივი აჯანყების მითი (იქვე, 578). ის გარემოება, რომ ზემოთ ნახსენები თემებიდან („სისხლიანი ქორწილი“, კრიტიკული პოზიცია ქაქუცა ჩოლოყაშვილზე, თავად-აზნაურობის პოგრომი) არც ერთი მათგანი რომანის პირველწყაროში არ გვხვდება, კვლავ იდეოლოგიური ემანსიპაციითა და მედიებს შორის დროითი დაშორებულობით, კონტექსტის ცვლილებით აიხსნება.

რომანის ფიქციური პერსონაჟის, არჩილის ნამდვილი ხასიათისა და სატკივრის გამჟღავნებაც ტექსტში ტრაგიკულ ქორწილს და შესაბამისად, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის „სამეულის“ წევრობას უკავშირდება. რომანისგან განსხვავებით, კინოსურათი მაყურებელს საშუალებას არ აძლევს, თვალი ადევნოს არჩილს, რომელსაც რევოლუციონერის მძიმე ცხოვრება აქვს გამოვლილი. საწყისს მედიაში მისი ცხოვრების გადმოცემა ახალგაზრდობის ეტაპზევე წყდება. საეკრანო თავგადასავალში „უტოპიით დაბრმავებული“ (გვანარია 1985, 52) არჩილი იდეალისტურ გმირად წარმოჩნდება. ამასთან,

23 აქ შესაძლებელია ავტორის პოზიციის ამოკითხვაც: „ქაქუცას ორმაგი გამოძახილი აქვს კახეთში, არაერთმნიშვნელოვანი და არაერთგვაროვანი, იმიტომ, რომ მაგის გამო ძალიან ბევრი ხალხი შეეწირა ამ ამბავს. მაგალითად, იყო ასეთი შემთხვევები: ქაქუცა თავისი რაზმით, 30 კაცი, მივიდოდა თავის ნათესავთან ვინმესთან, იქეიფებდნენ, წავიდოდნენ. მერე ჩეკადან მივიდოდნენ და მათ აწიოკებდნენ. ჩემთვის არასოდეს ჩაუგონებიათ, რომ ქაქუცა გმირი იყო. ვიცოდი, რომ გასული იყო, როგორც პარტიზანი (რატიანი 2010, 230).

არჩილსა და ევას შორის მინიშნებული ურთიერთსიმპათია სურათში არ ვითარდება.

სამიზნე მედიაში ცენზურის წნეხისგან გათავისუფლებით არჩილის, როგორც პირველი ტალღის რევოლუციონერის, ცხოვრების უფრო მეტად დამაჯერებელი ტილო იქმნება. რომანში მის მიმართაც „საზღაურის“ პრინციპია (არსენიშვილი 2019, 506) ამოქმედებული: არჩილს, ანტაგონისტ სპირიდონას მსგავსად, სისტემა იმსხვერპლებს (მასაც და მისი ოჯახის წევრებსაც). შესაძლებელია ითქვას, რომ იგი უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლის გამო ისჯება და, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩადენილი ბოროტება უკან ბუმერანგით უბრუნდება. მიუხედავად იმისა, რომ რომანში კრიტიკული პოზიციია გამოხატული რევოლუციური იდეების ქეშმარიტ მიმდევართა მიმართ – „რას ნიშნავს იდეურები, (...) რა სიტყვაა ეს! ბოლშევიკების მიერ მოგონილი ცრუ სიტყვა“ (იქვე, 157), არჩილი სწორედაც რომ რომანის ერთადერთი იდეური პერსონაჟია – იგი მთელი ცხოვრებით რევოლუციას ემსახურა და ყველაზე ძვირფასი, თავისი და ოჯახის წევრების სიცოცხლეს მას შესწირა. სავარაუდოა, რომ არჩილ აბელიშვილის გვარში ბიბლიური მსხვერპლის, პირველი უდანაშაულო მსხვერპლის, აბელის სახელი, შემთხვევით არ ჩნდება. მიუხედავად მისი რევოლუციონერობისა, იგი რომანში მაინც მსხვერპლთანაა გაიგივებული, რევოლუციის მსხვერპლთან, რაკი შეუძლებელია სისხლიანმა იდეამ, რა მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს იგი, კეთილი შედეგი მოიტანოს.

„აგვისტოს აჯანყებისას“ მშობლიურ ქალაქს „სამეულის“ წევრად, მკვლელად დაბრუნებული არჩილი უბედური და დაღლილია, იგი თითქოს გრძნობს, რომ მომავალში მასაც ისევე დახვრეტენ, როგორც 1924 წელს მისი თანხმობით ხვრეტენ ქორწილის უდანაშაულო დამსწრეთ. არჩილის დრო 1937 წელს დგება: იგი დიდ ტერორს ემსხვერპლება და მასთან ერთად – მისი ვაჟი და რძალიც (მათ იაპონიის აგენტობა ბრალდებათ). არჩილის გვარში 1937 წლის რეპრესიათა უკანასკნელი, ირიბი მსხვერპლი მისი ერთადერთი შვილიშვილი, ბაბუის მოსახელე, ექვსი წლის არჩილი-ჩიკოა (პატიმარი მამის ეტაპით გადაყვანისას ჩიკო მატარებელს გამოეკიდება, ლიანდაგს დაკრავს თავს და მოგვიანებით საავადმყოფოში გარდაიცვლება). რომანში რევოლუციის გულწრფელი მსახურის მოდგმა არსებობას წყვეტს, არჩილის გენეალოგიური ხაზი წყდება, რადგან დაუშვებელია უტოპიური, სისხლიანი ექსპერიმენტის გაგრძელება. ამრიგად, ამოსავალი მედიიდან, სამიზნე მედიაში პერსონაჟ არჩილის გადატანის შედეგად, კინოფილმში დადებითი კონოტაციების მქონე ახალგაზრდა რევოლუციონერის სახე რომანის ანტაგონისტად იქცა. აშკარაა, რომ სამიზნე მედიაში და-

მატებული ელემენტებით (არჩილი როგორც „სამეულის“ წევრი და ტერორის მსხვერპლი), ე.ი. არჩილის ცხოვრების სრული სურათის გადმოცემით, პოსტსაბჭოთა ტექსტში ძველი თაობის რევოლუციონერის რეალობასთან მეტად მიახლოებული ვერსია გადმოიცემა. ცნობილია, რომ პირველი თაობის ბოლშევიკები პარტიამ, სისტემამ „შავი საქმეების“ შესრულების შემდეგ, სწორედ 1937²⁴ წელს გაანადგურა. არჩილიც, როგორც ლიტერატურული პერსონაჟი, ამავე გზას გადის.

მედიური ტრანსპოზიციისას, როგორც უკვე აღინიშნა, რომანში იზრდება პროტაგონისტთა რაოდენობა. შედეგად, გარომანებულ ვერსიაში ევას ჰიპოსტასი, პერსონაჟი მაკა ჩნდება. ყმაწვილკაცობისას არჩილი მაკას სატრფოა, ე.ი. ევასა და არჩილს შორის კინოსურათში შეუმდგარი სიყვარულის მოტივი რომანში განხორციელდა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც – უიღბლოდ. მაკა საყვარელ ადამიანს რევოლუციის მიზეზით კარგავს: ერთ-ერთი გადასახლების შემდეგ არჩილი ცოლ-შვილთან ერთად ბრუნდება მშობლიურ თელავში, მაგრამ მამაკაცს იგი ცხოვრების ბოლომდე ვერ ივიწყებს, რაც ქალის ტანჯვის მიზეზად იქცევა. პროტაგონისტი მარტოსული კვდება, საგანგებოდ მორთული ქართული სამოსით. ამ ეპიზოდით რომანიზაციაში გამეორებულია ფილმში გათამაშებული სცენა ევას სიკვდილისა. მაკა, როგორც საეკრანო ევას ლიტერატურული ვარიაცია, რომანში იმ ნიშნითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ტექსტში იგი ემსახურება არჩილის, „ქრესტომათიული რევოლუციონერის“ (იქვე, 563), მხილებას. დაშორებიდან ოცი წლის შემდეგ ყოფილ საქმროსთან, რომელიც იმჟამად „სამეულის“ წევრია, პირისპირ შეხვედრისას ქალი შემდეგ სიტყვებს წარმოთქვამს:

არა, არ ვუწოდებ ამას დახვრეტას, არჩილ! სწორედ შენ გვეუბნებოდი ერთხელ შეკრებაზე, რომ „დახვრეტა“ იურიდიული ტერმინია, იგი მოითხოვს გასამართლებას, უმაღლესი სასჯელის მისჯას და უმაღლესი სასჯელის აღსრულებას, რომ მეფემ კი არ დახვრიტა მანიფესტანტები, არამედ მოკლა! ჰოდა, სამეულისც ჰკლავს, ჰკლავს, ჰკლავს გაუსამართლებლად! და შენ ამას ახლი ქვეყნის შენებას ეძახი?! (იქვე, 568)

ამრიგად, წინამდებარე სცენით, რომლის ჩართვაც რომანიზაციაში მხოლოდ საბჭოთა იდეოლოგიური მანქანის არარსებობის პირობებში გახდა შესაძლებელი, არა მხოლოდ მხილებისა და გმობის საგნად იქცევა ცალკეული რევოლუციონერის ქმედება, არამედ აშკარადდება სიმართლე სისხლიანი „ახალი ქვეყნის შენების“ შესახებ.

24 სერგო ორჯონიკიძე, მამია ორახელაშვილი, ბუდუ მდივანი, მიხეილ ოკუჯავა, მალაქია ტოროშელიძე, ლევან ლოღობერიძე – ეს ჩამონათვალი 1937 წელს დახვრეტილ ქართველ ბოლშევიკთა, პირველი თაობის რევოლუციონერთა, მხოლოდ მცირე ნაწილს მოიცავს.

რომანში პროტაგონისტთა კონფიგურაციის ცვლილება მხოლოდ მაკას დამატებით არ სრულდება. მასთან ერთად სამიზნე ტექსტში მთავარ მოქმედ პირად რუსუდანი წარმოჩნდება და ამგვარად, ლიტერატურულ ტექსტში ზაირა არსენიშვილის ავტობიოგრაფიული ელემენტები იჩენს თავს. ფილმში ევასა და მისი შვილიშვილის, გიორგის ჰარმონიული თანაცხოვრება წიგნში ჩანაცვლებულია რუსუდანი ბებიისა და შვილიშვილი რუსიკოს ურთიერთობით. სწორედ მთხრობლის მიერ ბებიის „ანდერძის“ (იქვე, 66) აღსრულებით, ე.ი. რევოლუციის შედეგად მათ ოჯახში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების გადმოცემით, რომანი ავტობიოგრაფიულ შრეს იძენს. მთხრობლის მიერ რომანში გადმოცემული ტრაგიკული ამბები ოჯახის „კომუნიკაციურ მენსიერებას“²⁵ „კულტურული მენსიერების“ მედიად გარდაქმნის. ამრიგად, ავტობიოგრაფიული მენსიერების ლიტერატურულ მედიაში შენახვა ზეპირ, მყიფე მენსიებას, სტაბილურ მენსიერებად აქცევს. თავის მხრივ, მენსიერების შენახვა იდენტობის დაცვას უტოლდება, რაკი ადამიანები სწორედ მენსიერების საშუალებით შეიმეცნებენ თავიანთ თავს (Assmann 2008, 109). შედეგად, მთხრობელი ბებიის დანაბარების შესრულებით, არა მხოლოდ თავისი ოჯახის იდენტობის მცველი ხდება, არამედ XX საუკუნის საქართველოს ნამდვილი ისტორიისაც, რადგან ცალკეულ ოჯახზე თავს დამტყდარი რეპრესიის მაგალითით, ფაქტობრივად, სოციუმის წარსულზე სიმართლე მოითხრობა.

პერსონაჟ რუსუდანის ცხოვრებაზეც, მსგავსად ორივე პროტაგონისტისა, რევოლუცია და მისი შედეგები ტრაგიკულად აისახა. 1924 წელს იგი ჯერ ვაჟს დაკარგავს – მას „მექორწილებთან“ ერთად დახვრეტენ ქაქუცას მოკავშირეობის ბრალდებით, თუმცა სიმართლე ის არის, რომ გიგი ამ უკანასკნელს არასოდეს არც კი შეხვედრია, 1937 წელს კი დასმენის საფუძველზე აპატიმრებენ და ხვრეტენ სიძეს, რუსიკოს მამას. ვანოს დაჭერის შემდეგ, ოჯახს სახლიდანაც აძევებენ, რათა მათ კუთვნილ ქონებას სისტემა დაეპატრონოს და შეხედულებისამებრ განკარგოს იგი, რაც იმაში გამოიხატება, რომ მოგვიანებით ოჯახს, რომელსაც შინ დაბრუნების უფლება მოუპოვებია, სახლის გაზიარება ჩეკისტ ალიოშასა და მის ცოლ-შვილთან ერთად მოუწევს. აღნიშნულთაგან მწერლის ავტობიოგრაფიულ ფაქტს შეესაბამება შემდეგი:

25 სტატიაში წინამდებარე ცნებათა განმარტებისას ავტორი იან ასმანის (Jan Assmann) თეორიას ეყრდნობა: კულტურული მენსიერება – ერთგვარი ინსტიტუციაა, ექსტრენალიზებული მენსიერების სახეობა, რომელიც თავს იჩენს მატერიალურსა და სიმბოლურ ფორმებში. იგი სტაბილური მენსიერებაა და თაობიდან თაობას გადაეცემა. რაც შეეხება კომუნიკაციურ მენსიერებას, მისი დროითი დიაპაზონი, კულტურული მენსიერებისგან განსხვავებით, სამი თაობით შემოიფარგლება, რაც დაახლოებით, 80-დან 100 წლამდე პერიოდია. კომუნიკაციური მენსიერება ფორმალიზებულ მენსიერებებს არ განეკუთვნება, ამრიგად, იგი არც ერთ მედიაში არ გვხვდება, გარდა ყოველდღიური კომუნიკაციისა (Assmann 2008, 110-111).

სინამდვილეშიც მამა მან სწორედ ისე დაკარგა, როგორც თავისი პროტოტიპი კარგავს მას (არსენიშვილი თავის ოჯახის წევრების რეალურ სახელებსაც კი ინარჩუნებს რომანში), ამასთან, გარკვეული დროის განმავლობაში მის ოჯახს ნამდვილად მოუხდა შინსახკომელისთვის თავისი ჭერის გაზიარება.²⁶

ინფორმანტების უმრავლესობა ყრუ პირთა შვილი იყო, ანუ მათთვის ქართული შესტური ენა იყო პირველი ენა. დანარჩენებიც ბავშვობაში, არა უგვიანეს ექვსი წლისა, დაეუფლნენ ქართულ შესტურ ენას. ყველა მონაწილე იყო ინფორმირებული გადაღებული მასალის გამოყენების პირობებზე, რაც დაადასტურეს ინფორმირებული თანხმობის ფორმაზე ხელმოწერით. მასალაზე დაკვირვებისა და ენობრივი ანალიზის დროს დიდი დახმარება გამიწია კონსულტანტმა, რომლისთვისაც ქართული შესტური ენა მშობლიურია და მისი ენობრივი კომპეტენცია აღიარებულია თემის წარმომადგენლების მიერ.

ეს სტატია განკუთვნილი არ არის მხოლოდ შესტური ენების ლინგვისტური საზოგადოებისთვის, ამიტომაც სტატიის მეორე ნაწილში წარმოდგენილია ზოგადი ინფორმაცია შესტურ ენებში ზმნის კლასიფიკაციისა და ზმნის შეთანხმების შესახებ, ხოლო მესამე თავში – ქართულ შესტურ ენაში არსებული სუბიექტისა და ობიექტის მარკერები, რაც მეოთხე თავში დასკვნებით ბოლოვდება.

2. შესტურ ენებში ზმნის შეთანხმებისა და შეთანხმების მარკერების მიმოხილვა

ჩვეულებრივ, ზმნის სემანტიკა განსაზღვრავს წინადადებაში არგუმენტების რაოდენობას და იმის მიხედვით იცვლება ზმნასთან დაკავშირებული არგუმენტების/აქტანტების რაოდენობა, რამდენ თემატურ (თეტა) როლს ადგენს ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა. თეტა როლების გადანაწილების პრინციპის თანახმად, ყოველი არგუმენტი მხოლოდ ერთ თეტა-როლს იღებს და ყოველი თეტა-როლი მხოლოდ ერთ არგუმენტს მიეწერება (Chomsky 1981). პრედიკატის ლექსიკური მნიშვნელობა განსაზღვრავს თეტა-როლების და, შესაბამისად, არგუმენტების რაოდენობას და შედეგად ვიღებთ ერთ- და ორარგუმენტიან გარდაუვალ ზმნებს ან ორ- და სამარგუმენტიან გარდამავალ ზმნებს. შესტურ ენებშიც, რა თქმა უნდა, ზმნის ლექსიკურ სემანტიკას მასთან დაკავშირებული არგუმენტების რაოდენობის დადგენისთვის აქვს მნიშვნელობა, თუმცა ზმნის კლასიფიკაცია განსხვავებულია და დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შეუძლია ზმნას მასთან დაკავშირებულ არგუმენტებთან შეთანხმება გამონათოს კინეტიკით. ზმნის შეთანხმება შესტურ ენებში გამოიხატება სუბიექტის აღმნიშვნელი ადგილიდან ობიექტის აღმნიშვნელი ადგილისკენ ხელის მოძრაობის ან ხელისგულის მიმართულების ცვლილებით. შეთანხმების ეს უნარი განაპირობებს ზმნის კლასიფიკაციას. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინებთან დაკავშირებით სრული თანხმობა არ არსებობს ლინგვისტურ წრეებში, 1980-იან წლებში გამოქვეყნებული ამერიკული შესტური

ენის ზმნის სისტემის კვლევის შემდეგ (Padden 1988 [1983]) ძირითადად შესტური ენის ზმნის სამწვერა კლასიფიკაციაა გავრცელებული, რომლის თანახმადაც გამოყოფენ მარტივ, შეთანხმებით და სივრცით ზმნებს:

ა) მარტივია ზმნა, რომელსაც არ შეუძლია სივრცითი მოდიფიკაცია მანუალური შეთანხმების გამოსახატად;

ბ) შეთანხმებით ზმნას შეუძლია არგუმენტთან დაკავშირებული ადგილისკენ მოძრაობის ან ორიენტაციის ცვლილებით გამოხატოს ამ არგუმენტთან შეთანხმება;

გ) სივრცითი ზმნა კი გამოხატავს შეთანხმებას ლოკატიურ არგუმენტთან.

ლინგვისტთა ნაწილი, რომელთა მოსაზრებასაც მეც ვიზიარებ, შესტურ ენებში ზმნის ორწვერა კლასიფიკაციას უჭერს მხარს, რადგან სივრცითი ზმნა არ ავლენს შეთანხმებითი ზმნისგან მკვეთრად განსხვავებულ სინტაქსურ მახასიათებლებს, შესაბამისად, მას შეთანხმებითი ზმნის ქვეკატეგორიად განიხილავენ (Quadros 1999; Lourenço 2018, etc.) და განარჩევენ მხოლოდ შეთანხმებით და მარტივ ზმნებს.

ზოგიერთი შესტური ენა განსაკუთრებული მარკერების საშუალებით გამოხატავს შეთანხმებას. მსგავსი მარკერები ხშირ შემთხვევაში დამხმარე ზმნებად მიიჩნევა, რომლებიც უზრუნველყოფს ზმნის შეთანხმების გამოხატვას მის არგუმენტებთან. დამხმარე ზმნები სხვადასხვაგვარია, ზოგიერთი მხოლოდ შეთანხმებას გამოხატავს, მაგალითად, გერმანულ შესტურ ენაში არსებული დამხმარე ზმნა - PAM, ზოგიერთს კი დამატებითი ფუნქციაც შეიძლება ჰქონდეს, როგორც კატალანურ შესტურ ენაში AUX-DA შეთანხმებასთან ერთად გამოხატავს კაუზატივსაც. შესტურ ენებში შეთანხმებითი მარკერები გრამატიკალიზაციის გზითაც განსხვავდება ერთმანეთისგან, ისინი შეიძლება იყოს ზმნური, სახელადი ან ნაცვალსახელური წარმოშობის (Permiss et al. 2007). ქართულ შესტურ ენაში დამხმარე ზმნის არსებობა არ დასტურდება, თუმცა კიდევ უფრო იშვიათი მახასიათებლებია გამოვლენილი, რომლებიც განხილულია მესამე ნაწილში.

მარტივი ზმნა მანუალურად ვერ გამოხატავს არგუმენტებთან შეთანხმებას, თუმცა სხვადასხვა შესტური ენა სხვადასხვა საშუალებას ფლობს მარტივი ზმნების შეთანხმების გამოსახატად. ერთ-ერთი ასეთი საშუალებაა არამანუალური შეთანხმება, რომელიც პირველად ჯუდი შეფარდ-კეგლმა აღწერა (Shepard-Kegl 1985). ბაჰანი ასაბუთებს, რომ ამერიკულ შესტურ ენაში მარტივი ზმნის სუბიექტთან შეთანხმება ხდება თავის გადახრით, ხოლო ობიექტთან მზერის საშუალებით (Bahan 1996), ამასთან, მსგავსი არამანუალური შეთანხმება

შესაძლებელია არა მხოლოდ მარტივ გარდამავალ ზმნებთან, არამედ გარდაუვალ ზმნებთანაც. თუმცა ჩატარებული ექსპერიმენტის საფუძველზე აღნიშნავენ, რომ ამერიკულ უესტურ ენაში მზერით შეთანხმება მხოლოდ მანუალურად შეთანხმების საშუალების მქონე ზმნებთან გვხვდება და არა ყველა ზმნასთან (Thompson et al. 2006).

ქართულ უესტურ ენაში არამანუალური საშუალებები, განსაკუთრებით მზერა და მიმიკა ხშირად გამოიყენება სინტაქსური ფუნქციით, მათ შორის ზმნის შეთანხმების გამოხატვის მიზნით. არამანუალური შეთანხმება მზერის საშუალებით აღწერილია ქართულ უესტურ ენაში (Makharoblidze and Nanitashvili 2022). ამგვარი შეთანხმება მარტივ ზმნასთანაცაა შესაძლებელი და აღწერილია მაგალითიც (იხ. ფოტო ქვემოთ), როდესაც მანუალურად გამოხატულ ზმნას ემთხვევა მზერა და ფაქტობრივად ის უკვე მესამე პირის ნაცვალსახელია.

(1) BOY LOVE+GAZE,
ბიჭს უყვარს ის.



3. სუბიექტისა და ობიექტის მარკერები ქართულ უესტურ ენაში

არგუმენტთა მარკირების საკითხის განხილვისას გვერდს ვერ ავუვლიდით ზმნის შეთანხმების აღწერას, რადგან ეს ერთ-ერთი მექანიზმია არგუმენტთა სტრუქტურის მარკირებისთვის. მეიერი არგუმენტთა სტრუქტურის გამოხატვის სამ ძირითად საშუალებად განიხილავს სიტყვათა წყობას, ზმნის შეთანხმებას და ბრუნვის ნიშნებს და

ამავე დროს დასძენს, რომ შესტური ენები ამ სამი საშუალებიდან მხოლოდ ორს – სიტყვათა წყობას და ზმნის შეთანხმებას, ფლობს (Meier 2003). მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მოსაზრებები შესტურ ენაში ბრუნვის ნიშნების არსებობაზე, მათ შორის მეიერიც მოგვიანებით არ გამოორიცხავდა ისრაელის შესტურ ენაში მსგავსი მარკერის არსებობას, მიჩნეულია, რომ, ზოგადად, ბრუნვის ნიშნები შესტურ ენაში უკიდურესად იშვიათი მოვლენაა. ამიტომაც ქართულ შესტურ ენაში მათი არსებობის ფაქტი, რა მოვლენითაც არ უნდა იყოს ეს განპირობებული, უდავოდ მნიშვნელოვანია. ზოგიერთი ლინგვისტი აღწერს გარკვეულ მარკერს ობიექტისთვის (Börstell 2019; Bross 2020, etc.), თუმცა იმავე სახის მარკერი სუბიექტისთვის დღემდე შესწავლილ შესტურ ენებში არ დასტურდება, რაც შეიძლება აიხსნას შესტურ ენებში ობიექტების სუბიექტებზე უფრო ხშირად გამოხატვის ზოგადი ტენდენციითაც. მაგალითად, თუ ზმნას, რომელიც პოტენციურად გამოხატავს შეთანხმებას სუბიექტთანაც და ობიექტთანაც, რომელიმე მარკერი აკლია, ეს აუცილებლად სუბიექტის მარკერი იქნება (Quer et al. 2017). ასევე, კვლევები აჩვენებს, რომ ამერიკულ შესტურ ენაში მარტივი ზმნების სუბიექტები უმეტეს შემთხვევაში არ არის გამოხატული (Wulf et al. 2002). ამრიგად, შესტური ენების ლინგვისტიკაში ობიექტის მარკირება უფრო შესწავლილი საკითხია, ვიდრე სუბიექტის.

3.1 სუბიექტის მარკერი

სუბიექტური პირის მარკერის განხილვისას, ჩვეულებრივ, განიხილავენ იმ მარკერებს, რომლის საშუალებითაც სუბიექტის ზმნასთან შეთანხმება მიიღწევა. თუმცა ქართული შესტური ენის გარდა, სხვა შესტურ ენაში ჯერჯერობით არ არის აღწერილი მორფოლოგიურად გამოხატული ბრუნვის ნიშნის არსებობა. ქართული ზმნის მორფოლოგიის კვლევისას თამარ მახარობლიძემ (მახარობლიძე 2019) აღწერა ერგატივის ნიშნის გამოყენების მაგალითი ქართულ შესტურ ენაში (იხ. მაგალითი (2)).

(2) NEIGHBOR ERG. BOOK BROUGHT

მეზობელმა წიგნი მოიტანა.



ფოტოზე წარმოდგენილი ერგატივის ნიშანი ნაწარმოებია ჟესტიდან „ადამიანი“ (იხ. გამოსახულება (3)). სამეტყველო ქართულ ენაში ერგატიულ ბრუნვა გარდამავალი ზმნის სუბიექტს აქვს ნამყო სრულ დროში. ჟესტურ ენაშიც მისი გამოყენების ადგილი შეესაბამება სამეტყველო ქართულის ერგატივს, თუმცა რადგან ჟესტის თავდაპირველი ლექსიკური მნიშვნელობა ადამიანია, მხოლოდ ადამიანის აღმნიშვნელი არსებითი სახელით გამოხატულ სუბიექტთან გვხვდება.

(3) HUMAN

ადამიანი



მარკერს გააჩნია ფიქსირებული ადგილი და წინადადების წევრების გადაადგილებისა და ზოგადად წინადადების ტიპის ცვლილების დროსაც მუდამ თან მოსდევს გარდამავალი ზმნის ვინ კატეგორიის სუბიექტს წარსულ დროში. ჩვეულებრივ, იმისთვის, რომ შესტური ენა ჩაითვალოს ერგატიულად, აუცილებელი არ არის ბრუნვის ნიშნის არსებობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბრუნვის ნიშნების არსებობა ჯერ-ჯერობით არ დასტურდება სხვა შესტურ ენებში, თუმცა ზოგიერთი ლინგვისტი ასაბუთებს შესტური ენის სინტაქსური ერგატიულობის მახასიათებლებს, მაგალითად, თურქული შესტური ენისთვის (Sevinç 2006). ლინგვისტთა ნაწილის აზრით, ე.წ. „უკუშეთანხმებითი“ ზმნების შეთანხმებაც შესტურ ენებში მოძრაობის მიმართულების ცვლილების გამო, შესაძლოა, ჰგავდეს ერგატიულ კონსტრუქციას (Pfau, Salzmann and Steinbach 2011). ქართული შესტური ენის ერგატიულობის დადასტურებას უფრო სიღრმისეული კვლევა სჭირდება. სავარაუდოდ, ამ მარკერის გაჩენა სამეტყველო ქართულის გავლენითაა განპირობებული, ამიტომაც მნიშვნელოვანია, ჩატარდეს კვლევა, რამდენადაა მისი გამოყენება გავრცელებული რეგიონებში მცხოვრებ ყრუ თემებში. თბილისში გადაღებული მასალის შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ ამ მარკერს გამოიყენებს თბილისში მცხოვრები ყრუ თემის ნაწილი, რომლებიც განსაკუთრებით გამოირჩევიან სამეტყველო ქართულის და მისი გრამატიკის კარგი ცოდნით, რაც საკმაოდ იშვიათია ყრუ თემის წარმომადგენლებში. რაც არ უნდა იყოს ადამიანის აღმნიშვნელი შესტის გრამატიკალიზაციის მიზეზი, თუნდაც ეს ქართული სამეტყველო ენით იყოს განპირობებული, სუბიექტური პირის მარკირების ტენდენციის გაჩენა ქართულ შესტურ ენაში მნიშვნელოვანი მოვლენაა. სამეტყველო ქართულის რეგიონული დიალექტების გან-

სხვაგვებუღი სინტაქსური მახასიათებლების გამო, საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს საქართველოს რეგიონებში კვლევის ჩატარება. მაგალითად, ქართულში მხოლოდ გარდამავალი ზმნის სუბიექტს აქვს ერგატივის მარკერი, როცა დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ დიალექტებში გარდაუვალი ზმნის სუბიექტთანაც შეიძლება შეგვხვდეს. შესაბამისად, უნდა გავითვალისწინოთ ქართული უესტური ენისა და ქართული ენის ერთ ტერიტორიაზე თანაარსებობის გამო უესტურ ენაზე გავლენის შესაძლებლობა, მით უმეტეს, რომ თბილისში მცხოვრები ყრუები ადასტურებენ, მაგალითად, ქუთაისში მცხოვრები ყრუების უესტების განსხვავებულ ლექსიკურ მახასიათებლებს. შესაძლოა, დადასტურდეს განსხვავებუღი სინტაქსური მახასიათებლებიც.

3.2 ობიექტის მარკერები

ქართული უესტური ენის ლინგვისტიკაში აღწერიღია ობიექტური პირის რამდენიმე მარკერი, მათ შორის ნეიტრალური მნიშვნელობის მარკერი - iom-neutral (Makharoblidze 2015). საკვლევი მასალის შესწავლამ აჩვენა, რომ, ერგატივის მარკერისგან განსხვავებით, ობიექტური პირის ეს მარკერი (იხ. (4)) საკმაოდ ხშირად გვხვდება ქართულ უესტურ ენაში. ეს ფაქტობრივად დატივის მარკერს წარმოადგენს და ამ შემთხვევაშიც გამოიყენება მხოლოდ ვინ კატეგორიის ობიექტებთან.

(4) IOM-NEUTRAL

ირიბობიექტური პირის ნიშანი



ერგატივის მარკერის მხოლოდ ვინ კატეგორიის აღმნიშვნელ სუბიექტებთან გამოყენება მარტივად აიხსნებოდა ამ უესტის თავდაპირველი მნიშვნელობის მიზეზით, მაგრამ, საინტერესოა, რომ ამ შემ-

თხვევაშიც ობიექტური პირის მარკერის, იგივე დატივის მარკერიც მხოლოდ ადამიანის აღმნიშვნელ სახელებთან გვხვდება (იხ. მაგალითები (5)), წარმოქმნილია მითითების ჟესტისგან, თუმცა მოძრაობა მცირედ განსხვავებულია და მისი ადგილიც უცვლელად განსაზღვრულია, მუდამ სულიერ ობიექტს მოსდევს, წინადადებაში მისი ადგილის მიუხედავად.


(5) BOY KICK GIRL OM

ბიჭი ფეხს არტყამს გოგოს.




წინამდებარე კვლევამ გამოავლინა კიდევ ერთი განსაკუთრებული მარკერი, რომელიც, ჩვეულებრივ, წინ უძღვის პირდაპირ ობიექტს. მისი მორფოლოგიური მახასიათებლებიც განსხვავებულია, ეს მარკერი შედგენილი ჟესტია, რომლის მეორე ნაწილიც მითითებით ჟესტს წარმოადგენს. ეს ჟესტი, ლექსიკური მნიშვნელობით „ეს“ / „ზუსტად ეს“, რუსულ ჟესტურ ენაშიც გვხვდება. ქართულ ჟესტურ ენაში იგი გამოიყენება უსულო არსებითი სახელით ან მესამე პირის ნაცვალსახელით გამოხატული პირდაპირი ობიექტის წინ.

(6) DOM
პირდაპირობიექტური პირის ნიშანი



ეს შესტი ფაქტობრივად აზუსტებს პირდაპირ ობიექტს და გააჩნია მუდმივი ადგილი – დგას მუდამ უსულო პირდაპირი ობიექტის წინ და თავდაპირველი მისათითებელი შესტიდან გარდაიქმნა პირდაპირი ობიექტის მარკერად.

(7) WHO BROKE DOM CHAIR
ვინ გატეხა სკამი?



შეინიშნება ფესტის ცვლილების ტენდენცია, ეს სამფაზიანი ფესტი თანდათან კარგავს ბოლო მისათითებელ ნაწილს, განსაკუთრებით, თუ შემდეგ მოსდევს მესამე პირის ნაცვალსახელი. ეროზიის ნიშნები ზოგჯერ ვლინდება არსებითი სახელით გამოხატულ უსულო პირდაპირ ობიექტთანაც, რაც მოწმობს ამ ნიშნის გრამატიკალიზაციას და თანდათანობით მის მორფოლოგიურ მარკერად დამკვიდრებას.

დასკვნა

ჟესტური ენების ლინგვისტიკა საკმაოდ ახალგაზრდა მეცნიერებაა. ყოველი ახალი ჟესტური ენის შესწავლა საინტერესო აღმოჩენების წინაპირობას ქმნის, განსაკუთრებით ისეთი უნიკალური მახასიათებლების მქონე ბუნებრივი ენის, როგორც ქართული ჟესტური ენაა. ჩვეულებრივ, მიიჩნევა, რომ ჟესტურ ენებს არ გააჩნიათ არგუმენტთა მარკირების მორფოლოგიური და სინტაქსური საშუალებები. წინამდებარე კვლევის მიზანი იყო, გვეჩვენებინა, რომ არ შეიძლება სრულად გამოვრიცხოთ მსგავსი საშუალებების არსებობა ჟესტურ ენებში. მესამე ნაწილში აღწერილია მარკერები, რომლებიც გრამატიკალიზაციის სხვადასხვა გზით ჩამოყალიბდა და სხვადასხვაგვარი შეზღუდვაც ახასიათებს:

1. თბილისში მაცხოვრებელი ყრუთა თემის ნაწილი ერგატივის ნიშნის ფუნქციით იყენებს სუბიექტური პირის მარკერს, რომელიც წარმოქმნილია ლექსიკური ჟესტისგან ადამიანი human / person. ეს მარკერი მხოლოდ გარდამავალი ზმნის ადამიანის აღმნიშვნელ სუბიექტურ პირთან გვხვდება და მუდამ მოსდევს სუბიექტს;
2. საკვლევ მასალაში წარმოდგენილი იყო ობიექტური მარკერის გამოყენების მაგალითები. ეს მარკერი ფაქტობრივად ფუნქციონირებს როგორც დატივის მარკერი, წარმოქმნილია მისათითებელი ჟესტისგან და გამოიყენება მხოლოდ სულიერი ობიექტების შემდეგ;
3. პირდაპირი ობიექტის მარკერი, რომელიც შედგენილი ჟესტია, წინ უძღვის მესამე პირის ნაცვალსახელით ან უსულო არსებითი სახელით გამოხატულ ობიექტს.

ამრიგად, ჟესტურ ენებში ზმნის შეთანხმებისა და არგუმენტთა სტრუქტურის კვლევის დროს მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ შეთანხმების გამომხატველი სხვადასხვაგვარი მარკერების არსებობის შესაძლებლობა.

დამოწმებანი

- მახარობლიძე, თამარ. 2012. ქართული ჟესტური ენა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USAID, Save the Children International. თბილისი
- მახარობლიძე, თამარ. 2015. ქართული ჟესტურის ენის ლექსიკონი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი.

- მახარობლიძე, თამარ. 2019. *ქართული უესტური ენის ზმნის მორფოლოგია*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი.
- Bahan Benjamin. 1996. *Non-Manual Realization of Agreement in American Sign Language*. Dissertation, Boston University.
- Benedicto, Elena and Diane Brentari. 2004. Where did All the Arguments Go? Argument-changing Properties of Classifiers in ASL. *Natural Language and Linguistic Theory* 22. 743–810.
- Börstell, Carl. 2019. Differential Object Marking in Sign Languages. *Glossa: A Journal of General Linguistics* 4(1): 3. 1-18, DOI: <https://doi.org/10.5334/gjgl.780>
- Bross, Fabian. 2020. Object Marking in German Sign Language (Deutsche Gebärdensprache): Differential Object Marking and Object Shift in the Visual Modality. *Glossa: A Journal of General Linguistics* 5(1): 63. 1-37.
- Chomsky, Noam. 1981. *Lectures on Government and Binding*. Dordrecht: Foris Publications.
- Holler, Anke and Markus Steinbach. 2018. Sign Language Agreement: A Constraint Based Perspective. In *Proceedings of the 25th International Conference on Head-Driven Phrase Structure Grammar*, University of Tokyo, eds. Muller, Stefan and Frank Richter, 49-67. Stanford, CA: CSLI Publications.
- Kegl, Judy. 1990. Predicate Argument Structure and Verb-class Organization in the ASL Lexicon. In *Sign Language Research: Theoretical Issues*, ed. C. Lucas, 149-175. Washington, D.C.: Gallaudet University Press.
- Krebs, Julia, Ronnie B. Wilbur and Dietmar Roehm. 2017. Two Agreement Markers in Austrian Sign Language (ÖGS). *Sign Language & Linguistics* 20(1): 27-54.
- Levin, Beth and Malka Rappaport-Hovav. 2005. *Argument Realization*. Cambridge: Cambridge University Press.
- Lourenço, Guilherme. 2018. *Verb Agreement in Brazilian Sign Language: Morphophonology, Syntax & Semantics*. 10.13140/RG.2.2.15935.56480.
- Makharoblidze, Tamar. 2015. Indirect Object Markers in Georgian Sign Language. *Sign Language & Linguistics* 18(2): 238-250.
- Makharoblidze, Tamar and Roland Pfau. 2018. A Negation-Tense Interaction in Georgian Sign Language. *Sign Language & Linguistics* 21(1):135-149.
- Makharoblidze, Tamar and Ekaterine Nanitashvili. 2022. Non-Manual Arguments in Georgian Sign Language (GESL). In *Issues in Kartvelian Studies*, ed. Tamar Makharoblidze, 203-214. Wilmington: Vernon Press.
- Meir, Irit. 2001. Verb Classifiers as Noun Incorporation in Israeli Sign Language. In *Yearbook of Morphology 1999*, eds. Geet Booij and Jaap van Marle, 295-315. Dordrecht: Springer.
- Meir, Irit. 2003. Grammaticalization and Modality: The Emergence of a Case-marked Pronoun in Israeli Sign Language. *Journal of Linguistics* 39(1): 109-140. DOI: <https://doi.org/10.1017/S0022226702001664>.

- Padden, Carol. 1983. Interaction of Morphology and Syntax in American Sign Language. University of California, San Diego PhD dissertation [published 1988, New York: Garland Press].
- Perniss, Pamela, Roland Pfau and Markus Steinbach. 2007. "Can't You See the Difference? Sources of Variation in Sign Language Structure". In *Visible Variation: Comparative Studies on Sign Language Structure*, eds. Pamela M. Perniss, Roland Pfau and Markus Steinbach, 1-34. Berlin, New York: De Gruyter Mouton. <https://doi.org/10.1515/9783110198850.1>
- Pfau, Roland, Martin Salzmann and Markus Steinbach. 2011. *A Non-Hybrid Approach to Sign Language Agreement*, Paper presented at FEAST 2011, University of Venice.
- Quadros, Ronice. 1999. *Phrase Structure of Brazilian Sign Language*. Pontifícia Universidade Católica do Rio Grande do Sul.
- Quer, Joseph and Salvador Frigola. 2006. Cross-Linguistic Research and Particular Grammars: A Case Study on Auxiliary Predicates in Catalan Sign Language (LSC). Paper presented at *Workshop on Crosslinguistic Sign Language Research*, Max Planck Institute for Psycholinguistics, Nijmegen, January 2006.
- Quer, Joseph, Carlo Cecchetto, Caterina Donati, Carlo Geraci, Meltem Kelepir, Roland Pfau and Markus Steinbach. 2017. *SignGram Blueprint. A Guide to Sign Language Grammar Writing*. Berlin, Boston: De Gruyter Mouton. Retrieved from <https://www.degruyter.com/view/product/467598>.
- Ramchand, Gillian 2013. Argument Structure and Argument Structure Alterations. In *Cambridge Handbook of Generative Syntax*, ed. M. den Dikken, 265-321. Cambridge: Cambridge University Press.
- Rathmann, Christian. 2000. The Optionality of Agreement Phrase: Evidence from Signed Languages. Master's thesis, University of Texas at Austin.
- Sevinç, Ayca. 2006. Grammatical Relations and Word Order in Turkish Sign Language. Master Thesis, Middle East Technical University.
- Shepard-Kegl, Judy. 1985. Locative Relations in ASL Word Formation, Syntax and Discourse. MIT PhD dissertation.
- Steinbach, Markus and Roland Pfau. 2008. Grammaticalization of Auxiliaries in Sign Languages. In *Visible variation: Comparative Studies on Sign Language Structure*, eds. Pamela M. Perniss, Roland Pfau and Markus Steinbach, 303-340. Berlin: Mouton de Gruyter.
- Thompson, Robin, Karen Emmorey and Robert Kluender. 2006. *The Relationship Between Eye Gaze and Verb Agreement in American Sign Language: An Eye-tracking Study*. *Natural Language and Linguistic Theory* 24: 571-604.
- Wulf, Alyssa, Paul Dudis, Robert Bayley and Ceil Lucas. 2002. Variable Subject Presence in ASL Narratives. *Sign Language Studies* 3(1): 54-76.

Ekaterine Nanitashvili
Ilia State University, Georgia
Georg August University of Göttingen, Germany
ekaterine.nanitashvili.1@iliauni.edu.ge
DOI: 10.32859/kadmos/16/110-136

Argument Markers in Georgian Sign Language (GESL)*

Keywords: *Georgian Sign Language, agreement, argument marker, subject marker, ergative, object marker*

1. Introduction

The cornerstone of a language is the structure of a verb and its arguments – a subject and objects. Consequently, it is no wonder that many articles have been dedicated to researching the argument structure of both spoken and sign languages (Benedicto and Brentari 2004; Kegl 1990; Meier 2001; Levin and Rappaport-Hovav 2005; Ramchand 2013, etc.). Georgian Sign Language linguistics is relatively young, but the range of topics that have been investigated is impressive (Makharoblidze 2012; Makharoblidze 2015; Makharoblidze and Pfau 2018; Makharoblidze 2019; etc.). The specific characteristics already confirmed in GESL highlight the importance of future research on this natural sign language.

Different types of agreement markers have been distinguished in sign linguistics literature. The majority of these markers are considered auxiliaries—semantically empty or weak signs that are only used to express agreement; for example, the Personal Agreement Marker (PAM) in German Sign Language (DGS) (Rathmann 2000; Steinbach and Pfau 2008, etc.), agreement markers in Austrian Sign Language (ÖGS) (Krebs et al. 2017), and the agreement marker in Catalan Sign Language (LSC), glossed as AUX-DA, which differs from DGS

* This research is part of a joint project of the Georg August University of Göttingen and Ilia State University, funded by the Volkswagen Foundation and supported by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number N04/46, project number N93569].

PAM in several important respects (Quer and Frigola 2006). Thus, agreement markers are not exceptional features in sign languages. However, special morphological or syntactic marking of arguments to form agreement is less frequent in sign languages. Börstell (2019) discusses the existence of a differential object marker in Swedish Sign Language that is restricted to human objects, and Meier (2003) describes a similar object pronoun in Israeli Sign Language (ISL). Bross (2020) claims that the sign PAM, usually considered to be an auxiliary, is analogous to the object marker in the southern variant of DGS. While differential object markers are not very common in sign languages, and subject markers are even rarer, the existence of such markers in GESL could be intriguing.

An annotated corpus of GESL does not yet exist. However, the GESL laboratory at Ilia State University collected data spanning a total duration of seven hours, 36 minutes, and 56 seconds. From the 53 deaf signers filmed, 17 were men and 36 were women, representing the age range of the Georgian Deaf Community from 18 to 69. All participants were deaf signers living in Tbilisi. Although the language acquisition of the informants varied, most were deaf CODAs, meaning their first language was GESL. For those from hearing families, their GESL acquisition began in early childhood. It is noteworthy that these spontaneous videos were filmed in environments familiar to the signers, primarily in their homes, or at the Union of the Deaf building, where community members frequently gather. The camera operator was also a member of the Georgian Deaf Community. The filming conditions allowed the signers to share their experiences and daily routines comfortably. All participants were informed about the intended use of the videos and provided their informed consent. This naturalistic data is invaluable for observing how GESL signers mark agreement in their signing, and whether they use specific agreement markers. A GESL consultant, a hearing CODA, assisted me in analyzing ambiguous parts of the data.

Since this paper is not intended exclusively for a sign linguistic audience, Section 2 provides brief background information on the verb classifications and verb agreement in sign languages. This is then followed by Section 3, which presents descriptions of subject and object markers in GESL. A conclusion is drawn in Section 4.

2. Background information on agreement and agreement markers in sign languages

Generally, the number of arguments/actants in a clause is determined by the lexical meaning of the predicate, and it depends on the number of theta roles the predicate can assign to its arguments (Chomsky 1981). Consequently, verbs are classified as intransitive, transitive, or ditransitive. The Theta-Criterion functions similarly in sign languages. However, it is more common to define verb classes in sign languages according to their kinetic characteristics- specifically, whether a verb can be spatially modified to show manual agreement with its argument or arguments. Agreement in sign languages can be expressed through movement and/or orientation from the locus associated with the subject to the locus associated with the object. The ability of a verb to modify its movement and/or orientation determines its class. Although there is no consensus on specific terms, since Padden's (1988 [1983]) research on the verbal system of American Sign Language (ASL), a threefold classification is commonly used: plain verbs, agreement verbs, and spatial verbs. However, I opt for a binary classification, distinguishing only between agreement verbs and plain verbs, with spatial verbs considered a subcategory of agreement verbs. This is because the two types of verbs that can be spatially modified do not display significantly different syntactic features (Quadros 1999; Lourenço 2018, etc.).

In some sign languages, special markers are used to express agreement. These markers are often considered auxiliaries, helping verbs express agreement with their arguments. They vary in several ways; for example, some express only agreement (e.g., PAM in DGS), while others, like AUX-DA in LSC, carry an additional meaning, such as a causative result. Agreement markers in sign languages can follow different grammaticalization paths, with auxiliaries developing from verbal, nominal, or pronominal sources (Perniss et al. 2007). Auxiliaries have not been confirmed in GESL. However, this language displays less common features of sign languages, such as argument markers, which are discussed below in Section 3.

Sign languages may also use non-manual mechanisms to express agreement. Non-manual marking was first described by Shepard-Kegl (1985). Bahan (1996) claims that a plain verb in ASL can express agreement with its subject through a head tilt, and with its object through eye gaze. Moreover, non-manual agreement is confirmed not only in plain transitive verbs, but also in intransitive verbs. However, eye-tracking experiments have revealed that plain verbs in ASL lack the ability to express agreement through eye gaze; only verbs that can agree manually with their arguments show agreement through eye gaze (Thompson et al. 2006). When non-manuals do occur in GESL, they often serve several syn-

tactic functions, including agreement marking (Makharoblidze and Nanitashvili 2022). Eye gaze can express agreement even with a plain verb in GESL. In the example below, the eye gaze coincides with the manual sign of a verb and, in fact, marks the third-person pronoun.

(1) BOY LOVE+GAZE₃
Boy loves him/her.



3. Subject and Object Markers in GESL

Before discussing argument markers, it was necessary to refer to verb agreement, as it is one of the main mechanisms for marking argument structure. However, there are other significant tools for encoding argument structure. For example, Meir (2003) argues that three basic mechanisms for encoding argument structure in spoken languages are word order, verb agreement, and case markers, while sign languages rely only on word order and verb agreement to encode argument structure. Although Meir later considered the possible existence of case markers in Israeli Sign Language, such markers are generally regarded as rare in sign languages. Nevertheless, object marking has been argued to be prevalent in some sign languages (Börstell 2019; Bross 2020, etc.). In contrast, subject markers have not been confirmed in most sign languages studied to date, which may be explained by a general tendency in sign languages to mark objects more frequently than subjects. For instance, if a verb that can potentially agree with both subject and object lacks one of these markers, it is usually the subject marker (Quer et al. 2017). Furthermore, research has shown that subjects of plain verbs in ASL are more often null (i.e. unexpressed) than overt (Wulf et al. 2002). In summary, subject marking, as opposed to differential object marking, has been less investigated in sign languages.

3.1 Subject marker in GESL

Sign languages typically lack both subject marking and morphological case marking. Therefore, the discovery of an ergative marker in the morphology of GESL verbs was a significant finding (Makharoblidze 2019). This subject marker is a result of the grammaticalization process of the lexical sign human / person (see 2).

(2) HUMAN



In different sign languages, the grammaticalization paths of the lexical sign person have resulted in different grammatical markers, such as agreement auxiliaries, object pronouns, and reflexive pronouns, while in GESL, this sign developed into an ergative case marker (Börstell 2019). Generally, the existence of an ergative case marker is not essential to claim that a language is ergative, as ergativity can be manifest in terms of morphological case marking on nominals, or patterns of agreement on the predicate (Quer et al. 2017). There is no evidence of the ergative marker in any other sign language, but researchers claim that some sign languages display ergativity, for example, Turkish Sign Language (Sevinç 2006). Moreover, some linguists suppose that backward agreement, that is, agreement with an inverse movement, i.e. movement from the R-locus of the object (source) to the R-locus of the subject (goal), can also be a reminiscent of ergativity in sign languages (Pfau, Salzmann and Steinbach 2011).

Before discussing the ergative case marker in GESL, it is important to note that spoken Georgian is an ergative language, where the ergative case serves to mark the agent of transitive verbs. Although GESL and spoken Georgian operate in different modalities, they coexist within the same territory, making language contact possible. The hypothesis that language contact has allowed linguistic patterns from spoken Georgian to influence GESL is quite compelling. In Georgian, as well as in GESL, the subject of a transitive predicate has an ergative case only in the perfective past. The place the ergative marker takes in GESL coincides with its place in spoken Georgian,

and it is used only in the past after the subject of a transitive predicate. However, unlike the ergative marker in Georgian, the GESL ergative case marker is restricted to the subject expressed by a noun denoting “human,” since this marker is derived from the lexical sign human / person. Thus, the ergative case marker always follows the subject of a transitive predicate when the subject denotes a person, and when the predicate is in the past tense (see [3] from Makharoblidze 2019).

(3) NEIGHBOR ERG. BOOK BROUGHT
The neighbor brought the book.



However, a close examination of naturalistic data reveals that the use of the ergative marker is limited to only a portion of the deaf community, and is not widely used among GESL users. Typically, those who use this marker have a high proficiency in spoken Georgian and a strong grasp of its grammar, which is relatively rare within the community. Although there is considerable doubt as to whether the use of the ergative marker might be influenced by spoken Georgian, the tendency to mark the subject in this way remains intriguing.

While evaluating the research results, it is also important to bear in mind that the research was based on data that was collected in Tbilisi, where the largest community of Georgian Deaf Signers resides. In the future, it would be

interesting to investigate the use of this marker among communities in western Georgia, given the syntactic differences found between dialects of spoken Georgian. For instance, in standard Georgian, only the subject of a transitive predicate has an ergative case marker, while in some regional dialects, the subject of an intransitive predicate also takes an ergative marker. Although syntactic differences between GESL and its regional variations may be considered less predictable, research on GESL should certainly be expanded to the regions of Georgia. This is especially important, as GESL users from Tbilisi and Kutaisi often mention lexical differences, suggesting that there may also be interesting syntactic variations.

3.2 Object markers in GESL

Despite the fact that differential object marking is rare in sign languages, still, unlike the subject marker, object markers have been confirmed in several sign languages. An in-depth analysis of the gathered data shows that object marking is even more common in GESL. Makharoblidze (2015a) described four types of indirect object marking: indirect object marker with neutral meaning (iom-neutral), indirect object marker expressing respect (iom-respect), indirect object marker expressing disrespect (iom-disrespect), and indirect object marker expressing causation (iom-cause).

On the basis of the current research, it can be assumed that the most frequently used object marker in GESL is the one with neutral meaning: iom-neutral.

(4) IOM-NEUTRAL

Indirect Object Marker



This marker actually functions as a Dative case marker and is used only with indirect objects that are represented by human nouns. iom is produced with the index finger, but the hand shape is slightly different from index, and always follows an animate object in any position, as it can appear after the object in the beginning of the clause, as well as in the clause-final or in the clause-internal position.

(5) BOY KICK GIRL OM

The boy kicks the girl.



The current study also revealed a specific marker, in addition to the subject and object markers, that precedes the direct object. This marker appears to be a compound sign, with the final part being an indicating sign.

(6) DOM

Direct Object Marker



This marker tends to vary, and, as confirmed by the consultant, the use of a single, simplified sign is also considered grammatically correct. A similar lexical sign is used in Russian Sign Language, with the meaning of 'this' or 'exactly this,' which suggests that this marker may be derived from that lexical

sign. In GESL, it is typically used before the direct object expressed by a third-person pronoun or an inanimate noun.

(7) WHO BROKE DOM CHAIR

Who broke the chair?



The current study shows a strong tendency in GESL to mark arguments using various mechanisms. Since sign languages were previously considered to lack such markers, these findings could be valuable for future cross-linguistic studies.

4. Conclusion

The present research aimed to demonstrate that, although it is generally assumed that most sign languages described to date lack morphological or syntactic mechanisms to mark arguments, we should not exclude the possibility that some sign languages may still possess such markers. Section 3 presented examples of subject and object markers that have been grammaticalized from different sources and have various restrictions:

1. A group of GESL users living in Tbilisi use a special subject marker that appears to be copied from spoken Georgian, which functions as an ergative case marker, grammaticalized from the lexical sign HUMAN / PERSON. This marker is restricted to the human subject of a transitive predicate, and always follows the subject.

2. The data provide evidence for the use of the object marker with a neutral meaning. This marker functions as a dative case marker, derived from the indicating sign, and is limited to animate referents. It always follows the object.

3. The direct object marker is a compound sign derived from the indicating sign, but it tends to change to a shortened form. It always precedes the direct object expressed by a third-person pronoun or an inanimate noun.

In conclusion, the study shows that it is important to consider the possibility of existing argument markers when discussing verb agreement and argument structure patterns in sign languages.

References

- Bahan Benjamin. 1996. *Non-Manual Realization of Agreement in American Sign Language*. Dissertation, Boston University.
- Benedicto, Elena and Diane Brentari. 2004. Where did All the Arguments Go? Argument-changing Properties of Classifiers in ASL. *Natural Language and Linguistic Theory* 22. 743-810.
- Börstell, Carl. 2019. Differential Object Marking in Sign Languages. *Glossa: A Journal of General Linguistics* 4(1): 3. 1-18, DOI: <https://doi.org/10.5334/gjgl.780>
- Bross, Fabian. 2020. Object Marking in German Sign Language (Deutsche Gebärdensprache): Differential Object Marking and Object Shift in the Visual Modality. *Glossa: A Journal of General Linguistics* 5(1): 63. 1-37.
- Chomsky, Noam. 1981. *Lectures on Government and Binding*. Dordrecht: Foris Publications.
- Holler, Anke and Markus Steinbach. 2018. Sign Language Agreement: A Constraint Based Perspective. In *Proceedings of the 25th International Conference on Head-Driven Phrase Structure Grammar*, University of Tokyo, eds. Muller, Stefan and Frank Richter, 49-67. Stanford, CA: CSLI Publications.
- Kegl, Judy. 1990. Predicate Argument Structure and Verb-class Organization in the ASL Lexicon. In *Sign Language Research: Theoretical Issues*, ed. C. Lucas, 149-175. Washington, D.C.: Gallaudet University Press.
- Krebs, Julia, Ronnie B. Wilbur and Dietmar Roehm. 2017. Two Agreement Markers in Austrian Sign Language (ÖGS). *Sign Language & Linguistics* 20(1): 27-54.

- Levin, Beth and Malka Rappaport-Hovav. 2005. *Argument Realization*. Cambridge: Cambridge University Press.
- Lourenço, Guilherme. 2018. *Verb Agreement in Brazilian Sign Language: Morphophonology, Syntax & Semantics*. 10.13140/RG.2.2.15935.56480.
- Makharoblidze, Tamar. 2012. *Georgian Sign Language*. Ministry of Education and Science; USAID, Save Children International. Tbilisi. მახარობლიძე, თამარ. 2012. *ქართული ესტური ენა*. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; USAID, Save the Children International. თბილისი.
- Makharoblidze, Tamar. 2015. *Georgian Sign Language Dictionary*. Tbilisi: Ilia State University; Shota Rustaveli National Scientific Foundation. მახარობლიძე, თამარ. 2015. *ქართული ესტურის ენის ლექსიკონი*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი.
- Makharoblidze, Tamar. 2015a. Indirect Object Markers in Georgian Sign Language. *Sign Language & Linguistics* 18 (2): 238-250.
- Makharoblidze, Tamar. 2019. *GESL Verbal Morphology*. Shota Rustaveli National Science Foundation; Ilia State University. Tbilisi. მახარობლიძე, თამარ. 2019. *ქართული ესტური ენის ზმნის მორფოლოგია*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი.
- Makharoblidze, Tamar and Roland Pfau. 2018. A Negation-Tense Interaction in Georgian Sign Language. *Sign Language & Linguistics* 21(1):135-149.
- Makharoblidze, Tamar and Ekaterine Nanitashvili. 2022. Non-Manual Arguments in Georgian Sign Language (GESL). In *Issues in Kartvelian Studies*, ed. Tamar Makharoblidze, 203-214. Wilmington: Vernon Press.
- Meir, Irit. 2001. Verb Classifiers as Noun Incorporation in Israeli Sign Language. In *Yearbook of Morphology 1999*, eds. Geet Booij and Jaap van Marle, 295-315. Dordrecht: Springer.
- Meir, Irit. 2003. Grammaticalization and Modality: The Emergence of a Case-marked Pronoun in Israeli Sign Language. *Journal of Linguistics* 39(1): 109-140. DOI: <https://doi.org/10.1017/S0022226702001664>
- Padden, Carol. 1983. Interaction of Morphology and Syntax in American Sign Language. University of California, San Diego PhD dissertation [published 1988, New York: Garland Press].
- Perniss, Pamela, Roland Pfau and Markus Steinbach. 2007. "Can't You See the Difference? Sources of Variation in Sign Language Structure". In *Visible Variation: Comparative Studies on Sign Language Structure*, eds. Pamela M. Perniss, Roland Pfau and Markus Steinbach, 1-34. Berlin, New York: De Gruyter Mouton. <https://doi.org/10.1515/9783110198850.1>

- Pfau, Roland, Martin Salzmann and Markus Steinbach. 2011. *A Non-Hybrid Approach to Sign Language Agreement*, Paper presented at FEAST 2011, University of Venice.
- Quadros, Ronice. 1999. *Phrase Structure of Brazilian Sign Language*. Pontifícia Universidade Católica do Rio Grande do Sul.
- Quer, Joseph and Salvador Frigola. 2006. Cross-Linguistic Research and Particular Grammars: A Case Study on Auxiliary Predicates in Catalan Sign Language (LSC). Paper presented at *Workshop on Crosslinguistic Sign Language Research*, Max Planck Institute for Psycholinguistics, Nijmegen, January 2006.
- Quer, Joseph, Carlo Cecchetto, Caterina Donati, Carlo Geraci, Meltem Kelepir, Roland Pfau and Markus Steinbach. 2017. *SignGram Blueprint. A Guide to Sign Language Grammar Writing*. Berlin, Boston: De Gruyter Mouton. Retrieved from <https://www.degruyter.com/view/product/467598>.
- Ramchand, Gillian 2013. Argument Structure and Argument Structure Alternations. In *Cambridge Handbook of Generative Syntax*, ed. M. den Dikken, 265-321. Cambridge: Cambridge University Press.
- Rathmann, Christian. 2000. The Optionality of Agreement Phrase: Evidence from Signed Languages. Master's thesis, University of Texas at Austin.
- Sevinç, Ayca. 2006. Grammatical Relations and Word Order in Turkish Sign Language. Master Thesis, Middle East Technical University.
- Shepard-Kegl, Judy. 1985. Locative Relations in ASL Word Formation, Syntax and Discourse. MIT PhD dissertation.
- Steinbach, Markus and Roland Pfau. 2008. Grammaticalization of Auxiliaries in Sign Languages. In *Visible variation: Comparative Studies on Sign Language Structure*, eds. Pamela M. Perniss, Roland Pfau and Markus Steinbach, 303-340. Berlin: Mouton de Gruyter.
- Thompson, Robin, Karen Emmorey and Robert Kluender. 2006. *The Relationship Between Eye Gaze and Verb Agreement in American Sign Language: An Eye-tracking Study*. *Natural Language and Linguistic Theory* 24: 571-604.
- Wulf, Alyssa, Paul Dudis, Robert Bayley and Ceil Lucas. 2002. Variable Subject Presence in ASL Narratives. *Sign Language Studies* 3(1): 54-76.

სიყვარული როგორც დესტრუქციული ძალა

საკვანძო სიტყვები: *საკომუნიკაციო კოდი, ოთარ ჭილაძე, ჯონ აპ-დაიკი*

სიყვარულის ყოვლისშემძლე, მაცოცხლებელ, ქმედით თვისებრიობას მგოსნები მას შემდეგ ასხამენ ხოტბას, რაც მხატვრული ტექსტი გაჩნდა. რადგან ჩვენი კვლევის საგანი მსოფლიო ლიტერატურის სხვადასხვა ძეგლში ასახული სიყვარულის დესტრუქციული ძალაა, საკითხს სხვა კუთხით ვუდგებით და მხატვრული ნაწარმოებების ანალიზის მეშვეობით სიყვარულის ბუნების იმ ნაწილის შეცნობას ვცდილობთ, რომელიც ნაკლებად არის შესწავლილი. საილუსტრაციოდ შევარჩიეთ არგონავტების მითისა და ტრისტანისა და იზოლდას ლეგენდის თანამედროვე რეპრეზენტაციები, კერძოდ, ქართველი და ამერიკელი მწერლების ორი რომანი: ჯონ აპდაიკის „ბრაზილია“ და ოთარ ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“. ხოლო კვლევის ჩასატარებლად მოვიხმეთ გერმანელი სოციოლოგის, ნიკლას ლუმანის (1927-1998) მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, სოციალურ სისტემებს აყალიბებენ არა ინდივიდები, არამედ ადამიანური ურთიერთობები. ეს თეორია ჩამოყალიბებულია ნაშრომში „სიყვარული როგორც ვნება: ინტიმის კოდიფიცირება“, რომელიც პირველად 1982 წელს გამოქვეყნდა. ლუმანის თანახმად, ადამიანებს შორის ურთიერთობების დამყარებასა და, შესაბამისად, სოციალური სისტემების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს არა გულწრფელი მიმართებები ინდივიდებს შორის, არამედ საკომუნიკაციო კოდი. გამომდინარე იქიდან, რომ კომუნიკაცია შესაძლებელ ფორმებს შორის არჩევანის გაკეთებას გულისხმობს, დაბრკოლებები იქმნება აღქმადობის მოტივაციისას (კერძოდ, შეიძლება არ არსებობდეს მოტივაცია გაკეთებული არჩევანის

გადასაცემად ან აღსაქმელად), საკომუნიკაციო მედიუმის ფუნქციას ხსენებული დაბრკოლებების დაძლევა და კომუნიკაციის წარმატებით დამყარება წარმოადგენს. ლუმანის თანახმად, „განზოგადებული სიმბოლური მედიუმი, რომელსაც უხდება ისეთი პრობლემების მოგვარება, როგორცაა არჩევისა და მოტივირების ერთობლიობა, წარმოადგენს სემანტიკურ მატრიცას, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება რეალობას: სიმართლე, სიყვარული, ფული, ძალაუფლება და ა.შ.“ (Luhmann 1998, 19). ხსენებული მედიუმებიდან მეცნიერი გამოარჩევს სიყვარულს, როგორც განზოგადებულ სიმბოლურ საკომუნიკაციო მედიუმს, და აღწერს, რა ფუნქციას ასრულებს ის ურთიერთობების განმტკიცებასა და სოციალური სისტემის ფორმირებაში. ლუმანი მიიჩნევს, რომ „სიყვარული, როგორც მედიუმი, არის არა გრძნობა, არამედ საკომუნიკაციო კოდი, რომლის წესებით თამაშისას ადამიანს შეუძლია გამოხატოს, ჩამოაყალიბოს და გააყალბოს გრძნობები, უარყოს ისინი, მიაწეროს სხვას“ (Luhmann 1998, 20). ამ კონტექსტში სიყვარული სცდება ემოციის გაგებას და წარმოადგენს კონსტრუქციას, რომელიც ინდივიდებს ურთიერთობების წარმართვაში ეხმარება. სიყვარულის საკომუნიკაციო კოდის ჩარჩოში მოქცევით ლუმანი აქცენტს აკეთებს სიყვარულის როლზე სოციუმების ფორმირებაში.

სიყვარულის სემანტიკაში კოდიფიკაცია უფრო ადრეულ ეტაპზე იკიდებს ფეხს, ვიდრე სხვა საკომუნიკაციო მედიუმებში, რაც ბეჭდური ტექსტის გაჩენასთან არის დაკავშირებული. ლუმანი თვლის, რომ უკვე მეჩვიდმეტე საუკუნეში ამ კოდის მფლობელი ხდება ჯერ ქალი, რადგან მას რომანები აქვს წაკითხული, მოგვიანებით კი – კაცი. „მგრძნობიარე მამაკაციც რომანის მსხვერპლად იქცა. სხვებსაც წაკითხული აქვთ იმ კლიშეებისა და ფესტების შესახებ, რომლებიც მონუსხვის ხელოვნების ნაწილია“ (Luhmann 1998, 31). გერმანელი სოციოლოგი მიიჩნევს, რომ „ფორმა განსაზღვრავს იმას, თუ რისი კომუნიკაცია შეიძლება კოდის მეშვეობით“ (Luhmann 1998, 43). კოდის ფორმა ისტორიული ეპოქების მიხედვით იცვლება და, შესაბამისად, მისი მნიშვნელობა განიცდის ტრანსფორმაციას „იდეალიზაციიდან პარადოქსალიზაციამდე“ (Luhmann 1998, 43). თავიდან სიყვარულს ობიექტის იდეალური მახასიათებლებით ამართლებენ, მოგვიანებით ამისთვის საჭირო ხდება წარმოსახვის მოხმობა, ბოლოს კი ის ფაქტიც კმარა, რომ ადამიანი შეყვარებულია. იდეალიზაციის პირობებში სიყვარული აღმატებული და ღვთაებრივია. პარადოქსალიზაციის შემთხვევაში კოდის ცენტრალური კომპონენტი ხდება სექსუალურობა და სიყვარულს „აღარ მართავს ისეთი სოციალური ინსტიტუტები, როგორცაა ოჯახი ან რელიგია“ (Luhmann 1998, 45). თვითმიკუთვნე-

ბის ეპოქაში პირველად წყვილდება სექსუალურობა და სიყვარული, რაც კოდში შესაბამისად აისახება. იდეალიზაციის შემთხვევაში, შეყვარებული ადამიანი ემორჩილება ჯანსაღ აზრს, შესაბამისად, ის ვნებასაც გონებით მართავს. პარადოქსალიზაციისას მნიშვნელოვანია განსხვავების პოვნა ვნებასა და სიამოვნებას შორის. რომანტიზმში „სიყვარული თითქოს არსაიდან მოდის, მყარდება გადმოღებული მოდელებისა და ემოციების მეშვეობით“ (Luhmann 1998, 46) და შეიძლება ისიც გააცნობიეროს, რომ მისი მეორეული ბუნება მარცხისთვისაა განწირული.

ლუმანის აზრით, უფრო გვიანდელ ხანებში არისტოკრატიული წარმომავლობა და მატერიალური კეთილდღეობა სიყვარულის არსებითი წინაპირობაა: „მომდევნო პერიოდშიც მიიჩნევა, რომ კეთილშობილება, უფრო მეტად კი სიმდიდრე, სიყვარულის აუცილებელი წინამძღვარია და მათი არარსებობა შეიძლება ანაზღაურდეს, თუკი საერთოდ შეიძლება ასე მოხდეს, ღირსებით, თანაც მხოლოდ უდიდესი ძალისხმევის შედეგად, მაგრამ თითქმის არასდროს – ადამიანის უნიკალური ინდივიდუალური შტრიხებით“ (Luhmann 1998, 54-55). ამავდროულად, ის თვლის, რომ სიყვარულის სემანტიკური ფორმულირებისას იკვეთება მახასიათებლები, რომლებიც ამ წინაპირობებს სცდება: „სემანტიკური ფორმულირების ფარგლებში ჩნდება ისეთი მახასიათებლები, რომლებიც ამ პირობების მიღმა დგას, კერძოდ, პარადოქსები, შეგნებულად გაყალბებული ილუზიები, ფორმულები, რომლებიც დიამეტრულად განსხვავებულად შეიძლება შეფასდეს – მოკლედ რომ ვთქვათ, სტრატეგიული ამბივალენტობები, რომლებიც ხელს უწყობს სოციალური წყობილების შეცვლას“ (Luhmann 1998, 54-55). ამით მეცნიერი მიგვანიშნებს, რომ სიყვარულის აღქმაზე მკაცრი სოციალური სტრუქტურების ზეგავლენის მიუხედავად, სოციალურ მოლოდინებსა და ინდივიდუალურ გამოცდილებებს შორის კომპლექსური ურთიერთკავშირია.

ემილიო გონსალეს-დიასი, პუერტო რიკოს უნივერსიტეტის მკვლევარი, აღნიშნავს, რომ „პარადოქსის იდეა და მისი შლა არის ლუმანის მთავარი ნაშრომების მუდმივი ნაწილი“ (González-Díaz 2004). ამავე მეცნიერის აზრით, ლუმანი პარადოქსს ეპყრობა არა როგორც ანომალიას, არამედ „მისთვის პარადოქსი წარმოადგენს იმ პრობლემას, რომელიც სისტემამ უნდა მოაგვაროს, იმისათვის რომ განაგრძოს აუტოპოესისი“ (González-Díaz 2004). ლუმანის თვალსაზრისით, იმ კულტურაში, რომელშიც რაციონალობას და ლოგიკას ეთაყვანებიან, პარადოქსული მოტივაცია აღიქმება პათოლოგიური მოსაზრებების გათვალისწინებით. ამ აზრს იზიარებენ მეჩვიდმეტე საუკუნეში მოლ-

ვაწე მოაზროვნეები (ყველანი, პასკალის გარდა) და სტენდალი, მე-19 საუკუნის გამოჩენილი ფრანგი მწერალი: „ვნებიანი სიყვარულისთვის თავის მიცემა სიგიჟა“ (Stendhal 1975, 225). პარადოქსული კომუნიკაცია არა მხოლოდ პიროვნებას ანგრევს, არამედ აქვს სოციალური სისტემის დესტრუქციის ძალაც.

სოციალური სისტემის ფორმირების პროცესში სიყვარულის, როგორც საკომუნიკაციო კოდის როლი სხვა სოციო-კულტურული ცვლილებების პარალელურად იზრდება. როგორც ლუმანი აღნიშნავს, „უკვე მეთვრამეტე საუკუნეში მაღალი სოციალური შრეების ოჯახებმა დაკარგეს „სახელმწიფოს ხელშემწყობის“ ფუნქცია. ქორწინების კონტროლის სოციალურ-სტრუქტურული მიზეზები აქედან გამომდინარე გაქრა, და რაღა შეუშლიდა ხელს საზოგადოებას რომ გარიგებით ქორწინებიდან სიყვარულით ქორწინებაზე გადაართულიყო?“ (Luhmann 1998, 145). ამგვარად, ავტორი ხაზს უსვამს გარდამტეხ ცვლილებას სოციალურ ღირებულებებში, რამაც განაპირობა გარიგებით ქორწინებების რიცხვის შემცირება, და იქვე დასძენს: „ხალხი სიყვარულის სიმბოლური მედიუმის შექმნით სწორედ ამ სტრუქტურული ცვლილებისთვის მოემზადა, თანაც ამ ფაქტის გაცნობიერების გარეშე“ (Luhmann 1998, 146).

მეორე გერმანელი სოციოლოგი, ერის ფრომი (1900-1980) უფრო გვიანდელ პერიოდს განაკუთვნებს სიყვარულით ოჯახის შექმნის წესს:

ვიქტორიანულ ხანაში, როგორც ბევრ ტრადიციულ კულტურაში, სიყვარული, როგორც წესი, არ წარმოადგენდა იმ სპონტანურ პირად გამოცდილებას, რასაც შეიძლებოდა ქორწინება მოჰყოლოდა. პირიქით, ქორწინება შეთანხმებით ხდებოდა – მძახლების ოჯახებისა თუ მაჭანკლის მეშვეობით, ან ამგვარი შუამავლების გარეშე; გარიგებას საფუძვლად ედო სოციალური განზრახვები, სიყვარული კი უნდა გაჩენილიყო გარიგების ქორწინებით და-გვირგვინების შემდგომ. (Fromm 1956, 2)

როგორც მოყვანილი ციტატიდან ჩანს, ვიქტორიანულ ეპოქაში ქორწინება მეტწილად სოციალური ხასიათის მქონე კონტრაქტად მიიჩნეოდა, და არა რომანტიკულ კავშირად, წყვილს შორის სასიყვარულო გრძნობების გაჩენა კი ქორწინების შემდგომ იყო მოსალოდნელი.

სხვადასხვა კულტურაში გარიგებით ქორწინება მეოცე საუკუნის დადგომისთანავე არ შეწყვეტილა, რის ნიმუშადაც ჩვენ მიერ განხილული ჯონ აპდაიკის „ბრაზილია“ გამოდგება, პირველად 1994 წელს გამოქვეყნებული რომანი. თუმცა, ამ პერიოდში პროცესი დაძრულია

და დასავლურ კულტურაში უკვე მეოცე საუკუნის დასაწყისიდან „არიან „რომანტიკული სიყვარულის“ ძიებაში, სიყვარულის პირადი გამოცდილების, რომელმაც ისინი ქორწინებამდე უნდა მიიყვანოს“ (Fromm 1956, 2). ამასთანავე, კლასიკურ ლიტერატურაში აღწერილია სოციალურ სისტემებზე სიყვარულის გავლენის მაგალითებიც; აქ ჩვენ ნიმუშად არგონავტების მითს მოვიყვანთ, რომელიც არაერთ ძველ-ბერძნულ თუ თანამედროვე ნაწარმოებშია ადაპტირებული და სხვადასხვა დარგის მკვლევრებისთვის დღემდე ამოუწურავ განძად რჩება. თვით სტენდალიც კი, რომელიც სიყვარულს ოთხ ტიპად ყოფს (ვნებიანი სიყვარული, გალანტური სიყვარული, ფიზიკური სიყვარული და ამო სიყვარული) და ვნების შეცნობას ცდილობს („მიზნად დავისახე იმ ვნების შეცნობა, რომლის უტყუარი მანიფესტაციაც მუდამ მშვენიერებით ხასიათდება“ (Stendhal 1975, 43)), დანანებით აღნიშნავს თავის ნაშრომში, რომ მედეას მაგალითი გამორჩა: „ვნებიანი სიყვარულის იმ მეტ-ნაკლებად არასრულყოფილ ესკიზებზე საუბრისას, რომლებიც წინაპრებმა დაგვიტოვეს, როგორც ვხვდები, „არგონავტიკიდან“ მედეას სასიყვარულო ისტორიები გამომრჩა“ (Stendhal 1975, 242).

1994 წელს გამოქვეყნებულ რომანში „ბრაზილია“ ამერიკელი მწერალი ჯონ აპდაიკი მთავარ პერსონაჟს ასე ახასიათებს: „მართლაც იზაბელს მხოლოდ ერთადერთი – სიყვარულის ნიჭი დაჰყოლოდა“ (აპდაიკი 2015, 227). აპდაიკის პერსონაჟები, იზაბელი და მისი ქმარი ტრისტაო ერთმანეთზე შეყვარებული არიან, ისევე როგორც, მთავარი მოქმედი პირები ქართველი მწერლის ოთარ ჭილაძის რომანისა „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა: იზაბელივით, მედეას არსებობასაც ერთი გამართლება აქვს – სიყვარული: „ახლა მთელი სიცოცხლის მანძილზე, სიყვარულის სარეცელზე ცხედარივით გამოტილს, პირმოკუმულს უნდა ეყვირა: იმიტომ, რომ მიყვარდა, მიყვარდა და მიყვარდაო“ (ჭილაძე 1979, 165-166). თუმცა, ლუმანის თეორიაზე დაყრდნობით, აქ სიყვარულს განვიხილავთ არა როგორც გრძნობას, არამედ საკომუნიკაციო კოდს და ძალას, რომელსაც შეუძლია სოციალურ სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილებების გამოწვევა (კერძოდ კი, სოციალური წყობის ნგრევა).

ჭილაძის მხატვრულ ნაწარმოებში სიყვარულს დესტრუქციულ ძალად მისი გაუთვალისწინებლობა აქცევს. მინოსი და აიეტი, ამ ნაწარმოების მნიშვნელოვანი პერსონაჟები, წინასწარ ვერ ჭვრეტენ მთავარ საფრთხეს, კერძოდ, იმ ფაქტს, რომ სოციალური სისტემის ფორმირებაში სიყვარულის კოდი ისეთივე როლს ასრულებს, როგორსაც სხვა საკომუნიკაციო მედიუმები: ძალაუფლება, ფული, სიმართლე და სხვ.

მინოსს, კრეტის ხელისუფალს, ვანში აიეტის სამეფო კარის დამხობა და ამ გზით თავისი ძალაუფლების განმტკიცება სურს. მიზნის მისაღწევად, პერსონაჟებთან ურთიერთობისას სხვადასხვა საკომუნიკაციო კოდს მიმართავს. მინოსისგან განსხვავებით, აიეტი პასიურ მდგომარეობაშია. მას ტახტის შენარჩუნება სურს და ღალატის მოლოდინშია. ორივე მეფე სუსტი რგოლის ძიებაშია, თუმცა მათ სხვადასხვა მოტივი ამოძრავებთ. აიეტს სურს ამოიციოს, ვინ გასცემს, რომ თავი დაიცვას. მინოსს კი ისინი სჭირდება, ვინც უპირატესობას მოუტანს. ვერც ერთი ვერ განჭვრეტს სიყვარულის დამანგრეველ ძალას. მედეა მინოსსაც გამორჩევა მხედველობიდან და აიეტსაც.

მინოსს გეგმა ოცდახუთი წლით ადრე აქვს შემუშავებული. ყველა ფაქტორი გაითვალისწინა, რომელიც მიზნის მიღწევაში ხელს შეუშლიდა (ყველაფერი სიყვარულის გარდა). გადაწყვიტა, ბერძნებსა და კოლხებს შორის შუღლის გასამწვავებლად იასონი გასწიროს. ეს ახალგაზრდა კაცი, გარდა იმისა, რომ მინოსისთვის მიზნის მიღწევის საშუალებაა (ოქროს საწმისი ვანელებს მან უნდა მოჰპაროს, რომ ბერძნებს უკან ადევნებული კოლხების ხომალდებზე თავდასასხმელად და აიეტის სამეფო კარის დასამხობად საბაბი მიეცეთ), თავად საფრთხეს წარმოადგენს დიდი მეფისთვის. იასონი იოლკოსის ყოფილი მეფის შვილია და ერთხელაც შეიძლება კუთვნილი ტახტის დაბრუნება განიზრახოს, რაც მინოსის გეგმებში არ შედის. დიდი მეფის ჩანაფიქრის თანახმად, იასონი ვანელებს ცოცხალი ვერ უნდა გადაურჩეს (იასონის მკვლელობა ბერძნებისთვის ვანელებზე თავდასხმის საბაბად უნდა იქცეს). იასონთან ურთიერთობისას მინოსი იყენებს ორ საკომუნიკაციო კოდს – ძალაუფლებას (მეფის ძალაუფლებას იასონი ვერსად გაექცევა: უთუოდ გაემგზავრება ვანში და ვერძის ტყავს მოიპარავს) და სიმართლეს (მინოსი იასონს სამართლიანობის აღდგენისკენ მოუწოდებს, რამაც ახალგაზრდა კაცი გმირად უნდა აქციოს). მაგრამ მინოსი სიყვარულის ძალას არად ავდებს და შესაბამისად, ვერ ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომელიც იასონს მომავალი განსაცდელისგან დაიხსნის და სამშობლოში უვნებლად დააბრუნებს (რაც მინოსის გეგმას ნაწილობრივ ჩაშლის).

მას მედეა გამორჩა მხედველობიდან. მედეა! მინოსმა იცოდა, საკუთარი ტყავის გადასარჩენად ყველაფერს რომ იკისრებდა იასონი, ყველა ყუნწში გაძვრებოდა, ყველა კუთხეს დასუნავდა მგელივით, მაგრამ არ იცოდა, დაავიწყდა, გამორჩა, შესაძლებელი რომ იყო ერთ-ერთ კუთხეში მედეა დახვედროდა, თოჯინა და მხსნელი. ერთი სულელი გოგო ყოველთვის გაერევა საქმეში და თავდაყირა შეატრიალებს, რაც ბრძენს ოცდახუთი წლის განმავლობაში უფიქრია, აუწონია, გაუზომავს, აუწყია, გამოუთვლია, გამოუანგარიშებია. მე-

დეა ხომ იმიტომ არსებობს, ბრძენისაგან განწირული გადაარჩინოს, რადაც არ უნდა დაუჯდეს. (ჭილაძე 1979, 172)

მედეას როლს, და შესაბამისად სიყვარულის ძალას, არა მხოლოდ მინოსი, ვერც აიეტი აფასებს სათანადოდ. კოლხეთის მეფე ყველგან მოლალატეებს ხედავს, შინაც კი. ფიქრობს, რომ მის ტახტს ძალაუფლების სურვილით შეპყრობილი ვინმე თუ დაემუქრება. აიეტს აფრთხობს საბერძნეთში გადახვეწილი ოყაჯადო. ეშინია სიძისაც და შვილიშვილებისაც. წარმოუდგენია, როგორ შეიძლება შვილიშვილებმა გასწირონ და მისი სამეფო კარი დაამხონ: „მაგრამ ასევე შეიძლებოდა დაეშინებინათ ისინი ანდა ისეთ რამეს დაჰპირებოდნენ, გადაებირებინათ ეს ოთხი ღლაპი პაპისა და ქვეყნის წინააღმდეგ“ (ჭილაძე 1979, 122).

ამ შემთხვევაშიც ჭილაძის მხატვრული ნაწარმოები ლუმანის თეორიასთან სიტყვასიტყვით მოდის თანხვედრაში. მეფის შვილიშვილების დაშინება გამოუვა მას, ვინც აიეტზე მეტ ძალაუფლებას ფლობს. შეიძლება მათ მატერიალურ კეთილდღეობას ან მამის კუთვნილი ტახტის დაბრუნებას დაჰპირდნენ (მეტი ფული, ძალაუფლება ან სამართლიანობის აღდგენა). მაგრამ აიეტის სამეფოს ანგრევს არა ფული თუ ძალაუფლება, არამედ სიყვარული. „მედეას სათვალავშიც არ აგდებდა, რადგან გაუთხოვარ ქალს მშობლებზე ძვირფასი არავინ არ უნდა ჰყოლოდა“ (ჭილაძე 1979, 122). აიეტს სჯერა, მედეა სიყვარულით კი არ გათხოვდება, მას ოჯახი გამოუძებნის შესაფერის საქმროს, ამიტომაც არ ეშინია, რომ ქალიშვილს მამის მოწინააღმდეგე ან სხვა სოციალური ფენის წარმომადგენელი შეუყვარდება. მეფეს თავის ვაჟზე, აფრასიონზეც კი მიაქვს ეჭვი, თუმცა ფიქრებში სწრაფადვე უბოდიშებს ამის გამო: „მაპატიე, შვილო, ტახტი ისეთი რამეა, ყურზე ყური უნდა გამოიბა და თვალზე თვალიო“ (ჭილაძე 1979, 123).

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისურ თარგმანში გვხვდება სახელები აბსირტუსი და ქალკიოპე, ორიგინალ ტექსტში გამოყენებული აფრასიონის და ქარისას ნაცვლად, რაც განპირობებული უნდა იყოს იმით, რომ ეს სახელები ინგლისურენოვანი მკითხველისთვის ნაცნობია.

რატომ მიაქვს ეჭვი მეფეს ერთ შვილზე და არა მეორეზე? აიეტი უშვებს, რომ აფრასიონს შეიძლება მუდმივად მემკვიდრედ ყოფნა არ მოუნდეს და მამის ტახტის დაკავება მოესურვოს. მედეა მსგავს პრეტენზიას ვერ გამოთქვამს, ის თან ქალია და თან უმცროსი, მის მეფობას მხარს არავინ დაუჭერს. ქარისას (ქალკიოპეს) გამეფება შესაძლებლად მიიჩნევა არა ჭილაძის, არამედ კრისტა ვოლფის ნაწარმოებში: „ჩვენი წრის ქალებში ასეთი იდეაც კი გაჩნდა, ქალკიოპე დაესვათ მეფედ, რადგან გადმოცემით ვიცოდით, რომ უწინდელ

კოლხეთში ქალებიც მეფობდნენ“ (ვოლფი 2004, 64). ვოლფთან კოლხ ქალებს სოციუმში უფრო დიდი ძალა აქვთ: „ერთი შეხედვით, ცოტა არ იყოს გადაჭარბებულად მოგვეჩვენა კოლხთა მოკრძალებული დამოკიდებულება ქალებისადმი, თითქოს მათ აზრზე და ხმაზე ბევრი რამ ყოფილიყო დამოკიდებული“ (ვოლფი 2004, 37). და იქვე დასძენს, „ამ ქალების შესაძლებლობებს სერიოზულად არც მივიჩნევდით და სწორედ ეს იყო ჩვენი დიდი შეცდომა“ (ვოლფი 2004, 66). ჭილაძის რომანში აიეტი არც მედეასგან და არც ქარისასგან არ ელის ხიფათს, მაშინ როდესაც ქალიშვილის ქმრისა და ვაჟიშვილებისგან განსაცდელს მოელის. მინოსის გეგმა აიეტსაც არ რჩება შეუმჩნეველი:

ფრიქსე პირველი ტალღა იყო, მისი ვაჟები კი – მეორე, მეორეს მესამე მოჰყვა მოლიმარი უცხოელის სახით, ხოლო მესამეს, რა თქმა უნდა, მეოთხეც უნდა მოჰყოლოდა, რადგან ასე მოითხოვდა ბუნებისგან დადგენილი წესი და რიგი. სწორედ ამ მეოთხე ტალღის ამოცნობას ცდილობდა ახლა აიეტი, მეოთხე უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო, უფრო თამამიცა და ხმაურიანიც. (ჭილაძე 1979, 162)

აიეტი არა მხოლოდ წინასწარ ვერ ხვდება სიყვარულის ძალას, არამედ მედეას ღალატის შემდეგაც უჭირს ამ ფაქტის დაჯერება.

თუმცა გულის სიღრმეში რომ იხედებოდა, აღარავინ აინტერესებდა მედეას გარდა. მედეას გვერდით ყველანი პატარები და უფერულები ჩანდნენ. ასე თუ ისე, ყველას რაღაც გამართლება ჰქონდა, მედეას კი არა, მედეას უმიზეზოდ ეღალატა მამისთვის და ყველაზე მეტად ეს აკვირვებდა აიეტს. იმდენად მოულოდნელი იყო მისთვის მედეას ღალატი, არც კი ცდილობდა რაიმე ახსნა-განმარტება მოეძებნა ამ ღალატისთვის. (ჭილაძე 1979, 167)

სამაგიეროდ, იასონი უმალ ცნობს სიყვარულის ძალას. შეიძლება ითქვას, რომ ისიც ისე იყენებს მედეას სიყვარულს, როგორც მინოსი — ტყუილს სიმართლის სახელით. იასონმა იცის, რომ მინოსიც გასწირავს და აიეტიც, ამიტომ სხვა მხსნელი სჭირდება.

ხომ შეიძლებოდა მედეას მოსწონებოდა და შეჰყვარებოდა კიდეც იგი. [...] რასაკვირველია, ახლა ამ გაუკვალავ ბურუსში სისულელეც იყო მედეას სიყვარულის იმედით საოცნებო კოშკების აგება, მაგრამ იასონმა ვერაფრით ვეღარ მოიშორა მედეაზე ფიქრი, გული ეუბნებოდა, რაღაცის გამოდნობა შეიძლებოდა ამ ფიქრიდან. [...] მედეას კი რა სჯიდა, რატომ უნდა გამოედო თავი ამ უცხოელისათვის, სულ ერთხელ რომ ჰყავდა ნანახი და ისიც საკითხავია, მართლა ნახა თუ არა. როგორც იასონს ახსოვს, მედეას თავიც არ აუწევია, არც კი გამოუხედავს მისკენ, იჯდა და

საკუთარ ხელებს დასცქეროდა. ქალი კი მხოლოდ მაშინაა სანდო, როცა უყვარხარ. ასე რომ, იასონს ჯერ თავი უნდა შეეყვარებინა მედეასთვის და მერე ეთხოვა შემწეობა. (ჭილაძე 1979, 116)

სხვა მწერლებიც სარწმუნოდ თვლიან იმას, რომ მედეას საქციელს მოტივად სიყვარული უდევს: „მაშინ ხომ არც ჩემი ქალბატონი — იასონის ტრფობით მონუსხული მედეა მიაშურებდა იოლკოსის ციხესიმაგრეს“ (ევრიპიდე 2013, 9); „ვგრძნობ, რასაც ვცოდავ, უმეცრება კი არ მაცდუნებს, არამედ ტრფობა, თავს დაიხსნი ჩემი წყალობით, ოღონდ პირობა აღასრულე“ (ოვიდიუსი 2013, 157); „არ ძალუძს მოთოკვა რისხვის არც სიყვარულსა. ახლა ერთმანეთს გადაეწნა ტრფობის და რისხვის საგანი“ (სენეკა 1989, 37); „თუ როგორ წამოიღო იასონმა მედეას სიყვარულის წყალობით საწმისი [კოლხეთიდან] იოლკოსში“ (როდოსელი 2013, 122).

ლუმანის თეორიის თანახმად, სიყვარულის ძალის ასამოქმედებლად აუცილებელი არაა, წყვილს ერთმანეთი უყვარდეს, არამედ საჭიროა მხოლოდ შეყვარებულებივით ქცევა და სიყვარულის საკომუნიკაციო კოდის გამოყენება: სიყვარული „ქცევის მოდელია, რომლის გათამაშება შეიძლება“ (Luhmann 1998, 20). შესაბამისად, იასონს უყვარს თუ არა მედეა, ამას ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ქალთან ის შეყვარებულებივით იქცევა, მათი ურთიერთობა კი სოციალურ სისტემაში დიდ ცვლილებებს იწვევს. მედეას სიყვარული დესტრუქციულ ძალად იქცევა და აიეტის სამეფოს ამხობს. ჭილაძე მედეას ბერძნულ ყოფაზე არაფერს მოგვითხრობს და ქართველი რომანისტის ნაწარმოების მიხედვით ვერ ვიმსჯელებთ, პირადად ქალისთვის სიყვარული გახდა თუ არა დამანგრეველი ძალა. თუმცა მწერალს მედეას უბედურება ნაწილობრივ მაინც გათქმული აქვს: „მისი მარადიული ცრემლი პირველ ლაქას აჩენდა ახლა სიქალწულის სასთუმალზე“ (ჭილაძე 1979, 126). სიზმრის ნახვის შემდეგ მედეაც ხვდება, რომ იასონი ოქროს საწმისის ხელში ჩასაგდებად იყენებს: „ჩემია ვერძის ტყავიო? – ჰკითხა უცხოელმა აიეტს. „აკი ქალის სათხოვნელად მოვედიო?“ – შეუბრუნა კითხვა აიეტმა“ (ჭილაძე 1979, 124).

მედეამდე ლალატის რგოლში მისი უფროსი და, ქარისა ერთვება. მხატვრულ ტექსტში ლუმანის თეორიის სისწორის საილუსტრაციოდ ქარისას და მისი ქმრის, ფრიქსეს მაგალითიც გამოდგება. რომანში ხშირად ექვევემ დგება ქარისას გრძნობების სიწრფელე ქმრისადმი:

ის [ქარისა] იმ ყაიდის ქალებს ეკუთვნოდა, წინასწარვე რომ გადასწყვეტენ, ვის შეაყვარონ თავი, ერთ დღეს რომ დაიჯერებენ შეყვარებულნი ვართო და უყოყმანოდ, უდრტვინველად იბლანდებიან წარმოდგენილი სიყვარულის ბადეში. ეს რწმენა, ხანდახან მთელი სიცოცხლის მანძილზე, ნამდვილი სიყვარულის მაგივრობას უწევთ. (ჭილაძე 1979, 35)

ქარისა შეყვარებული ადამიანის შესაფერისად იქცევა – შესაბამისად ვადგენთ, რომ ეს ქალი იცნობს სიყვარულის კოდს და წესების თანახმად მოქმედებს. რაც შეეხება მედეას, ჭილაძე ხაზს უსვამს, რომ ის განცალკევებით იზრდებოდა მამიდასთან, ასეთ წესებს არ იცნობდა და სიყვარულის არაფერი გაეგებოდა, თუმცა იქვე დასძენს, რომ ყმაწვილქალს ერთი სასიყვარულო ლექსი მოესმინა სხვებისგან. „არაფერი იცოდა, გარდა იმ სულელური ლექსისა, მისი მხველები რომ მღეროდნენ დარიაჩანგის ბალში“ (ჭილაძე 1979, 44). აქაც ჩანს, რომ სიყვარული კოდიფიცირებულია და ქალები მას ერთმანეთს ზეპირსიტყვიერად გადასცემენ, ლექსების თუ სიმღერების მეშვეობით. მართალია, ფრიქსე სამეფო კარზე აიეტმა მიიღო და შეიფარა, მაგრამ უცხო-მიწელმა ადგილი კოლხეთის სოციალურ სისტემაში სწორედ ქარისას ქმრობით გაიმყარა. ფრიქსე აიეტს თავს მეფის შვილად წარუდგენს, მაგრამ სინამდვილეში ღარიბთა ფენას განეკუთვნება – რომ არა ბერძენთა მეფის მიერ მოფიქრებული ტყუილი, აიეტი უცხოტომელს (მდაბიო წარმომავლობის მქონეს) თავის ქალიშვილს ცოლად არ გაატანდა. ფრიქსეს სოციალური სტატუსი კოლხეთში ჩამოსვლით იცვლება და ქარისასთან ქორწინებით მყარდება, თუმცა ეს შედეგი მეტწილად ტყუილის თქმამ გამოიღო და ვერ ჩაითვლება, რომ აიეტმა თუ ქარისამ თავისი ნებით დაუშვეს ცვლილება სოციალურ წყობაში. ფრიქსესაც და იასონსაც ცოლების სიყვარული სჭირდებათ: იასონს – საკუთარი ტყავის გადასარჩენად, ფრიქსეს – შიშის გამო, ტყუილის დასაფარად. აქედან გამომდინარე, მათთვის ამ ქალებთან ურთიერთობისას ხელსაყრელია სიყვარულის საკომუნიკაციო კოდის გამოყენება.

ფრიქსეს მსგავსად, საზოგადოების მაღალ ფენაში თავის დამკვიდრებას მიეღტვის აპდაიკის რომანის პერსონაჟი, მეძავის შვილი, ქურდბაცაცა ტრისტაო. ფრიქსეს თავდაპირველი მიზანი საკუთარი თავისა და ოჯახის წევრების შიმშილისგან ხსნაა, მისგან განსხვავებით ტრისტაოს კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ სურს მდიდართა ფენას მიეკუთვნებოდეს. ისიც და მისი ოჯახიც დამშეულია, თუმცა შიმშილის გრძნობის დათრგუნვის გარდა, ვაჟს სოციალური სტატუსის ამაღლებაც სურს. ტრისტაოს იზაბელი პირველი დანახვისთანავე ამ მიზნის მიღწევის საშუალებად ესახება. გარდა ამისა, ფრიქსე და ტრისტაო ერთმანეთისგან განსხვავდებიან მიზნის მიღწევის საშუალებითაც – ტრისტაო მიზნის მისაღწევად თავიდანვე იყენებს იზაბელის სიყვარულს, ხოლო ფრიქსე ჯერ ტყუილს მიმართავს და მხოლოდ შემდეგ – სიყვარულის კოდს.

ბოლო დროს ტრისტაო უკვე ხშირად ფიქრობდა, ჩემი ხნის კაცს ქურდბაცაცობა აღარ შეეფერებაო და ძალიან უნდოდა როგორმე

შეედგა ფეხი რეკლამის, ტელევიზიის, თვითმფრინავების სამყაროსკენ ამავალ კიბეზე. და აი, სწორედ ახლა, ამ ფერმკრთალი გოგოს დანახვაზე, მფარველმა სულებმა თითქოს ჩასჩურჩულეს, ბოლოს და ბოლოს ნანატრი გზაც გამოგიჩნდაო. (აპდაიკი 2015, 13-14)

იმ მდიდრულ სამყაროში, რომელსაც იზაბელი ეკუთვნის, ტრისტაო მიუღებელია. მას ეჭვის თვალით უმზერენ სახლის იაპონელი მეთვალყურეცა და იზაბელის მოახლეც. მიზეზი არა მხოლოდ ტრისტაოს კანის ფერშია, არამედ მის სილარიბეშიც. მართალია, აპდაიკი წერს, რომ „ბრაზილიელი მხოლოდ საზარელ ზანგურ სიდუხჭირეს ემიჯნება“ (აპდაიკი 2015, 342-343), მაგრამ რასიზმი 1960-ანი წლების ბრაზილიაში აქტუალური პრობლემაა, რასაც ქვემოთ განვიხილავთ. „მათი ისტორია მიმდინარეობს ჩაგვრისა და ბრაზილიის ეკონომიკური გარდაქმნის პარალელურად, სამხედრო დიქტატურის (1964-85) და მის შემდგომ პერიოდში, და გვთავაზობს ტრანსფორმაციაში მყოფი საზოგადოების პანორამულ ხედს“ (Ginway 2013). ამ ეპოქაში ბრაზილიურ საზოგადოებაში უფრო მრავალმხრივი ცვლილებები ხდება, ვიდრე ჭილაძის მიერ აღწერილ ვანურ სოციალურში. ჭილაძის რომანში აღწერილია ერთი სამეფო დინასტიის დამხობა, ნაწილობრივ და არასრულად არის წარმოჩენილი ქალთა როლი სოციალურ ცხოვრებაში, მაშინ როდესაც აპდაიკს თავის რომანში ასახული აქვს ბრაზილიურ საზოგადოებაში მომხდარი სხვადასხვა სახის ცვლილებები: სოციალური, რასობრივი და გენდერული როლების გადანაცვლებები.

ტრისტაოს და იზაბელის რომანს და ქორწინებას ეწინააღმდეგებთან ქალის მამაცა და ბიძაც. მათ სხვაგვარად ესახებათ ახალგაზრდა ქალის მომავალი.

ჰო, მაგრამ მე მდიდარი არა ვარ, – რალაც ახლებური გაღიზიანება თუ უკმაყოფილება გამოერია ხმაში იზაბელს. – ბიძაჩემია მდიდარი, მამაჩემიც. ის ქალაქ ბრაზილიაში ცხოვრობს, მაგრამ მე საკუთარი არაფერი გამაჩნია – ნებიერ მონასავით მინახავენ, სამონასტრო სკოლის დამთავრების მერე ვინმე ისეთ ბიჭს რომ გამაყოლონ, რომელიც ბოლოს მათნაირივე კაცი დადგება, გაწკეპილი, თავაზიანი და გულგრილი. (აპდაიკი 2015, 27)

იზაბელის ადგილს მაღალ საზოგადოებრივ ფენაში განაპირობებს არა პირადად მისი, არამედ მამისა და ბიძის სიმდიდრე. მომავალში ქალის სოციალური სტატუსი უნდა გაამყაროს ქმრის მატერიალურმა კეთილდღეობამ და საზოგადოებრივმა მდგომარეობამ. თუმცა, იზაბელი თავის ნებას იჩენს და სწორედ მისი არჩევანი განაპირობებს მცირე ცვლილებებს სოციალურ სისტემაში. აქ აუცილებლად უნდა

აღვნიშნოთ, რომ მედეას სიყვარული (და, შესაბამისად, მისი არჩევანი) ამხობს აიეტის სამეფოს, იზაბელის სიყვარული კი, მხოლოდ მისი და ტრისტაოს სოციალური სტატუსის ცვლილების მიზეზი ხდება.

იზაბელს შეეძლო, გაჰყოლოდა ბიძისა და მამის მიერ დასახულ გეგმას, მისთხოვებოდა ვინმე მათნაირს და, შესაბამისად, არ მოეხდინა სოციალურ სისტემაში ცვლილება; ან არჩევანი ტრისტაოზე გაეკეთებინა. იზაბელის გადაწყვეტილებას ორგვარი შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა, რადგან ამ ქორწინებით რომელიმე შეყვარებულის სოციალური სტატუსი შეიცვლებოდა. ტრისტაოს საზოგადოებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება სურს; ქალის ოჯახი თავიდანვე თანახმა რომ ყოფილიყო მათი შეუღლების, ასე მოხდებოდა კიდევ. მაგრამ ოჯახის წინააღმდეგობას მოსდევს იზაბელის სახლიდან წასვლა და მისი ცხოვრებისეული პირობების გაუარესება. სიყვარული რომ არა, იზაბელს არ ექნებოდა მიზეზი დასთანხმებოდა უარეს პირობებში ყოფას (გარდა სიყვარულისა, სოციალური მდგომარეობის დათმობის მოტივი შეიძლებოდა გამხდარიყო რელიგია, მსოფლმხედველობა, და ა.შ.).

სოციალურ სისტემაში ცვლილებების გამოწვევის ძალა აქვს მედეასაც. ის მეფის ასულია, შესაბამისად, ვანში უმაღლეს სოციალურ ფენას განეკუთვნება, მაგრამ იზაბელივით, მასაც საკუთრივ არ გააჩნია სიმდიდრე. მედეას არჩევანი უფრო დიდ სოციალურ რყევას იწვევს. ის არათუ საკუთარ სოციალურ სტატუსს ცვლის, როცა იასონს მიჰყვება უცხო სამეფოში, არამედ აიეტის ტახტიდან ჩამოგდებასაც უწყობს ხელს.

სალამაოს და დონაშიანუს დამოკიდებულება ტრისტაოს და იზაბელის კავშირისადმი, განპირობებულია სოციალური სტრუქტურის დესტრუქციის შიშით. ძია დონაშიანუ სოციალური კლასიციზმის მომხრეა. თავად აცხადებს, რომ დამანგრეველ ძალად დაბალი სოციალური ფენა ესახება: „ბევრის ხელებით ყველაფერი დაინგრეოდა“ (აპოლონი 2015, 40).

იზაბელის ბიძა გარკვეულწილად მართალია, რადგან სოციალური კლასების წევრებს შორის დამყარებული შერეული კავშირები მისი სამყაროს გადატრიალებას გამოიწვევს. განსხვავებით აიეტისგან, იზაბელის ოჯახის წევრებისთვის სიყვარული წარმოუდგენელი და გაუთვალისწინებელი გრძნობა არ არის, მათ არც აკვირვებთ, რომ გოგონა სოციალურად შეუფერებელი ახალგაზრდა კაციტაა გატაცებული. მსგავსი თავგადასავალი ორივე კაცს გადახდენია თავს: სალამაო ახალგაზრდობაში ერთ შავკანიან მეძავს შეიყვარებს (როგორც მოგვიანებით ირკვევა, ტრისტაოს დედას), რომელიც მისგან ვაჟს

შობს. მაგრამ სალამაო უარს იტყვის მეძავთან კავშირზე და ცოლად იზაბელის დედას შეირთავს, წარჩინებული ოჯახის ქალიშვილს. ძია დონაშიანუც იმ ქალს შეირთავს ცოლად, ვისთან კავშირიც მისთვის ხელსაყრელია: „ბიცოლა ლუნა სალვადორის ყველაზე მაღალი წრის იშვიათ ოჯახთა ნაშიერი გახლდათ“ (აპდაიკი 2015, 39). დონაშიანუ, რომლის სოციალური მდგომარეობა მყარდება ლუნაზე ქორწინებით, ჯერ იზაბელის დედაზეა შეყვარებული (რომელიც უკვე მისი ძმის ცოლია), შემდეგ — თავის მოახლე მარიაზე. სიბერეში დონაშიანუ იქორწინებს კიდევ მარიაზე, მაგრამ ქალი მალე მიატოვებს. დონაშიანუს რასისტული შეხედულებები არ აქვს: „ფერზე არ გელაპარაკები. [...] მაგრამ კაცი საკუთარ თავს ჰაერისგან ვერ შექმნის, საამისოდ თუნდაც რაღაც მასალა მაინც სჭირდება“ (აპდაიკი 2015, 40). მისთვის ბევრი რამ მისაღები ჩანს: ახალგაზრდების დემონსტრაციებში ჩართვის, მემარცხენე ზღაპრებით გატაცების, „დონკიხოტური გამონტომების“ წინააღმდეგი არაა, მთავრობის შეცვლაზეც კი თანახმაა, ოღონდ სოციალური წყობა არ შეიცვალოს. დონაშიანუ ფემინისტიც კი არის:

შეგიძლია, შენც აირჩიო შენი საქმე – იურისტი გახდე, ექიმი ანდა სახელისუფლო სტრუქტურებში იშოვო სამსახური. დღეს ბრაზილიაში ქალებისთვის უკვე არსებობს ამის შესაძლებლობები, მართალია საზოგადოება კი ბუზღუნებს, მაგრამ მაინც. ქალები ჯერ კიდევ უნდა ეომონ ჩვენი წინაპრების შეხედულებებს იმის თაობაზე, ქალი მხოლოდ სამკაული და გამრავლების საშუალებააო. (აპდაიკი 2015, 43)

იზაბელის ძია სქესთა შორის თანასწორობის მომხრეა, მაგრამ ვერ ითვალისწინებს ერთ გარემოებას – ქალების გაძლიერებას შეიძლება იმ სოციალური სისტემის ნგრევა მოჰყვეს, რომელსაც თავად ასე უფრთხილდება: სოციალურად ძლიერი ქალი აღარ იქნება დამოკიდებული ქმარსა თუ ოჯახზე და თავად გადაწყვეტს, ვის მისთხოვდეს. ოჯახის წინააღმდეგობას იზაბელი შეიძლებოდა შეეშინებინა და ვერ გაებედა თავისი უზრუნველი ცხოვრების დათმობა. მაგრამ თუ ეს ახალგაზრდა ქალი მატერიალურად დამოუკიდებელი იქნებოდა, წყვილს ნაკლები დაბრკოლება შეექმნებოდა და ქორწინების შემდეგ ტრისტაოს მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდებოდა. რაც, რა თქმა უნდა, სოციალურ სისტემაში ცვლილებას მაინც გამოიწვევდა.

ლუმანის თეორიის კუთხით აპდაიკის რომანი მნიშვნელოვანია, რადგან აქ მოქმედება ხდება მეოცე საუკუნის სამოციან წლებში, როცა საზოგადოებაში ანტირასისტული და ფემინისტური შეხედულებები იკიდებს ფეხს (ფერშეცვლილი იზაბელი ცივილიზებულ სამყაროში სოციალურად მისაღებია, რადგან მდიდარია. ქალის გარემოცვისთვის

ტრისტაო განა მხოლოდ ფერის გამო იყო მიუღებელი, არამედ სიღარიბის. ამაზონის ჯუნგლებში კი, იქ სადაც ახალ ღირებულებებს არ შეუღწევია, ტრისტაო სწორედ კანის ფერის გამოა დაჩაგრული და დამონებული), სიყვარულით ქორწინება კი მაინც მიუღებელია (ლუმანის თეორიის მიხედვით სიყვარულით ქორწინება მე-17 საუკუნეში ჩნდება). ის დაუშვებლად მიაჩნიათ არა მხოლოდ მდიდრებს, არამედ ღარიბებსაც. ტრისტაოს ოჯახის წევრები აფრთხილებენ, რომ ეს ქალი მას უბედურებას მოუტანს. მოგვიანებით ტრისტაო აცნობიერებს იზაბელის მიერ საზოგადოებრივი მდგომარეობის დაკარგვის სიმძიმეს.

ძია დონაშიანუსავით ბევრ სხვა პერსონაჟს ლიბერალად მოაქვს თავი. იზაბელმა კარგად უწყის, რა განსხვავებაა მასა და იმათ შორის, ვინც თვალთმაქცობს, დემოკრატი ვარო – მეგობარ გოგოს ასე ახასიათებს: „ერთი ჩვეულებრივი ბურჟუა გოგოა; ენა, იცოცხლე, წაგდებული აქვს, მაგრამ ცხოვრებისთვის სითამამე არ ჰყოფნის“ (აპდაიკი 2015, 57). ის, რასაც იზაბელი სითამამეს არქმევს, საზოგადოების რასებად და სოციალურ ფენებად დაყოფის მიუღებლობაა. ეს სითამამე აკლიათ იზაბელის უნივერსიტეტის მეგობრებსაც, რომლებიც მართალია რასიზმის აღმოფხვრაზე ლაპარაკობენ, მაგრამ აძრწუნებთ შავკანიანი ტრისტაოს დანახვა. იზაბელი ფუფუნებაში ცხოვრებაზე ამბობს უარს და შამანის დახმარებით კანის ფერსაც იცვლის — თეთრკანიანი იზაბელი შავკანიანი ხდება, ტრისტაო კი – თეთრკანიანი. ამგვარი მეტამორფოზი კიდევ უფრო რთულს ხდის იზაბელის ყოველდღიურ ყოფას, რადგან ელიტარული ფენის თეთრკანიანი ქალი დაბალი სოციალური ფენის შავკანიან ქალად გადაიქცევა. გარდასახვა ტრისტაოს მდგომარეობასაც ცვლის: თეთრკანიანი კაცი არა მხოლოდ ინდიელებისთვის აღარაა მონა, არამედ იზაბელის მამისთვისაც მისაღები ხდება. რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ბრაზილიის კონსტიტუციისა და პერსონაჟების მიერ სიტყვით გაცხადებული ანტირასისტული შეხედულებების მიუხედავად, კანის ფერი მაინც დამბრკოლებელს ხდის სოციალურ კიბეზე ასვლას.

ფლორიდის უნივერსიტეტის პროფესორი ელიზაბეთ გინვეი იკვლევს ბრაზილიურ კულტურას თანამედროვე ანგლო-საქსურ ლიტერატურაში. მისი ნაშრომი, თავის მხრივ, ეყრდნობა ჯონ რაიდერის კვლევას „კოლონიალიზმი და სამეცნიერო ფანტასტიკის გამოჩენა“. რაიდერის თანახმად, კოლონიალიზმის ეპოქის სამეცნიერო ფანტასტიკისთვის დამახასიათებელია რამდენიმე სახის ნარატივი.

სახიფათო მოგზაურობის შემდეგ, რომელსაც მოჰყვება განცალკევებული ადგილის აღმოჩენა, მკვლევრები ხშირად პოულობენ ეგზოტიკურად ლამაზ ქალს, როგორც წესი, მეფის ასულს, რო-

მელიც დატყვევებული ჰყავს რელიგიურ ლიდერს ან შამანს, რომელიც თავის მხრივ იცავს კულტურის საგანძურს. [...] ბოლოს „მშვიდობა“ მოაქვს მკვლევრების მიერ ადგილობრივებზე გამარჯვებას, რასაც შედეგად მოსდევს მეფის ასულის „გამოხსნა“ მისი ახალი დასავლელი საყვარლის მიერ. (Ginway 2013)

მიუხედავად იმისა, რომ აპდაიკი არ ქმნის სამეცნიერო ფანტასტიკას, გინვეი „ბრაზილიას“ ამ პარადიგმის ფარგლებში განიხილავს. აპდაიკი არღვევს რაიდერის პარადიგმის ნორმებს და ცვლის როლებს:

ის [იზაბელი] ახერხებს კავშირი დაამყაროს მეზობელ ტომთან, იმისთვის რომ მიიღოს მონაწილეობა რიტუალში, რომელიც მას საშუალებას მისცემს იქცეს შავკანიანად, მაშინ როცა მისი ქმარი თეთრკანიანი გახდება, და შესაბამისად კაცის თავისუფლება უზრუნველყოფილი იქნება. გამოხსნა გულისხმობს შამანის მიერ ჯადოთი დატყვევებული მეფის ასულის პარადიგმულ გათავისუფლებას, თუმცა აქ როლები შეცვლილია რასისა და გენდერის თვალსაზრისით, გამომდინარე იქიდან, რომ იზაბელი სწირავს თავის კულტურულ სტატუსს ტრისტაოს გადასარჩენად. (Ginway 2013)

კანის ფერის გაცვლა კიდევ ერთ რამეს ხდის თვალსაჩინოს: ქალის როლი ბრაზილიურ საზოგადოებაში სუსტია. იზაბელს, როგორც თეთრკანიან ქალს, არ შეეძლო ტრისტაოს სოციალური სტატუსის შეცვლა ოჯახის თანადგომის გარეშე, როცა ვაჟი შავკანიანი იყო, აი, თეთრკანიან მამაკაცს კი შავკანიანი შეყვარებულის საზოგადოებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება გამოსდის. „ის გახდება ერთადერთი თეთრკანიანი მამრი, რომელიც თავის სიმაღლემდე აიყვანს შავკანიან სატრფოს“ (აპდაიკი 2015, 298). იზაბელს, იმისთვის რომ „თავის სიმაღლემდე აიყვანა“ ტრისტაო, დასჭირდა დაეთმო ოჯახი, უწინდელი უზრუნველი ცხოვრება და კანის ფერი, როცა ტრისტაოსთვის თეთრი კანის ფერი კმარა იზაბელის საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამკვიდრების ხელშესაწყობად. იზაბელის და ტრისტაოს სოციალური მდგომარეობა მუდმივად ცვალებადია. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ წიგნის ბოლო გვერდებზე აღწერილი იაპონელი მცველის დამოკიდებულების ცვლილება ტრისტაოს მიმართ, არამედ სალომოსიცი – ახლა, როცა ტრისტაო თეთრკანიანია, ის სიმამრისთვის მისაღები ხდება.

სტატიაში განხილული ტექსტების მაგალითზე ჩანს, რომ ინდივიდებს შორის გრძნობების არსებობა-არარსებობის მიუხედავად, სიყვარულის კოდის გამოყენება ხდება სოციალური სისტემების რეფორმირების მიზნით. ერთ შემთხვევაში სიყვარულის დესტრუქციული ძალა

უფრო თვალსაჩინოა და მასშტაბურ შედეგს იწვევს, რადგან საკომუნიკაციო კოდს იყენებენ კოლხეთის მეფის ასული და უცხოტომელი. მედეას არჩევანი, შეიყვაროს იასონი, განაპირობებს მამის სამეფო ძალაუფლების შერყევას და ტახტის დაკარგვას. მეორე შემთხვევაში სიყვარულის მიერ გამოწვეული სოციალური ნგრევა ერთი შეხედვით უმნიშვნელოა – ქალიშვილი, რომელიც მაღალი სოციალური ფენიდანაა, ოჯახს ღატაკ ბიჭთან ერთად ქმნის. ისინი ჯერ ღარიბებიან და მონებად იქცევიან, კანის ფერის გამოცვლის შემდეგ კი მდიდრებიან და იზაბელის საწყის სოციალურ მდგომარეობას უბრუნდებიან. მიუხედავად იმისა, რომ აპდაიკის ტექსტში წარმოჩენილია მხოლოდ ორი ადამიანის საზოგადოებრივი მდგომარეობის ცვლილება, ამ ნაწარმოების მაგალითზე ნათლად ჩანს სიყვარულის ძალა – სიყვარულის კოდის გააქტიურება გენდერული, რასობრივი და სოციალური თანასწორობის საფუძვლად იქცევა და თანდათანობით იწვევს არსებული სოციალური სისტემის დესტრუქციას.

დამოწმებანი

- აპდაიკი, ჯონ. 2015. *ბრაზილია*. თბილისი: დიოგენე.
- ევრიპიდე. 2013. *ტრაგედიები*. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
- ვოლფი, კრისტა. 2004. *მედეა: ხმები*. თბილისი: იბისი.
- ოვიდიუსი. 2013. *მეტამორფოზები*. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
- როდოსელი, აპოლონიოს. 2013. *არგონავტიკა. წიგნში ბაყაყებისა და თავგების ომი /არგონავტიკა*. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
- სენეკა. 2018. *მედეა*. თბილისი: ლოგოსი.
- ჭილაძე, ოთარ. 1979. *გზაზე ერთი კაცი მიდიოდა*. თბილისი: ნაკადული.
- Ginway, M. Elizabeth. 2013. A Paradigm of the Tropical: Brazil in Contemporary Anglo-American Science Fiction and Fantasy. *Science Fiction Studies*, 40: 316-334.
- González-Díaz, Emilio. 2004. Paradox, Time and De-Paradoxication in Luhmann: No Easy Way Out. *World Futures*, 60:15-27.
- Luhmann, Niklas. 1998. *Love as Passion. The Codification of Intimacy*. Stanford: Stanford University Press.
- Stendhal. 1975. *Love*. London: Penguin Books.
- Fromm, Erich. 1956. *The Art of Loving*. New York: Harper & Row.

Tamar Subeliani
Ilia State University, Georgia
tamar.subeliani.2@iliauni.edu.ge
DOI: 10.32859/kadmos/16/137-165

Love as a Destructive Force

Keywords: *Communication code, John Updike, Otar Chiladze*

Poets have been glorifying the all-powerful, life-giving, vigorous qualities of love since the birth of literature. Our research explores the destructive force of love as depicted in various world literature classics. We approach this topic from a unique perspective, aiming to uncover the lesser-examined aspects of the nature of love through an examination of literary texts. To illustrate this, we analyze the contemporary representations of the myth of the Argonauts and the story of Tristan and Isolde, specifically through two novels by American and Georgian writers: John Updike's *Brazil* and Otar Chiladze's *A Man Was Going Down the Road*. For this analysis, we will use the theory of German sociologist Niklas Luhmann (1927-1998), who believed that social systems are formed not by individuals, but by human relationships. This theory is formulated in his work, *Love as Passion: The Codification of Intimacy*, published in 1982. According to Luhmann, the communication code, rather than sincerity (as one might assume), plays a significant role in establishing connections and, consequently, in shaping social systems. Since communication implies choosing between possible forms, obstacles appear while motivating receptivity (namely, the motivation to transmit or receive a selected choice may not exist). The function of the communication medium is to overcome these obstacles and successfully establish contact. Luhmann addresses this challenge by stating: "The generalized symbolic media which have to solve such problems of combining selection and motivation employ a semantic matrix intimately connected with reality: truth, love, money, power, etc." (Luhmann 1998, 19). Luhmann thus discusses love, from among the mentioned media, as a generalized symbolic medium of communication, and describes the function of love in

establishing relationships and forming a social system. He further elaborates, “Love as a medium is not itself a feeling, but rather a code of communication, according to the rules of which one can express, form, and simulate feelings, deny them, or impute them to others” (Luhmann 1998, 20). In this context, love transcends mere emotion; it serves as a framework through which individuals navigate their relationships. By framing love as a communication code, Luhmann emphasizes its role in shaping societies.

In the semantics of love, codification developed earlier than in other communication media, a fact associated with the appearance of the printed text. Luhmann believes that by the seventeenth century, the first owner of this code was a woman (because she had read novels) and later a man. “The sensitive male also became a victim of the novel. Everyone else had also read of the clichés and gestures which were all part of the art of seduction” (Luhmann 1998, 31). According to Luhmann, “The form determines what can be communicated within the code” (Luhmann 1998, 43). Over epochs, the form of the code changes, and, consequently, its meaning transforms “from idealization to paradoxicalization” (Luhmann 1998, 43). To justify love, first, the ideal characteristics of the object are considered; later, it is necessary to use the imagination; and, finally, the fact that a person is in love becomes enough. In the case of idealization, love is sublime and divine. In the state of paradoxicalization, sexuality becomes a central component of the code, and love is “no longer directed by social institutions such as the family or religion” (Luhmann 1998, 45). In the era of self-belonging, sexuality and love pair up for the first time, and this is reflected in the code. If love is idealized, the person in love obeys common sense, and, consequently, the mind also controls passion. Paradoxicalization makes it important to find the difference between passion and pleasure. In Romanticism, “love seems to come from nowhere, arises with the aid of copied patterns, copied emotions, copied existences” (Luhmann 1998, 46). One can even realize that its secondary nature is doomed to failure.

Moreover, Luhmann underscores that even in later periods, aristocracy and prosperity are seen as almost essential requirements for love. He argues, “Even at in a later period, nobility and especially wealth are considered almost indispensable prerequisites for love, and their absence can only be made up for, if at all, by virtue—and then only with the greatest of effort—and hardly by the individual uniqueness of personal traits” (Luhmann 1998, 54). At the same time, Luhmann points out that features emerge within the semantic formulation of love that transcend these conditions: “Features appear within semantic formulation that go beyond these conditions, namely paradoxes, consciously fabricated illusions, formulae, which can be evaluated in diametrically op-

posed ways – in short, strategic ambivalences which mediate the translation to a different kind of social composition” (Luhmann 1998, 54-55). This suggests that, despite rigid social structures influencing perceptions of love, intricacies allow for a complex interplay between societal expectations and individual experiences.

Emilio González-Díaz, a researcher at the University of Puerto Rico, states that “The idea of paradox and of its dissolution is a constant throughout most of Luhmann’s principal works” (González-Díaz 2004). The same scientist assumes that Luhmann treats paradox not as an anomaly, but that “For him, paradox is a problem which the system must solve in order to continue its autopoiesis” (González-Díaz 2004). According to Luhmann, if a culture admires rationality and logic, paradoxical motivation is perceived in terms of pathological considerations. This view is shared by all seventeenth-century thinkers but Pascal, including Stendhal, a 19th-century French writer: “There is no doubt that it is madness for a man to lay himself open to passionate love” (Stendhal 1975, 225). Paradoxical communication not only destroys personality, but even has the power to destroy the social system.

Luhmann observes that “by the eighteenth century, families from the upper social strata had already lost their significance as ‘supporters of the state.’ Socio-structural reasons for controls on marriage had thus ceased to exist, and what was there to prevent society from making the switch from arranged marriages to marriages of the heart?” (Luhmann 1998, 145). This statement describes a pivotal shift in societal values, as the necessity for arranged marriages diminished in the face of changing social structures. He further argues, “It was this structural change that people, without being consciously aware of the fact, had prepared themselves for developing the symbolic medium of love” (Luhmann 1998, 146).

Another German sociologist, Erich Fromm (1900-1980), ascribes the tradition of creating a loving family to a later period. He explains, “In the Victorian age, as in many traditional cultures, love was mostly not a spontaneous personal experience which then might lead to marriage. On the contrary, marriage was contracted by convention—either by the respective families, or by a marriage broker, or without the help of such intermediaries; it was concluded on the basis of social considerations, and love was supposed to develop once the marriage had been concluded” (Fromm 1956, 2). This illustrates that, during the Victorian era, marriage was largely viewed as a social contract rather than a romantic union, and love was expected to develop post-marriage.

Around the world, marriages of convenience are still apparent, and were especially so at the turn of the twentieth century. To exemplify this phenom-

enon, we discuss here *Brazil* by John Updike, a novel first published in 1994. In Western culture, from the beginning of the twentieth century, people have been “in search of ‘romantic love,’ of the personal experience of love which then should lead to marriage” (Fromm 1956, 2). Examples of the influence of love on social systems are described in classical literature; as an example, we examine here the myth of the Argonauts, which has been adapted into numerous ancient Greek and contemporary works, and which remains an inexhaustible treasure for scholars of various fields. Even Stendhal himself, who divided love into four categories (passionate love, gallant love, physical love, and vain love) and who tried to comprehend passion (“I want to try and establish exactly what this passion is, whose every genuine manifestation is characterised by beauty” (Stendhal 1975, 43)), regretfully notes in his work that he omitted to discuss Medea’s love. “In speaking of the more or less imperfect sketches of passionate love left to us by the ancients, I see that I have omitted to mention the Loves of Medea in the Golden Fleece” (Stendhal 1975, 242).

Here is how the American writer John Updike describes the main character of his novel *Brazil*: “Her only aptitude had been for love” (Updike 1994, 156). Updike’s characters Isabel and her husband Tristao, as well as the main characters of *A Man Was Going Down the Road* (a novel written by the Georgian author Otar Chiladze), are also in love. The existence of Chiladze’s Medea, like Isabel, has one justification—love: “And now for her whole life she has to lie spread out like a corpse on love’s bed, shouting through clenched lips, ‘because I loved him, I loved him, I loved him’” (Chiladze 2013).

However, following Luhmann’s theory, here we do not discuss love as a feeling but as a communication code and a force that can cause significant changes in the social system, in particular, the collapse of an existing social system.

In his fictional work, Chiladze turns love into a destructive force by making his characters neglect it. The two main characters of the novel, Minos and Aeëtes, positioned at the pinnacle of two distinct social systems, fail to recognize the danger of love. They overlook the fact that the communication code of love plays the same role in the formation of the social system as other communication media- power, money, truth, etc.

Minos, King of Crete, wants to overthrow the royal court of Aeëtes in Vani so as to strengthen and expand his power. To achieve this goal, he uses various forms of communication codes in dealing with the different characters. Unlike Minos, Aeëtes remains in a passive state, focused on preserving his royal court, while anticipating betrayal. Both kings are in search of a weak link, but their motivations differ. Aeëtes is driven by the need to identify potential traitors to

safeguard his position, while Minos seeks to find those who can offer him an advantage. Neither king foresees that love will become the destructive force of the royal court in Vani. Minos and Aeëtes both overlook Medea.

Minos has meticulously planned twenty-five years ahead, accounting for every obstacle that might prevent him from achieving his goal- everything, that is, except love. To escalate the feud between the Greeks and the Colchians, he decides to sacrifice Jason and bring down Aeëtes's kingdom.

While Jason is merely a pawn in Minos's scheme, he also represents a direct threat. In order to fulfill his mission, Jason must steal the Golden Fleece, giving the Greeks a pretext to attack the Colchian ships in pursuit, and ultimately topple Aeëtes. Furthermore, Jason is the son of the rightful king of Iolcos, and his eventual return to claim the throne would undermine Minos's plans. For this reason, according to Minos's design, Jason cannot be allowed to survive: his assassination would catalyze the Greeks to attack the Colchis.

Minos employs two communication codes with Jason: power and truth. Through power, he makes it clear that Jason cannot escape or disobey him: he has to go to Vani and steal the Golden Fleece. Through truth, Minos appeals to Jason's sense of justice, portraying the mission as one which would make Jason a hero. But Minos ignores the power of love and fails to anticipate the very circumstance that will ultimately save Jason from his planned demise and allow him to return safely to his homeland. This blind spot in Minos's strategy unwittingly undermines his plan, as love becomes the force that foils part of his scheme.

He had failed to take Medea into account. Medea! Minos knew that Jason would do anything to save his own skin. He was like a wolf: there was no cranny he wouldn't sneak into, no nook he wouldn't sniff at. But Minos didn't know, or had forgotten, or omitted to think that in one of those nooks Jason might possibly come across Medea, his doll and his saviour. A stupid girl had interfered and overturned a business that a wise man had planned, pondered, measured, assessed and calculated for twenty-five years. Medea existed in order to save, whatever it cost her, someone a wise man had sacrificed. (Chiladze 2013)

Both Minos and Aeëtes fail to recognize the true power of Medea and the transformative force of love. The King of Colchis is consumed by suspicion, seeing traitors everywhere, even within his own household. He fears that his throne will be threatened by someone driven by the desire for power. Aeëtes is wary of Oqajado, who has gone to Greece; of Phrixos, his son-in-law; and even of his grandchildren. Aeëtes envisions a scenario where his grandchildren might betray him, sacrificing him to seize his kingdom: "But it was also

possible they had been intimidated, or promised something to win those four milksops over against their grandfather and country. In short, Aeëtes trusted neither the foreigner nor his own grandchildren” (Chiladze 2013).

Once again, Chiladze’s artistic work exactly coincides with Luhmann’s theory. The king’s grandsons can be intimidated by someone who has even more power than Aeëtes. They might be promised material prosperity or the return of the royal court (more money, power, or the restoration of justice). Yet it is not money, power, or the truth but rather love that destroys the kingdom of Aeëtes. “He disregarded Medea, because an unmarried daughter can have nothing more dear to her than her parents” (Chiladze 2013). Since Aeëtes believes that his family will find a suitable candidate for Medea to marry rather than having her seek out love herself, he does not see the danger of his daughter falling in love with his rival or a representative of another social class. The king even suspects his son, Afrasion, although he quickly apologizes for these thoughts: “Forgive me, son: thrones are something you need to keep your ears and eyes open about” (Chiladze 2013).

It should be noted here that the names Absyrtus and Chalciopé appear in the English translation instead of Afrasion and Qarisa, the names used in the original text, which we can presume must be because these names are familiar to English-speaking readers.

Why does the king suspect one child and not another? Aeëtes considers that Afrasion may wish to take his father’s throne rather than remaining heir forever. Medea cannot make such a claim; she is a woman and a junior, and no one will support her reign. The reign of Qarisa (Chalciopé) is considered possible not in Chiladze’s but in Christa Wolf’s work: “The women who belonged to our circle conceived the bold idea of making our sister, Chalciopé, the new Queen. Tradition has it that in earlier times there were Queens in Colchis” (Wolf 1998, 73). According to Wolf, women have greater power in this society: “Actually, we found it excessive, the way the Colchians treated their women, as though something important depended on what they thought and what they said” (Wolf 1998, 41). And, she also mentions, “We didn’t take them (Colchian women) seriously. That was a mistake” (Wolf 1998, 75).

In Chiladze’s novel, neither Medea nor Qarisa is considered a threat, while Aeëtes perceives danger in the figures of his daughter’s husband and sons. Minos’s plan, too, does not escape Aeëtes’s attention: “Phrixos was the first wave, his sons were the second; the third wave came after the second in the shape of the smiling stranger, and the third, of course, had to be followed by a fourth, because nature’s ordained custom demanded it. Aeëtes was now trying to identify this fourth wave: the fourth would be stronger, bolder and noisier” (Chiladze 2013).

Not only does Aeëtes fail to understand the power of love in time, but even after Medea's betrayal, he still struggles to grasp its full impact.

When he looked in his heart of hearts, however, nobody except Medea interested him anymore. Compared with Medea, they all seemed small and banal. In any case, they all had some justification, except Medea, who had betrayed her father without cause, which stunned him most of all. Her betrayal was so unexpected that he didn't even try to seek any explanation for it (Chiladze 2013).

Unlike Aeëtes, Jason instantly recognizes the power of love. Jason knows that both Minos and Aeëtes would sacrifice him without hesitation, and knows he needs to find someone else who can offer him the chance of salvation.

He might possibly appeal to Medea and even make her fall in love with him. [...] Of course, in this impenetrable fog it was foolish to build castles in the air and dream of Medea's love, but Jason could in no way stop thinking about Medea: he knew in his heart that he could forge something out of this thought. [...] But why should Medea slave, why should she take risks for this foreigner whom she had seen just once, when it was questionable if she had really seen him at all? Jason couldn't recall Medea lifting her head or even looking towards him: she sat there looking at her hands. You can rely on a woman only when she loves you. So Jason had first to make Medea fall in love with him, and then ask for her help (Chiladze 2013).

Other writers also believe that Medea's actions are motivated by love: "Then my mistress Medea would not have sailed to the walls of Iolcus, her heart broken with love for Jason" (Euripides 2006, 37); "I see what I ought to do; and it will not be ignorance of the truth, but love that beguiles me" (Ovid 1893); "Medea knows not how to curb her love or hate. Now love and hate together rage" (Seneca 1898, 37); "How Jason brought back the fleece to Iolcus aided by the love of Medea" (Apollonius Rhodius 1912).

According to Luhmann's theory, for the power of love to work, it is not necessary for either party to actually be in love; rather, all that is necessary is for them to behave as a couple and use love as a form of communication. Love is "a model of behavior that could be acted out" (Luhmann 1998, 20). Thus, whether or not Jason truly loves Medea, he behaves like a lover toward her, and their relationship ultimately becomes a catalyst for changes in the social order. Medea's love, in turn, transforms into a destructive force, bringing about the downfall of the kingdom of Aeëtes. Chiladze tells us nothing about Medea's stay in Greece, so we cannot judge whether the love has become harmful to the woman personally. However, the writer partially explains Medea's misfortune: "Her constant tears had left the first stain on a virgin's bed" (Chiladze 2013).

After having this dream, Medea realizes that Jason is exploiting her to seize the Golden Fleece: “‘The ram’s fleece is mine, isn’t it?’ the stranger asked Aeëtes. ‘But you came to marry my daughter,’ Aeëtes retorted” (Chiladze 2013).

Before Medea, her older sister, Qarisa, is involved in the betrayal. We use the example of Qarisa and her husband to illustrate the correctness of Luhmann’s theory in the fictional text. In the novel, the sincerity of Qarisa’s feelings toward her husband is often questioned: “She belonged to that class of women who decide in advance who they will fall in love with: one day they are convinced, ‘We are in love,’ and without hesitation or doubt, they get entangled in a net of imaginary love. This belief can sometimes last a lifetime as their substitute for real love” (Chiladze 2013).

Qarisa behaves as a person in love would—therefore, we conclude that Qarisa knows the code of love and acts according to its rules. As for Medea, Chiladze emphasizes that the woman grew up with her aunt and was not familiar with the code, although we know that she heard a love poem from her female guards. “Medea understood nothing, knew nothing, except for the silly verses which her handmaidens sang in Dariachangi’s garden” (Chiladze 2013). Once again, we see that love has been “codified,” and women pass it on to each other orally through poems or songs.

It is true that Phrixos was received and sheltered by Aeëtes, but the foreigner cemented his place in the social system of Colchis by marrying Qarisa. Phrixos presents himself to Aeëtes as the son of a king, though, in reality, he hails from a humble background. If not for the lie orchestrated by the Greek king, Aeëtes would never have allowed Phrixos – an impoverished young man – to marry his daughter. Phrixos’s social status changes upon his arrival in Colchis and is solidified by his marriage to Qarisa. The shift is only the result of deception, and we cannot assume that Aeëtes or Qarisa voluntarily accepted a change in the social order.

Both Phrixos and Jason need the love of their wives: Jason to save his skin, and Phrixos out of fear, to cover his lies. Therefore, it is advantageous for them to use the communication code of love when interacting with these female characters.

Like Phrixos, Updike’s character Tristao, the thief and son of a prostitute, strives to present himself as part of the upper class. However, unlike Phrixos, whose primary motivation is to save himself and his family from starvation, Tristao is fully aware that his goal is to enter the world of the wealthy. Both he and his family are impoverished, but while Phrixos seeks to alleviate the immediate suffering of hunger, Tristao is driven by a deeper desire to elevate his social standing. Tristao sees Isabel as a means to achieve this goal. His ap-

proach contrasts sharply with that of Phrixos: while Phrixos initially resorts to lies before turning to the code of love, from the very beginning, Tristao seeks to exploit Isabel's love to further his aims. "For some time, Tristao had been feeling he had outgrown crime and must seek a way into the upper world from which advertisements and television and airplanes come. This distant pale girl, the spirits now assured him, was the appointed way" (Updike 1994, 5).

But Tristao is not welcome in the luxurious world to which Isabel belongs. Both the Japanese guard of the house and Isabel's maid eye him with suspicion, a reaction fueled not only by Tristao's skin color, but also by his poverty. However, Updike writes that "The Brazilian disowns only the immense black poverty" (Updike 1994, 239). In 1960s Brazil, racism is a deeply entrenched issue, which we will explore further below. "Their story parallels the oppression and economic transformation of Brazil during the military dictatorship (1964-85) and its aftermath, offering a panoramic vision of a society in transformation" (Ginway 2013, 317).

In this era, more heterogeneous changes were taking place in Brazilian society than in that described by Chiladze. In the Georgian novel, one royal dynasty is overthrown by another, and the role of women in social life is only partially presented, while Updike has portrayed various changes that take place in the Brazilian community: shifts in social, racial, and gender roles.

Tristao and Isabel's love affair and marriage are disliked by both the woman's father and her uncle, as each has a different image of Isabel's future. "But I am not rich," Isabel says, with a new note of grievance and petulance. "My uncle is rich, and my father, too, off in Brasilia, but I have nothing of my own – they hold me like a pampered slave, to be given when the nuns have graduated me to some boy who will grow into a man like them, sleek and polite and uncaring" (Updike 1994, 14).

Isabel's upper-class social position is due not to her own wealth, but to her father's and uncle's. In the future, a woman's social status is expected to be reinforced by her husband's material wealth and social standing. However, Isabel asserts her own will, and it is her choice that brings about small but significant shifts in the social system. Here we must mention that while Medea's love (and her subsequent choice) destroys the kingdom of Colchis, Isabel's love, in contrast, changes only the social standings of herself and her beloved.

Isabel could follow the path laid out by her uncle and father, marrying someone of their choosing and thus maintaining the status quo of the social system. Alternatively, she could choose Tristao, the poor young man. Isabel's decision to marry Tristao has one of two potential consequences, as the social status of one of the pair must change after their wedding. Tristao wants

to improve his social standing. If his beloved's family had agreed to their marriage, the young man would have achieved his goal. However, with the family's resistance, Isabel leaves her home, meaning the quality of her life decreases. If not for love, Isabel would not have had a reason to agree to live in deteriorating conditions. Other motives for giving up social standing, besides love, could have been religion, worldview, etc.

Medea also has the power to cause changes in the social system. She is the king's daughter, so the young woman belongs to the highest social class in Vani, but, like Isabel, she has no fortune of her own. Medea's choice causes a more extensive social upheaval. Not only does Medea alter her social standing when she follows Jason to a foreign kingdom, but the daughter also overthrows her father's royal court.

The attitude of Salamao and Donashianu towards the union of the young couple is due to a fear of the destruction of the social structure. Uncle Donashianu is a supporter of social classicism. He declares that the lower social class is a destructive force: "The hands of the many would tear everything up" (Updike 1994, 23).

Isabel's uncle is right to some extent, because cross-connections between social classes will overturn his world. Unlike Aeëtes, the Brazilian family is not surprised that Isabel fell in love, nor are they particularly astounded by the girl's desire for a socially inappropriate young man. Both men share the same adventure: in his youth, Salamao fell in love with a black prostitute (as it turns out later, she was Tristao's mother), who gave birth to their son. But Salamao refused to marry the prostitute and instead wed Isabel's mother, a member of a noble family. Uncle Donashianu also married a woman with whom he could form a desirable relationship: "Aunt Luna came from the thin upper crust of Salvador" (Updike 1994, 22). Donashianu, whose social position is strengthened by his marriage to Luna, is first in love with Isabel's mother (who is already his brother's wife), then with his maid Maria. In his old age, Donashianu marries Maria, but she soon leaves him.

Donashianu does not have racist views: "I do not speak of color. [...] But a man cannot make himself out of thin air, he must have materials" (Updike 1994, 23). Many things are acceptable to him: he agrees to involve young people in protests against the government, to indulge in left-wing fairy tales, "quixotic agitation", and even to change the government- but not to challenge the social order. Donashianu can even be considered a feminist: "You may choose to become yourself a lawyer, a doctor, a Petrobras executive. Such opportunities now exist for women in Brazil, though very grudgingly. Women must still do battle against our worthy forefathers' conception of women as ornaments and breeders" (Updike 1994, 25).

While the uncle endorses gender equality, he fails to consider that women's empowerment may lead to the destruction of the social system: a socially strong woman will no longer depend on her husband or family, and will decide for herself whom to marry. Faced with her family's resistance, Isabel may become afraid and lack the courage to relinquish her carefree life. Had Isabel been financially independent, the couple would have encountered fewer obstacles, and Tristao's situation would have improved significantly after their marriage. This, of course, would have brought a shift in the social system, challenging its deeply entrenched norms.

As to Luhmann's theory, Updike's novel is significant because the action takes place in the 1960s, when anti-racist and feminist views were already gaining popularity in society (being white, Isabel is acceptable to others because she is rich). Meanwhile, Tristao is not accepted in Isabel's world, not because of his color, but because of his poverty. In the Amazon jungle, where traditional values have remained largely intact, Tristao faces oppression and enslavement purely because of his skin color, but a love marriage remains unacceptable nevertheless. According to Luhmann's theory, the concept of "love marriage" emerged in the 17th century. A marriage of love is considered improper not only for the rich, but also for the poor. Tristao's family members warn him that this woman will bring him trouble, but only later does Tristao realize the severity of Isabel's loss of public status.

Like Uncle Donashianu, many other characters pretend to be liberals. Isabel explains the difference between her and others, who act like liberals, in describing her friend: "She is a typical bourgeois girl, full of bold chatter but with no courage for life" (Updike 1994, 35). What Isabel calls boldness is her refusal to accept the societal divisions based on race and social class. Isabel's friends at university lack this audacity: they talk about eradicating racism and, at the same time, shudder when they see a black man.

Isabel refuses to live in luxury and, with the help of a shaman, undergoes a transformation that changes both her and Tristao's skin colors. This metamorphosis makes Isabel's everyday life even more difficult, as the privileged white female turns into a black woman of a lower social standing. For Tristao, the change is equally significant: as a white man, he could never have been accepted as the Indians' slave, but as a black man, he is now seen as acceptable by Isabel's father. This transformation highlights a harsh truth: despite the Brazilian constitution and the anti-racist rhetoric expressed by the characters, skin color remains a powerful barrier to social mobility.

M. Elizabeth Ginway, a professor at the University of Florida, explores Brazilian culture in contemporary Anglo-Saxon literature. Her work, in turn,

draws on John Ryder's study of colonialism and the emergence of science fiction. According to Ryder, several types of narratives are characteristic of colonialist science fiction.

After a perilous journey leading to the discovery of a remote location, explorers often find an exotically beautiful woman, normally a princess, kept by a religious leader or shaman, who guards the culture's secret treasure. The arrival of outsiders usually precipitates a conflict in the form of an uprising, often led by a native of the traditional culture. In the end, "peace" is brought about by the victory of the explorers over the natives, concluding with the "rescue" of the princess by her new Western lover, whose sexual conquest of the princess parallels the "liberation" of the land and people from subjugation by the evil and corrupt shaman. (Ginway 2013, 316)

Although Updike does not write science fiction, Ginway analyzes *Brazil* from within this paradigm. From Ginway's perspective, Updike breaks the norms of Ryder's paradigm and reverses the roles:

Their story parallels the oppression and economic transformation of Brazil during the military dictatorship (1964-85) and its aftermath, offering a panoramic vision of a society in transformation. [...] She manages to contact a neighboring tribe in order to undergo a ritual that will allow her to become black while her husband becomes white, thereby securing his freedom. This rescue recalls the paradigmatic liberation of a princess held under a spell by a shaman, though here the roles are reversed in terms of race and gender, since Isabel sacrifices her cultural status to save Tristao. (Ginway 2013, 317)

The shift in skin color highlights a deeper social reality: the limited role of women in Brazilian society. Isabel, as a white woman, could not change Tristao's social standing when he was black, as any social change would require the backing of her family. In contrast, a white man had the ability to elevate the social status of his black lover. "He would be one white man who would elevate his black mistress to his own level" (Updike 1994, 208). To "raise" Tristao to her social height, Isabel had to give up her family, previous carefree life, and skin color, while for Tristao, his being white is enough to enable Isabel's establishment in public life. The social standings of Isabel and Tristao are in constant flux. It is not only the Japanese guard who changes his attitude towards Tristao, but also Salamao; now that Tristao is white, he looks like a member of a high social class, and, therefore, the young man is acceptable to his father-in-law.

The textual examples discussed in this article show that, regardless of the presence or absence of feelings, the code of love leads to the reforming of social systems. In one case, the destructive power of love is more visible and leads

to large-scale consequences, where the communication code is used by the daughter of the King of Colchis and a foreigner. Medea's falling in love with Jason causes her father's royal power to waver and his throne to be lost. In the second case, the social destruction caused by love is seemingly insignificant—a daughter from a high social class creates a family with a poor boy. At first, they become poorer and are enslaved, but after changing their skin color, they earn wealth and return to Isabel's earlier social status. Although Updike's text shows the change in the public standings of only two people, the example of his work clearly illustrates the power of love—the activation of the love code becomes the basis of gender, racial, and social equality, and gradually leads to the destruction of the existing social system.

References

- Chiladze, Otari. 2013. *A Man was Going down the Road*. London: The Garnett Press. Kindle ebook.
- Euripides. 2006. *Medea*. New York: Oxford University Press.
- Fromm, Erich. 1956. *The Art of Loving*. New York: Harper & Row.
- Ginway, M. Elizabeth. 2013. A Paradigm of the Tropical: Brazil in Contemporary Anglo-American Science Fiction and Fantasy. *Science Fiction Studies*, 40: 316-334.
- González-Díaz, Emilio. 2004. Paradox, Time and De-Paradoxication in Luhmann: No Easy Way Out. *World Futures*, 60:15-27.
- Luhmann, Niklas. 1998. *Love as Passion. The Codification of Intimacy*. Stanford: Stanford University Press.
- Ovid. 1893. *Metamorphoses*. London: George Bell & Sons. <https://www.gutenberg.org/files/21765/21765-h/21765-h.htm> (06.10.2023)
- Rhodijs, Apollonius. 1912. *The Argonautica*. Cambridge: Harvard University Press. <https://www.gutenberg.org/files/830/830-h/830-h.htm> (06.10.2023)
- Seneca, Lucius Annaeus. 1898. *Two Tragedies of Seneca*. Boston: Houghton Mifflin.
- Stendhal. 1975. *Love*. London: Penguin Books.
- Updike, John. 1994. *Brazil*. New York: Fawcett Columbine.
- Wolf, Christa. 1998. *Medea: A Modern Retelling*. New York: Doubleday.

თვალსაზრისი

OPINION

თამთა სურმავა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

tamta.surmava.1@iliauni.edu.ge

DOI: 10.32859/kadmos/16/166-182

„ამირანდარეჯანიანის“ კომპოზიცია პროპის ზღაპრის მორფოლოგიის ქრილში*

„ამირანდარეჯანიანი“ ჩვენამდე მოღწეული უძველესი საგმირო-სარაინდო თხზულებაა ქართულ მწერლობაში; მის ავტორად მიჩნეულია მოსე ხონელი, ხოლო დაწერის თარიღად სხვადასხვა მეცნიერი სხვადასხვა პერიოდს მიიჩნევს XI საუკუნის დასასრულიდან XIII საუკუნის ოციან წლებამდე. ტექსტის ადრეული ხელნაწერები არ შემონახულა. ნაწარმოებს ვიცნობთ მხოლოდ XVII და მოგვიანო საუკუნეების ხელნაწერით.¹ „ამირანდარეჯანიანი“ რამდენჯერმე გამოიცა. პირველი გამოცემა ეკუთვნის ზაქარია ჭიჭინაძეს (1896 წ.), მეორედ და მესამედ თხზულება გამოსცეს სარგის კაკაბაძემ (1939 წ.) და სოლომონ ყუბანეიშვილმა (1949 წ.), 1967 წელს გამოიცა ლილი ათანელიშვილის მიერ მომზადებული ტექსტი, რომელსაც თან გამოკვლევაც ახლდა. ქართული სამეცნიერო ლიტერატურა იცნობს არაერთ გამოკვლევას „ამირანდარეჯანიანთან“ დაკავშირებით. კვლევები პირობითად რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს, მკვლევართა გარკვეული ნაწილი დაინტერესებულია საკვლევი ტექსტის სადაურობის გამოკვლევით. განიხილება ორი თეორია, რომელთა მიხედვითაც, ნაწარმოები შესაძლოა, წარმოადგენდეს სპარსული ტექსტის თარგმნილ ვერსიას ან შექმნილი იყოს ქართულ ნიადაგზე (მარი 1895; ბარამიძე 1932; კეკელიძე 1958) მეცნიერთა ყურადღების ფოკუსში ექცევა ასევე „ამირანდარეჯანიანის“ უანრობრივი რაგვარობა და კომპოზიციური შეკრულობა (იმედაშვილი 1966; მამაცაშვილი 1999; სიხარულიძე 2007).

* სტატია მომზადებულია რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის FR-21-660 – ფარგლებში.

1 ათანელიშვილი 1967, 06.

„ამირანდარეჯანიანი“ ციკლური აგებულების ნაწარმოებია, რომელიც მოიცავს თორმეტ კარს; მასში მოთხრობილია მთავარი მოქმედი პირის, ამირან დარეჯანისძისა და რამდენიმე გმირის თავგადასავალი. ტექსტის კომპოზიციის შესახებ არაერთი მოსაზრება გამოითქვა, მათი უმრავლესობის მიხედვით, შედგენილობის მხრივ ნაწარმოები დანაწევრებულია, ცალკეული თავები კი ერთმანეთთან მხოლოდ ექანიკურადაა დაკავშირებული. რაკი ჩვენი კვლევის უმთავრესი მიზანი ერთი თეორიული მიდგომით – პროპისეული ზღაპრის მორფოლოგიით (პროპი 1984) – „ამირანდარეჯანიანის“ კომპოზიციის შესწავლა, შევეცდებით, მიმოვიხილოთ უკვე არსებული გამოცდილება, რომელიც ტექსტის კომპოზიციის შესწავლის ირგვლივ არსებობს.

სიუჟეტის დანაწევრებულობა და კომპოზიციური დაუმთავრებულობა, კორნელი კეკელიძის აზრით, „ამირანდარეჯანიანის“ წარმოშობის საკითხის გარკვევას ამარტივებს. მეცნიერი ვარაუდობს, რომ თითოეულ კარს ცალკე, დამოუკიდებელი წარმომავლობა აქვს და სანამ თხზულება ლიტერატურულ სახეს მიიღებდა, მან განვითარების რამდენიმე ეტაპი განვლო, უპირველესად კი იგი ნასაზრდოები უნდა იყოს ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებით. ჩვენი აზრით, კეკელიძის თვალსაზრისი გარკვეულწილად წინააღმდეგობრივია, რადგან იგი, ერთი მხრივ, მიანიშნებს ტექსტის მკვეთრ კომპოზიციურ დანაწევრებულობაზე, მეორე მხრივ კი, იქვე დასძენს, რომ ტექსტის სიუჟეტურად გამაერთიანებელი ელემენტი თავად ურთიერთობაა გმირებისა და არა მათი შინაგანი სამყაროს ამსახველი შინაარსი (კეკელიძე 1987, 21).

გაიოზ იმედაშვილის აზრით, ნაწარმოების კომპოზიცია იმდენად არამყარია, რომ თორმეტი კარიდან შვიდის არარსებობის შემთხვევაში, ამირან დარეჯანისძის კომპოზიციური ხაზი დიდ დანაკლისს არ განიცდიდა, თუმცა ამავედროულად მკვლევარი „ამირანდარეჯანიანს“ „ქართული მწერლობის შესანიშნავ ძეგლად“ ასახელებს (იმედაშვილი 1966, 27). „ამირანდარეჯანიანის“ 1967 წლის გამოცემას ნარკვევი და ლექსიკონი დაურთო ლ. ათანელიშვილმა. ნარკვევში მეცნიერი აღნიშნავს, რომ ნაწარმოების დასასრული ბუნდოვანია და იგი დასრულებული არც არის, რადგან თხრობა მთავრდება ამირანის ბალხეთში გამეფებით, ხოლო შემდგომი პერიპეტეების შესახებ მკითხველს ინფორმაცია არ აქვს (ათანელიშვილი 1967, 5). ამრიგად, ამკარაა, რომ სწორედ ეს მოსაზრებაა ანალიზის შემდგომი დასაყრდენი.

„ამირანდარეჯანიანის“ უანრობრივი რაგვარობის განსაზღვრისას მ. მამაცაშვილი ორ ალტერნატივას ასახელებს: საგმირო-სარაინდო

რომანსა და ეპოსს. მეცნიერის დაკვირვებით, უპრიანი იქნება, ხონელის ტექსტი რომანის ჟანრს არ მივაკუთვნოთ, რადგან ქართული ლიტერატურა მხოლოდ ერთ სარაინდო რომანს იცნობს და ეს რუსთველის „ვეფხისტყაოსანია“. მეცნიერი არ უგულუბელყოფს იმ ფაქტს, რომ „ამირანდარეჯანიანი“ მართლაც ამჟღავნებს გარკვეულ მსგავსებას ფრანგულ სარაინდო რომანთან, მაგრამ მსგავსების მთავარი წყარო არა პირდაპირი ჟანრობრივი გავლენა, არამედ საზოგადოებრივი განვითარების პარალელური საფეხურია, რომელიც ტექსტში აისახა. მკვლევარი ასკვნის, რომ თხზულების ჟანრობრივი კატეგორია მოქცეულია გარდამავალ ეტაპზე საგმირო ეპოსსა და საგმირო სარაინდო რომანს შორის და სწორედ ამ ფაქტითაა განპირობებული გარკვეული მსგავსებები ეპოსთანაც და რომანთანაც (მამაცაშვილი 1999, 361).

საგულისხმოა ნათია სიხარულიძის აზრი „ამირანდარეჯანიანის“ კომპოზიციასთან დაკავშირებით; მკვლევარი აღნიშნავს, რომ მისი დაკვირვებით, ტექსტში შვიდი კარის გამოყოფაა მხოლოდ შესაძლებელი, ნაცვლად თორმეტისა (სიხარულიძე 2007, 45).

როგორც უკვე აღინიშნა, „ამირანდარეჯანიანი“ 12 კარისაგან შედგება. ესენია: „აბესალომ ინდოთ მეფის ამბავი“, „ბადრი იამანისძის ამბავი“, „ნოსარ ნისრელისა ამბავი“, „ამირან დარეჯანისძისა ამბავი“, „ამბრი არაბისა ამბავი“, „ინდო ჭაბუკისა ამბავი“, „მნათობთა ამბავი“, „ტილისმათა ამბავი“, „სეფედავლე დარისპანისძისა ამბავი“, „ამბავი მზისა ჭაბუკისა“, „სისხლთა ძებნისა ამბავი“ და ბალხეთს შესვლისა ამბავი“.

ამბავში პირდაპირ თუ ირიბად მონაწილეობს ამირან დარეჯანის ძე. სიუჟეტის მიხედვით, ამირანი იყო მობალდადელი ჭაბუკი, რომელიც მშვიდობიანობის დროს ცხოვრობდა თავისი პატრონის, არაბეთის ხალიფის კარზე. ომობდა, ნადირობდა, ნადიმობდა, ერკინებოდა ფალავნებს და ასრულებდა თავისი პატრონის დავალებებს; ასევე, დახმარებას უწევდა გასაჭირში ჩავარდნილ თანამომძეებს. ამბები ერთი შეხედვით ფრაგმენტული ხასიათისაა და დაუმთავრებელი თხზულების შთაბეჭდილებას ტოვებს. მოთხრობა წყდება ამირანის ქვრივი დედოფლის მოწვევითა და ბალხეთში შესვლით, სადაც ის ამარცხებს განდგომილ ბალხამ ყამის ძეს, გახელმწიფდება და ცოლად შეირთავს ბალხეთის მეფის ასულს, ამის შემდეგ მასზე არაფერია ნათქვამი; თავად ამ ამბავს მისი ყმა, ღრმად მოხუცებულობამდე მიღწეული სავარსამისძე ჰყვება. ნაწარმოები ფეოდალურ ურთიერთობებს ასხამს ხოტბას, რომლის საფუძველი პატრონყმური დამოკიდებულებაა.

ჩვენი კვლევის ძირითად თეორიულ საფუძვლად გამოყენებულია რუსი ფოლკლორისტი, ვლადიმერ პროპის, მიერ ჩამოყალიბებული კონცეფცია, რომელიც ზღაპრის პოეტიკის კვლევასა და აგებულების კანონზომიერებათა გამოვლენას ისახავდა მიზნად. პროპი 1928 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ზღაპრის მორფოლოგია“ გვთავაზობს ლიტერატურული ნაწარმოების სტრუქტურული შესწავლის ფართო მოდელს. კვლევა ემყარება იმ დებულებას, რომ ჯადოსნურ ზღაპრებში ხშირად სხვადასხვა მოქმედი პირი ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებს. მეცნიერი პერსონაჟთა მოქმედებას/ქცევას „ფუნქციას“ უწოდებს და ტერმინს ასე განმარტავს:

ფუნქცია ეწოდება პერსონაჟის მოქმედებას, რომელიც სიუჟეტის მსვლელობისთვის მისი მნიშვნელობის თვალსაზრისით განისაზღვრება. მაგალითად, თუ გმირი თავისი ცხენით ახტება მეფის ასულის სარკმლამდე, გვაქვს არა ცხენით ახტომის ფუნქცია, არამედ ქორწინებასთან დაკავშირებული ძნელი დავალების ფუნქცია. (პროპი 1984, 33)

კონცეფციის თანახმად, ფუნქციათა განსაზღვრა იმისგან დამოუკიდებლად ხდება, თუ ვის მიეწერება ზღაპარში მათი შესრულება, მათი განსაზღვრა არც იმაზეა დამოკიდებული, როგორ და რა საშუალებებით შესრულდება მოქმედება. პროპის სტრუქტურული მოდელის მიხედვით ტექსტში ცალკეულ ფუნქციათა აღმოჩენა, კვლევის მხოლოდ პირველი ეტაპია, ფუნქციათა გამოვლენის შემდეგ ცალკე უნდა იქნეს გამოკვლეული ამ ფუნქციების შემსრულებელი პერსონაჟების შვიდწევრა მოდელიც (იქვე, 121).

საცნაურია, რომ მეცნიერი სიუჟეტსა და კომპოზიციას ერთ განუყოფელ მთლიანობად ანალიზებს და ეთანხმება კლოდ ლევი-სტროსს, რომლის თვალსაზრისსაც არგუმენტად გვთავაზობს: „ფორმასა და შინაარსს ერთი ბუნება აქვთ, ისინი საერთო ანალიზს ექვემდებარებიან“ (იქვე, 39).

პროპი თავის თეორიულ ნაშრომში გვთავაზობს ერთგვარ მოდელს, რომელიც ლიტერატურული ტექსტის ინტერპრეტაციისთვის უნდა გამოიყენოს მკვლევარმა, თავად ნაშრომის ბუნებიდან გამომდინარე, ავტორის მიერ წარდგენილი მაგალითები მხოლოდ ჯადოსნური ზღაპრით შემოიფარგლება.

ჩვენი კვლევის საგანი კი „ამირანდარეჯანიანის“ კომპოზიციის შესწავლა და ერთგვარი კანონზომიერებების აღმოჩენაა შემოთავაზებული მოდელის საშუალებით.

„ამირანდარეჯანიანში“ პროპისეულ ფუნქციათა გადანაწილების სქემა ცალკეული თავებისთვის მეტ-ნაკლებად განსხვავდება ერთმა-

ნეთისგან, საცნაურია, რომ პირველი კარი – „აბესალომ ინდოთ მეფის ამბავი“ – ფუნქციურ დანაწევრებას თითქმის არ ექვემდებარება, რადგან მთელი პირველი კარი თავად არის ფუნქცია; სახელდობრ, როგორც პროპი აღნიშნავს, ყველა ჯადოსნური ზღაპარი იწყება საწყისი ჰარმონიული სიტუაციის აღწერით, რომლის ფონზეც ჩნდება დისჰარმონია და მისი აღმოფხვრა წარმოადგენს ზღაპრის მთავარ მამოძრავებელ სიუჟეტურ ხაზს. „ამირანდარეჯანიანში“ მოთხრობილი ამბავი, აბესალომ ინდოთ მეფის შესახებ, იწყება სწორედ ასეთი ჰარმონიული გარემოს აღწერით: „იყო ჰინდოთ მეფე აბესალომ, მორჭმული და განგებნიანი. და არა იყო შეჭირვება გულსა მისსა“ (ხონელი 1969, 5). აბესალომ მეფის სანადიროდ გასვლას, ფუნქციას N1, მოსდევს უშუალოდ იმ დანაკლისის გაჩენა, რომელიც გმირმა უნდა შეიგოს (ფუნქცია N9), სანადიროდ გამოსული აბესალომ მეფე შემთხვევით გადააწყდება უცნობი გმირების გამოსახულებას და ნებისმიერ ფასად სურს, გაიგოს მათი ვინაობა. სწორედ პირველ კარში მოცემული ეს ორი ფუნქციაა გადამწყვეტი მთელი ნაწარმოებისთვის. იმ უცნობი გმირების ამბის შეტყობასა და თითოეულის გმირობის გადმოცემას ეთმობა მთელი ტექსტი.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი გახდეს ფუნქციათა დატვირთვა ცალკეული კარისთვის, თითოეულ მათგანს დავანაწევრებთ ფუნქციათა დონეზე:

მეორე კარი მოგვითხრობს „ბადრი იამანისძის ამბავს“, რომელშიც მეორე დონის მთხრობელი უამბობს მეფეს გმირის შესახებ, ნიშანდობლივია, რომ პირველი კარიდან მეორე კარზე გადასვლა მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს ემყარება, სახელდობრ: მეფე ისმენს ამბავს მისთვის უცნობი გმირის შესახებ, რომლის ვინაობითაც იგი ნადირობის დროს დაინტერესდა. მეორე კარში კი ფუნქციურად განსხვავებული როლები ორ გმირს, ამირან დარეჯანისძეს და თავად ბადრი იამანის ძეს. უწინარესად, ყურადღებას გავამახვილებთ თავად ბადრი იამანისძის ამბის ფუნქციურ სტრუქტურაზე. ფუნქციათა დონეზე ბადრი იამანისძის ამბავი შეიძლება ასე დაიყოს:

ა) იწყება საწყისი სიტუაციის აღწერით, სიტუაციის აღწერის ერთ-ერთი მოდელის მიხედვით, ეს შეიძლება იყოს მომავალი გმირის სახელის ან მდგომარეობის ხსენება „პატრონი ჩემი იყო ბადრი იამანის ძე, ჭაბუკი გამორჩეული, ნაქმართა მისთა ყოლა არ ეგების...“ (ხონელი 1967, 32);

ბ) ფუნქცია N8, განსაზღვრება: უქონლობა. ბადრი იამანის-ძე გამორჩეული ვაჟკაცია, იგი ეძებს ახალ ასპარეზს ბრძოლისა, რადგან მიაჩნია, რომ იმ სივრცეში, რომელშიც იმყოფება, თავი ამოწურა: „რო-

მელ ვერავინ გაუსწორის ომი და ვერცა ჰპოვა სწორი მისი, შეჭირვებულ ჯდა“ (ხონელი 1967, 33);

გ) ფუნქცია N9, გმირს უშვებენ – განსაზღვრება: შუამავლობა, დამაკავშირებელი მომენტი; ბადრი იამანისძეს სთავაზობენ ასპარეზს ბრძოლისთვის, შუამავალი მას მიუთითებს: „ზღვათა მეფის ასულისა გამოყვანებად წადი, და მუნ მოგხვდებიან ჭაბუკნი არა ერთნი და ორნი, განა მრავალნი და დიდად მარცხენი“ (ხონელი 1967, 34);

დ) ფუნქცია N10: მძებნელი გმირი იღებს გადაწყვეტილებას, დაიწყოს ძებნა, გმირი მიემართება შუამავლის მიერ შემოთავაზებული გეგმის შესასრულებლად;

ე) ფუნქცია N11: გმირი ტოვებს სახლს და მიემგზავრება დიდი ხნით, რადგან გათავისებული აქვს თავისი მოქმედების სირთულე;

ვ) ფუნქცია N12: გმირის გამოცდა. მძებნელის გზა რთული და ფათერაკებით სავსეა, ბადრი იამანის ძეს უწევს არაერთი დაბრკოლების გადალახვა, ბრძოლა ვეშაპებთან და ბრძოლა ზღვათა მეფის ჭაბუკებთან;

ზ) ფუნქცია N14: გმირი იღებს ჯადოსნურ საშუალებას – განსაზღვრება: მომარაგება; საბოლოო ბრძოლის წინ ზღვათა სამეფოში მეფის ასული ბადრი იამანის ძეს ძღვენს უძღვნის: „საცოლესა შენსა ცხენი გამოუგზავნია შენ თანა!“ – ატყობინებენ მას;

თ) ფუნქციები N16, 17, 18: გაიმართება საბოლოო ბრძოლა გმირსა და ანტაგონისტს (ზღვათა მეფის ჭაბუკი, ბოლო წინააღმდეგობა საცოლის მოპოვებამდე) შორის, რომელიც, ცხადია, გმირის გამარჯვებით სრულდება, ბადრი იამანის ძე კლავს ანტაგონისტს;

ი) ფუნქცია N19: ბადრი იამანისძის საწყისი უქონლობა სრულად აღმოფხვრილია. მან გამოსცადა ბრძოლის ახალი ასპარეზი, საბოლოოდ კი ზღვათა მეფის ასულზე ქორწინდება, მეფე მას ტახტსაც სთავაზობს, მაგრამ იგი თავმდაბლობის გამო უარს აცხადებს: „მეფობა თქვენი არს და გვირგვინი თქვენვე დაიდგით;“ – ეუბნება გმირი ზღვათა მეფეს (ხონელი 1967, 72);

კ) ფუნქცია N20: გმირის დაბრუნება. ბადრი იამანის ძე საცოლითურთ ბრუნდება სამშობლოში, თუმცა მისთვის ეს გზაც ფათერაკებით აღსავსე აღმოჩნდება, მას დევები გაიტაცებენ; „შუალამისა ჟამსა მოვიდა ბაყბაყ დევი, მძინარე ბადრი იამანისძე შეიპყრა და წაიყვანა“ (ხონელი 1967, 75).

უნდა აღინიშნოს, რომ პროპის მოდელთან ამ კარის თავსებადობა აქ სრულდება. ამკარაა, რომ „ამირანდარეჯანიანი“ ფუნქციათა მოდიფიცირებულ ვარიანტს გვთავაზობს, სახელდობრ, მომდევნო კარის მთავარი სიუჟეტური ხაზი სწორედ ბადრი იამანისძის ტყვეობიდან

გათავისუფლება იქნება, ამრიგად, ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ ხონელის ტექსტში ფუნქციები ერთი კარიდან მეორეში მიზეზზედე-გობრივად უკავშირდება ერთმანეთს, რასაც მესამე კარის ფუნქციათა გამოვლენაც დაადასტურებს.

მესამე კარის პროტაგონისტია ნოსარ ნისრელი; ტექსტის ეს ნაწილი ზუსტად იმეორებს მეორე კარის სტრუქტურას. საწყისი უქონლობა, დანაკლისი, რაც გამოხატულია თანასწორი გმირის დაკარგვითა და მისი პოვნის აუცილებლობით (ფუნქცია N8), რასაც ლოგიკურად მოსდევს შუამავლის ფუნქცია და გმირის თანხმობა ძეხნის დასაწყებად: „თავმან თქვენმან, მეორესვე დღესა წამოვიდა და ყმა მისი ალი დილაში თან წამოიტანა“ (ხონელი 1967, 80) შეესაბამება ფუნქციებს N9, 10, 11. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მესამე კარის დასაწყისის ფუნქციური ერთეულები ჯერ კიდევ მეორე კარის დასასრულსაა მოცემული, რითაც ხონელი მეორე კარის დასასრულშივე ქმნის შესავალს შემდეგი ნაწილისთვის; ცენტრალური გმირი, ისევე, როგორც ჯადოსნური ზღაპრის ყველა გმირი, ბევრ განსაცდელს გამოსცდის, სანამ საწადელს მიაღწევს, ნოსარ ნისრელი პოულობს დევთაგან დატყვევებულ ბადრი იამანის ძეს, თუმცა მისი მცდელობა, გაათავისუფლოს იგი, მარცხით სრულდება: „მოვიდნეს დევნი ორნი ძმანი ბაყბაყ და ხაზარან, მოჰკვეთეს კალოსა ოდენი მიწა და წაიყვანეს ნოსარ ნისრელი“ (იქვე, 86). მესამე კარის დასასრულს შექმნილი ახალი წინააღმდეგობა უნდა დაიძლიოს ახალი მძებნელის მიერ, ახალი მძებნელი კი ამირან დარეჯანის ძეა, რომლის ამბის თხრობასაც მთელი მეოთხე კარი ეთმობა.

მეოთხე კარი კომპოზიციურად არავითარ განსხვავებას არ გვიჩვენებს უკვე განხილულ წინამორბედ კარებთან შედარებით. აღნიშნულ ნაწილში ამირან დარეჯანისძის თავგადასავალია მოთხრობილი, რომელმაც დევთაგან დატყვევებული გმირები უნდა გაათავისუფლოს.

ტექსტის ინვარიანტული სტრუქტურა ამ ნაწილშიც ნარჩუნდება. შემოთავაზებული სქემით ფუნქციური გადანაწილება ასეთია: ფუნქცია N8 + ფუნქცია N9 + ფუნქცია N10 + ფუნქცია N11 + ფუნქცია N12 + ფუნქცია N16 + ფუნქცია N17 + ფუნქცია N18 + ფუნქცია N19 + ფუნქცია N20.

მეოთხე კარის დასასრულს არ არის მოთხრობილი რომელიმე გმირის გამეფება, ამირან დარეჯანისძის მიერ გათავისუფლებული ნოსარ ნისრელი და ბადრი იამანის ძე თანაბრად იყოფენ დევების დამარცხების შედეგად მიღებულ ნადავლს. გმირები ძმადნაფიცები ხდებიან და

ამის შემდეგ ბრუნდებიან თავიანთ სამშობლოში; საცნაურია, რომ ავტორის მითითებით, ამ ამბით სრულდება ინდოთ მეფის, ბადრი იამანის ძის, ამირან დარეჯანისძისა და ნოსარ ნისრელის ამბავი, თუმცა რაკი ჩვენი კვლევის მიზანს მთლიანი კომპოზიციის შესწავლა წარმოადგენს, განვიხილავთ დანარჩენი კარების კომპოზიციურ სტრუქტურასაც.

მეხუთე კარში მთხრობელი უამბობს მეფეს ამბრი არაბის ამბავს. მთხრობლის მითითებით, ეს ამბავი განსაკუთრებით აღაფრთოვანებდა ნაწარმოების ცენტრალურ პერსონაჟს, ამირან დარეჯანისძეს. მეხუთე კარის მიხედვით, ომარ, ამბრი არაბის ამბავი განსხვავდება სხვა გმირთა ამბებისგან, თუმცა სტრუქტურა ტექსტის ამ ნაწილშიც ნარჩუნდება, ამბრი არაბის მოგზაურობა არ იწყება პირადი მიზეზით, რაიმეს უქონლობის აღმოსაფხვრელად ან გმირთა გასათავისუფლებლად. შეიძლება ითქვას, რომ მისი მოტივაცია უფრო ფართოა: იხსნას ტყვეობიდან მთელი იამანეთი; ნაწარმოების ამ ნაწილში შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი ფუნქციური ერთეულები:

ა) ფუნქცია N9: ამბრი არაბს მიმართავენ დახმარების თხოვნით, მან მეკობრეთაგან შევიწროებული ხალხი უნდა იხსნას. სხვა კარებისგან განსხვავებით, ნაწარმოების ამ ნაწილში მთავარ გმირს არ აქვს ერთი კონკრეტული მისია ან ერთი საწყისი უქონლობა, რომელიც უნდა აღმოფხვრას. სახელის მძებნელი ამბრი არაბი მეკობრეთაგან ათავისუფლებს ჩაგრულთ, ებრძვის ხანთა მეფის დაქირავებულ ბუმბერაზებს და იხსნის იამანთა სახელმწიფოს; ამბის სპეციფიკიდან გამომდინარე, მთელი მეხუთე კარი რამდენიმე ფუნქციითაა აგებული, სახელდობრ: ფუნქცია N9-ს ლოგიკურად მოსდევს გმირის თანხმობა დახმარებაზე (ფუნქცია N10), დატოვება სახლისა და რთული გზის დაწყება (ფუნქცია N11), შებრძოლება ყველა მოწინააღმდეგესთან, რასაც ანტაგონისტის დამარცხება მოჰყვება შედეგად (ფუნქციები N16, 17, 18), საბოლოოდ კი პრობლემა სრულად აღმოიფხვრება (ფუნქცია N20): „აშენდა იამანეთი, და ამას იტყოდეს ყოველნივე: გვიხსნა ტყვეობისგან ამბრი არაბმან ჭაბუკობითა მისითაო“ (ხონელი 1967, 154).

მეექვსე კარის ფუნქციითაა გადანაწილების სქემაში მინიმალურ დონეზე იჩენს თავს განსხვავებას სხვა კარებთან შედარებით, სახელდობრ: წინა კარის მსგავსად „ინდოთ ჭაბუკის ამბავშიც“ ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი ისევ ამბრი არაბია და ზღაპრის ფუნქციები მის ირგვლივაც ნაწილდება; ტექსტში პირველად შემოდის ფუნქცია N2, აკრძალვა, რომელიც არ უნდა დაირღვეს: „ნურცა დიდისა და ნურცა მცირედისაგან ნუმცა იხსენების ამბრი არაბსა თანა ამბავი ინდოსა ჭაბუკისა“ (იქვე, 156), – ბრძანებს იამანთა მეფე, რაკი არ

სურს, ამბრი არაბმა ქვეყანა დატოვოს ინდოთ ჭაბუკის საძიებლად. პროპის კონცეფციით, ფუნქციათა თანმიმდევრობა ყოველთვის ერთნაირია, რაც მოცემული კარიტაც დასტურდება, ფუნქცია N2-ს მოსდევს ფუნქცია N3 – აკრძალვის დარღვევა: ამბრი არაბი იგებს ამბავს და იქმნება საწყისი უქონლობა, რომელსაც მოსდევს ინდოთ ჭაბუკის ძიება, მძებნელის როლში კი ამბრი არაბია; ფუნქციების N2, 3 შემდეგ ლოგიკურად იწყება მძებნელის ციკლი, რასაც ხონელი უკვე ცნობილი სტრუქტურით ალაგებს: ფუნქცია N8 + ფუნქცია N9 + ფუნქცია N10 + ფუნქცია N11 + ფუნქცია N12 + ფუნქცია N16 + ფუნქცია N17 + ფუნქცია N18 + ფუნქცია N19 + ფუნქცია N20.

მეშვიდე კარს ფუნქციათა დონეზე მეტად მრავალფეროვანი სტრუქტურა აქვს – ესაა „მნათობთა ამბავი.“ საწყის სიტუაციას ქმნის ამირა მუმლის მეფობა ბაღდადში, დანაკლისი მძებნელს კი არა, თავად ამირას უკავშირდება: „მას ჟამსა შემოიარეს მათ სამთა ძეთა ამირა მუმლისათა, მათ მშვენიერთა მოწიფულთა და არა ესვა ერთსაცა მათგანსა ცოლი“ (იქვე, 194).

ამ პრობლემის მოსაგვარებლად კი მიმართავენ ამირან დარეჯანის ძეს, რომელმაც მძებნელის ფუნქცია უნდა იკისროს – ფუნქცია N8, 9, ფუნქციათა ლოგიკური ჯაჭვი გრძელდება გმირის თანხმობითა და სახლის დატოვებით (ფუნქცია N10, 11); სტრუქტურის მრავალფეროვნებაში ნაწარმოების ამ ნაწილისთვის იგულისხმება შემდეგი: „ამირანდარეჯანიანში“ პირველად ჩნდება „შემწე“, რომელიც ამირან დარეჯანის ძეს უშუალოდ მიუთითებს, სად მოძებნოს საცოლეები ამირა მუმლის ვაჟებისთვის (ფუნქცია N12): „არის ქვეყანა მეტად დიდი და მას ქვეყანასა მნათობთა ქვეყანა ჰქვია. მუნ არს ასფან მეფე დიდი და არიან შვიდნი ასულნი მისნი“ (იქვე, 207). შემწის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე გმირი სათანადოდ რეაგირებს (ფუნქცია N13) და მიემგზავრება ზღვათა სამეფოში. მას შემდეგ, რაც მძებნელი ზღვათა სამეფოში აღმოჩნდება, იკვრება ფუნქციათა ახალი რკალი. გმირის ბრძოლა საწადელის მისაღწევად, დაპირისპირება ანტაგონისტთან, ბრძოლაში ჭრილობის მიღება და საბოლოოდ საწადელის აღსრულება (N16 + ფუნქცია N17 + ფუნქცია N18 + ფუნქცია N19 + ფუნქცია N20). რაკი პროპის კონცეფცია ჯადოსნურ ზღაპარს ეხება, ხოლო „ამირანდარეჯანიანი“ საავტორო ტექსტია, სავსებით ლოგიკურია, ნაწარმოების ამ ნაწილში ფუნქციათა თანმიმდევრობა არ ემთხვეოდეს პროპისეულ თანმიმდევრობას. მართლაც, საქმე გვაქვს ფუნქციათა მოდიფიკაციურ ვარიაციასთან. სახელდობრ: ფუნქცია N25 (გმირს ძნელ დავალებას აძლევენ – განსაზღვრება: ძნელი დავალება) მოცემულია ზღვათა სამეფოში შესვლისთანავე, როცა ზღვათა მეფე

შვილების ხელის მძებნელთ ბუმბერაზებს დაუპირისპირებს და ასე გამოსცდის მათ (იქვე, 230). ხოლო ამ კარის დასასრული ფუნქციათა დონეზე სტანდარტულია: იგი სრულდება საწყისი უქონლობის აღმოფხვრითა და მძებნელის დასაჩუქრებით გაწეული ღვაწლისთვის.

„ამირანდარეჯანიანის“ მერვე კარი – „ტილისმათა ამბავი“ ნაწარმოების ის ნაწილია, რომელშიც ჯადოსნური ელემენტი ყველაზე მეტად იჩენს თავს. ამ კარის გმირი ისევ ამირან დარეჯანისძეა, რომლის ირგვლივაც ვითარდება მოქმედება. პროპის ფუნქციათა დონეზე, ამირანია მძებნელი, რომელიც ცდილობს, გაარკვიოს იდუმალი ქალის ბედი, რათა ცოლად შეირთოს იგი, ე.ი. მძებნელის სვლა მოტივირებულია „უქონლობის“ აღმოფხვრით (ფუნქციები N8, 9, 10). ჯადოსნური ზღაპრის სტრუქტურის მსგავსად ამ ტექსტშიც მძებნელი გზად კეთილ საქმეებს ჩადის (ათავისუფლებს ქარავანს, ამარცხებს წითლოსან ჭაბუკს). მერვე კარში მეტად მნიშვნელოვანია შემწის ფუნქცია, რადგან მისი მეშვეობით შეიტყობს ამირანი, რომ ტილისმათა ქვეყანა მოჯადოებული სივრცეა (ფუნქცია N12). მერვე კარის მთავარი განსხვავება დანარჩენებისგან არის შემდეგი: ამირანისთვის, როგორც მძებნელისთვის, უცნობი ასულის ძიება მისიის მხოლოდ პირველი ნაწილია, რაც ქორწილით სრულდება (ფუნქცია N19), ხოლო ამას მოსდევს ახალი ეტაპი – ტექსტი ისევ უბრუნდება მოქმედებათა ახალ წრეს (ფუნქცია N3). ამირანი შეიტყობს, რომ ტილისმათა ქვეყანა მოჯადოებულია და საჭიროდ მიიჩნევს, აღმოფხვრას ეს პრობლემა. ამრიგად, დაპირისპირება ვეშაპთან, ბრძოლაში მიღებული ჭრილობა და უქონლობის აღმოფხვრა გადანაწილებულია ფუნქციებზე N9, 12, 13-16, 17, 18, 19; „ტილისმათა ამბავი“ ტექსტში პირველად ასახავს მძებნელის დევნის ეპიზოდს, რაც შეესაბამება ფუნქციას N21, რომელშიც გმირს მისდევენ – განსაზღვრება: დევნა, გამოკიდება, რასაც გმირი აუცილებლად გადაურჩება (ფუნქცია N22, განსაზღვრება: გადაარჩენა) (იქვე, 359).

კარი მეცხრე – „სეფედავლე დარისპანისძისა ამბავი“ ფუნქციურად და სტრუქტურულად რთული აგებულებისაა, სახელდობრ: ტექსტის ამ ნაწილში ფუნქციური ერთეულები შეიძლება დაჯგუფდეს სამი გმირის ირგვლივ, რომელთაც თავიანთი მოტივაცია აქვთ. ესენია: მძებნელი N1 ომად მადისძე, რომელიც სახელის ძიების მიზნით ტოვებს სახლს (ფუნქცია N1): „ჭაბუკობისა ძალისა ცნობად წამოსრულ ვარ“ (იქვე, 377). იგი პოულობს შემწეს, რომელიც ეხმარება მას (ფუნქცია N12) და მისი გზა იკვეთება მძებნელ N2-თან, სეფედავლე დარისპანისძესთან, მძებნელთა ბრძოლის ეპიზოდი ომად მადისძის დანაკლისის ლიკვიდაციაა, (ფუნქცია N19). თუმცა აქვე იწყება მეორე მძებ-

ნელის ციკლი, დარისპანის ძისა, რომელიც საცოლეს ეძებს (ფუნქცია N8), ეს სწორედ ის უქონლობაა, რომლის გამოც იგი ტოვებს სახლს და მიემგზავრება „ჭენტა მეფისა ასულისა გამოყვანებად“ (იქვე, 423). შემდეგ სეფედავლე პოულობს შემწეს და იღებს ჯადოსნურ საშუალებას მიზნის მისაღწევად: „მე წამალი მოგცე ეგეთი, რომე ფერხთა მოისვით და უცილოდ გახვალთ ადვილად“ (იქვე, 428), რაც შეესაბამება ფუნქციებს N13, 14. საცოლის მოპოვება, ჭენტა მეფის ასულის გამოყვანა ფუნქციებზე N16, 17, 18, 19 არის გადანაწილებული. „ამირანდარეჯანიანში“ პირველად მოქმედება არ სრულდება უქონლობის ლიკვიდაციით. გმირს, მძებნელს, დევნიან და იგი ახალ დაპირისპირებაში ერთვება, რაც მისი გამარჯვებით სრულდება (ფუნქციები N20, 21, 22). ამის შემდეგ ჩნდება მძებნელი N3 – ამირან დარეჯანისძე, რომლის მთავარი ფუნქცია სეფედავლე დარისპანის ძის პოვნაა (ფუნქცია N8), ამ მიზანს იგი აღწევს (ფუნქცია N19). ნაწარმოების ეს ნაწილი მძებნელთა დაძმობილებით სრულდება.

მეათე კარში მოთხრობილია „მზისა ჭაბუკის ამბავი“. საცნაურია, რომ კომპოზიციურად ეს კარი ორი ნაწილისგან შედგება, ამბის ფუნქციურ დონეზე დაყოფას კი შემდეგი სახე აქვს: სანადიროდ გასული მზეჭაბუკი (ფუნქცია N1), შუამავლის მეშვეობით (ფუნქცია N9), შეიძებნება საოცარი სანადირო ადგილების შესახებ, რომელსაც მხეცი დაჰპატრონებია და გადაწყვეტს მასთან შებრძოლებას. ბრძოლის აქტმა უნდა აღმოფხვრას ის უქონლობა, რომელიც მზეჭაბუკს ამ ეტაპზე აქვს, მძებნელის მიერ მხეცის დამარცხება უქონლობის აღმოფხვრის დასტურია.

მხეცის დამარცხებას უშუალოდ მოსდევს ახალი შუამავლობის ეპიზოდი, როცა გმირს ატყობინებენ ხაზართა მეფის ასულის ვინაობის შესახებ (ფუნქცია N9), მძებნელი იღებს გამოწვევას და იწყებს სვლას მეფის ასულის მოსაპოვებლად (ფუნქცია N10, 11); იწყება მეფის რთული დავალების შესრულების მოქმედებათა წრე, რაც გულისხმობს ანტაგონისტთან დაპირისპირებას, უშუალოდ ბრძოლაში ჩართვასა და გმირის გამარჯვებას (ფუნქცია N16, 17, 18, 19); საცოლის მოპოვების შემდეგ იქმნება ახალი წინაღობა – ხაზართა მეფის ასულს გაიტაცებენ და მძებნელი კვლავ მიდის საძებნელად (ფუნქცია N23). ახალი ციკლის მიმდინარეობისას მზეჭაბუკი ხვდება ცრუ შემწეს, რომელიც მახეს უგებს მას, თუმცა გმირი ამ დაბრკოლებასაც გადალახავს. ნაწარმოებში პირველად გვხვდება ფუნქცია N15, მძებნელის სივრცობრივი გადაადგილება ჯადოსნური საშუალებით: „მათ ფრთები პირსა გვკრეს და ჩვენ ცნობა წაგვიხდა. ოდესცა მოვიქცეთ, ხაზარეთისავე კარსა ქალაქისასა ვიყვენით.“ ხაზართა მეფის ასულის

მოპოვებითა და გამეფებით მზეჭაბუკი მთლიანად აღმოფხვრის ყოველგვარ უქონლობას, რაც მას ამბის დასაწყის ნაწილში ჰქონდა. გმირის გამეფება ტრანსფიგურაციის ნიშანია, რაკი იგი სახეცვლილი, სხვა ამპლუაში აღმოჩნდება – ფუნქცია N29, ხოლო ფუნქციები N30, 31 ნაწარმოების ამ ნაწილისთვის ასე მოდიფიცირდა: ანტაგონისტის დასჯის ნაცვლად შემოთავაზებულია დიდსულოვან პატიების მოტივი (მზეჭაბუკისა და მეფის შერიგება), ხოლო დასასრულს კრავს ქორწილის სცენა, თუმცა ამბის ბოლოს მზეჭაბუკის ლაჩრულად, მიპარვით სიკვდილით მყარდება კავშირი მომდევნო კართან: „ვინცა კარგი ჭაბუკი იყოს ქვეყანასა ზედა, უამბეთ ჭაბუკობა ჩემი და მუხთლად სიკვდილი, შევეწყალები და ეძებს სისხლთა ჩემთა“ (იქვე, 612).

კარი მეთერთმეტე – „სისხლისა ძებნის ამბავი“ ფუნქციურად მოტივირებულია წინამორბედ კართან კავშირით, ვგულისხმობთ იმ ფაქტს, რომ მძებნელის მთავარი მისიაა, შური იძიოს მზეჭაბუკის ლაჩრულად მოკვლისთვის. მძებნელის როლში ამირან დარეჯანისძეა, რომელიც გადის ყველა იმ სტადიას, რომელიც ჯადოსნური ზღაპრის გმირისთვის აუცილებელია მიზნის მისაღწევად. შესაბამისად, მთელი ამ ამბის სტრუქტურა რამდენიმე ფუნქციას მოიცავს, სახელდობრ: ფუნქციებს N1, 8, 9, 10, 11, 16, 17, 18, 19, 20;

აქვე აუცილებელია აღინიშნოს, რომ უქონლობის აღმოფხვრა ნაწარმოების ამ ნაწილისთვის არ უკავშირდება მძებნელის ტრანსფიგურაციას, შურისძიება თანასწორი გმირის მოკვლისთვის გააზრებულ უნდა იქნეს მძებნელის მიერ პრობლემის აღმოფხვრად.

„ამირანდარეჯანიანის“ ბოლო, მეთორმეტე კარი, სადაც აღწერილია ბალხეთში შესვლის ამბავი, ასრულებს მთელს ნაწარმოებს, ფუნქციათა დონეზე სტრუქტურა ისევ ნარჩუნდება. მთავარი გმირი, ამირან დარეჯანისძე შეიტყობს ბალხთა დედოფლისა და მეფის ასულის გასაჭირს: „ბალხთა მეფე მოუკლავს ბალხამს ვისმე ყამისძესა და წაუღია ყოველი სამეფო მისი. დარჩომია დედოფალსა ერთი ქალაქი, და ასული უვის...“ თანხმდება, დაიწყოს მოქმედება მათ დასახსნელად, რასაც სტანდარტული სქემით მოჰყვება შემდეგი ფუნქციები: ფუნქცია N8, 9, 10 და ასევე ფუნქციები N16, 17, 18, 19. „ამირანდარეჯანიანი“ ამირანის ბალხეთში შესვლითა და გამეფებით სრულდება.

„ამირანდარეჯანიანის“ თითოეული თავის ფუნქციური სტრუქტურის მოცემულობის გათვალისწინებით, შესაძლებელია, ვიმსჯელოთ იმ კანონზომიერებებზე, რომლებიც მთლიან ტექსტში იჩენს თავს. პროპის კონცეფციით, პირველი შვიდი ფუნქცია ზღაპრის მოსამზადებელი ნაწილია, ხოლო მერვე ფუნქცია წარმართავს მთელ სიუჟეტს (პროპი 1984, 74). „ამირანდარეჯანიანის“ სტრუქტურაზე დაკვირვების

საფუძველზე ამკარაა, რომ ძირითად შემთხვევებში ფუნქციითა გადანაწილების სქემა იწყება სწორედ ფუნქციით N8, რადგან საწყისი სიტუაციის აღწერა სტრუქტურული კონტექსტით ფუნქციებს არ განეკუთვნება, მას მხოლოდ ექსპოზიციის დანიშნულება აქვს. ამასთან, ნაწარმოების სტრუქტურული ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა კარში მსგავსი ფუნქციური ელემენტები გამოიყოფა.

პროპის განმარტებით:

მორფოლოგიურად ჯადოსნური ზღაპარი შეიძლება ეწოდოს ყოველგვარ განვითარებას, რომელიც ვნებით ან უქონლობით იწყება და საშუალოდ ფუნქციების გავლით მთავრდება ქორწინებით ანდა სხვა ფუნქციებით, რომლებიც კვანძის გახსნისთვის გამოიყენება. საბოლოო ფუნქციებია დაჯილდოება, რაიმეს შოვნა ან საერთოდ უბედურების ლიკვიდაცია, დევნისთვის თავის დაღწევა და ა.შ ამგვარ განვითარებას ჩვენ სვლა ვუწოდეთ. (პროპი 1984, 134)

ამის გათვალისწინებით, „ამირანდარეჯანიანი“ მორფოლოგიურ დონეზე შესაძლოა კვალიფიცირდეს, როგორც ზღაპარი. შესაბამისად, ლოგიკურია, განვითარების სვლათა გამოვლენით გაირკვეს, ტექსტი ერთი ზღაპრის შემცველია, თუ ორ ან მეტ ზღაპარს მოიცავს;

„ამირანდარეჯანიანის“ პირველი სვლა იწყება პირველივე კარით და პირველი უქონლობის დაფიქსირებით, აბესალომ მეფე ინტერესდება ქვითკირის სახლის კედელზე გამოსახული გმირების — ამირანდარეჯანისძის, სავარსამისძის, ბადრი იამანისძის, ნოსარ ნისრელისა და ალი დილამის თავგადასავლით. მეორე, მესამე და მეოთხე კარები მთლიანად ეთმობა ამ გმირების თავგადასავალთა თხრობას, კავშირი მათ შორის მიზეზშედეგობრივია, რადგან საერთო განსაცდელში მოხვედრილ ბადრი იამანის ძესა და ნოსარ ნისრელს ამირანდარეჯანისძე იხსნის. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პირველი სვლის დასასრულზე თავად ტექსტი მიგვითითებს: „აქა დასრულდა კარი ინდოთა მეფისა, ბადრი იამანისძისა, ნოსარ ნისრელისა და ამირანდარეჯანისძისა“ (იქვე, 110).

მიუხედავად იმისა, რომ ტექსტობრივი მითითებით ამირანდარეჯანისძის ამბავი მეოთხე კარით სრულდება, მეშვიდე, მეთერთმეტე და მეთორმეტე კარების ცენტრალური პერსონაჟი ისევ ამირანდარეჯანისძეა. მიუხედავად იმისა, რომ მეათე კარში ამირანდარეჯანისძე არ ჩანს, მზეჭაბუკის ამბავი პირდაპირ მასთან არის დაკავშირებული. საფიქრებელია, რომ ნაწარმოების ეს ნაწილებიც პირველ სვლას ეკუთვნის, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ჯადოსნურ ზღაპარში ხშირია, როცა ტექსტში ეპიზოდი წყდება და, შესაბამისად, მოქმედებათა სქემაც რთულდება.

მეორე სვლა „ამირანდარეჯანიანისა“ იწყება მეხუთე კართ – „ამბრი არაბის ამბავი“. კავშირი პირველსა და მეორე სვლას შორის თავად ტექსტშია განმარტებული, რადგან აბესალომ მეფემ უკვე მოისმინა ამბები იმ გმირებისა და ამირანისა, რომელიც ასე აინტერესებდა მას, დადგა დრო, მთხრობელმა მეფეს უამბოს იმ გმირთა შესახებ, რომელთა ამბავიც თავად ამირან დარეჯანისძისთვის იყო სასიამოვნოდ მოსასმენი: „ამა კაცისა ამბავი დიდად იამებოდა პატრონსა ჩემსა ამირან დარეჯანისძეს, და თქვენი არ ვიცი, გთნავს თუ არა. აწ მოვახსენებ მეფობასაცა თქვენსა“ (იქვე, 111).

მეორე სვლა გრძელდება ინდო ჭაბუკის ამბით და მეექვსე კარის დასასრულს, სტანდარტული სქემით აღნიშნულია, რომ: „აქა დასრულდა კარი ამბრი არაბისა და მის ინდოსა ჭაბუკისა და არაბეთსა შესვლისა, და დაუსრულებელ ყვნეს ღმერთმან სუფევა და გამარჯვება მეფობისა თქვენისა...“ (იქვე, 192), რაც მეორე სვლის დასრულების შესახებ ამცნობს მკითხველს.

მესამე სვლა კომპოზიციურად დანაწევრებულია და მასში ერთიანდება ორი ამბავი: „ტილისმათა ამბავი“ და „სეფედავლე დარისპანისძისა ამბავი“. მართალია, ამ კარების მთავარი მოქმედი პირი ამირანი არ არის, მაგრამ თითოეული ამბავი ამირანთან მაინც იკვეთება.

ამრიგად, „ამირანდარეჯანიანში“ გამოიყოფა სამი სვლა: პირველი სვლა საკუთრივ ამირან დარეჯანისძის ირგვლივ კონცენტრირებული და იგი შუაში გაკვეთილია მეორე და მესამე სვლით, სვლებს შორის კავშირი ახსნილია ტექსტობრივი მასალის საფუძველზე, ხოლო მთლიანად ნაწარმოები სრულდება პირველი სვლის დასასრულით. რაკი ზღაპრის კონსტრუქცია იცნობს იმგვარ შემთხვევებსაც, როცა ორ სვლას საერთო დასასრული აქვს, შესაძლებელია საავტორო ნაწარმოების შემთხვევაში ვიმსჯელოთ სამი სვლის ერთიან დასასრულზე, რაც პასუხს სცემს „ამირანდარეჯანიანის“ კომპოზიციური ერთიანობის საკითხს.

ამდენად, „ამირანდარეჯანიანის“ ფუნქციურ ნაწილებად დაყოფამ ცხადყო, რომ თითქმის ყველა კარში მსგავსი ფუნქციური ელემენტები გამოიყოფა, რაც მთელი ნაწარმოებისთვის კანონზომიერებათა ერთიან სისტემაზე მიუთითებს. ფუნქციათა გადანაწილებამ სამოქმედო სივრცის მიხედვით და ცალკეული სვლების გამოვლენამ კი ნათელი მოჰფინა ტექსტის კომპოზიციური ერთიანობის საკითხს. როგორც უკვე კვლევაში დადასტურდა, „ამირანდარეჯანიანში“ გამოიყოფა სამი სვლა: პირველი სვლა, რომელიც იყოფა ორ ნაწილად და მეორე და მესამე სვლები, რომლებიც პირველი სვლის ფარგლებშია მოქცეული. მას შემდეგ, რაც ნაწარმოებში გამოიყო ურთიერთდაკავშირებული სვლები, ჯადოსნური ზღაპრის მოდელის მაგალითზე გა-

ირკვა, ტექსტი ერთი ზღაპრის შემცველია თუ ორზე მეტის. პროპის კონცეფციის მიხედვით: „ერთი ზღაპარი გვაქვს იმ შემთხვევაში თუ იგი მხოლოდ ერთი სვლისგან შედგება ან მოიცავს ორ სვლას, რომელთაგან ერთი დადებითად სრულდება, მეორე კი უარყოფითად ან სვლებია გასამმაგებელი“ (პროპი 1984, 136). რაკი „ამირანდარეჯანიანი“ გასამმაგებელი სვლის მოდელზეა აგებული და სამივე ამ სვლას ერთი დასასრული აქვს, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი მთლიანობაში ერთი ზღაპრის შემცველია და არა რამდენიმე სრულად დამოუკიდებელი ნაწილისა.

დამოწმებანი

ბარამიძე, ალექსანდრე. 1932. *ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ამირანდარეჯანიანი, ვისრამიანი, ვეფხის-ტყალსანი, ქილილა და დამანა*. ტფილისი: სახელმწიფო გამომცემლობა.

ბარამიძე, ალექსანდრე. 1945. *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის პროგრამა: პედაგოგიური ინსტიტუტების ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტების ენისა და ლიტერატურის სპეციალობისათვის*. თბილისი: სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა.

იმედაშვილი, გაიოზ. 1966. „ამირანდარეჯანიანი“, წიგნში: *ქართული ლიტერატურის ისტორია*. ტ. 2. რედ. ალექსანდრე ბარამიძე, 1-110. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კეკელიძე, კორნელი. 1958. *ქართული ლიტერატურის ისტორია*. წ. 2. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კეკელიძე, კორნელი. 1987. *ქართული ლიტერატურის ისტორია*. ტ. 2. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მამაცაშვილი, მაია. 1999. „ამირანდარეჯანიანის“ უანრის საკითხისათვის.“ *მრავალთავი* 18: 351-361.

პროპი, ვლადიმირ. 1984. *ზღაპრის მორფოლოგია*. თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო მარიამ კარბელაშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

სიხარულიძე, ნათია. 2007. „ამირანდარეჯანიანის“ კომპოზიციის შესახებ.“ *გელათის მეცნიერებათა აკადემიის ყურნალი* 1: 35-46.

ხონელი, მოსე. 1967. „ამირანდარეჯანიანი“. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლილი ათანელიშვილმა. თბილისი: ლიტერატურა და ხელოვნება.

ხონელი, მოსე. 1896. „ამირანდარეჯანიანი“. გამოსაცემად მოამზადა ზაქარია ჭიჭინაძემ. ტფილისი: მ. შარაძის და ამხანაგობის სტამბა.

ხონელი, მოსე. 1939. „ამირან-დარეჯანიანი“. გამოსაცემად მოამზადა სარგის კაკაბაძემ. თბილისი: სახელგამი, მხატვრული ლიტერატურის სექტორი.

ხონელი, მოსე. 1949. *ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია II*. შემდგენელი ს. ყუბანეიშვილი. თბილისი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა და სტამბა.

Март, Николай. 1895. Персидская национальная тенденция в грузинском романе *Амирандареджаниани*. *Журнал Министерства Народного Просвещения* 6: 352-365.

The Narrative Structure of Amiran-Darejaniani in Light of Vladimir Propp's *Morphology of a Folktale*

Abstract

This article examines one of the most significant works of Georgian secular literature from the Classical Age, *Amiran-Darejaniani* (attributed to Mose Khoneli), through the lens of Vladimir Propp's 1928 research titled *Morphology of Folktale*.

According to the established opinion, *Amiran-Darejaniani* is regarded as a collection of individual stories centered around the main character of the story, Amiran Darejanidze. Using Propp's structural framework, this article aims to prove the compositional unity of *Amiran-Darejaniani*.

Propp's work is dedicated to researching the poetics and internal structure of magical folktales. This article applies his methodology to the composition of *Amiran-Darejaniani*, examining how the individual stories merge, and analyzing the functions of the protagonists. However, since *Amiran-Darejaniani* is not a folktale but a literary work, the article also touches upon the peculiarities of this literary text in comparison to a folk narrative.

გამომხატულება RESPONSE

მერაბ ლალანიძე

საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო

merabghaghanidze@yahoo.com

DOI: 10.32859/kadmos/16/183-197

არაქართველი მქადაგებლის ქართულ ქადაგებათა კრებული

უცნობი ავტორი, *წმინდა წერილის სწავლებანი ქართულ ენაზე*, I, გამომცემლები: ნინო დობორჯგინიძე, მაია დამენია, თამარ ჭეიშვილი, ანა ჭკუასელი, თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2024, 206 გვ.

უცნობი ავტორი, *ქადაგებანი ქართულ ენაზე*, II, გამომცემლები: ნინო დობორჯგინიძე, მაია დამენია, თამარ ჭეიშვილი, ანა ჭკუასელი, თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2024, 600 გვ.

ახლახან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა ორ წიგნად გამოსცა ქართულად დაწერილ ბიბლიურ განმარტებათა და ქადაგებათა კრებული. ამ ტექსტების ხელნაწერები, ორ ცალკეულ შენაკრებად, მქადაგებლის მითითების გარეშე, ამჟამად ინახება კაპუცელთა ორდენის მთავარ არქივში (Archivio Generale Cappuccini), რომში. ეს სწავლებანი, როგორც ჩანს, თავდაპირველად, წარმოითქვა მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, არაქართველი მოძღვრის მიერ, ქართველ კათოლიკე მორწმუნეთა წინაშე. გამოცემის წინათქმაში, გამომცემელთა მიერ, გამოთქმულია ვარაუდი, რომ მათი ავტორი უნდა იყოს იტალიელი მისიონერი, ბერნარდინო და მალიანო.

მას შემდეგ, რაც ორ საუკუნეზე მეტი ხნის ნაწერების ესოდენ მოზრდილი ნაკრები (ბიბლიური განმარტებანი მოიცავს ოცდაერთ ტექსტს, ხოლო ქადაგებათა რაოდენობა სამოცდაექვსია), წიგნებად დაბეჭდვის შემდეგ, ადვილად ხელმისაწვდომი გახდა მკვლევართათვის, უთუოდ წამოიჭრა აუცილებლობა, გაირკვეს გამოქვეყნებული ტექსტების მნიშვნელობა და ღირებულება, – მთლიანად თუ ცალკეულად; ნამდვილად საჭიროა, მიეჩინოს მათ შესაბამისი ადგილი არა

მარტო ქართულ ჰომილეტიკურ მემკვიდრეობაში, რომელიც მოიცავს სასულიერო შინაარსის ქადაგებათა მრავალსაუკუნოვან დანატოვარს, არამედ, ასევე, ეროვნულ ისტორიაში, ეკლესიის ისტორიაში, საჯარო ცხოვრებისა თუ კულტურის ისტორიაში, ინტელექტუალურ ისტორიაში; ამასთანავე, უეჭველად ნაყოფიერი იქნება მათი საგანგებო შესწავლა ლინგვისტიკური, ლიტერატურისმცოდნეობითი თუ ეთნოლოგიური თვალსაწიერიდან.

ზოგადად, ქადაგებას თუ ბიბლიური მონაკვეთების ზეპირ განმარტებას, – ერთსაც და მეორესაც, – სათავე ედება ქრისტიანობის აღმოცენებისთანავე, ანუ იესო ქრისტეს მოღვაწეობიდან, რასაც აგრძელებდნენ მისი მოწაფეები, მოციქულები, რომლებიც ეფუძნებოდნენ იესოსეულ მოწოდებას: “წარვედით ყოველსა სოფელსა და უქადაგეთ სახარებაჲ ესე ყოველსა დაბადებულსა” (წმიდა მარკოზ მოციქულის სახარება, 16:15).

შემდგომი დაწესებით, ქრისტიანული ქადაგება, საერთოდ, არის სასულიერო პირის მიერ წარმოთქმული სიტყვა, რომელიც წარმოადგენს და განმარტავს ქრისტიანული მოძღვრების არსს და, ამასთანავე, მოუწოდებს მორწმუნეებს ქრისტიანული ზნეობის დასაცავად¹.

კათოლიკურ საეკლესიო ცხოვრებაში მქადაგებლობას განსაკუთრებული, ახალი სუნთქვა შესძინა წმიდა დომინიკემ (გუზმანი; 1170-1221) და მის მიერ დაარსებულმა საძმომ – მქადაგებელთა, ანუ დომინიკელთა ორდენმა (Ordo Praedicatorum), რომელმაც ამოცანად დაისახა ქადაგების წარმოსათქმელად (და ამ გზით ქრისტიანული სარწმუნოების განსამარტავად, განსამტკიცებლად, გასავრცელებლად) სამღვდელო პირთა საგანგებო მომზადება არა მარტო სულიერად, არამედ, ასევე, ინტელექტუალურად, – თეოლოგიური საუნივერსიტეტო წრთობით² (ღირსშესანიშნავია, რომ სწორედ დომინიკელთა ორდენის წევრები აღმოჩნდნენ ლათინური წესის კათოლიკობის უპირველესი შემომტან-დამამკვიდრებელნი საქართველოში, ხოლო კათოლიკურ საეპისკოპოსო კათედრას, ტფილისში, მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე სა-

1 ქადაგების ისტორიის მოკლე მიმოხილვა ადრეულ თუ გვიანდელ ქრისტიანულ ტრადიციაში: Hermigild Dressler, “History of Preaching, I”, *New Catholic Encyclopedia*, 2nd ed., Vol. 11, Detroit/New York [etc]: Thomson/Gale, 2003, p. 606-615; ღირებული, მრავალმხრივი კვლევითი კრებული შუასაუკუნეობრივ ქადაგებათა შესახებ: *Speculum Sermonis: Interdisciplinary Reflections on the Medieval Sermon*, Ed. by Georgiana Donavin, Cary J. Nederman, Richard Utz, Turnhout: Brepols, 2004, –განსაკუთრებით ფართოდ და საფუძვლიანად: Leo Carruthers, “The Word Made Flesh: Preaching and Community from the Apostolic to the Late Middle Ages”, p. 3-27.

2 წმიდა დომინიკესა და დომინიკელებთან დაკავშირებით უახლესი წიგნებიდან: Richard Finn, *Saint Dominic and the Order of Preachers*, London: Catholic Truth Society, 2016; Donald J. Goergen, *Saint Dominic: The Story of a Preaching Friar*, New York: The Paulist Press, 2016.

უკუნეების განმავლობაში, დაწყებული პირველი ეპისკოპოსიდან, უმთავრესად დომინიკელები მართავდნენ³).

კათოლიკური რეფორმაციის შემდგომ, ტრიდენტის კრების (1545-1563) დადგენილებათა შესაბამისად, ქადაგება გახდა საზეიმო თუ რიგითი კათოლიკური ლიტურგიის აუცილებელი ნაწილი⁴.

რაც შეეხება ადგილობრივ ტრადიციას, ქართული ჰომილეტიკური მემკვიდრეობა, რომელიც უმეტესწილად მოიცავს პატრისტიკული ეპოქის ბერძნულენოვანი ავტორების, – წმიდა მამათა და მოძღვართა, – მიერ წარმოთქმულ და ჩაწერილ ქადაგებათა თარგმანებს, ის არა მარტო შთამბეჭდავად მრავალრიცხოვანია ძველი საქართველოს წერილობითს ტექსტებს შორის (არაერთი “მრავალთავის” ძირითად ბირთვს სწორედ ჰომილეტიკური ტექსტები შეადგენს), არამედ, თვით ეროვნულ ავტორთა მხრივ, ქრონოლოგიურად თვალსაჩინოდ ხანგრძლივიც აღმოჩნდა: იოანე ბოლნელით დაწყებული, მეათე საუკუნის დასაწყისიდან, ამბროსი მიქაძე-ნეკრესელით დამთავრებული, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან⁵ (თუმცა უნდა ითქვას, რომ ტრადიციის ხილული წყვეტა, ფაქტობრივად, არც შემდგომ შეიმჩნევა). ქართველ მქადაგებელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა სულხან-საბა ორბელიანი, რომელსაც ეკუთვნის ქადაგებათა მოზრდილი კრებული, – “სწავლანი”⁶.

3 მიქელ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიტგან ვიდრე XX საუკუნემდე*, ტფ., 1902, გვ. 28-68; მიხეილ თამარაშვილი, *ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე*, რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზაზა ალექსიძემ და ჯუმბერ ოდიშელმა, თბ.: კანდელი, 1995, გვ.496-506.

4 ლიტურგიული ჰომილეტიკის შესახებ: *Guerric DeBona, Fulfilled in Our Hearing: History and Method of Christian Preaching*, New York/Mahwah, New Jersey: Paulist Press, 2005, p. 78-124.

5 მიმოხილვით-ბიბლიოგრაფიული მასალები ქართული ჰომილეტიკის შესახებ: კორნელი კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*: ორ ტომად, ტომი პირველი, თბ.: მეცნიერება, 1980, გვ. 551-558; ენრიკო გაბიძაშვილი, *ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები: ბიბლიოგრაფია*, 3: ჰომილეტიკა, თბ., 2009; ნინო მელიქიშვილი, მანანა მაისურაძე, “ქართული ნათარგმნი და ორიგინალური ჰომილეტიკური ლიტერატურა”, წგ-ში: *ნარკვევები ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიიდან*, I, თბ.: აღმსარებელი, 2012, გვ. 263-598; ენრიკო გაბიძაშვილი, *ძველი ქართული ორიგინალური სასულიერო მწერლობა და თხზულებათა დარგობრივი ბიბლიოგრაფია*, თბ.: თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამ-ბა, 2015, გვ. 139-244.

6 სულხან-საბა ორბელიანი, *თხზულებანი*: ოთხ ტომად, ტომი III, თბ.: საბჭოთა საქართველო, 1963, გვ. 19-223; საგანგებო გამოკვლევები კრებულისა და მისი ჩამოყალიბების შესახებ: ივანე ლოლაშვილი, *სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან (1698-1713)*, თბ.: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამ-ბა, 1959, გვ. 45-103; ელისო კალანდარიშვილი, *ქრისტიანული მქადაგებლობა და სულხან-საბა ორბელიანის ჰომილიები*, თბ.: უნივერსალი, 2005.

ამჟამად გამოქვეყნებულ სწავლება-ქადაგებათა ავტორი, მქადაგებელი, რომელიც მორწმუნე კათოლიკეთა საკრებულოს მიმართავს, იმთავითვე მიჯნავს ქადაგებას “წმიდა წერილის სწავლებისაგან; ანუ ცალკეული ბიბლიური მონაკვეთების განმარტებისაგან: “ამას იქით, კვირას საღამოს, ქადაგების მაგიერათ, ორ-ორი სამღთო წერილის სიტყვანნი მინდა გითარგმანო” (I, 3)⁷. აშკარად ჩანს, რომ ქადაგებათა ჩვეულებრივ მოსმენას, – როგორც წირვის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს, – ხან ემატება ან ანაცვლებს სწავლებანი წმიდა წერილის განსამარტავად, რაც იმას მეტყველებს, რომ ეკლესიაში მყოფთათვის აუცილებელი და ჩვეულებრივი იყო (ან უნდა ყოფილიყო) ბიბლიის ცოდნაც და მისი გონიერი გააზრებაც (ხელნაწერი, რომელიც, როგორც ჩანს, ნაკლულია, მოიცავს მხოლოდ ერთი ბიბლიური წიგნის, – ძველი აღთქმისეული მეფეთა პირველი წიგნის, – განმარტებებს).

მაგრამ, რაკი მოძღვარი ეკლესიის შვილებს მოუწოდებს, რომ “უნდა გაძლიერდეთ მხურვალეს ლოცვებითა, მარხვითა, სამადლოთი, წმიდა ფიქრებითა და ხშირის განდობითა; არ უნდა იყაბულოთ, ვითარმედ მარტო წაიკითხოთ ზოგერთი წმიდა წიგნი, თქვათ ზოგერთი სავარდი და ისმინოთ ზოგერთი ქადაგება” (I, 160-161), ცხადად ჩანს დამოკიდებულება, რომ კათოლიკისათვის სრულებით არაა საკმარისი (“საყაბულო”) მხოლოდ კითხვა, ლოცვის თქმა⁸ და ქადაგების მოსმენა. ამ საქმეთა გარდა და მათს გვერდით, აურიდებელია სხვა ქრისტიანული სიქველევების აღსრულება, – გამოკვეთილადაა განმარტებული, რომ მორწმუნე ადამიანის ცხოვრება მთლიანი უნდა იყოს და მისი ყოველი ნაწილი არსებითია: მარხვისა და ქველმოქმედების (“სამადლოს ქმნა”), განაზრებისა (“წმიდა ფიქრები”) და აღსარების (“განდობა”) აუცილებელი ჩათვლით.

თავის მხრივ, ქადაგებებიდან ნათლად გამოსჭვივის, რომ საკრებულოს წევრთათვის ცნობილია, თუ როგორი უნდა იყოს სანიმუშო კათოლიკის ცხოვრება ან კათოლიკის სანიმუშო ცხოვრება. ამიტომაც ისმის მოწოდებად, რომ მათ, ხსნის მოსაპოვებლად, ამ ნიმუშთან შესაბამისად უნდა იცხოვრონ: “კარგს კათოლიკესავით იცოცხლოთ და ცხონდეთ” (II, 422), თუმცა გაცნობიერებულია ისიც, რომ ამგვარი მიზანი ყოფითს გარემოში უმეტესად ირღვევა: “ცოტანი არიან ისინი, რომელნი კარგს კათოლიკესავით ცოცხლობენ” (II, 435). ამავ დროს, ყოველი ქრისტიანისათვის უმთავრეს სიქველედ რჩება მოყვასის (“ამხანაკის”) სიყვარული, რასაც ბევრი მათგანი ივიწყებს: “კარგათ

7 ტექსტები დამოწმებულია ციტატის მოყვანისთანავე, ტომისა და გვერდის მითითებით; პუნქტუაცია შესწორებულია თანამედროვე წესების მიხედვით.

8 დასახელებულია “სავარდის” საგანგებო ლოცვა (“გიხაროდენ, მიმადლებულო მარიამ” – “Ave, Maria, gratia plena”), რომლის ყოველდღიური წარმოთქმა აუცილებელია კათოლიკისათვის.

ვიცი, რომ მრავალის კათოლიკების გულისაგან ამხანაგის სიყვარული სრულიათ გამორებული არის” (II, 501), რის გამო “ზოგერთის გულში სარწმუნოება კინალამ მკუდარი არის” (II, 501).

შესაბამისად, ქადაგებანი შეაგონებს მორწმუნეებს, რომ სულაც არაა საკმარისი კათოლიკედ ყოფნა (რაც მათ თუნდაც ბუნებრივად განაშორებდეს ეგრეთ წოდებულ “მწვალებელთაგან”), არამედ მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია, იყვნენ ისინი კარგი კათოლიკეები: “სარწმუნოება, რომლითა გრწამსთ, რომ დესო ქრისტე, მართლათ იყოს წმიდა ზიარებაში, იქს, რომ თქვენ კათოლიკეები იყოთ და გაყოფილნი იყოთ მწვალებელთაგან, მაგრამ სარწმუნოება, რომელი იქს, რომ თქვენ ირწმუნოთ და ჰქნათ კარგი საქმენნი, არათუ მარტო იქს, რომ კათოლიკეები იყოთ, მაგრამაც კარგი კათოლიკეები იყოთ” (II, 278).

მქადაგებელი არწმუნებს მსმენელებს, რომ ამქვეყნად არსებული განსაცდელი ადამიანთა ცოდვის შედეგია (ამ შემთხვევისასაც, იგი სავსებით მისდევს ქრისტიანულ მოძღვრებას), რისი დადასტურება მოიპოვება ბიბლიურ წიგნებში (აქვე გახმიანდება მორიგი მოწოდება მათს წასაკითხავად): “წაიკითხეთ წმიდა წერილი, რომ უთუოთ იპოვნით, რომ სულ დამარცხება და უბედურობა, რომლითა ღმერთმან გაუწყრა ადამიანებსა, სულ გამოსულა ადამიანების ცოდვებისათვის” (II, 497). სამყაროს სურათი კი შემადრწუნებელია, რადგან ირგვლივ ვარაძს დაუსადგურებია: “ყოველგან დამარცხება იპოვება; ცხადათ ბედნიერობა აღარ არის; მრავალი სახლებში სხვა არ იპოვება, თუ არ ღარიბობა და დაღონება; კინალამ ყოველგან შიმშილობა და ძვირობა მუდამ მოემატება; მიწისძვრა ჩაღუპავს ბევრს ქალაქებს და სოფლებსაც; ჟამის ჭირი წაახდენს ბევრს ქვეყანას; სეტყვა აქცევს სულ მინდორის ხილსა; ომი საშინელათ აენტება და აავსებს მინდორსა კათოლიკების სისხლითა” (II, 496). არაა ადვილი, დაუეჭვებლად განისაზღვროს, რატომაა დასახლებული ომის მსხვერპლთა შორის მხოლოდ და მხოლოდ კათოლიკენი, მაგრამ სავარაუდოა, რომ მქადაგებელი აღიარებს კათოლიკეთა საგანგებო პასუხისმგებლობას სამყაროსეულ შეჭირვებათა წინაშე და, შესაბამისად, კათოლიკური საკრებულოს წევრებს მოაგონებს, რომ სწორედ მათ მოუწევთ, საკუთარ თავზე იწვნიონ ნაცვალგების კანონზომიერება.

ღმრთისმსახურებაზე მყოფ მორწმუნეებს მქადაგებელი განუხრელად აუწყებს ქრისტიანული თავისუფლების და, შესაბამისად, ადამიანის მიერ არჩევანის გაკეთების შესაძლებლობის არსს, – რომ არჩევანის გაკეთება მთლიანად, სრულიად კერძო ადამიანის ხელთაა: “დესო ქრისტე არავის ძალს არა ატანს, რომ იაროს ვიწრო გზაზე იმასთანა

და არც ეშმაკი არავის ძალს არა ატანს, რომ წავიდეს იმასთა⁹ განიერს გზაზე; აბა, ყოველი თავის ნების პატრონი არის და როგორც უნდა და ეამება, ისრე შეუძლია წასულა ანუ ერთზე, ანუ მეორეს გზაზე” (II, 426). ამგვარი მსჯელობა, რა თქმა უნდა სწორედ კათოლიკურია და სრულიად გამორიცხავს, უპირისპირდება წინასწარგანსაზღვრულობის (praedestinatio) პროტესტანტულ-რეფორმაციულ სწავლებას¹⁰.

აღსანიშნავია, რომ ქადაგებებში მკაფიოდ გასაგონია არა მარტო მოსალოდნელი შეგონება მორწმუნეთა მიმართ, მათ მიერ ქრისტიანულ მცნებათა აღსასრულებლად, მათი ზნეობრივი ცვლილებისაკენ, ზნეობრივი განწმედისა და ამაღლებისაკენ, მუდმივი სულიერი ზრდისაკენ, არამედ გაცხადებულად ისმის მოხმობა, საყოველთაო მოწოდება წმიდანობისაკენ, – რომ ყოველ ადამიანს აქვს მინიჭებული შესაძლებლობაც და მოვალეობაც, გახდეს წმიდანი, – რაც კათოლიკური მოძღვრების ერთ-ერთი საფუძველია: “არათუ მარტო შეგვიძლია, რომ დიდი წმიდანნი შევიქნათ, რაგინდ დიდი ცოდვილნი ვიყოთ, მაგრამაც რომ ვალი გვაქვს, რომ დიდი წმიდანნი შევიქნათ” (II, 441).

ბუნებრივია, კათოლიკე მღვდელმსახურს არ აეჭვებს კათოლიკური სარწმუნოების სრული ჭეშმარიტება, მაგრამ, როგორც ჩანს, მისთვის მტკივნეული აღმოჩენილა ბრალდება, – რაც, ალბათ, მას ქრისტიანობის ბიზანტიური შტოს და, კერძოდ, ქართული ეკლესიის წარმომადგენელთა მხრივ ესმოდა, – რომ მართლმადიდებელი სარწმუნოების ოდინდელი, ურყევი მიმდევარნი სწორედ ისინი და მხოლოდ ისინი არიან, ხოლო კათოლიკეებმა დათმეს თავდაპირველი მოძღვრება ან, კიდევ მეტი, ხელახლა შექმნეს რაღაც ახალი სარწმუნოება თუ სწავლება. ამ თვალსაზრისს, გარემოს გათვალისწინებით, მქადაგებელი შეაგებებს საკუთარ მტკიცე რწმენას, რომელიც, ზოგადად, კათოლიკე ეკლესიის მოძღვრებას ეფუძნება, რომ კათოლიკური სარწმუნოება, რომელსაც ქრისტიანობის რომაული შტო წარმოადგენს, სწორედაც უძველესი და პირვანდელი ქრისტიანობაა: “წმიდა კათოლიკე სარწმუნოება ასწავლის, და ეს სარწმუნოება ერთი ახალი სარწმუნოება არ არის, როგორც ზოგნი უმეცარნი იტყვიან, მაგრამ ერთი დიად ძველი სარწმუნოება არის” (II, 217).

აღიარებულია, რომ ერთ-ერთი უმთავრესი განსხვავება თუ განხეთქილება, – საუკუნეთა წიად, – ამ ორი შტოს ქრისტიანთა შორის, შეეხება საიქიო ცხოვრების დაყოფა-დანაწილებას: თუ ბიზანტიური შტო მიწიერი ცხოვრების მიღმა მხოლოდ სამოთხესა და ჯოჯოხეთს აღიარებს, რომაული შტო ამტკიცებს მათ შორის, ასევე, განსაწმედ-

9 სავარაუდოდ, უნდა იყოს: “იმასთან”.

10 იხ. A. G. Palladino, “Predestination”, *New Catholic Encyclopedia*, 2nd ed., Vol. 11, p. 647-657.

ლის (იგივე სალხინებლის) არსებობას¹¹. ქადაგებათა ავტორის, – ბუნებრივად, კათოლიკური მოძღვრების მიმდევრის, – სიტყვებით, “განსაწმედელი უეჭველათ არის” (II, 217), ხოლო ეს “ჭეშმარიტება სულ კათოლიკებთ ჰრწმენენ” (II, 218)¹². მქადაგებელი ამგვარად აღწერს განსაწმედელში მყოფ გარდაცვლილთა სულიერ მდგომარეობას (რომელიც არაა მუდმივი, – ჯოჯოხეთისა და სამოთხისაგან განსხვავებით) და, ამ მდგომარეობაში ყოფნისას, ცოდვებისაგან მათს ცეცხლისმიერ განწმენდას: “თუ ის ცეცხლი ტანჯავს და აწამებს მათ, ამას იქს, რათა ჩკარათ გაიწმინდონ და გამოვიდნენ იმ სატანჯველების ადგილისაგან” (II, 260); მაგრამ, ამასთანავე, იგი მიმართავს მორწმუნეებს და შეახსენებს მათს მოვალეობას გარდაცვლილთა, – განსაწმედელში მყოფთა, – მიმართ: “თუ თქვენ მოწყალენი იქნებით იმ სულეზბედა, როგორც დავალებულნი ხართ და სულ თქვენის ძალითა უშველით მათ, რათა ჩკარად გამოვიდნენ იმ საშინელის ცეცხლისაგან და მივიდნენ სასუფეველის დიდებაში, თქვენ კურთხეულნი იქნებით ღმერთისაგან ამ ქვეყანაში და თქვენის სიკუდილის უკან თუ მიხვალთ განსაწმედელში, ღმერთი იქს, რომ ცოცხალთა გიშველონ და ასრე ადრე გიხსენს თქვენის სატანჯველებთაგან და წაგიყვანს სასუფეველში თავის ღმერთიურის სახიერების სალხინებმად¹³, რომ ღმერთმან გაღირსოსთ” (II, 260-261). ამგვარად, სწორედ განსაწმედლის სინამდვილეს ეფუძნება მიცვალებულთა სულეზბისათვის ცოცხალთა ლოცვის არა მარტო საზრისიანობა, არამედ საჭიროებაც. ამქვეყნად მყოფმა არასოდეს იცის, სად იმყოფება იმქვეყნად მყოფი (გარდა წმიდანებისა), მაგრამ სწორედ ამის გამო ლოცვას იმსახურებს ყოველი გარდაცვლილი, რომელიც, შესაძლოა, რომ სწორედ განსაწმედელში იმყოფებოდეს. კიდევ, თვალნათლივ მჟღავნდება კათოლიკური ნაცვალგების წესი: ვინც ილოცებს განსაცდელში მყოფთათვის, ილოცებენ მისთვისაც, როცა იგი განსაცდელში აღმოჩნდება.

11 შდრ. სულხან-საბა ორბელიანი: “განსაწმედელი – რომელი არს სალხინებელი, სადა არს მონანულთა ცოდვილთა სულთა სამყოფი” – სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, თბ.: მერანი, 1991, გვ. 141; ნიკო ჩუბინაშვილი: “განსაწმედელი (სულთა ცოდვსაგან, ჰაზრისაებრ პაპისტთასა)” – ნიკო ჩუბინაშვილი, *რუსულ-ქართული ლექსიკონი*, II, თბ.: საბჭოთა საქართველო, 1973, გვ. 648; მერაბ ლალანიძე, “სულხან-საბა ორბელიანი და კათოლიკე ეკლესიის მოძღვრება”, *წგ-ში: მერაბ ლალანიძე, ლიტერატურა, კულტურა, რელიგია*, 2/1, თბ.: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2021, გვ. 45-49.

12 განსაწმედლის შესახებ: Reginald Garrigou-Lagrange, *Life Everlasting and the Immensity of the Soul: A Theological Treatise on the Four Last Things: Death, Judgment, Heaven, Hell*, Rockford: Tans Books and Publishers, 1991, p. 147-201 (ფრანგული ორიგინალი: Reginald Garrigou-Lagrange, *L'Éternelle vie et la profondeur de l'âme*, Paris: Desclée, de Brouwer, 1949); Helmut Vordermayer, *Die Lehre vom Purgatorium und die Vollendung des Menschen: Ein moraltheologischer Beitrag zu einem umstrittenen Lehrstück aus der Eschatologie*, Innsbruck: Tyrolia, 2006.

13 სავარაუდოდ, უნდა იყოს: “სალხინებლად”.

კიდევ, მქადაგებელი აცხადებს, რომ იესო ქრისტეს აღდგომისას, მაცხოვარმა მართალთა სულები ამოიყვანა არა ჯოჯოხეთიდან, არამედ სწორედ განსაწმენდილიდან, ხოლო ამ თვალსაზრისს აფუძნებს დასავლური ეკლესიის მოძღვართა გამონათქვამებზე: “წმიდა გრიგოლი პაპი, წმიდა აგვისტინე და წმიდა ანსელმე იტყვიან, ვითარმედ, როდის იესო ქრისტე მკუდრეთით აღდგა, სულ განსაწმენდელის სულები დაიკვნა” (I, 31).

აღსანიშნავია, რომ ბიბლიურ მონაკვეთთა განმარტებისას თუ საზოგადო ქადაგებისას, მსჯელობა ემყარება როგორც წმიდა წერილს, ასევე განსჯითს, ლოგიკურ დასაბუთებასაც. ერთგან, – თუნდაც, კერძო საღმრთისმეტყველო საკითხის განხილვისას, – გაცხადებულია სწავლების ზოგადი საფუძველი: “საძირკველი ორი არიან: ერთი არის სამღთო წერილის მოწმობა და მეორე არის ჭკუიანობის საბუთი” (I, 38). ამდენად, მღვდელმსახური ამჯერადაც ეფუძნება კათოლიკურ მოძღვრებას და გამოირიცხავს სარწმუნოების ერთადერთ საფუძვლად ბიბლიური წიგნების – წმიდა წერილის აღიარებას (პროტესტანტული: “Sola scriptura”), რადგან მისთვის, როგორც კათოლიკისათვის, ღირებული და აუცილებელია არა “მხოლოდ”, არამედ “და” (et)¹⁴.

ამავე დროს, მეტად შესამჩნევად, მსჯელობათა ბურჯად თუ საბუთად მოხმობილია წმიდა მამათა და ეკლესიის მოძღვართა (Doctores Ecclesiae) განსჯანი, რაც უჩვეულო არაა, ზოგადად, ჰომილეტიკისათვის, რომელიც წინამორბედთა დამოწმება-მითითებას ეყრდნობა ხოლმე, მაგრამ ამ შემთხვევისას, განსაკუთრებული ისაა, რომ, ქართულად წმიდა წერილის განმარტებისას თუ ქადაგებისას, ქართულ გარემოში შემოდის არა მარტო აღმოსავლეთის საქრისტიანოს მამები (რაც ჩვეულებრივი იყო საუკუნეთა განმავლობაში): იოანე ოქროპირი¹⁵, კირილე ალექსანდრიელი (“ჩირილლო ალესანდრიელი” – II, 412), დიონისე არეოპაგელი (“დიონისიო არეოპაჯითელი” – II, 16), იოანე დამასკელი, არამედ, ასევე, დასავლეთის საქრისტიანოს მამები: ირინეოსი, ამბროსი, იერონიმე, ავგუსტინე (“ავგუსტინე” – II, 262; II, 428; II, 436), გრიგოლ დიდი, ისიდორე, პეტრე დამიანელი, ანსელმე, ბერნარდე, ბონავენტურა (“ბონავენტურა” – II, 36, 275, 513), ხოლო, მათ შორის, განსაკუთრებით ხშირად, თომა აკვინელი: “ასრე იტყვის

14 კათოლიკური “და”-ს მნიშვნელობის შესახებ: Hans Urs von Balthasar, *Der antirömische Affekt: Wie lässt sich das Papsttum in der Gesamtkirche integrieren?*, Freiburg: Verlag Herder KG, 1974, S. 248-253 (ინგლისური თარგმანი: Hans Urs von Balthasar, *The Office of Peter and the Structure of the Church*, San Francisco: Ignatius Press, 1986, p. 301-307).

15 სხვათა შორის, ნიშნულია, რომ იოანე ოქროპირის მოღვაწეობის ქალაქად დასახლებულია არა კონსტანტინოპოლი, არამედ სტამბოლი, როგორც ერქვა უკვე ოსმალეთის დედაქალაქს, მქადაგებლის ხანაში: “წმიდა ოქროპირი ქადაგობდა სტამბულის ქალაქში” (II, 446).

წმიდა თომა აქვინელი” (I, 82), “ასრე ბაასობს წმიდა თომა აქვინელი” (I, 83), “წმიდა თომა აქვინელი პასუხებს და იტყვის” (I, 155), “იტყვის წმიდა თომა აქვინელი” (II, 15,16), “ასრე იტყვიან წმიდა მამანი და მეტადრე წმიდა თომა აქვინელი” (II, 147) და ა. შ. საკითხი, რა თქმა უნდა, საგანგებო ძიება-გამოკვლევას საჭიროებს, მაგრამ შესაძლოა ითქვას, რომ საქმე გვაქვს წმიდა თომა აკვინელის ერთ-ერთ პირველ წერილობით ხსენებასთან და მითითებასთან ქართულად. არაა გამორიცხული, ჩაღრმავებული შესწავლის შედეგად აღმოჩნდეს, რომ დამოწმებისას მქადაგებელი თარგმნის კიდევ ქართულ ენაზე ცალკეულ ნაწილებს წმიდა თომას თხზულებათაგან (ისევე, როგორც სხვა ღმრთისმეტყველთა ნაწერებიდან).

გასათვალისწინებელია, რომ, კერძოდ, იმ დროისათვის, მეთვრამეტე საუკუნის მიწურულისათვის, როცა წარმოითქმებოდა და იწერებოდა ეს სწავლებანი თუ ქადაგებანი, კათოლიკე ეკლესიის მოძღვრებად (დოქტორებად) გამოცხადებული იყო თხუთმეტამდე მამა, მათ შორის, ძველი ეკლესიის დროიდან – ოთხი აღმოსავლელი და ოთხი დასავლელი მამა¹⁶ (დასახელებულთაგან, კირილე ალექსანდრიელი და იოანე დამასკელი, პეტრე დამიანი და ბერნარდე კლერვოელი შეემატა მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში, ხოლო ირინეოს ლიონელი – ახლახან, ოცდამეერთე საუკუნეში).

ამას გარდა, ღირსშესანიშნავია, რომ ქადაგებათა ტექსტებში დამოწმებულია, თუმცა მკრთალად, ანტიკური სამყაროს ფილოსოფოსებიც, – ისინი, რომელთა სახელები, თითქმის ყოველთვის, გამორჩეულად ძვირფასი იყო ქრისტიანთათვის: ანაქსაგორა (“ანაზაგორა” – II, 363), პლატონი (“ვლატონე, ფილოზოფოსთა მთავარი” – II, 114), არისტოტელე (“არისტოთილე, ფილოზოფოსთა მთავარი” – II, 313), სენეკა (“სენეკე” – II, 113)¹⁷.

ისიც შესამჩნევია, რომ ქადაგებებში მაგალითებად, განსახილველად, სამსჯელოდ არაერთგზის მოყვანილია ხოლმე რომელიმე გარდასული ამბავი ევროპის სამოქალაქო ისტორიიდან თუ დასავლური ეკლესიის ისტორიიდან. ასევე, ზოგჯერ, სახელდებით დამოწმებულია ან, კიდევ მეტი, შესაძლოა, პირდაპირ ნათარგმნია მონაკვეთები ანტი-

16 ეკლესიის მოძღვართა შესახებ – ოდნავ მოძველებული, მაგრამ მაინც აქამდე მნიშვნელოვანი ნაშრომები: Bernard McGinn, *The Doctors of the Church: Thirty-Three Men and Women Who Shaped Christianity*, New York: A Crossroad Book, 1999; Christopher Rengers, *The 33 Doctors of the Church*, Rockford: Tans Books and Publishers, 2000; ამჟამად, 2024 წელს, კათოლიკე ეკლესია აღიარებს ეკლესიის ოცდაჩვიდმეტ მოძღვარს.

17 ანტიკურ ფილოსოფოსთა მემკვიდრეობის (კერძოდ, პლატონის, არისტოტელეს, სენეკას) აქტუალურობის შესახებ ქრისტიანული ტრადიციისათვის – ძველი და მოკლე, მაგრამ საფუძვლიანი და მომცველი მიმოხილვა: Christopher Dawson, *The Making of Europe: An Introduction to the History of European Unity*, Washington: The Catholic University of America Press, 2003, p. 52-67.

კურ მემატინანეთა თუ ბუნებისმეტყველთა ნაშრომების დასავლურენოვანი ვერსიებიდან (ამგვარი, არცთუ მცირერიცხოვანი ცალკეული მონაკვეთების უშუალო თარგმანის შესაძლებლობას სრულიადაც არ გამორიცხავენ ორტომეულის გამომცემლები – I, VI).

თუმცა, ამ გარემოებათა გათვალისწინებით და ამასთან ერთად, მაინც საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ მქადაგებელი მკაფიოდ მიმართავს სწორედ იმ კათოლიკეებს, რომელთათვისაც საურთიერთო ენა ქართული იყო და რომლებიც იმჟამად საქართველოში ცხოვრობდნენ, ან, უფრო ზუსტად, როგორც ტექსტებიდან ცხადად ჩანს, ტფილისში სახლობდნენ: “ჰაჲ, თიფლისელი კათოლიკებო, თიფლისელი კათოლიკებო!” (II, 31), “ღმერთი იტყვის, ჩემი თიფლისელი კათოლიკები მე დამიტივეს, რომ წყარო წყლისა ცხოველისა ვარ და საუკუნო ცხოვრებას მივსცემ მათ, რომელთ ჩემი სიყვარული აქვსთ” (II, 30), “ღმერთი ჩივის თქვენზედა: ერმან ჩემმან, იტყვის თიფლისელთ კათოლიკებთ, რომელთა უანგარიშო სიკეთე უყავი, დამიტივეს მე და შემცოდეს, და რომლისა მიზეზისათვის?” (II, 41). ნიშანდობლივია, რომ ამგვარი ხელშესახები ცხადყოფით, ღმერთი, რა თქმა უნდა, მიმართავს სწორედ ცალკეულ, ერთეულ, კონკრეტულ ადამიანებს, რომლებიც გეოგრაფიულად განსაზღვრულ ადგილას იმყოფებიან.

ტექსტების გაცნობა-შესწავლისას, ბუნებრივად წამოიჭრება შეკითხვა, მიემართება თუ არა ქართულად ნათქვამი სწავლება-ქადაგებანი ყოველთვის ერთსა და იმავე საკრებულოს თუ ისინი არა მარტო სხვადასხვა დროს, არამედ სხვადასხვა ადგილასაც წარმოითქვა, – მაგალითად, საქართველოს სხვადასხვა დასახლებაში ანდა, შესაძლოა, ტფილისის სხვადასხვა კათოლიკური თავყრილობის წინაშე. პასუხი, როგორც ჩანს, გარკვეულია, რადგან მქადაგებელი დროდადრო იმოწმებს ხოლმე ადრეულ ქადაგებებს და შეახსენებს მათ მსმენელებს, რითაც უზრუნველყოფს სწავლება-დამოძღვრის უწყვეტობას, როგორც თუნდაც ამ შემთხვევისას: “თუ მოიგონებთ, მსმენელნო, უწინდელს ქადაგებაში შეგატყობინე [...]” (II, 53).

აუცილებლად საჭიროა დახასიათდეს სწავლება-ქადაგებათა ენობრივი განზომილებაც, – რაკი ისინი ქართულად წარმოითქმებოდა და ქართულადაა დაწერილი: საგანგებო კვლევამდე, უკვე ამთავითვე, ნიშნეულია, რომ, არსებული ტექსტების გამოხატულად მდიდარი ლექსიკონისა და ორთოგრაფიულ შეცდომათა სიმცირის მიუხედავად, მათში მაინც თვალშისაცემია ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური უზუსტობანი, რაც განპირობებულია იმით, რომ მქადაგებელი და ქადაგებათა ჩამწერი, – სავარაუდოდ, ერთი და იგივე პირი, – ნამდვილად არაქართველი იყო: უცხოეთიდან ჩამო-

სული კათოლიკე მღვდელი, დადგენილი მოძღვრად ქართული კათოლიკური საკრებულოს სულიერ საჭიროებათა აღსასრულებლად.

მაგრამ არც ისაა არანაირად შეფარული, რომ მქადაგებელი არცთუ იშვიათად გამოთქვამს უკმაყოფილებასა და საყვედურს მორწმუნეთა მიმართ, მაგალითად, თუნდაც იმის გამო, რომ ქრისტიანი ახალგაზრდები სულაც არ გამოხატავენ სურვილს, იარონ ტაძარში, ჩაერთონ ღმრთისმსახურებაში და მონაწილეობა მიიღონ, როცა აღსრულდება საიდუმლონი (იქნება ეს აღსარება ან ზიარება), მიუხედავად იმისა, რომ მშობლები მათ მოუწოდებენ ეკლესიური ცხოვრებისა თუ გონიერი, თავშეკავებული ქცევისაკენ ყოველდღიურ გარემოში: “ეგების თქვენი მამანნი არ გიბრძანებენ, რომ მოხვიდეთ ლოცვაზე და წირვაზე, რომ ხშირათ გაენდოთ და ეზიაროთ? დიალ! და თქვენ რასა იქთ? ბრაზიანათ გახვალთ სახლისაგან და არათუ მარტო არ მოხვალთ ლოცვას და წირვაზე, მაგრამაც წახვალთ ბაზარში და იმ ალაგში, რომელში სულის დაკარგვის სათუო არის, და უფროსი ერთი, რაც არ უნდოდა, გექნათ, ამას შვრებით. ეგების არ გეტყვიან, რომ არ წახვიდეთ იმ ამხანაკებთანა, რომელნი ეშმაკისაგან უარესი არიან? დიალ! და თქვენ როგორ მორჩილობთ? ღმერთმან იცის!” (II, 518).

დაბოლოს, ნამდვილად საგანგებო ყურადღებას იმსახურებს, – განსაკუთრებით, ყოფის ისტორიკოსთა მხრივ, – რომ ერთ-ერთი ქადაგება ვრცლად აღწერს რიგითი, ჩვეულებრივი ქართული კათოლიკური საკრებულოს ჩვევებს, მორწმუნეთა ყოფაქცევას ტაძარში (განსაკუთრებით და დაწვრილებით, ღმრთისმსახურებისას), რაც გამონაკვეთულ, მეტყველ სურათს ხატავს ეპოქისეული ყოველდღიურობის ცხოვლად წარმოსადგენად. მოძღვარი არ ფარავს თავის გულნაკლულობას და თავს არ იკავებს მძაფრი საყვედურის გამოთქმისაგან, როცა იგი მკაცრად მიმართავს კათოლიკე მორწმუნეებს იმის გამო, თუ როგორია მათი საქციელი, თუ როგორ უჭირავთ მათ თავი, როცა ისინი საყდარში იმყოფებიან, – მით უმეტეს, მღვდლის მიერ ზიარების საიდუმლოს აღსრულებისას.

როგორც აღიარებს მქადაგებელი, მას იმედი ჰქონდა, რომ ვითარება შეიცვლებოდა, გამოსწორდებოდა, მაგრამ ყოველდღიურად, მის თვალწინ, მდგომარეობა მხოლოდ უარესდება, რის გამო იგი ამგვარად მიმართავს თავის სამწყსოს: “მე აქამდისინ, რაგინდ მინახავს ამ წმიდა საყდარში თქვენი ურიგობა, მაინც დაგწუმდი თქვენის მოქცევის იმედითა, მაგრამ ამიტომ ვხედავ ყოველდღივ, რომ, მოქცევის მაგიერათ, თქვენი ურიგობა უფრო მოემატება” (II, 522).

ღირსშესანიშნავია, რომ კათოლიკე მღვდელმსახური, შედარების მიზნით, აღწერს, თუ როგორ იქცევიან სხვა აღმსარებლობათა მიმდე-

ვარნი, – მუსლიმები, იუდეველები თუ წარმართები, – მათი საკუთარი რელიგიური რიტუალების აღსრულებებისას, რის შემდეგ, იგი დაუფარავად აცხადებს, რომ, მიუხედავად მათ მიერ აღიარებულ რწმენათა მცდარობისა, მათი დამოკიდებულება საკუთარ სატაძრო მოვალეობათა მიმართ უფრო გულისხმიერია და ნამდვილად აღსავსეა შესაბამისი მოწიწებით: “აჰ, სარწმუნოება, სარწმუნოება, სადა ხარ?! თათრები, რაგინდ ფინთნი იყვნენ, ჰურები, რაგინდ დაჟინებულები იყვნენ, და წარმართნი, რაგინდ დაბრმავებულნი იყვნენ მათი უცოდინარობისაგან, მაინც მათი სალოცავში ამდენის მორმუნებით¹⁸ და ნამუზიანობით დგებიან, რომ ჰქონიათ¹⁹, რომ ერთი დიად დიდი უპატიობა იყოს, თუ იმაში აღუყებენ, თუ იხველიან, თუ გაიზმორებენ; და კათოლიკებს, რომელნი აღვიარებენ, რომ საყდარში ჭეშმარიტი ღმერთი დგება, როგორც თავის სახლში, გულიანობა აქვსთ, რომ იმაში გაიცინონ, ილაპარაკონ და ჰქნან უარესი საქმენი? აჰ, სარწმუნოება, სარწმუნოება სადა ხარ?! აჰ, კათოლიკებო, მარტო სახელით კათოლიკებო!” (II, 524).

ნიშანდობლივია, რომ მოძღვარი საჩინოდ მიჯნავს სახელით კათოლიკეობას – საქმით თუ ცხოვრებით კათოლიკეობისაგან. მას მიანიჩნია, რომ საყდარში მოსვლა და ღმრთისმსახურებაზე დასწრება არ აქცევს ადამიანს კათოლიკედ (იგი ისევ “ურჯულოდ” რჩება!), ხოლო სარწმუნოება უნდა გამოიხატოს და დადასტურდეს ქმედითი დამოკიდებულებით: “აწ მითხარით, საყდრის შემაგინებელნო, ამისთანა საქციელი კათოლიკისა საქციელი არის ანუ ურჯულოსა? ურჯულოსა საქციელი არის და უარესი!” (II, 529-530).

საერთოდ, ამ ადამიანთა ქცევა ტაძარში, როცა ღმრთისმსახური წირვას აღავლენს, – ნებსით თუ უნებლიეთ, – გამოხატავს უპატივცემულობას იმის მიმართ, რაც იქ ხდება: “საყდარში იცინიან, ლაპარაკობენ; ძრახვენ, ვინც გადის; ვინც შედის, უყურებენ” (II, 525). კიდევ მეტი, “ზოგერთნი ჯდებიან შესაწირავის დროში; ზოგერთს თავსა ზედა ქუდი აქვსთ, როგორ თუ წვიმას, ანუ თოვლის ქვეშე იქმნებოდნენ; და ზოგერთნი სხვას არ იქმონენ, ფურთხვის გარდა. ერთი სიტყვით, საყდარში დგებიან იმგვარათ, რომ დგებიან ბაზარში. თუ ვლაპარაკობთ ჩაცმაზედა, უფრო დიდი უნამუზობა არ იპოვება, თუ არ საყდარში” (II, 528).

მღვდლის უკმაყოფილებას იწვევს ის ქალები, რომლებიც არ ავლენენ სარწმუნოებრივ მოკრძალებას, რადგან, როგორც აღწერილობიდან ჩანს, მეტისმეტად ზრუნავენ გარეგნობისა თუ ტანსაცმლის სილამაზის გამო, რითაც უგულუბელყოფენ ტაძრის მნიშვნელობას:

18 სავარაუდოდ, უნდა იყოს: “მორწმუნებით”.

19 სავარაუდოდ, უნდა იყოს: “ჰგონიათ”.

“ქალები და დედაკაცები, რომელნი მოვლენ საყდარში [...] ხატვრობითა პირზედა და ტანისამოზე, რათა აჩვენონ, რომ ლამაზი არიან [...], მაგრამ მათი სიმდიდრით და უნამუზის ტანისამოსით მასხარათ აგდებენ საყდარსა” (II, 528-529).

ყმაწვილთა მოქმედება კი, მქადაგებლის აზრით, საერთოდ, აღმაშფოთებელია, – როგორც ჩანს, ბავშვების აღსაზრდელად და მათთვის ქცევის წესების სასწავლებლად მშობლები სულაც არ ზრუნავენ: “მე არ გეტყვი, რას იქმონენ ყმარწვილები, არ გეტყვი, ამიტომ ასრე ცხადათ არის, რომ ისივე ბრმებიც ხედვენ: არათუ მარტო იცინიან, ხუმრობენ და თამაშობენ, მაგრამაც ჩქუბობენ, და უარესი რომ არის, როდის სხვანი მიდიან ტრაფეზე²⁰ წმიდა ზიარების საიდუმლოს მიგებად ხელით, და ნემსით აცდენენ და უჩხლეტენ” (II, 529).

ამგვარი აღწერილობა, სადაც ასახულია ადამიანთა ყოველდღიური ჩვევები, სულაც არაა ხშირი ქართულ წყაროებში, რაც, – კიდევ, დამატებით, – უთუოდ ზრდის ქადაგებათა ტექსტების მნიშვნელობას.

დასასრულ, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ არაქართველი მქადაგებლის ქართულ სწავლებათა და ქადაგებათა კრებული, რომელიც არაერთ ასეულ გვერდს მოიცავს, – ამჟამად უკვე გამოქვეყნებული და ხელმისაწვდომი მკვლევართათვის, – კიდევ ბევრ კვლევითს საკითხს არა მარტო წამოჭრის, არამედ გადაჭრის კიდევ. მაგრამ გამოცემას მოეპოვება არა მხოლოდ საარქივო-აკადემიური დანიშნულება, არამედ ცხოვრებისეული გამოყენების შესაძლებლობაც, რადგან ის აუცილებლად გამოადგება ყველა იმას, ვისაც ქრისტიანული მოძღვრების, – განსაკუთრებით კი, დასავლური ქრისტიანობის, – გაცნობა და მისგან სულიერი გამოცდილების შექმნა სწადია.

20 იგულისხმება: “ტრაპეზზე”

A Collection of Georgian Sermons by a Non-Georgian Preacher

Abstract

Iliia State University recently published a collection of commentaries on the Bible and sermons, written in Georgian, in two volumes. The manuscripts of these texts, housed in two separate collections without mention of the preacher, are currently in the General Archive of the Order of Capuchins (Archivio Generale Cappuccini), in Rome. These teachings, it seems, were originally preached by a non-Georgian priest in the second half of the eighteenth century for Georgian Catholic believers. In the preface to the edition, the publishers suggest that the author was likely the Italian missionary Bernardino de Magliano.

The biblical commentaries include twenty-one texts, and the number of sermons stands at sixty-six. With such a large collection of writings now made accessible, over two centuries after they were printed, the need has arisen to clarify the meaning and value of the published texts, both as a whole and individually. It is necessary to give them a proper place not only in the Georgian homiletic heritage, which includes centuries-old remnants of Christian sermons, but also in the national history of Georgia, Church history, history of public life, cultural history, and intellectual history. Further study of the texts from linguistic, literary, and ethnological perspectives will undoubtedly bear fruit.

The manuscripts have not been preserved in their entirety, as evidenced by the fact that the Biblical explanations provided by the preacher concern only the text of one book of the Old Testament, the First Book of Kings.

The article assesses the general significance of this two-volume work and presents the value of the published texts for understanding Biblical or theological knowledge in the Georgian context of the time. Notably, in some sermons, the preacher addresses the believers from Tbilisi, indicating that the temple in which he served was located in Tbilisi.

The preacher considers it necessary to explain theological teachings, such as the concept of Purgatory, which is viewed differently by followers of the Roman-Catholic Church and the Oriental-Byzantine Church. In addition, the list of Church Fathers and Teachers referenced by the priest differs, although

special attention is given to the views of the Doctors of the Catholic Church, particularly St. Thomas Aquinas.

The descriptions of the everyday environment where divine service takes place are valuable for researchers. The preacher sharply assesses the attitude of believers towards being in the temple and participating in rituals. These descriptions will likely prove extremely useful to those studying how religion, culture, and intellectual movements shaped Georgia's history, making them essential reading for anyone studying that period.

კვლევის ანბარიში RESEARCH REPORT

მაია დამენია
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
maia.damenia.1@iliauni.edu.ge
DOI: 10.32859/kadmos/16/198-213

ციფრული პროსოპოგრაფია და საქართველოს კათოლიკური მისიების პროსოპოგრაფიული ბაზა*

ლორენს სტოუნის ფორმულირებით, პროსოპოგრაფია წარმოადგენს მეთოდოლოგიას, რომელიც ინდივიდუალური ბიოგრაფიული ანალიზის ნაცვლად, ორიენტირებულია ადამიანთა ჯგუფური მახასიათებლების სისტემატურ გამოვლენაზე. ეს მიდგომა ეყრდნობა კოლექტიური ბიოგრაფიული მასალის შედარებით შესწავლას, რაც საშუალებას იძლევა, გამოიკვეთოს ცალკეული ინდივიდების ცხოვრების მსგავსებები და განსხვავებები (Stone 1971).

კეტრინ კიტს-როჰანი, ლორენს სტოუნისგან განსხვავებით, წარმოადგენს პროსოპოგრაფიას, როგორც ანალიტიკურ ინსტრუმენტს, რომელიც მრავალი ინდივიდის შესახებ შეგროვებული მონაცემების ანალიზის მეშვეობით ხელს უწყობს სხვადასხვა სახის ინტერპერსონალური კავშირების იდენტიფიკაციას; სოციალური, პოლიტიკური, იურიდიული, ეკონომიკური და ინტელექტუალური ინსტიტუციების ჩარჩოებში მათი ფუნქციონირების გაგებასა და ანალიზს (Keats-Rohan 12/1, 2000). ეს განმარტება ხაზს უსვამს პროსოპოგრაფიული კვლევის რაოდენობრივსა და თვისობრივ ასპექტებს, რომლის დროსაც მეთოდოლოგიური პროცესი მოიცავს რაოდენობრივ, თვისობრივ და ინტერპრეტაციის ეტაპებს. რაოდენობრივი ეტაპის დროს ხდება ვრცელი ემპირიული მონაცემების სისტემატიზაცია და დაგროვება;

* სტატია იბეჭდება რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სტრუქტურირებული სადოქტორო საგანამანათლებლო პროგრამების განვითარების გრანტის (DP2016_23) ფარგლებში.

თვისობრივ ეტაპზე საჭიროა კავშირების ტიპოლოგიური დიფერენცირება და შედარებითი ანალიზი; მიღებული შედეგების კონტექსტუალიზაცია კონკრეტული ისტორიული, გეოგრაფიული და ქრონოლოგიური ჩარჩოს შიგნით ხდება უკვე კვლევის ბოლო - ინტერპრეტაციის ეტაპზე.

ამგვარად, პროსოპოგრაფია წარმოადგენს კომპლექსურ ისტორიოგრაფიულ მეთოდს, რომელიც საზოგადოებრივი სტრუქტურების და მოღვაწეობის ფორმების ღრმა გაგებისთვის იყენებს ინდივიდუალური ცხოვრების ნარატივების, სერიული წყაროების კოლექტიურ ანალიზს.

თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები ფუნდამენტურად ცვლის ისტორიული პროსოპოგრაფიის მეთოდოლოგიურ პარადიგმას. კომპიუტერული ანალიტიკისა და მონაცემთა დამუშავების ინოვაციური ხელსაწყოები საშუალებას იძლევა, ისტორიკოსებმა გამოავლინონ ისეთი ფაქტობრივი კავშირები და ტენდენციები, რომლებიც ტრადიციული, მანუალური კვლევის მეთოდებით მიუწვდომელი იყო. ციფრული ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარებამ ისტორიულ კვლევებში ახალი ანალიტიკური მიდგომები დანერგა, რომლებიც ეყრდნობა დიდი მონაცემების (Big Data) პრინციპებს და საშუალებას აძლევს ისტორიკოსებს, განახორციელონ ხანგრძლივი ისტორიული პერიოდების კომპლექსური ანალიზი, სისტემურად დაამუშაონ პირველწყაროები და მულტიდისციპლინური პერსპექტივიდან გამოიკვლიონ წარსული. ციფრული პროსოპოგრაფია წარმოადგენს ინტერდისციპლინურ სინთეზს, რომელიც აერთიანებს კლასიკურ ისტორიოგრაფიულ მიდგომებსა და თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების შესაძლებლობებს. სამეცნიერო ნაშრომებში აღნიშნულია, რომ ტექნოლოგიური ინსტრუმენტების ინტეგრაცია ისტორიოგრაფიულ პრაქტიკაში ფუნდამენტურად ცვლის ისტორიული კვლევის მასშტაბებსა და ინტენსივობას. ეს იძლევა მიკრო და მაკრო ანალიზის სინთეზის საშუალებას, რაც ჩანს ინდივიდუალური ბიოგრაფიული ნარატივების და ფართო სოციალური ტენდენციების ერთდროულ გამოკვლევაში; გაფართოებული ქრონოლოგიური ჩარჩოები შესაძლებელს ხდის, ისტორიული პროცესები დიაქრონული პერსპექტივით გაანალიზდეს; იქმნება ასევე ისტორიული ცოდნის წარმოქმნისა და ვერიფიკაციის ახალი სტრატეგიები. ციფრული ინსტრუმენტები ისტორიკოსებს უზრუნველყოფს უპრეცედენტო ანალიტიკური სიზუსტისა და მნიშვნელოვნად გაფართოებული მასშტაბის კვლევითი პოტენციალით. ეს მოიცავს არაერთგვაროვანი პირველწყაროებისა და მეტამონაცემების ინტეგრირებულ დამუშავებას.

არსებული პროსოპოგრაფიული ბაზები

მასშტაბით ყველაზე მოცულობითი პროსოპოგრაფიული მონაცემთა ბაზა, სავარაუდოდ, ბიზანტიური სამყაროს პროსოპოგრაფიაა Prosopographies of Byzantine Worlds (PBW).¹ ეს ონლაინ პლატფორმა მოიცავს ბიზანტიურ წყაროებში 641-1261 წლებში ნახსენებ ყველა პიროვნების შესახებ არსებულ მონაცემებს. ბაზა დიდი მოცულობითა და კომპლექსურობით გამოირჩევა. იგი მოიცავს 60000-მდე ფაქტოიდს – კატეგორიზებულ ინფორმაციულ ერთეულებს, რომლებიც ერთ ან რამდენიმე პიროვნებას ეხება. ფაქტოიდების მესამედი ნარატიული ხასიათისაა და ისტორიულ მოვლენებს ეხება. 2010 წლიდან, 10000 პიროვნების შეყვანის შემდეგ, ბაზას დაემატა საძიებო ფუნქციები. ყველა ფაქტოიდს ახლავს წყაროზე მითითება. ძიება შესაძლებელია ფაქტოიდების ტიპების მიხედვით: ავტორობა, განათლება, საქმიანობა, მფლობელობა, სარწმუნოება და სხვა. ასევე შესაძლებელია საძიებო სიტყვებით ფაქტოიდების ტექსტში ძიება ლოგიკური ოპერატორების გამოყენებით.

იმისათვის, რომ მაღალსტრუქტურირებული მონაცემთა ბაზები შეიქმნას, პირველადი წყაროების ანალიზის საფუძველზე პროსოპოგრაფებმა უნდა შექმნან მეორეული წყაროები. მკვლევრებმა ამ ეტაპზე უნდა შექმნან მონაცემთა ბაზა პირველწყაროების გამოკვლევის შედეგად და დაადგინონ პიროვნებებს შორის კავშირები. ამ კვლევის შედეგია ციფრული პროსოპოგრაფიის „ახალი თაობის“ მონაცემთა ბაზის – „მაღალსტრუქტურირებული მონაცემთა ბაზის“ – შექმნა.

ბიზანტიური სამყაროს პროსოპოგრაფიულ მონაცემთა ბაზაში (PBW) ინფორმაცია ორგანიზებულია მკაფიოდ განსაზღვრული მეთოდოლოგიური ჩარჩოს მიხედვით: კონკრეტული წყარო (S) განსაზღვრულ ლოკაციაზე (L) ადასტურებს ფაქტობრივ ინფორმაციას (F) კონკრეტული ისტორიული პიროვნების (P) შესახებ. ამ მიდგომით ფორმირებული ფაქტოიდები წარმოადგენს მკვლევრის ინტერპრეტაციის შედეგს და არ არის ყოვლისმომცველი ხასიათის, რაც იწვევს პოტენციურ წინააღმდეგობებს პიროვნებებთან დაკავშირებულ მონაცემთა ერთობლიობაში. უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტოიდების ტიპოლოგიზაცია და კლასიფიკაცია მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ გამოწვევას წარმოადგენს.

მხოლოდ ტექსტის სტრუქტურირება არ იყო საკმარისი ერთმანეთთან დაკავშირებული Prosopography of Anglo-Saxon England (PASE),² და

1 <https://pbw2016.kdl.kcl.ac.uk/> (11.02.2024).

2 <https://pase.ac.uk/> (11.02.2024).

Clergy of the Church of England Database (CCED)³ ბაზებისთვის, ამიტომ ეს ბაზები იყენებენ არა მხოლოდ სტრუქტურირებულ ფაქტოიდებს, არამედ მულტისტრუქტურულ მიდგომას, რომელიც მოიცავს რელაციურ სქემებს სხვადასხვა ზედაპირზე (თეიბლზე) განლაგებული ობიექტისთვის (პირები, გეოგრაფიული ადგილი, მფლობელობა და სხვ.) მათ შორის კომპლექსური კავშირების ასახვის მიზნით. მკვლევრების მუშაობის მეთოდოლოგია და წყაროების დამუშავების პროცედურები კრიტიკული მნიშვნელობისაა არა მხოლოდ ისტორიული მონაცემთა ბაზების შექმნისა და ფუნქციონირებისთვის, არამედ ფართომასშტაბიანი ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, რომელიც მულტიდისციპლინური კვლევითი მეთოდების მხარდაჭერაზეა ორიენტირებული.

კლასიკური ანტიკური პერიოდის პროსოპოგრაფიული კვლევა დიდწილად ემყარება ციფრულ რესურსებს, რომლებიც უზრუნველყოფს ისტორიული პიროვნებების სისტემური იდენტიფიცირებისა და ანალიზის შესაძლებლობას. ათენის ისტორიული პიროვნებების კვლევისთვის მნიშვნელოვანია Attica საიტზე ინტეგრირებული Persons of Ancient Athens (PAA)⁴ ციფრული კოლექცია, რომელიც აერთიანებს 10000-ზე მეტი ათენელი მოქალაქის შესახებ მონაცემებს და უზრუნველყოფილია მრავალპარამეტრული საძიებო ფუნქციონალით.

რომაული იმპერიის პროსოპოგრაფიული კვლევა ეფუძნება Prosopographia Imperii Romani (PIR)⁵ პროექტს, რომელიც განხორციელდა ბერლინ-ბრანდენბურგის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ისტორიული სტანდარტული გამოცემის ციფრულ ადაპტაციაზე. ამ სისტემის მეთოდოლოგიური თავისებურება მდგომარეობს ისტორიული პიროვნებების მონაცემთა როგორც ციფრულ ბაზასთან, ისე ტრადიციულ გამოცემებთან დაკავშირებაში.

ეგვიპტის ისტორიის გვიანი ხანის პროსოპოგრაფიული კვლევა ეფუძნება მულტილინგვურ წყაროთმცოდნეობით მიდგომას, რომელიც მოიცავს ბერძნულ, ლათინურ, ეგვიპტურ და სხვა ტექსტუალურ მონაცემებს Trismegistos⁶ ბაზიდან. ამ პროექტში გამოიყენება XML-ზე დაფუძნებული ელექტრონული კორპუსი, რომელიც ნახევრადავტომატურ რეჟიმში ახორციელებს სახელების იდენტიფიცირებას პაპირუსებისა და სხვა ტექსტუალური მონაცემებიდან.

3 <https://theclergydatabase.org.uk/about/cced-publications/> (11.02.2024).

4 <https://attica.artsci.utoronto.ca/> (11.02.2024).

5 <https://pir.bbaw.de/#/overview> (11.02.2024).

6 <https://www.trismegistos.org/ref/about.php> (11.02.2024).

Prosopographia Ptolemaica (PP)⁷ წარმოადგენს ლუვენის უნივერსიტეტის ანტიკური ისტორიის ფაკულტეტის სისტემურ მეცნიერულ პროექტს, რომელიც თავდაპირველად ფოკუსირებული იყო ეგვიპტის მოსახლეობის რეკონსტრუქციაზე ჩვ.წ.ალ-მდე 300 წლიდან ჩვ.წ. ალ-ით 30 წლამდე პერიოდისთვის, შემდეგ კი გაფართოვდა რომაულ და ბიზანტიურ ეპოქებამდე. ამ მიდგომამ შედეგად მოგვცა 25723 ბერძნული სახელი, რომელთაგან თითოეული მიბმულია შესაბამის ტექსტთან Trismegistos ბაზაში.

რეგიონული სპეციფიკის მქონე პროსოპოგრაფიული ბაზის მაგალითია DIME Online: Prosopographie zu Soknopaiu Nesos,⁸ რომელიც კონცენტრირებულია ფაიუმის რეგიონში მცხოვრებლების იდენტიფიცირებაზე ჩვ.წ.ალ.-მდე მეშვიდე საუკუნიდან ჩვ. წ. ალ-ით მეხუთე საუკუნემდე.

ონომასტიკური მიდგომითაა განხორციელებული Lexicon of Greek Personal Names (LGNP)⁹ პროექტი, რომელიც 1972 წელს ინიცირებული იყო ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ და 1996 წლიდან ოქსფორდის უნივერსიტეტში განხორციელდა. ის წარმოადგენს ყოვლისმომცველი ანტიკური ბერძნული ონომასტიკონის შექმნის მცდელობას. ამ პროექტის მიზანია ანტიკური პერიოდიდან მეექვსე საუკუნემდე ყველა ბერძნული სახელის მოგროვება, რაც მოიცავს ლიტერატურულ, ეპიგრაფიულ, პაპიროლოგიურ, ნუმიზმატიკურ და სხვა ტიპის მატერიალურ წყაროებს. ამჟამად ბაზა მოიცავს 250000 მონაცემს, ხოლო 2008 წლიდან მიმდინარეობს XML ფორმატში ტრანსფორმაცია ონლაინ ძიების ოპტიმიზაციისთვის, სამომავლოდ სრული TEI-XML სტანდარტზე გადასვლის მიზნით.

აღნიშნული მეთოდოლოგიური მიდგომების ადაპტაცია ქართულ პროსოპოგრაფიულ კვლევაში დაიწყო 2015 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტში. პროფესორ ნინო დობორჯგინიძის ხელმძღვანელობითა და თამარა კალხიტაშვილის, რატი გუმაშვილისა და თამთა თხელიძის თანამშრომლობით შეიქმნა საქართველოს 1921-37 წლების პროსოპოგრაფიული მონაცემთა ბაზა.¹⁰ შემდგომი ეტაპი გულისხმობდა ბაზის გაფართოებას პირველი რესპუბლიკის (1918-21 წლები) პერიოდის მონაცემებით, ხოლო 2017

7 <https://www.arts.kuleuven.be/oudegeschiedenis/english/research/prosopographia-ptolemaica> (11.02.2024).

8 <https://www.uni-heidelberg.de/fakultaeten/philosophie/zaw/aegy/institut/dimeonline.html> (11.02.2024).

9 <https://www.lgpn.ox.ac.uk/> (11.02.2024).

10 <https://prosopography.iliauni.edu.ge/> (11.02.2024).

წლიდან მუშაობა მიმდინარეობს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების¹¹ მასალების ინტეგრაციაზე, რაც წარმოადგენს ქართული ციფრული ჰუმანიტარული მეცნიერების მნიშვნელოვან ეტაპს.

საქართველოს კათოლიკური მისიების პროსოპოგრაფიული ბაზა¹² ბაზის მოდელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტში 2022 წლიდან ხორციელდება პროსოპოგრაფიული მონაცემთა ბაზის შექმნის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს კათოლიკურ მისიებში მოღვაწე ისტორიული პიროვნებების სისტემურ კვლევას, რომელიც მიზნად ისახავს რელიგიური მისიების ისტორიის სისტემურ ანალიზს. ამ კვლევით პროექტს ფინანსურ მხარდაჭერას უწევს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, რომელიც 2021 წლიდან აფინანსებს მულტიდისციპლინურ კვლევით პროექტს HE-21-977 „XVII-XIX საუკუნეების ევროპული რელიგიური მისიების წყაროთა ინტერპრეტაციისათვის. საქართველო ადრეული გლობალური ისტორიისა და მოდერნულობის პერსპექტივიდან“¹³ რომელიც შეისწავლის საქართველოს როლს ადრეული გლობალიზაციისა და მოდერნიზაციის პროცესების კონტექსტში.

კათოლიკური მისიების პროსოპოგრაფიული ბაზის კონცეპტუალური მოდელის ფორმირებისას განხორციელდა არსებული პროსოპოგრაფიული ბაზებისა და რელევანტური სამეცნიერო ლიტერატურის სისტემური ანალიზი. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა კარლ პიროს მეთოდოლოგიურ ნაშრომს *Datenbank- und Informationsmanagement in der Historischen Sozialforschung, Eine praxisorientierte Einführung* [მონაცემთა ბაზებისა და ინფორმაციის მენეჯმენტი ისტორიულ სოციალურ კვლევაში, პრაქტიკაზე ორიენტირებული შესავალი] (Pierau 2002), რომელიც წარმოადგენს ისტორიულ სოციალურ კვლევაში მონაცემთა ბაზებისა და ინფორმაციის მენეჯმენტის პრაქტიკულ სახელმძღვანელოს.

ვეთანხმებით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტის ლალი კახიძის 2019 წლის კრიტიკულ შეფასებას, რომელიც აღნიშნავს, რომ პიროს მონოგრაფიაში მოძველებული პროგრამული

11 <https://society.iliauni.edu.ge/> (11.02.2024).

12 <https://missio.iliauni.edu.ge/ka> (11.02.2024).

13 პროექტის ხელმძღვანელი: ნინო დობორჯგინიძე; კოორდინატორი: მაია დამენია; მონაცემთა ბაზისა და ვებგვერდის შემუშავება: თაზო მინდიაშვილი; მონაცემთა ბაზის სტრუქტურა და დიზაინი: რატი გუმაშვილი.

უზრუნველყოფის ტიპები ფიგურირებს, თუმცა მონაცემთა ბაზების სტრუქტურული ორგანიზაციის პრინციპები კვლავ აქტუალურია და მეთოდოლოგიური თვალსაზრისით რელევანტურია. ამ კონტექსტში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პიროს მონაცემთა ბაზის დაგეგმვისთვის ჩამოყალიბებულ ფაზების კონცეპტუალურ მოდელს, რომელიც მოიცავს ექვსეტაპიან სტრუქტურას, თითოეული ეტაპის პარალელური დოკუმენტირების აუცილებლობით.

1. სპეციფიკაციის შემუშავება და მოთხოვნების ანალიზი წარმოადგენს პრაქტიკული ამოცანის ფორმულირების და არსებული ინფორმაციის კრიტიკული შესწავლის პროცესს, რაც მოიცავს ტექნიკური პრობლემების არაფორმალურ აღწერას.

2. სამდონიანი არქიტექტურის კონცეპტუალური გეგმა ითვალისწინებს ფორმალური დანიშნულების სისტემაზე გადასვლას, რაც აუცილებელს ხდის მონაცემთა განხილვას სამ სხვადასხვა დონეზე: გარე დონე (მომხმარებლის ვიზუალური ინტერფეისი), კონცეპტუალური დონე (სტრუქტურული სქემის ყოვლისმომცველი ხედვა) და შიდა დონე (მონაცემთა სქემების, ჯგუფებისა და წვდომის საშუალებების ტექნიკური დეტალები).

3. ლოგიკური გეგმა მოიცავს სემანტიკური მონაცემთა მოდელის ტრანსფორმაციას მონაცემთა ბაზების მენეჯმენტის სისტემის მიერ გამოყენებულ მონაცემთა მოდელზე. ეს პროცესი ორეტაპიანია: კონცეპტუალური სქემის ავტომატური გარდაქმნა სამიზნე მონაცემთა ბაზის მოდელად და რელაციური სქემის ოპტიმიზაცია ნორმალიზაციისა და ჭარბ მონაცემთა შემცირების გზით.

4. მონაცემთა განმარტება ითვალისწინებს მნიშვნელობების დიაპაზონების, მიმართებებისა და ხედვების ზუსტ განსაზღვრას.

5. ფიზიკური გეგმა მოიცავს მონაცემთა შენახვის კონკრეტული სტრუქტურული ენის (ნის სტრუქტურა, ინდექსები) განსაზღვრას შიდა დონეზე.

6. განხორციელებისა და შენარჩუნების ფაზა ითვალისწინებს განახლებებისა და ცვლილებების მუდმივ კონტროლს.

საქართველოს კათოლიკური მისიების პროსოპოგრაფიული ბაზის მოდელის შემუშავების საწყის ეტაპზე დამყარდა კოლაბორაცია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის ციფრულ ლაბორატორიასთან. უნდა აღინიშნოს, რომ ეს თანამშრომლობა არსებობდა საქართველოს პროსოპოგრაფიის პროექტის ფარგლებში, რომელიც 2015 წლიდან ხორციელდებოდა და მოიცავდა წყაროთა მოძიება-დამუშავებისა და რედაქტირების პროცესებს.

პროექტის დაგეგმვის საწყისი ეტაპიდან გათვალისწინებული იყო კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობის ისტორიული კონტექსტი.

პირველწყაროებზე დაყრდნობით შეიქმნა მონაცემთა ბაზა, რომელიც ამჟამად XVII-XVIII საუკუნეების პერიოდს მოიცავს. პროექტის სამომავლო ხედვა გულისხმობს მონაცემთა ბაზის კომპლექსურ შევსებას 1845 წლამდე, რაც წარმოადგენს კათოლიკური მისიების საქართველოში ოფიციალური მოღვაწეობის ისტორიული პერიოდის დასრულებას. ეს ქრონოლოგიული ჩარჩო განისაზღვრა რუსეთის იმპერიის მიერ უკანასკნელი მისიონერების გაძევებითა და ქართული წიგნებისა და სახელმძღვანელოების ბეჭდვა-გავრცელების აკრძალვით.

საქართველოს კათოლიკური მისიების პროსოპოგრაფიულ ბაზას საფუძვლად უდევს ზოგადი დანიშნულების პროგრამული ენა – PHP და შექმნილია Laravel ჩარჩოს (ფრეიმვორკის) გამოყენებით. ბაზის მართვის სისტემა შემუშავდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის ციფრული ჰუმანიტარიის ლაბორატორიის ტექნიკური მხარდაჭერით. მონაცემთა ბაზის სტრუქტურა ორგანიზებულია წყაროს, მასზე მიბმული ისტორიული პიროვნებებისა და რეგისტრირებული ფაქტოიდების ურთიერთკავშირის საფუძველზე. არსებული პროსოპოგრაფიული ბაზების სტრუქტურული ანალიზისა და დასამუშავებელი პირველწყაროების სპეციფიკის გათვალისწინებით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ციფრული ჰუმანიტარიის მაშინდელ დოქტორანტებთან – თამარა კალხიტაშვილთან და რატი გუმაშვილთან თანამშრომლობით, შერჩეულ იქნა მაღალსტრუქტურირებული (ახალი სტილის) ინკლუზიური, ანუ ღია მონაცემთა ბაზის ფორმა, რამაც საბოლოო ჯამში განაპირობა საქართველოს კათოლიკური მისიების პროსოპოგრაფიული მონაცემთა ბაზის მოდელის შექმნა.

საქართველოს კათოლიკური მისიების პროსოპოგრაფიული ბაზის ვებგვერდი და სამომხმარებლო მხარე

საქართველოს კათოლიკური მისიების პროსოპოგრაფიული ბაზის სამომხმარებლო ინტერფეისი შექმნილია მინიმალისტური დიზაინის პრინციპების შესაბამისად, რაც ეფუძნება „ნაკლები მეტია“ (less is more) კონცეპტუალურ მიდგომას. ამ დიზაინის ფილოსოფია ორიენტირებულია მომხმარებლისთვის მაქსიმალურად ოპტიმიზირებული და კომფორტული ციფრული გარემოს შექმნაზე, რაც უზრუნველყოფს კვლევითი პროცესების ეფექტურ დაგეგმვასა და განხორციელებას. მინიმალისტური მიდგომა უზრუნველყოფს ინფორმაციის მოზღვაგების თავიდან აცილებას და ორიენტირებულია ფუნქციურ ელემენტებზე, რაც ხელს უწყობს მკვლევარებისთვის შემეცნებითი დატვირთვის შემცირებას და კონცენტრაციის კვლევითი ამოცანების შესრულებაზე ორიენტირებას. ამგვარი ინტერფეისის დიზაინი მნიშვნელოვნად აი-

ოლებს ნავიგაციას და ინფორმაციაზე წვდომას პროსოპოგრაფიული კვლევის კონტექსტში.

მთავარი გვერდის ინტერფეისი და ნავიგაცია – ბაზის მთავარი გვერდი წარმოადგენს ძირითად სამუშაო პლატფორმას, რომელიც მომხმარებლებს უზრუნველყოფს სისტემის ცენტრალური ინფორმაციით, ნავიგაციის ინსტრუმენტებით, სპეციალიზებული ძიების ფუნქციებით პირისა და წყაროს მიხედვით, ადგილმდებარეობისა და ფაქტოიდების მოძიების შესაძლებლობით. თითოეული კატეგორია ასახავს მიმდინარე რაოდენობრივ მაჩვენებლებს, რაც ხელს უწყობს ბაზის მასშტაბის შეფასებას.

სისტემა აღჭურვილია ინფორმაციული ბიულეტენის გამოწერის ფუნქციით, რომელიც მოითხოვს რეგისტრაციას ელექტრონული ფოსტისა და სახელის მითითებით, რაც მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სტატისტიკური ანალიზისთვის. ამავდროულად, უზრუნველყოფილია ნებისმიერ ეტაპზე გამოწერის შეწყვეტის შესაძლებლობაც.

ბაზა ფუნქციონირებს მულტილინგვური პრინციპით: ძირითადი ორენოვანი სტრუქტურა (ქართული და იტალიური) და ინგლისურენოვანი ინფორმაციული რესურსები, მოქმედებს ინტერაქტიული ენების გადართვის სისტემა, რაც ზრდის ბაზის ხელმისაწვდომობასა და ინტერნაციონალურ გამოყენებას.

ბაზაში ნავიგაცია ორგანიზებულია ჩამოსაშლელი მენიუს პრინციპით, რომელიც მკვლევარებს უზრუნველყოფს წყაროების, პირებისა და ადგილების გვერდებზე გადასვლის შესაძლებლობით, ფაქტოიდების მონაცემების მოძიების ფუნქციონალითა და ინდექსგვერდებზე ინტეგრირებული ფილტრების სისტემით. ძიების ოპტიმიზაცია მიღწეულია სპეციალიზებული ფილტრების დანერგვით, რომლებიც მოთავსებულია ყველა ძირითადი კატეგორიის ინდექსგვერდზე.



სურ. 1. მთავარი გვერდი

წყაროების კატალოგიზაციის სისტემა – წყაროების რეგისტრაცია განხორციელდა კომპლექსური მეტამონაცემების სისტემის საფუძველზე, რომელიც მოიცავს ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციას (სახელწოდება, თემატური კლასიფიკაცია, ქრონოლოგიური ჩარჩო), კორესპონდენციულ მახასიათებლებს (ადრესატი/ადრესანტი, კომუნიკაციური კონტექსტი), ფიზიკურ და ციფრულ ლოკალიზაციას (შენახვის ადგილი, შიფრი), ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას დოკუმენტის ტიპის მითითებით (საარქივო მასალა, ელექტრონული რესურსი, მონოგრაფია), ფორმალურ უანრობრივ განსაზღვრას (წერილი, რელაციონე, ოფიციალური დოკუმენტი), ლინგვისტურ მახასიათებლებს ენობრივი იდენტიფიკაციით (ქართული, იტალიური, ლათინური, ფრანგული), ინსტიტუციონალურ ატრიბუციას (პასუხისმგებელი ორგანოები, გამომცემლები). ეს მეტამონაცემთა სისტემა უზრუნველყოფს ინტერდისციპლინური კვლევის შესაძლებლობებს.




სურ. 2. წყაროები

პროსოპოგრაფიულ მონაცემთა სისტემა – ბაზაში რეგისტრირებული პირები კატალოგიზებულია კომპლექსური პროსოპოგრაფიული მახასიათებლების საფუძველზე, რომელიც მოიცავს პიროვნების იდენტიფიკაციას (ანთროპონიმური მონაცემები, გენდერული ატრიბუცია), რელიგიურ-კონფესიურ კუთვნილებას (სარწმუნოებრივი იდენტიფიკაცია, ეკლესიური კუთვნილება, ორდენი), იერარქიულ პოზიციონირებას (ეკლესიური და ადმინისტრაციული სტატუსი), გეოგრაფიულ ლოკალიზაციას (დაბადების, მოღვაწეობის, გარდაცვალების ადგილები). ეს სისტემა ხელს უწყობს რთული პროსოპოგრაფიული კვლევების განხორციელებას.



სურ. 3. პირები


ფაქტოიდების მონაცემთა არქიტექტურა – მონაცემები სამ სვეტადაა ორგანიზებული. მარცხენა სვეტში მოცემულია ზოგადი აღწერილობა. აქვეა მონაცემები ფაქტოიდის ტიპთან და მასთან დაკავშირებული პირების შესახებ. წყაროს შესახებ გამოტანილია მეტამონაცემები: გამგზავნი, მიმღები, წყაროს ტიპი, თემა, ენა და გამოცემელი. ფაქტოიდის სრული ტექსტი მეორე სვეტშია განთავსებული, რომელსაც უკავშირდება პირები, ადგილები და წყარო ჩამოსაშლელი მენიუს ფუნქციით. თითოეულ მათგანზე დაჭერით გადავდივართ მათ შიდა გვერდებზე. მეორე სვეტის ქვედა რეგისტრშია განთავსებული რუკა, რომელზეც დატანილია ფაქტოიდთან დაკავშირებული ადგილები.



სურ. 4. ფაქტოიდები

პირველწყაროების კორპუსი (მარჯვენა სვეტი) – ტექსტუალური რეპოზიტორი ფუნქციონირებს როგორც პირველწყაროთა სრული ტექსტუალური კორპუსი, რომელიც აღჭურვილია ინტრატექსტუალური ნავიგაციით: ინტეგრირებული სწრაფი ძებნის ალგორითმის გამოყენებითა და კონტექსტუალური ინდექსირებით ტექსტის სისტემატური მოძიების ფუნქციონალის გამოყენებით.

იმის გათვალისწინებით, რომ პირველწყაროები წარმოადგენს ბაზის წყაროთმცოდნეობით პრიორიტეტს, სისტემა უზრუნველყოფს ციფრული ექსპორტის ფუნქციონალს ავტონომიური ვიზუალიზაციისა (ცალკე ფანჯარაში დოკუმენტის გახსნის რეჟიმი) და მულტიფორმატული ექსპორტის (PDF და XML ფორმატებში ფაილების ჩამოტვირთვის) შესაძლებლობას. მნიშვნელოვნად მივიჩნევთ ასევე ბილინგვური ხელმისაწვდომობა პირველწყაროებზე, რომელიც წარმოადგენილია პარალელურად ორიგინალურ ენაზე და ქართული თარგმანის სახით. ეს ფუნქციონალი უზრუნველყოფს კვლევების მეთოდოლოგიური მოთხოვნების დაკმაყოფილებას და შესაძლებელს ხდის პირველწყაროთა ეფექტურ გამოყენებას სხვადასხვა ანალიტიკურ კონტექსტში.



სურ. 5. ნარატივი

გეოგრაფიული ლოკალიზაციის სისტემა – ფაქტოიდებთან, წყაროებთან თუ პირებთან დაკავშირებული ადგილების ძიება შესაძლებელია სარეგისტრაციო გვერდიდან სახელის, ადგილის ტიპის (ქალაქი, სოფელი, დასახლება, უბანი, დაბა და ა. შ.) და ანბანური რიგის მიხედვით. ეს მიდგომა ხელს უწყობს სპაციალური ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევების განხორციელებას.



სურ. 6. ადგილები

გლოსარიუმი – ბაზის სამომხმარებლო მხარეს განთავსებულია გლოსარიუმიც, ფაქტოიდების ტექსტში არსებული ტერმინების განმარტებისთვის გამოყენებულია RegEx ტექნიკა, რომელიც საშუალებას იძლევა, დარეგისტრირდეს ტერმინი და მისი აღწერა, შემდეგ კი jquery ბიბლიოთეკის ბაზაზე მომზადებული მოდულით ჩაიტვირთოს ამა თუ იმ ტექსტში არსებული ტერმინების განმარტებები სწრაფი მინიშნებების სახით. ამ სისტემის მეშვეობით ხდება კვლევითი პროცესის ოპტიმიზაცია და იქმნება ინტუიტიური, ერუდიციული კვლევითი გარემო, რომელიც ხელს უწყობს მეცნიერული ტექსტების ეფექტურ და სწრაფ ინტერპრეტაციას.



სურ. 7. გლოსარიუმი

საქართველოს კათოლიკური მისიების პროსოპოგრაფიული ბაზის სამართავი პანელი

საქართველოს კათოლიკური მისიების პროსოპოგრაფიულ ბაზას საფუძვლად უდევს ზოგადი დანიშნულების პროგრამული ენა – PHP და შექმნილია Laravel ჩარჩოს (ფრეიმვორკის) გამოყენებით. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის ციფრული ჰუმანიტარიის ლაბორატორიის დახმარებით მომზადდა ბაზის მართვის სისტემა მონაცემთა რელაციური მოდელის მიხედვით (Database Management System) სიმრავლური მათემატიკური ცნების საფუძვლზე. მონაცემთა ბაზა სტრუქტურირებულია წყაროს, მასზე მიბმული პირებისა და რეგისტრირებული ფაქტოიდების გარშემო.

სამართავ პანელზე წარმოდგენილია შემდეგი ველები: ეთნიკური ჯგუფი, სარწმუნოება/კონფესია, ენები, ორგანიზაციები, ადგილის ტიპები, ორდენები, ადგილები, პირები, წყაროს ტიპი, დაცულობის

ადგილი, წყაროები, ფორმა, პასუხისმგებელი ორგანოები, ფაქტის ტიპები, ფაქტოიდები, ლექსიკონი, ნარატივი, ხელმოძღვრები, ბაზის შესახებ, შესახებ ინგლისურ ენაზე და თარგმანი.

ეს არის საქართველოს კათოლიკური მისიების ორენოვანი პროსოპოგრაფიული ბაზის 1.0 ვერსია, რომელიც ფუნქციონირებს საცდელ რეჟიმში, რაც გულისხმობს ცალკე გამოყოფილ რედაქტირების მოდულს.

ბაზის განვითარების სტრატეგია ითვალისწინებს ეგოცენტრული სოციალური ქსელის ფორმირებას თითოეული რეგისტრირებული პირის ირგვლივ დინამიური ვიზუალიზაციის ბიბლიოთეკის¹⁴ გამოყენებით, რაც ხელს შეუწყობს პიროვნების ირგვლივ არსებული სოციალური ქსელისა და კავშირების სისტემატურ კვლევას.

შეჯამების სახით, კვლავ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ინოვაციური ტექნოლოგიები ისტორიკოსებს უზრუნველყოფს ისტორიული ინდივიდების მასშტაბური და სიღრმისეული შესწავლის შესაძლებლობებით. ციფრული პროსოპოგრაფია წარმოადგენს დინამიურ კვლევით სფეროს, რომელსაც მუდმივი ზრდისა და ინოვაციის მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია. საერთო სტანდარტების, მოდულებისა და ინსტრუმენტების შემუშავებით ისტორიკოსებს შეუძლიათ უფრო დეტალურად და სისტემურად იკვლიონ წარსულში მოღვაწე ადამიანთა ცხოვრება.¹⁵

დამოწმებანი

დობორჯგინიძენინო, მაია დამენია, თამარ ჭეიშვილი და ანა ჭკუასელი.

2023. საქართველოს კათოლიკური მისიების ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობა. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Keats-Rohan, Katharine. 2000. Prosopography and Computing: A Marriage Made in Heaven? *International Journal of Humanities and Arts Computing* 12 (1): 1–11.

Pierau, Karl. 2002. Datenbank- und Informationsmanagement in der Historischen Sozialforschung. *Historical Social Research, Supplement* (14): 1-221.

Stone, Lawrence. 1971. Prosopography. *Daedalus* 100 (1): 46-79.

14 იხ. <https://visjs.org/>

15 ამ საკითხს მიეძღვნა ედინბურგის უნივერსიტეტში 2023 წლის 8-9 დეკემბერს გამართული ვორქშოპი Entangled Prosopographies. Connecting the 'Prosopographies of the Later Roman and Byzantine Worlds' Across the Eastern Mediterranean and Beyond [ჩახლართული პროსოპოგრაფიები. გვიანდელი რომაული და ბიზანტიური სამყაროების პროსოპოგრაფიების დაკავშირება აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში და მის მიღმა], რომელშიც დიდი ინტერესით მივიღეთ მონაწილეობა.

Maia Damenia

Ilia State University, Georgia

maia.damenia.1@iliauni.edu.ge

DOI: 10.32859/kadmos/16/198-213

Prosopographic Database of Catholic Missions in Georgia

Abstract

The paper shows how the Digital Humanities serve as both a methodological framework and a conceptual lens through which we can explore complex historical phenomena, such as the interactions between Europe and Georgia. By harnessing digital tools, we can analyze vast datasets, visualize intricate relationships, and reconstruct historical narratives that were previously obscured by the limitations of traditional research methods. Digital methodologies can augment our understanding of socio-cultural exchanges and political dynamics in medieval and modern history. The study of the achievements of Catholic missionaries in Georgia in the 17th-19th centuries is based on Italian, Latin, French, Russian and Georgian sources, most of which are not yet published. The primary sources are preserved in Italian archives and hold significant value from the religious, cultural, philological, social, legal, political, and historical perspective. By applying cutting-edge digital humanities methods, particularly through the creation of a prosopographic database based on factoids, we will be able to explore and visualize key issues in the social history of this period.

In the prosopographic database of missions we developed, we convert data from primary sources into a digital format, and process it according to the required standards. The data is then integrated into the database structure.

As a result of our research, we have created a new platform in digital humanities – a bilingual prosopographic database of Catholic missions of Georgia. This resource is valuable in many ways, as it enables the study of the interactions between religious groups. It also sheds light on the political and cultural orientations of the kings and princes, revealing a clearer picture of the relationships between the principalities.

მიმოხილვა REVIEW ARTICLES

გიორგი დარჩიაშვილი

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო

giorgi.darchiashvili@art.edu.ge

DOI: 10.32859/kadmos/16/214-236

ფოტოგრაფიის და მულტიმედიის როლი კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის დოკუმენტაციის პროცესში

ფოტოგრაფია და სოციალური თეორია ერთსა და იმავე დროს, მე-19 საუკუნის შუახანებში ჩამოყალიბდა და თუ თავიდან, სოციალური თეორიის მსგავსად, ფოტოგრაფიას პოზიტივისტურ-ობიექტივისტური, ანუ რეალობის ზუსტად ასახვის პრეტენზია ჰქონდა, თანდათან განვითარდა დებატი ორივეს სუბიექტივისტურ-ინტერპრეტაციული ბუნების შესახებ (Ray 2020). მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ვითარებას ძაბავდა როგორც კრიტიკული პოსტმოდერნიზმის თეორია, ისე მთელი რიგი დოკუმენტური ფოტოშედეგების ობიექტურობაში ეჭვის შეტანის ტენდენცია: ფრანგი პოსტმოდერნისტი ფილოსოფოსი, ჟან ბოდრიარდი განიხილავდა თეორიას, როგორ იქცა თანდათანობით ხატი ანუ იმიჯი, სიმულაკრუმი, რეალობის არა ამსახველად, არამედ რეალობის ჩამნაცვლებლად, ჰიპერრეალობის შემქმნელად. მისი თქმით, „იმიჯის განვითარების თანამიმდევრული ფაზებია: იგი რეალობას ასახავს; იგი რეალობას ნიღბავს; იგი ნიღბავს ფაქტს, რომ მის უკან არანაირი რეალობა არაა; მას რეალობასთან არც აქვს შეხება – იგი საკუთარი თავის წმინდა სიმულაკრუმია“ (Baudrillard 1994, 6).

ამ მხრივ, საინტერესოა ერთი ცნობილი ფოტოს ამბავი, რომელსაც „მიგრანტი დედა“ ჰქვია და რომელიც დოროტა ლანგმა 1936 წელს გადაიღო. ფოტომ შეერთებულ შტატებში დიდი გავლენა მოახდინა და ეკონომიკური კრიზისით შეწუხებულ საზოგადოებას საქველმოქმედო მობილიზაციისაკენ უბიძგა. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ ფოტოზე აღბეჭდილ ქალბატონს სულაც არ ჰქონდა ისეთი ცხოვრება, რის სიმბოლოდაც იგი იქცა (Bunyan 2018).

ფოტოების დამუშავებით ისტორიის დამახინჯების საგანძურია საბჭოთა საუკუნე, რამაც პიკს სტალინის ეპოქაში, შავ-თეთრი ფოტოების სამყაროში მიაღწია (King 1997). მაგრამ თუ სტალინი ძველი ფოტოების რეტუშირებით ისტორიის გადაწერას, მისი ცალკეული ეპიზოდების წაშლას ძალაუფლებისათვის ბრძოლის ლოგიკით ბრძანებდა, მსგავსი მანიპულაციები უფრო უწყინარი, მათ შორის ესთეტიკური მოტივაციითაც იყო შესაძლებელი. თუმცა, ალბათ შედეგი იგივეა – რეალობის ნაცვლად ილუზიებში აღმოჩენა. ფოტომანიპულაციების საკითხი წამოწეულია დერეკ ბოუსის სტატიაში „ფოტოგრაფიული ისტორიის აღდგენა“, რომელშიაც ის ეწინააღმდეგება მარტა სადვეისის დებულებას, რომ შავ-თეთრი ფოტოგრაფია უფრო სარწმუნოა, ვიდრე ფერადი (Bousé 2022). ვინც ერთხელ მაინც დასწრებია ფოტოს გამჟღავნების და ბექდვის პროცესს, მისთვის ძალიან თვალსაჩინოა, საიდან იღებს სათავეს ფოტოს დამუშავება.

საინფორმაციო ტექნოლოგიების საუკუნე, რომელიც ბოლო ჟამს ხელოვნური ინტელექტის შეუჩერებელი დამკვიდრებით ხასიათდება, ეფექტურადაა გადმოცემული პოპულარული ებრაელი ფილოსოფოსისა და ისტორიკოსის იუვალ ნოე ჰარარის სიტყვებში – წარსულში ძალაუფლება მონაცემებთან წვდომას ნიშნავდა, დღეს ძალაუფლება ნიშნავს, იცოდე, რა მონაცემი დატოვო ყურადღების მიღმა. ამ სიტყვებში შეიძლება დავინახოთ ბოდრიარის ზემოთ ნახსენებ გამოწვევასთან გამკლავების ზოგადი რეცეპტიც. დღეს აღარავინ დავობს სოციალური კვლევების ლიმიტებზე, ზუსტად აღნუსხოს რეალობა. მაგრამ ასევე, საბედნიეროდ, წარსულს ჩაბარდა მტკიცება, რომ თეორიებს თუ კონკრეტული მაგალითების („ქეისების“) კვლევას. არსებულის და სოციალური წარსულის ასახვასთან შეხება არ აქვს. იგივე უნდა ვთქვათ ფოტოგრაფიასა თუ ვიზუალური იმიჯების შექმნის სხვა საშუალებებზე. სიმართლის ძიება ადამიანის ბედისწერაა და იგი სწორედაც კვლევებით მიიღწევა, რაშიც ფოტოგრაფიას საკუთარი წვლილი შეაქვს.

აქ და მთელ სტატიაში არ ვსაუბრობთ ე.წ. fake news-ისა თუ deep fake-ის შესახებ, რომლებსაც, ტექსტთან ერთად თუ ტექსტის გვერდით, აუდიო და ვიდეო მედიუმებიც უმაგრებენ ზურგს. საქმე ეხება კვლევას, რომელშიც სოციალური თეორია და ფოტოგრაფია ისევ ხელიხელჩაჭიდებულია, თუნდაც რომ დავეთანხმოთ ლარი რეის, რომელიც სოციოლოგ ზიმელზე დაყრდნობით წერს: ფოტო კონკრეტული მაგალითების („ქეისების“) კვლევას (Ray 2020). რეალობასთან ფოტოიმიჯების შეხება და ფოტოგრაფიის მედიუმობა კი თუნდაც იმაში მდგომარეობს, რომ ზემოთ ნახსენები პორტრეტი „მიგრანტი

დედა“ მცდარია კონკრეტულ პერსონაჟთან მიმართებით, მაგრამ მაინც ადეკვატურად გადმოსცემს იმჟამინდელ სოციალურ ვითარებას/კონტექსტს.

მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ფოტოგრაფიას მართლა შესწევს უნარი, დააფიქსიროს რეალობის ზუსტი სამხილი და ამით გაუადვილოს მკვლევარს – იქნება ეს ხელოვნებათმცოდნე თუ ანთროპოლოგი – ნავიგაცია წარსულში. წინამდებარე სტატიაში სწორედ ასეთი შესაძლებლობების მაგალითებს ვიხილავ. ერთი მხრივ, ვფიქრობ, რომ ისინი ადასტურებს მტკიცებას, რომ ფოტოგრაფია მეთოდოლოგიური საშუალებაა სოციალურ კვლევებში (Schwartz 1989, 119), მეორე მხრივ კი, ფოტოგრაფია შეუცვლელია არტეფაქტების აღნუსხვასა – თუ მეტიც – მათი გენეზისის ეტაპების დადგენაში. შემდგომ ამისა, ნათელი ხდება, რომ ფოტოკამერასა და მულტიმედია საშუალებებს საგრძნობი წვლილი შეაქვთ მეხსიერების შემონახვა-გადაცემაში, ანუ როგორც ზოგადად საზოგადოების ფუნქციონირებაში, ისე განათლებაში.

ნაშრომში განხილულია მულტიმედიის და, განსაკუთრებით, ფოტოგრაფიის როლი მეხსიერების შემონახვის პროცესში, რაც საშუალებას აძლევს ანთროპოლოგებს და ისტორიკოსებს, დეტალებში აღწერონ: ტრადიციები, დღესასწაულები და/ან არტეფაქტები, რომელიც სხვაგვარად შეიძლება სამუდამოდ გამქრალიყო მეხსიერებიდან. ფოტოგრაფიის ძალა არქიტექტურის, ფრესკებისა და ხელოვნების სხვა შედევრების დეტალების ზუსტ გადმოცემაშია, რაც ეხმარება რესტავრატორებს და კონსერვატორებს თავიანთ საქმიანობაში. ამავედროულად, დღეს ფოტოგრაფიის და მულტიმედიის ხელსაწყოები შეუცვლელია განათლების პროცესში, განსაკუთრებით, ისტორიის და კულტურული მემკვიდრეობის სფეროებში.

წინამდებარე სტატიაში შევეხებით ყოველდღიურობის ისეთ მახასიათებელსაც, როგორცაა მობილური ფოტოგრაფია, რომლის წყალობითაც, დღესდღეობით, ყველას შეუძლია იყოს ფოტოგრაფი. მობილურ ფოტოგრაფიას ერთი უპირატესობაც აქვს მედიუმის ფუნქციის შესრულებაში: იგი მიერთებულია ინტერნეტთან, რაც ფოტოების სწრაფი გაზიარების საშუალებას იძლევა. შესაბამისად, კიდევ უფრო აქტუალური ხდება მსჯელობა ფოტოგრაფიის შესაძლებლობებსა და გამოწვევებზე, რაც სტატიის ძირითადი მიზანია. ამ თემაზე მსჯელობის დასკვნა ის არის, რომ ყოველთვის იარსებებს ადამიანი, რომელსაც თავად სურს ან აიძულებენ, რომ გადაწეროს ისტორია, შეცვალოს ფაქტები და ტყუილით მოიპოვოს საზოგადოების ყურადღება. მაგრამ ეს ალბათ უფრო ამ ხალხის პრობლემაა, ვიდრე ფოტოგრაფიის. და თუ ჩვენ გულწრფელად გვსურს ავთენტური გამოსახულებების შექ-

მნა, საამისოდ ყველა საჭირო ხელსაწყო გვაქვს. სხვა დანარჩენი კი პროფესიონალიზმის და პიროვნული პასუხისმგებლობის საკითხია.

ფოტოგრაფიას შეუძლია წამის შეჩერება მნახველისთვის, რათა ამ უკანასკნელმა „წარსულში დაბრუნება“ შეძლოს. მას შეაქვს წვლილი საერთო საზოგადოებრივი მეხსიერების ფორმირებაში – განსაკუთრებით ციფრულ ერაში, რომელშიც ფოტოს ნახვა შესაძლებელია, განურჩევლად დროისა თუ ადგილისა. ეს პროფესია თუ მეთოდი განუწყვეტლივ ვითარდებოდა და იგი კვლავ აგრძელებს ახალი მწვერვალების დაპყრობას: დღესდღეობით ფოტოგრაფს შეუძლია, გადაიღოს ათასობით ფოტო ერთ პატარა მეხსიერების ბარათზე და გააზიაროს ძალიან მცირე ღროში. მაგრამ იმის მიუხედავად, რომ ღროთა განმავლობაში ფოტოგრაფიის სხვადასხვა ჟანრი განვითარდა (ახალი ამბების, პორტრეტის, სარეკლამო, პეიზაჟის, ნატურმორტის, არქიტექტურის და დოკუმენტური ფოტოგრაფია) უცვლელია ფოტოგრაფიის მთავარი დანიშნულება – შექმნას მეხსიერება და გადაუღოცოს იგი მომავალ მნახველს. ფოტოგრაფია ფანჯარაა წარსულში. აკადემიური თხრობა ალბათ შეუცვლელია ინდივიდუალური თუ კოლექტიური იდენტობის შეგრძნების გადმოსაცემად, თუმცა ხანდახან სიტყვები არ არის ისეთი ზუსტი, როგორც გამოსახულება, რომელსაც ქმნის ფოტოგრაფია და მულტიმედიური ხელსაწყოები. ფოტოგრაფია ეხმარება მკვლევრებს და ფილოსოფოსებს ფიქრების ვიზუალიზაციაში, რადგან იგი აღწერს ადამიანის ბუნებას და სამყაროს, რომელსაც ის ქმნის.

სტატიანზე მუშაობისას ვერ მივაკვლიე ტექსტს, სადაც ერთად იქნებოდა თავმოყრილი არგუმენტები „კამერა ობსკურას“ დღევანდელი შთამომავლობის წვლილის შესახებ ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლაში, ეთნოგრაფია-ანთროპოლოგიაში, კონსერვაცია-რესტავრაციის პროცესსა და განათლებაში. შესაბამისად, ეს სტატია ერთგვარი მცდელობაა, შეივსოს ეს დანაკლისი პირადი გამოცდილებისა და სხვათა ნააზრევის თავმოყრის საფუძველზე .

კონცეპტუალური ჩარჩო

სტატიაში განვიხილავ სამ მაგალითს, რომლებშიც ფოტოგრაფიის როლი განსაკუთრებული მგონია. ეს როლი განისაზღვრება ფიქსაცია-დოკუმენტაციისა და კვლევის უნიკალური შესაძლებლობებით, რაშიც ფოტოგრაფია ხშირად შეუცვლელია როგორც სოციალური კვლევებისათვის, ისე ხელოვნებამცოდნეობისათვის. შევხებით ფოტოგრაფიისა და მულტიმედიური საშუალებების უნიკალურობას თანამედროვე განათლებისათვისაც, რაც ფოტოგრაფიისა და ფოტოხელოვნებასაც საზოგადოებასა და რეალობას შორის მედიუმის

ფუნქციის დამატებით შტრიხებს სძენს. კი, არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ამ მედიუმში ოპერატორის სუბიექტური თვალის იგულისხმება, მაგრამ ჯონ კოლიერ ჯუნიორი წერდა, ფოტოგრაფია, როგორც ვიზუალური ანთროპოლოგიის კვლევითი მეთოდი, იმითაცაა უნიკალური, რომ იგი სავსე დაკვირვების მრავალჯერადი აღნუსხვით კრიტიკული ანალიზის შესაძლებლობას აფართოებს: კამერა ვიზუალური მენსიერების მაკონტროლებელია (Collier 1967, 4).

ჩემი სამი მაგალითიდან მესამე ფოტოგრაფიის ანთროპოლოგიურ პერსპექტივას ეხება. ამასთანავე, იგი დაკავშირებულია პენი ტინკლერის დაკვირვებასთან, რომლის თანახმად, ფოტოგრაფია ისტორიული კვლევების კონტექსტშიც მონაწილეობს, რადგან გვაფიქრებს არა მხოლოდ იმაზე, თუ როგორი იყო საკვლევი რეალობა მისი ფოტოგრაფირების დროს, არამედ იმაზეც, თუ რისი თქმა უნდოდა ფოტოგრაფს, როგორ ახდენდა იგი ამ რეალობის კონცეპტუალიზაციას და რისთვის იყენებდნენ/იყენებენ ამ ფოტოებს მნახველნი (Tinkler 2013).

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კომპლექსური სოციალური რეალობის აღწერის როგორც ტექსტური, ისე ვიზუალური მედიუმები არ არის დაზღვეული სუბიექტურობისა თუ ინტერსუბიექტურობისაგან და მათზე გავლენას ახდენს და რეალობას ასხვაფერებს როგორც ავტორი, ისე წამკითხველი თუ მნახველი, სტატია მაინც ამანვილებს ყურადღებას იმ გარდაუვალად ობიექტურ წახნაგებზე, რომლებიც წარსულის გაცოცხლებაში მონაწილეობს. აქ შეიძლება მოვიხმოთ ისტორიის თეორიის ექსპერტის, რიჩარდ ევანსის აზრები, რომელიც პოსტმოდერნულ კრიტიკას უპასუხებდა. ევანსის თანახმად, ისტორია რეალობის ინტერპრეტაციაა, მაგრამ ფიქციისაგან მას განასხვავებს დროსა და სივრცეში დაფიქსირების კრიტერიუმები, წყაროებზე მითითება, ლოგიკური მსჯელობა. თან ყველა ისტორიული ფაქტი ვერ იქნება ლიტერატურული ნარატივის მსგავსი, რადგან ზოგჯერ იგი სტატისტიკური ჩანაწერია, ძველი კედელია ან მინაჩხაპნი ამ კედელზე. შესაბამისად, მსგავსი ფაქტები ფიქსირდება და მოწმობად გამოყენება (Evans 2000, 3).

ისტორიის შესახებ ნათქვამი კიდევ უფრო შეესაბამება ფოტოგრაფიას. რა თქმა უნდა, ზოგჯერ ფოტოგრაფიაც შეიძლება გავიგოთ, როგორც რეალობის ინტუიციური ქვრეტა ჰიპერრეალობის შექმნის ზღვარზე, მაგრამ, იმავდროულად, იგი შეიძლება: ა) რეალობა აღმოაჩინოს; ბ) მისი მოულოდნელი რაკურსები წარმოაჩინოს; გ) რეალობის არაკონვენციურ, არარომანტიზებულ ასპექტებზე გაგვამახვილებინოს ყურადღება. ამით ფოტოგრაფია სოციალურ თეორიას ეხმარება და ეგებ ამძაფრებს კიდევ. როგორც უკვე აღინიშნა, წინამდებარე

სტატიაც სწორედ რეალობის გაგების ფოტოგრაფიული და მულტიმედიური შესაძლებლობების ანალიზსა თუ მიმოხილვას ეხება ისეთი მაგალითების მოხმობით, როგორცაა არტეფაქტების ფოტოფიქსაცია და დოკუმენტაცია, ანთროპოლოგიური მასალის შექმნა და ამ შესაძლებლობათა გამოყენება განათლებაში.

ICOMOS-ის პუბლიკაციის მიხედვით (Brooks 2001-2002) კულტურული მემკვიდრეობა ფართო გაგებით მოიცავს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს „ის მოიცავს ლანდშაფტს, ისტორიულ ადგილებს, მოწყობილ გარემოს, ბიომრავალფეროვნებას, კოლექციებს, წარსულსა და განგრძობად კულტურულ პრაქტიკებს, ცოდნას და ცხოვრების გამოცდილებას. ის აღბეჭდავს და გამოხატავს ისტორიული განვითარების ხანგრძლივ პროცესებს, ეროვნულ მრავალფეროვნებას, რეგიონულ და ლოკალურ იდენტობას და არის თანამედროვე ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. ის არის საწყისი წერტილი, ზრდის და განვითარების პოზიტიური ინსტრუმენტი თითოეული თემისა თუ ლოკაციის განვითარებისთვის, განსაკუთრებით კოლექტიური მეხსიერებისათვის, აწმყოსა და მომავლისთვის.“

კულტურულმა მემკვიდრეობამ საუკუნეების მანძილზე გაუძლო ბუნებრივ თუ ადამიანის მიერ შექმნილ კატასტროფებს: მიწისძვრებს, წყალდიდობებს, ქარიშხალს, ხანძრებს, ომებს, ვანდალიზმს. ამასთან, ადამიანს კვლავაც შეუძლია ანადგუროს კულტურული მემკვიდრეობა განზრახ ან უცოდინარობით, ცუდი რესტავრაციით, არასწორი მასალების გამოყენებით. ბევრმა კულტურულმა ძეგლმა, მათ შორის არქიტექტურულმა ნაგებობამ, მართალია, ნაიარევებით, მაგრამ მაინც გაუძლო დროს და დღემდე მოაღწია. სამწუხაროდ, გაცილებით დიდი რაოდენობა განადგურდა, თუმცა ზოგჯერ ინფორმაცია იმის შესახებ, რაც აღარ არსებობს, ტექსტებშია შენახული. მემკვიდრეობა ისაა, რაც აერთიანებს საზოგადოებას, ის გვეხმარება, რომ შევიგრძნოთ წარსული და ვიპოვოთ კავშირი მასთან. სწორედ ამიტომ ისტორიკოსები, რესტავრატორები და სხვა სპეციალისტები ძალას არ იშურებენ, გადაარჩინონ რაც შეიძლება მეტი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.

ბაკალავრიატში სწავლის პერიოდში მქონდა პატივი, მემუშავა უსაზღვროდ საინტერესო სარესტავრაციო/საკონსერვაციო ექსპედიციებში: ყინწვისის (XIII საუკუნე), ზარზმის (XIV საუკუნე) და მღვიმევის (XIII საუკუნე) მონასტრებში. ჩემთვის ყველაზე საინტერესო ნაწილი კვლევა და დოკუმენტაცია აღმოჩნდა. ვეძებდი მხატვრობის სხვადასხვა შრეებს. ულტრაიისფერი და ინფრაწითელი განათების დახმარებით ხილვადი ხდებოდა მხატვრობის თვალით უხილავი ფენები. კვლევის შედეგები კი მოგვიანებით გამოყენებული იყო მულტი-

მედიური პროექტის შესაქმნელად. ვფიქრობ, ფოტო ყოველთვის წარმოადგენს მყარ მტკიცებულებას, არქიტექტურის თუ არტეფაქტების შესახებ. ფოტო გვაჩვენებს ძველის გადაღების დროისთვის არსებულ მდგომარეობას, აფიქსირებს ვითარებას რესტავრაცია/კონსერვაცია-ამდე და მის შემდეგ. არის რისკებიც: ფოტოგრაფია ასევე შეიძლება ამახინჯებდეს რეალობას და არასწორი გზით მივყავდეთ. თუმცა თუ სწორად არის გამოყენებული მისი შესაძლებლობების და შეზღუდვების გათვალისწინებით, ობიექტივის და პერსპექტივის სწორი შერჩევით, ფოტოაპარატი დღემდე ერთ-ერთი ყველაზე ზუსტი ხელსაწყოა დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის აღსადგენად. სტატიის პირველ მაგალითში სწორედ რესტავრაციის პროცესში ფოტოგრაფიის როლზეა საუბარი.

ეს მაგალითი კონკრეტულად ეხმიანება ფოტოგრაფიის, როგორც ისტორიასა და თანამედროვე საზოგადოებას შორის ერთ-ერთი კვლევით/გამომსახველობითი მედიუმის როლს და უნარებს, როგორადაც ეს საკითხი კოსენტინოს, გილს აქვთ გადმოცემული (Cosentino at al. 2014). ამ მკვლევართა თქმით, ტექნიკური ფოტოგრაფიის დანიშნულება ძველი ფრესკების დოკუმენტაცია-კვლევის განსაკუთრებული შესაძლებლობაა, რომელიც, იმავდროულად, კედლის მხატვრობის ტექნიკის შესწავლის საშუალებაცაა.

აღწერს რა ფოტოკამერის ინფრაწითელი გადაღებისა და სხვა შესაძლებლობების გამოყენებას აცი სან-ანტონიოს მე-18 საუკუნის კედლის ფერმწერთა შერეული ტექნიკის გაგებაში, ნახატის ქვეშ არსებული გრაფიკული სკეჩების აღმოჩენაში, აღნიშნული სტატია უშუალოდაა რელევანტური ჩემი მეორე მაგალითისთვის, რომელიც ეყრდნობა დანა ნორისის და ოლივერ ვატსონის მიერ განხილულ მინაის კერამიკის ფერწერული დამუშავების კვლევას (Norris, Watson 2021).

რაც შეეხება ჩემ მიერ მოხმობილ მესამე მაგალითს, მისი მეთოდოლოგიური და კონცეპტუალური ჩარჩო ფოტოგრაფიის ეთნოგრაფიასა და ანთროპოლოგიაში გამოყენებისადმი მიძღვნილი აკადემიური ნაშრომებია. როგორც ე.წ. ვიზუალური ანთროპოლოგიის ერთ-ერთი დამფუძნებელი ჯეი რუბი წერდა, ანთროპოლოგთა მიერ ფოტოების გადაღებაში დახარჯული დრო, ფული და ენერჯია აჩვენებს, რომ ისინი ამას უნდა აკეთებდნენ აღნიშნული მედიუმის უნიკალური თვისებების გამო. ეს თვისებები საშუალებას აძლევს მათ, აღნუსხონ, გააანალიზონ და წარმოადგინონ კულტურის ზოგიერთი მანიფესტაციები ისე, როგორადაც სხვაგვარად ვერ მოახერხებდნენ, (Ruby 2000, 53). ვფიქრობ, ეს კონცეპტუალური ხედვა უშუალოდ მიესადაგება ჩემ მიერ მესამე მაგალითად მოთხრობილ ლომისობის დღესასწაულის ფოტოფიქსაციის ამბავს.

ფოტოგრაფია და მულტიმედია როგორც სარესტავრაციო ხელსაწყო – მაგალითი N1

ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი, თუ როგორ შეიძლება იყოს ფოტოგრაფია გამოყენებული რესტავრაციის პროცესში, შოთა რუსთაველის ფრესკაა. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი. ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ რუსთაველი მისი გვარი არაა და იგი მის წარმომავლობაზე მიუთითებს. შესაბამისად, რუსთაველის ფრესკა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. რუსთაველის გამოსახულებას იერუსალიმის ჯვრის მონასტერში მიაკვლია ქართველმა პილიგრიმმა, ტიმოთე გაბაშვილმა 1757-58 წლებში, მოგვიანებით კი, 1960 წელს, იგი ხელახლა აღმოაჩინეს ირაკლი აბაშიძემ, აკაკი შანიძემ და გიორგი წერეთელმა. ჯვრის მონასტრის ისტორია მულტიმედი დაპირისპირების საგანია რუსულ, ქართულ და ბერძნულ საეკლესიო პირებს შორის. დღესდღეობით მონასტერი ბერძნული მხარის მიერ არის კონტროლირებადი, ისტორიული დოკუმენტების მიხედვით კი ის ქართული დაქვემდებარების ქვეშ იყო. 2004 წელს შოთა რუსთაველის ფრესკა ვანდალიზმის შედეგად განადგურდა. უკავშირდება თუ არა ფრესკის განადგურება ისტორიის წაშლის მცდელობას, გამოძიების საკითხია და სცდება ამ სტატიის ფარგლებს. ფრესკის აღდგენისთვის გამოყენებული იქნა ხელოვნების ისტორიკოსის, დავით ცხადაძის¹ ფოტო, რომელიც ფრესკის განადგურებამდე რამდენიმე კვირით ადრე იყო გადაღებული. ფოტოს გადასაღებად მას ძალიან მცირე დრო მისცეს. მნიშვნელოვანია ასევე ფოტო აღჭურვილობა: Nikon F3 ფირის კამერა ფუჯიფილმის 100 მგრძნობელობის ფირი, 105 მმ საპორტრეტე ობიექტივი. ფოტო გადაღებულია F11 დიაფრაგმით. სწორედ ამ აღჭურვილობის საშუალებით გამოვიდა მკვეთრი პორტრეტი, აბერაციის გარეშე. ფრესკის განადგურების შემდეგ მკვლევრებმა დაიწყეს რესტავრატორის ძიება მის აღსადგენად. ისრაელის ოფიციალურმა პირებმა რეკომენდაცია გაუწიეს რესტავრატორს, ჰაიმ კაპჩიცს.² რესტავრატორმა შეამოწმა ფოტოები პერსპექტივის და აბერაციის მხრივ და დაასკვნა, რომ შეიძლება მისი გამოყენება რესტავრაციის პროცესში. საკითხის განხილვისას დავით ცხადაძემ რესტავრატორს შესთავაზა პროექციის მეთოდის გამოყენება. ეს მეთოდი რესტავრაციის საბჭოთა სკოლაში, რომელსაც ქართველი რესტავრატორებიც მიეკუთვნებოდნენ, არ გამოიყენებოდა. ის უფრო დასავლური ნოუ ჰაუ იყო. რესტავრატორი დათანხმდა ამ ტექნიკის გამოყენებას, წარმატებით

1 დავით ცხადაძე – კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე (2011წ). ინტერვიუ (15.08.2024).

2 ჰაიმ კაპჩიც (Haim Kapchitz) – მხატვარი, რესტავრატორი იერუსალიმში.

შეასრულა სამუშაო ფრესკის სხვადასხვა ფენის დამუშავებით და ალადგინა გამოსახულება, თუმცა დატოვა ბოლო ფენა. მისი თქმით, ქართველებმა თავად უნდა დაასრულონ ის. შოთა რუსთაველის აღდგენილი ფრესკა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ფოტოს იდეალური ასლია, ამბობს დავით ცხადაძე ინტერვიუში.

დღესდღეობით ყველას აქვს კამერა თავის ტელეფონში მის წყალობით, გვაქვს შესაძლებლობა, მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში მიმდინარე ამბების განვითარებას ვადევნოთ თვალი. ამდენი ხელსაწყო არსებობამ გაზარდა კულტურული მემკვიდრეობის შესახებ არსებული ვიზუალური ინფორმაციის არქივი. სამწუხაროდ, ყველა ძეგლი არ არის სათანადოდ გადაღებული, ყველა ტურისტი ვერ იქნება ფოტოგრაფი, რომელიც ღირებულ მასალას შექმნის საზოგადოების საერთო მეხსიერებისთვის. ყოველ ჯერზე, როდესაც ვიღებთ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, უნდა გვახსოვდეს რომ ის შეიძლება თვალის დახამხამებაში გაქრეს. რა უნდა გადაიღოს ფოტოგრაფმა, თუ სურს, რომ წვლილი შეიტანოს საერთო მეხსიერებაში?

ეს ტექნიკა სამხატვრო აკადემიაში სწავლისას ჩემმა პროფესორმა მასწავლა: თუ მუზეუმში გადაღება გსურს, შეზღუდული ხარ დროში და უნდა გადაწყვიტო, რით დაიწყო. მიმოიხედე გარშემო და ის რაც მნიშვნელოვანია, თავად მიიპყრობს ყურადღებას. ეს ტექნიკა შემოწმებულია და კარგად მუშაობს, თუმცა, რა თქმა უნდა, ის არ არის საკმარისი კულტურული მემკვიდრეობის გადასაღებად.

დავით ცხადაძის ფოტო დაეხმარა შოთა რუსთაველის ფრესკის გადარჩენას. მისი პროფესიონალიზმი ეყრდნობოდა არა მხოლოდ გემოვნებას და ინტუიციას, არამედ ფოტოგრაფიის ძირეულად ცოდნას. კულტურული მემკვიდრეობის გადაღება შეიძლება შევადაროთ ამბის თხრობას, რომელიც ე. წ. 5W შეკითხვის პრინციპებს ეფუძნება: Who, What, Where, When, Why (ვინ, რა, სად, როდის, რატომ). ეს ტექნიკა გამოიყენება ან ფოტოს შექმნის პროცესში, ან მისი გაშიფვრისას.

ფოტოგრაფია გვაჩვენებს თვალისთვის უხილავს – მაგალითი N2

ფოტოგრაფიას შეუძლია, გვაჩვენოს არტეფაქტების სხვადასხვა შრე. როდესაც პროფესიონალები მუშაობენ დოკუმენტაციის და რესტავრაციის პროცესზე, ისინი იყენებენ ულტრაიისფერი და ინფრაწითელი განათების სხივებს. ეს სხივები სცდება იმ დიაპაზონს, რის დანახვაც ადამიანის თვალს შეუძლია. ისინი ეხმარება მკვლევრებს, ჩააღწიონ არტეფაქტების ზედაპირის ქვედა შრეებში. სტანდარტული კამერა შეიძლება მოდიფიცირდეს შიდა, ინფრაწითელი და ულტრაიისფერი ფილტრის გამჭვირვალე ფილტრით ჩანაცვლებით. ეს ფო-

ტოპარატს ზემოხსენებული სხივებისადმი მგრძობიარედ აქცევს (ფილტრის ჩანაცვლების შემდეგ კამერას დასჭირდება ობიექტივზე ფილტრის გამოყენება იმისთვის, რომ წინანდელ რეჟიმში გადაიღოს ფოტოები) (Martinez, William 2022).

ულტრაიისფერი და ინფრაწითელი განათების გამოყენების ძალიან კარგი მაგალითია მინაის კერამიკის კვლევა (Norris, Watson 2021). არტეფაქტი დათარიღებულია მე-12 საუკუნის მიწურულითა და მე-13 საუკუნის დასაწყისით. ის ღირსშესანიშნავია ახალი ფერებისა და მოჭიქულობის ტექნოლოგიის გამო, რომელიც ირანის კაშანის რეგიონში შეიქმნა. ამ რეგიონს ძალიან საინტერესო ისტორია აქვს. მეთორმეტე საუკუნეში აქ ეგვიპტიდან ჩამოვიდნენ მეთუნეები. ქალაქი ქაშანი მანამდე არ იყო ცნობილი კერამიკით, თუმცა მალევე მან სახელი გაითქვა, როგორც უმაღლესი ხარისხის კერამიკული ნაწარმის ექსპორტიორმა ისლამურ სამყაროში. კერამიკა ცნობილია მინანქრის ტექნიკით, ზუსტი ორნამენტებით და ფერებით. ეს კერამიკა საუკუნეების განმავლობაში იყო გადახატული და საჭირო ხდებოდა თავდაპირველი მოხატულობის აღდგენა. რაიმენაირი რესტავრაციის, არასასურველი ფენის მოშორებამდე ან ფერის რეკონსტრუქციამდე, აუცილებელია ძირეული კვლევა, რადგან ჩარევამ შეიძლება სტრუქტურული დაზიანება გამოიწვიოს. ასევე მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ რომელი შრე რა პერიოდს მიეკუთვნება და რომელია ავთენტური, რათა გავიგოთ მეტი მე-12 საუკუნის საზოგადოების შესახებ, ჩავწვდეთ, რას ითხოვდა იგი კერამიკის შემქმნელებისგან. სტატიის ავტორი ირწმუნება, რომ არტეფაქტები სარიხანიდან და აშშ-ოლანის ხელოვნების და არქეოლოგიის მუზეუმის კოლექციიდან არის ჩამოტანილი. არტეფაქტის მდგომარეობის გადასაღებად, მკვლევრებს უნდა შეეჩინათ გადაღების საუკეთესო ხერხი. მათი მიზანი საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში ანგარიშის შექმნა იყო. სტატიის თანახმად, „ულტრაიისფერი და ინფრაწითელი ფოტოგრაფიის კვლევის შედეგად, დეკორატიულ ფენაში გამოჩნდა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც უხილავია შეუიარაღებელი თვალისთვის.“ სტატიაში ასევე დეტალურადაა განხილული გადაღების პროცესი. კვლევისთვის გამოიყენეს სხვადასხვა სიხშირის ულტრაიისფერი განათება, თუმცა თავდაპირველი ფოტოები ნორმალური განათებით გადაიღეს. შემდეგ ოთახი ჩააბნელეს და ულტრაიისფერი განათებით დაიწყეს გადაღება. ექსპოზიციის დრო გაზარდეს 30-60 წამამდე, დროის ამ მონაკვეთში განათებას მიმართავდნენ სხვადასხვა დეტალებზე, თანაბარი ექსპოზიციის მისაღებად. ინფრაწითელი განათებით გადაღებას მოგვიანებით ფოტოშოპში დამუშავება ესაჭიროება, რადგან გადაღება ხდება

არაკომპრესირებული ფაილით (RAW). ასევე ფოტოებს დაჰკრავს მოვარდისფრო ფერი, რომელიც ხელს უშლის მკვლევრებს გამოსახულების აღქმაში, ამიტომ მისი მოშორებაა საჭირო. „ციფრული რადიოგრაფია ასევე გამოსადეგი ტექნიკაა, კერამიკის მდგომარეობის შესწავლის პროცესში“ (Norris, Watson 2021).

კვლევის შედეგად სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ რესტავრირებული ნაწილები უფრო მუქად ჩანს ულტრაიისფერ გამოსახულებაში, ავთენტურ ნაწილებთან შედარებით. ასევე ინფრაწითელი განათების შემთხვევაში სარესტავრაციო მასალები შთანთქავენ განათებას, რაც თვალსაჩინოს ხდის განსხვავებას კერამიკასა და მას შორის. ეს არის კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება იყოს გამოყენებული ფოტოგრაფია კვლევის პროცესსა და დოკუმენტურ აღბეჭდვაში.

„ლომისობა“ – მაგალითი N3

ფოტოგრაფიამ ხშირად შეიძლება გამოიწვიოს დისკუსია და უთანხმოება საზოგადოებაში, სადაც ტრადიციები და თანამედროვე კულტურა ხვდება ერთმანეთს. საქართველოში ტარდება სხვადასხვა დღესასწაული, რომელთა დიდი ნაწილი ჩვენს წელთაღრიცხვამდე გაჩნდა. ამის მაგალითია მთიულეების დღესასწაული ლომისობა. ეს დღესასწაული აღინიშნება მართლმადიდებლური შობიდან 7 კვირის შემდეგ, მლეთაში, მთაზე, სადაც წმინდა ლომისას ხატია დასვენებული. წინაქრისტიანულ პერიოდში ლომისა წარმართული ღმერთი იყო. სახელი ლომა დაკავშირებულია ლომთან და ხართან, რომელიც ასოცირდებოდა მთვარის კულტთან. ეს თეორია უკავშირდება ფაქტს, რომ ძირითადად ხატზე გამოისახება ხარი, რომლის რქასაც აქვს მთვარის ფორმა (იქვე). ლეგენდის და რიტუალების თანახმად, ლომისა იყო მონადირე მხედარი. გაქრისტიანებასთან ერთად, წარმართული ხატი გადაკეთდა ქრისტიანულ წმინდა სალოცავად. მთიულეებმა მფარველად წმინდა გიორგი აირჩიეს – მისი შეუდრეკელი, მებრძოლი სული ყველაზე კარგად თავსდებოდა წარმართულ პანთეონთან. მოგვიანებით, ლომისას რიტუალურ ადგილას წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი ააშენეს, რომელიც X-XI საუკუნით თარიღდება. დამრეც ფერდობზე 8-კილომეტრიანი მარშრუტის ბოლოს მთაზე დგას წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი. ამ ადგილიდან ერთ მხარეს მოჩანს არაგვის ხეობა, მეორე მხარეს კი ქსნის ველი. ლომისობა მთიულეთში დიდი დღესასწაულია, სადაც მომლოცველები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოდიან, რათა შესწირონ (ძირითადად) ცხვარი ლომისას ხატს. დღესასწაულზე ცხვარი მხრებით, ან თოკზე გამობმული აჰყავთ მთის

წვერზე და ასრულებენ შეწირვის რიტუალს. ტაძარში უზარმაზარი ჯაჭვია და არსებობს სხვადასხვა ვერსია ამ ჯაჭვთან დაკავშირებით: ერთი ლეგენდის მიხედვით, ცოდვილმა ქალმა მხრებით ამოიტანა ის მთაზე (კენკიშვილი 2004). ტრადიციის თანახმად, მლოცველმა ჯაჭვი მხრებზე უნდა ატაროს ლოცვისას და თუ ის იგრძნობს ჯაჭვის შემსუბუქებას, ეს ანგელოზების დახმარებას და ცოდვების მონანიებას ნიშნავს. ეს დღესასწაული ისეთი პოპულარული გახდა, რომ თითქმის ყველა მოქმედი ფოტოგრაფი ამ დღის გადასაღებად მთიულეთისკენ მიემართება. სწორედ მათ მიერ დღესასწაულის დეტალების გაშუქებამ გააჩინა საზოგადოებაში პროტესტი „ბრუტალური რიტუალის“ მიმართ. პროტესტი იმდენად დიდი იყო, რომ ერთ-ერთმა დეკანოზმა სოციალურ ქსელში დაწერა „არაა ეს ქრისტიანული წესი! დღეს ლომისობაა – ლომისის წმინდა გიორგის სალოცავის დღესასწაული. გილოცავთ, მაგრამ ცხოველების ეს სისხლიანი მსხვერპლშეწირვა არანაირად არაა ქრისტიანული წესი“ (Ambebi.ge 2016).

ლომისობა დღემდე აღინიშნება ადგილობრივების მიერ და მათთვის იგი იდენტობის და კულტურის ნაწილია. ფოტოგრაფებს ყოველთვის აქვთ ეთიკური პასუხისმგებლობა, როდესაც საქმე მსგავს დღესასწაულებს ეხება. ისინი უნდა დაფიქრდნენ, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს საზოგადოებაზე მათ მიერ გამოქვეყნებულმა მასალამ, უნდა დარწმუნდნენ, რომ კულტურული მემკვიდრეობის სწორ ინტერპრეტაციას ახდენენ. ფოტოგრაფების მიზანი ამ დღესასწაულის დოკუმენტაცია იყო და არა საზოგადოებაში ვნებათაღელვის გამოწვევა. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ფოტოგრაფიის მეშვეობით შეიქმნა არქივი, რომლის საშუალებითაც მომდევნო თაობას გადაეცემა მენსიერება დღესასწაულზე, რომელიც შეიძლება ცხოველთა დაცვის თუ ახალგაზრდებში ინტერესის დაკარგვის გამო გაქრეს. ვერ ვიტყვი, რომ ამ არქივის ფორმირების ყოველ მონაწილეს გაცნობიერებული ჰქონოდა პენი თინკლერის შეგონება, რომ ფოტოგრაფიის ერთ-ერთი განზომილება ფოტოგრაფსა და მისი პროდუქტის მომავალი მნახველის ურთიერთმიმართებაა – ანუ, ფიქრი იმაზე, თუ რატომ იქმნება ფოტო და რა შთაბეჭდილებას ახდენს იგი მნახველზე (Tinkler 2013), მაგრამ ცხადია, რომ ლომისობის ირგვლივ განვითარებული ვნებათაღელვა მისი ფოტოარქივითაცაა გამოწვეული.

კონტექსტის და დეტალების გადაღება

როდესაც ვსაუბრობთ კულტურული მემკვიდრეობის ფოტოდოკუმენტაციაზე, პირველ რიგში უნდა ვცადოთ კონტექსტის ჩვენება სულ ცოტა სამი განსხვავებული ტიპის ფოტოთი. ესაა ფართო, საშუალო და ახლო კადრი. ადგილი, სადაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი მდებარეობს, ბევრს გვიამბობს მის შესახებ. შესაბამისად, ფართოკუთხიანი ობიექტივია რეკომენდებული, ვთქვათ, ნაგებობის გადასაღებად, რათა გარემო მთლიანად მოექცეს კადრში. ასეთი კადრი ასევე შეიძლება გადავიღოთ დრონის დახმარებით, რაც საშუალებას იძლევა, შევცვალოთ პერსპექტივა და ხედვის წერტილი. პერსპექტივა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია ფოტოგრაფიის მეშვეობით ამბის თხრობისთვის. მას შეუძლია, მოგვითხროს ამბავიც და გვიამბოს თავად ფოტოგრაფზეც. პერსპექტივას შეუძლია, წინ წამოსწიოს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის ის მხარე, რომელზეც იქამდე არ გაუმახვილებიათ ყურადღება. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ დოკუმენტურ ფოტოგრაფიაში პერსპექტივის გზით მიღებული ფორმების ცვლამ, აბერაციამ, შეიძლება მნახველი შეცდომაში შეიყვანოს – გამოაჩინოს ობიექტი უფრო მონუმენტურად, როდესაც ის რეალურად უფრო მომცრო ზომისაა. საუკეთესო გზა არქიტექტურული ნაგებობების პერსპექტივის დამახინჯების გარეშე დაფიქსირებისათვის, მისი 2/3 სიმალლიდან გადაღებაა.

დრონების ფოტოგრაფია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ფოტოგრაფიის განვითარებაში. მან ახალი პერსპექტივა და უჩვეულო ხედები გამოაჩინა. დრონები გამოიყენება სხვადასხვა დარგში, განსაკუთრებით არქიტექტურის გადასაღებად. ხშირად ქართული არქიტექტურული ძეგლები შემაღლებულ და მიუდგომელ ადგილებშია აშენებული, რაც აქამდე თითქმის შეუძლებელს ხდიდა მის გადაღებას აბერაციის გარეშე. ასეთ შემთხვევებში დრონების გამოყენება ძალიან მოხერხებულია. დრონს არამარტო გამოსახულების მიღება შეუძლია დეფორმაციის და აბერაციის გარეშე, არამედ ვერტიკალური კადრის გადაღებაც. დრონი ასევე ექსტერიერის დეტალების ახლოდან გადასაღებად შეიძლება იქნეს გამოყენებული. სპეციალური NeRF³ ტექნიკის გამოყენებით, დრონის ოპერატორს სა-

3 NeRF -The recent Neural Radiance Fields (NeRF [1]) is a breakthrough in the field, generating highly photorealistic views of complex scenes. A NeRF learns an implicit representation of a scene, optimizing a neural network mapping from 3D location $x = (x, y, z)$ and 2D viewing direction $d = (\phi, \theta)$ to radiance $c = (r, g, b)$ and volume density σ . Given this representation, NeRF use classic rendering techniques [2] to render the color of a pixel. To optimize the radiance field, NeRF minimizes the squared loss between the ground truth pixels and the corresponding rendered pixels (“NeRF” 2021).

შუალეზა აქვს, სხვადასხვა მანძილიდან და კუთხიდან ალბეჭდოს ობიექტი. მოგვიანებით, პროგრამის დახმარებით, შეიძლება სივრცეში ამ ფოტოების განლაგება და 3D მოდელის შექმნა. სხვადასხვა კამერით და დროებით შექმნილი 3D გამოსახულებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს კვლევისთვის, განათლებისთვის და მულტიმედიური პრეზენტაციების შესაქმნელად, რომელიც სენსორებიან (Touch screen) მონიტორზე იქნება ნაჩვენები.

დრონის ფოტოგრაფიის გამოყენების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ნოტრდამის აღდგენაა 2019 წლის ხანძრის შემდეგ. პროცესში გამოიყენეს: დრონების ფოტოგრაფია, ფოტოგრამეტრია და სკანირება. შეგროვდა 460000-ზე მეტი გამოსახულება. BIM ტექნოლოგიის გამოყენებით, მკვლევრები მთელ ინფორმაციას აგროვებდნენ საერთო ბაზაში (Cloud) შემდეგ კი, კომპანია Autodesk-ის⁴ დახმარებით, რომელიც ცნობილია 2D და 3D მოდელირების პროგრამებით, შეიქმნა ნოტრდამის 3D გამოსახულება, რაც დაეხმარა რესტავრატორებს ტაძრის აღდგენაში.

ფართო კუთხით, დრონით და 3D სკანირებით ალბეჭდილი ექსტერიერის შემდეგ აუცილებელია საშუალო სიახლოვის კადრების გადაღება. ეს შეიძლება იყოს საინტერესო ფორმის ფანჯრები, კიბეები... თუ გადაღება მიმდინარეობს ეკლესიაში და კედლები მოხატულია, მაშინ დასაწყისისთვის საუკეთესო იქნება კონცენტრირება 2-5 ფიგურაზე. მხატვრობას ხშირად აქვს სხვადასხვა ტიპის დაზიანება: აქერცვლა, ჩამოცვენა, მარილი, წყლით, ულტრაიისფერით, მექანიკური. მოგვიანებით რესტავრატორები და მკვლევრები იყენებენ ხელთ არსებულ ყველა გამოსახულებას, რომ აღადგინონ მხატვრობა. საშუალო ზომის დეტალები საჭიროა სცენაში არსებულ ფიგურებს შორის კავშირის საჩვენებლად. თუ დავაკვირდებით მართლმადიდებლური ეკლესიის მხატვრობას, თვლების ზომა ხშირად გვკარნახობს მოხატულობის მიახლოებით პერიოდს სხვა წყაროებთან ერთად, ამ ტექნიკას იყენებენ მკვლევრებიც. სწორედ ამის გამო დეტალებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც რესტავრაციისთვის ასევე ამბის თხრობისთვის.

2011 წელს ფლორენციაში კონფერენციაზე წარვადგინე პრეზენტაცია, რამდენად მნიშვნელოვანია დეტალები ამბის თხრობისას, რამდენადაც სწორედ დეტალები წარმოადგენს, მაგალითად, ადამიანის საცხოვრებელი გარემოს სულს – იქნება ეს სარკმელი, კარის სახელური, აივნის ჩუქურთმა თუ სხვა. ვთვლი, რომ დიდი ქალაქები

4 Autodesk ცნობილია 2D და 3D პროგრამებით, ამასთან ეს არ არის კონსერვაციის პირველი სამუშაო, რომელშიც ის ჩაერთო. იტალიის ქალაქ ვოლტერას და აპოლო 11-ის კაფსულის დიგიტალიზაციაშიც autodesk მონაწილეობდა (Dobriyanova 2023).

შექმნილია პატარა დეტალებისგან. წერტილები აუცილებელია, რომ ხაზი შეიქმნას. პიქსელების გარეშე არ იარსებებდა ციფრული გამოსახულება, ასევე არ იქნებოდა კულტურული მემკვიდრეობა მცირე დეტალების გარეშე. მხატვრობა, არქიტექტურა, სკულპტურა, ეს არის ის, რასაც შეგვიძლია შევეხოთ და გადავიღოთ. ისტორია, ცოდნა, წარმოდგენა კი უხილავია, მაგრამ ის არსებობს. არც თუ დიდი ხნის წინ, როდესაც ქართულ უძველეს ეკლესიებს ვათვალიერებდით, მეგობარმა ასეთი ფრაზა წარმოთქვა: აქ იგრძნობა ხალხის მიერ საუკუნეების მანძილზე თქმული ლოცვა (აქვე აღვნიშნავ, რომ მეგობარი არ არის მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლი). ეს არის ის ადგილი, სადაც ფოტოგრაფია სირთულეს აწყდება. როგორ შეიძლება გადავიღოთ ის, რაც მატერიალურად უხილავია? მეორე მხრივ, ამ შეგრძნების ამბის გარეთ დატოვებაც დააზიანებს მთლიან ამბავს, რადგან კულტურული მემკვიდრეობის შემადგენელია სწორედ ემოციური ნაწილი. დავუბრუნდეთ ისევ კითხვას, შესაძლებელია კი, რომ გადავიღოთ შეგრძნება? ეს ძალიან კომპლექსური პროცესია. პირველ რიგში, ფოტოგრაფს თავად უნდა დაეუფლოს ეს შეგრძნება. დეფორმირებული და გაცვეთილი ქვა შესასვლელში შეიძლება აჩვენებდეს მომლოცველთა აქტივობას საუკუნეების მანძილზე, ლოცვაში ჩაძირულ ადამიანებს.

კულტურული მემკვიდრეობა ვერ იარსებებდა ხალხის გარეშე, ამიტომ ადამიანი აუცილებლად უნდა იყოს ფოტო ამბის შემადგენელი ნაწილი. სწორედ ამ დეტალების გამოყენებით, ფოტოგრაფს შეუძლია გადმოსცეს ის შეგრძნებები, რაც კულტურულ მემკვიდრეობას თან სდევს. აქ ჩნდება მომდევნო პრობლემა, ადამიანს, რომელიც ამ ფოტოს ნახულობს, განცდილი უნდა ჰქონდეს მანამდე მსგავსი შეგრძნება, რომ გაიხსენოს, რა ემოციაა ეს. სხვა მხრივ, ეს იქნება გამოგონილი ამბავი. სწორედ ასეთ შემთხვევებში ფოტოგრაფიამ შეიძლება ზუსტად ვერ მიაწოდოს მნახველს სათქმელი.

მულტიმედიური ტექნოლოგიები კომუნიკაციისა და განათლებისთვის

ერთ-ერთი უდიდესი უპირატესობა რაც ფოტოგრაფიას გააჩნია, ეს არის უნივერსალური ენა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისა და განათლების ადამიანებისათვის. ფოტომედიუმი აერთიანებს ყველას. ეს არის ხელსაწყო, რომელიც ეხმარება კულტურათაშორის გაცვლას. კარგი იქნებოდა, რომ არსებობდეს საერთო თანამშრომლობის პლატფორმა ისტორიკოსებისთვის, ფოტოგრაფებისთვის, რესტავრატორებისთვის. ეს შეცვლიდა ციფრული არქივის მუშაობას და განათლების მიღების გზას. რა თქმა უნდა, არ არის აუცილებელი, რომ მსგავსი

პლატფორმა შეზღუდული იყოს ფოტოგრაფიით ან მულტიმედიური ნამუშევრებით. ციფრულ ერას თან ახლავს შესაძლებლობა, რომ ვიმუშაოთ სხვადასხვა ტექნიკების დახმარებით. ჰდ გამოსახულება და ვირტუალური რეალობა, ეს არის ტექნოლოგიები, რისი გამოყენებაც შეიძლება კულტურული მემკვიდრეობის დისტანციურად დასათვალიერებლად. ახალი ტექნოლოგიების მიუხედავად, ფოტოგრაფიას თავის როლი აქვს კულტურული მემკვიდრეობის შემონახვაში. კოვიდ-19-მა გვაჩვენა, რომ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება შეიძლება ძალიან სწრაფად იცვლებოდეს. გადაადგილების შეზღუდვამ გვაიძულა, დავფიქრებულიყავით ჩვენი ცხოვრების სტილზე – როგორ ვსწავლობთ ან ვმოგზაურობთ. ეს განსაკუთრებით რთული პერიოდი იყო მათთვის, ვინც ოჯახის წევრები დაკარგა, თუმცა ასევე რთული იყო მათთვისაც, ვისაც სახლიდან გამოსვლა არ შეეძლო. აქ აღსანიშნია ახალი ტექნოლოგიების და ონლაინრესურსების როლი განათლებასა და კომუნიკაციაში. ყველა სხვა მოთხოვნებთან ერთად, ადამიანს სჭირდება სულიერი და კულტურული საზრდო – მოგზაურობა, ხელოვნება, კულტურული მემკვიდრეობის მონახულება, რაც შეზღუდული იყო პანდემიის დროს. შედეგად, ვირტუალური გალერეები და ონლაინ პლატფორმები, როგორიცაა Google Street View, გახდა პოპულარული ალტერნატივა. ზოგმა ფოტოგრაფმა ეს ვირტუალური ქუჩის ფოტოგრაფიადაც კი აქცია.

იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რაც ტექნოლოგიების გამოყენების მხრივ COVID-19 ის დროს გვხვდებოდა, შეიძლება დავფიქრდეთ იმაზე, თუ რას გვიშაბდებს მომავალი. მართალია, არ არსებობს კულტურული მემკვიდრეობის რეალურად, პირადად მონახულების შემცველი, მაგრამ დროა, დავფიქრდეთ, თუ როგორ შეიძლება შევქმნათ მსგავსი შეგროვება ისეთი მულტიმედიის ხელსაწყოების მეშვეობით, როგორიცაა: ფოტოგრაფია, ვირტუალური რეალობა(VR), 3D მოდელირება და სკანირება. ეს ტექნოლოგიები ასევე ამარტივებს, მეტად საინტერესოს და მოსწავლეებზე მორგებულს ხდის სწავლის პროცესს. ტრადიციულად, კულტურული მემკვიდრეობა და ისტორია ისწავლებოდა უზარმაზარი წიგნებით. ისინი სავსეა ინფორმაციით, წყაროებით, რაც ხშირად მოსწავლეებს უნელებს სწავლის სურვილს. რა თქმა უნდა, არ ვარ წიგნების გაქრობის მომხრე, თუმცა შესაძლებელია გაკვეთილების თუ ლექციების უფრო საინტერესო ჭრილში წარმართვა, როდესაც სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, ვირტუალური რეალობის საშუალებით დაათვალიერონ იშთარის კარიბჭე, კოლოსეუმი, პირამიდები და გააცოცხლონ წარსული.

ბევრ სტუდენტს შეიძლება არასოდეს მიეცეს შესაძლებლობა, რომ თავად მონაწილეობს ესა თუ ის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. თუმცა ვირტუალური რეალობით, 360-გრადუსიანი კამერით, და გამოსახულებების შეწებებით, მათ შეუძლიათ, ძლიერი კავშირი იპოვონ კულტურასთან.

როდესაც ფოტოგრაფიას ვასწავლით, აუცილებელია გვანხვავდეს მისი ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტი, ფოტოს აღქმის და გააზრების უნარ-ჩვევა. მაშინ, როდესაც ფოტოგრაფიას აქვს შესაძლებლობა, ასახოს რეალობა, ის ასევე ძლიერი ხელსაწყოა ცრუ აღქმის ჩამოყალიბებისთვის. ხალხს იმის უფრო სჯერა, რასაც ხედავს გამოსახულებაზე, ვიდრე იმის, რასაც ეუბნებიან. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანს ხდის მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარებას. საჭიროა, კარგად გავიზოროთ ფოტოგრაფიის შესაძლებლობები, დავიცვათ დისტანცია, გავაანალიზოთ დანახული და გადავამოწმოთ გამოსახულების წარმომავლობის წყარო.

გაყალბებული ფოტოების ამოცნობა გამოწვევებითაა სავსე, თუმცა გარკვეული ხერხები გვეხმარება ამაში. პირველ რიგში, აუცილებელია, შევეცადოთ კონტექსტის გაგებას (Lago 2018), დავაკვირდეთ კომპოზიციას, ვცადოთ გავიგოთ, რა ამბის გადმოცემას ცდილობს ფოტოგრაფი, ვუპასუხოთ 5W შეკითხვას იმისთვის, რომ გონებამ დაიწყოს პასუხების ძიება: ვინ არის ფოტოგრაფი, რა არის ნაჩვენები გამოსახულებაში? სად არის ფოტო გადაღებული? როდის მოხდა ეს ამბავი? რატომ გადაწყვიტა ავტორმა სწორედ ამ დროს დაეჭირა ლილაკისთვის თითი? ამ კითხვებზე პასუხებს რომ მოვძებნით, ახლოდან უნდა დავაკვირდეთ ფოტოს დამუშავების კვალს. ხომ არ არის ექსპოზიცია შეცვლილი? ხშირად ანარეკლების განათება არ შეესაბამება ობიექტების განათებას, ასევე ხშირია პერსპექტივის და ობიექტების შეფარდების აცდენა. ახალი ხელსაწყოების ხელმისაწვდომობის გაზრდასთან ერთად, იზრდება დამუშავების შესაძლებლობებიც, მაგალითად Adobe Photoshop და სხვა ხელოვნური ინტელექტის ხელსაწყოებით ფოტოს დამუშავება კიდევ უფრო იხვეწება. მათ შორის, ხშირად მუშავდება ძველი შავ-თეთრი ფოტოები. თუ ინფორმაციის ავთენტურობის დადგენას ვცდილობთ, აქ ალბათ საუკეთესო გზა ჟურნალისტური მიდგომაა. ამიტომ, ფაქტის, ისტორიის გადასამოწმებლად დამატებითი წყაროს მოძიებაა რეკომენდებული. მაგრამ აქვე გასათვალისწინებელია, რომ ინტერნეტის სხვა წყაროც შეიძლება ისევე არასანდო იყოს, როგორც მისი წინამორბედი.

თავის სტატიაში ბოუსი ეწინააღმდეგება მარტა სედვეის იდეას, რომ მეოცე საუკუნის ბოლოსკენ დახვეწილი ელექტრონული და და-

მუშავებული გამოსახულება ართულებს ფოტოგრაფიის ფუნდამენტური ავთენტურობის რწმენას. მაგრამ მჭიდრო ვიზუალური კორესპონდენცია გადასაღებ ობიექტსა და ფოტოს გამოსახულებას შორის მეოცე საუკუნის ფოტოგრაფიას ისტორიული კვლევის საგნად აქცევს. სხვა სიტყვებით, ახალ ფოტოგრაფიას ვერ ვენდობით, მაგრამ ძველს შეგვიძლია ვენდოთ (Bousé 2022).

ბოუსი ამ თეორიას უპირისპირებს ძველი, დადგმული ფოტოგრაფიის მაგალითებს. ის იხსენებს მეთიუ ბრეიდის მიერ გადაღებულ სამოქალაქო ომის ფოტოებს, ან ედუარტ კურტისი, რომელიც აბორიგენ ამერიკელებს აცმევდა ან სხვა პერიოდის, ან სხვა ტომების ტანისამოსს. შეიძლება ფოტოგრაფიის დამუშავება და გაყალბება ფოტოშოპის დახმარებით უფრო ადვილი იყოს, თუმცა გასამუდავებელ ოთახში იგივე შესაძლებლობები იყო ხელმისაწვდომი ფოტოს დასამუშავებლად. ხშირად შავ-თეთრი ფოტოები ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ისინი უფრო ავთენტურია. აუცილებელია გავიზნოთ, რომ ფოტოგრაფია მხოლოდ 200 წლისაა. კულტურული მემკვიდრეობა, არქიტექტურა, მხატვრობა და სხვა არტეფაქტები არსებობდა გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ფოტოგრაფიას გამოიგონებდნენ. როგორ შეიძლება, კულტურული მემკვიდრეობის ფოტო ემთხვეოდეს იმას, თუ როგორ გამოიყურებოდა ძველი საუკუნეების წინ? თუმცა ავტორი არ უარყოფს ფაქტს, რომ ორი საუკუნის წინანდელი ფოტო შეიძლება შეიცავდეს მნიშვნელოვან დეტალებს ახალთან შედარებით, რომ მას შემდეგ შეიძლება განადგურებულიყო ან ფორმა ეცვალა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს.

ბოუსის მიერ წარმოდგენილ ბევრ არგუმენტს ვეთანხმები. ხალხისთვის უფრო სარწმუნოა შავ-თეთრი ფოტოგრაფია, ვიდრე ფერადი. ფსიქოლოგიურად რომ შევხედოთ, შავ-თეთრი ასოცირდება ძველთან, რაც გონებისთვის უფრო სარწმუნოა, ვიდრე ახალი ტექნოლოგიები. მათ, ვისაც არ ჰქონია შეხება გამუდავება-დაბეჭდვის პროცესთან, რთულად წარმოუდგენია, როგორ შეიძლება დამუშავდეს ფირის ფოტო. თუმცა ფუნქციები ფოტოშოპში, როგორიცაა ამონათება, ჩაბნელება, კადრის მოჭრა, სათავეს სწორედ ფირის ფოტოს ბეჭდვის პროცესიდან იღებს. გამუდავება/ბეჭდვის პროცესში გაყალბების ერთ-ერთი მაგალითია საბჭოთა ფოტოგრაფ ევგენი ხადლის ნამუშევრები. ის საბჭოთა პროპაგანდის ფოტოგრაფი იყო, მისი გადაღებულია დროშის აღმართვა რეისსტაგზე. ორიგინალ ფოტოში „საბჭოთა გმირებს“ ხელზე რამდენიმე მაჯის საათი ეკეთათ, რაც მძარცველობაზე მიუთითებდა. ეს კი არ შეეფერებოდა საბჭოთა გმირს. შესაბამისად ფოტოგრაფმა, მაშინდელი მთავრობის დავალებით

ბით, გამჟღავნება-ბეჭდვის პროცესში წაშალა საათები. ძალიან საინტერესო ისტორიაა, თუ როგორ იყენებდნენ და დღემდე იყენებენ ხელისუფალნი ფოტოგრაფიას და მის დამუშავებას პროპაგანდისტისთვის, რაც დაიწყო დიდი ხნით ადრე, ვიდრე ფერად ფოტოგრაფიას გამოიგონებდნენ.

კითხვების კიდევ ერთი წყება, რომელსაც ბოუსი წამოსწევს, შემდეგია: საიდან უნდა იწყებოდეს ათვლა, როდესაც რესტავრაცია უტარდება მონუმენტს? იმ მომენტიდან, რომელსაც ფოტო გვაჩვენებს? შეიძლება ფოტოგრაფია გამოვიყენოთ, როგორც გეგმა/ნახაზი? გვაჩვენებს თუ არა ფოტო „ავთენტურ დროს“? (Bousé 2022). ეს კითხვები რესტავრაციის ფილოსოფიას უკავშირდება. თუმცა უნდა შეაფერხოს თუ არა ამ ყველაფერმა მნახველი, რომელსაც საშუალება აქვს, გადაიღოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი ახლანდელ მდგომარეობაში? როგორც პირველი მაგალითიდან ჩანს, დავით ცხადაძემ გადაიღო ფრესკა, რომელიც რამდენიმე კვირის შემდეგ დააზიანეს. რომელი სჯობს – ლეგენდად მოთხრობილი ამბავი შოთა რუსთაველის გამოსახულების არსებობის შესახებ, თუ ფოტო, რომელიც აჩვენებს ფრესკის მდგომარეობას? ჩვენ ყველანი ვთანხმდებით, რომ ფოტოზე არსებული გამოსახულება არ ასახავს ფრესკის თავდაპირველ სახეს, მაგრამ გვაქვს კი უკეთესი გამოსავალი? რესტავრაციაში არსებობს ძალიან მარტივი წესი: რესტავრაციისთვის გამოყენებული უნდა იყოს მასალები, რომელიც შემდეგ თაობას შეუძლია მოაშოროს და უკეთესი ტექნოლოგიებით თუ მასალებით გაამაგროს დაზიანებული ძეგლი ან მხატვრობა. თუ რესტავრაციას დღეს არ გააკეთებ, მომავალ თაობას აღარაფერი დარჩება გასამაგრებლად. ასე იყო ყინწვისის მონასტერშიც. რესტავრატორებმა კონსერვაცია 1964-1966 წლებში ჩაატარეს (ყინწვისის მონასტერი 2015). იმ დროისთვის რა მასალაც იყო ხელმისაწვდომი, იმით გაამაგრეს მხატვრობა. ისინი ფიქრობდნენ, რომ მომავალ თაობას ექნებოდა უკეთესი მასალები, ხელსაწყოები. იგი მოხსნიდა ძველ გამაგრებას და ხელახლა გაამაგრებდა მას. ფოტოგრაფებმაც, ვფიქრობ, ამ ლოგიკით უნდა იმოქმედონ. ჩვენს ხელთ არსებული ყველა ტექნიკა უნდა გამოვიყენოთ იმის დასაფიქსირებლად, რასაც ჩვენ მოვესწარიტ, შევქმნათ არქივი, რათა მომავალში შეიძლოს, უკეთესი ხელსაწყოებით გააუმჯობესონ იგი. მხატვრებისაგან განსხვავებით, ფოტოგრაფებს არ აქვთ შესაძლებლობა, წარსულში იმოგზაურონ და გადაიღონ ძველად არსებული მდგომარეობა. კამერის ფარდა იხსნება და იკეტება წამის მეასედებში, იგი კონკრეტულ მომენტს იმახსოვრებს და იმწამსვე უერთდება ისტორიას. რაც უფრო მალე დავაჭერთ ფოტოს გადაღების ლილაკს ხელს, მით უფრო მალე

დავიწყებთ ისტორიის არქივის შექმნას. თუ ჩვენ ვიფიქრებთ იმაზე, არის თუ არა ეს კულტურული მემკვიდრეობის ავთენტური სახე, შეიძლება გადაღების შანსი მეორედ აღარც მოგვეცეს.

შეჯამება

ისევე, როგორც სოციალური მეცნიერებები, ფოტოგრაფია, როგორც მათთვის საჭირო მეთოდი ან თავისთავადი კვლევის გზა, არ ვერ იქნება იდეალურად ზუსტი რეალობის გადმოცემისას. არაფერი შეედრება კულტურული მემკვიდრეობის ადგილზე დათვალიერებას, მის სურნელს, შეხებას და გარემოს შეგრძნებას. დგახარ მის წინ და ფიქრებით ცდილობ ისტორიის ჩაწვდომას, თუმცა ესეც ხომ არა იმდენად ობიექტური, რამდენადაც წარმოსახვითი პროცესია. ისიც ცხადია, რომ დროსთან ერთად ზიანდება არქიტექტურა, მხატვრობა და სხვა არტეფაქტები და, სამწუხაროდ, ფოტოგრაფიას არ შეუძლია მათი ფიზიკურად დაცვა განადგურებისგან. მაგრამ მას ნამდვილად შეუძლია უნიკალური წვლილის შეტანა შემდეგი თაობებისთვის მესხიერების ფორმირებაში. ფოტოგრაფიის გამოგონებიდან თითქმის ორასი წელი გავიდა და ის დღემდე რჩება რეალობის ასახვის ერთ-ერთ შეუცვლელ საშუალებად. არსებულ ფოტომასალებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვასწავლოთ შემდეგ თაობებს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ისე, რომ მათ გაუჩნდეთ სურვილი, იგივე შემართებით გაუფრთხილდნენ და გადასცენ ის შემდეგ თაობას. მსგავსი ინფორმაციის გაზიარება თითქოსდა უხილავი, უწყვეტი ჯაჭვის შექმნაა, რომლის ფარგლებშიც ჩვენ ვეძინით მომდევნო რგოლს.

შოთა რუსთაველის ფრესკა, რომელიც აღდგა ფოტოგრაფიის დახმარებით, ლომისობა, რომელიც ფოტოგრაფიის მეშვეობით შემოინახება, მინაის კერამიკა, რომელიც ულტრაიისფერი და ინფრაწითელი განათების და ფოტოგრაფიის მეშვეობით გამოიკვლიეს, აჩვენებს ფოტოგრაფიის მნიშვნელობას კულტურული მემკვიდრეობის რესტავრაციის და დოკუმენტაციის პროცესში. ასევე ექვგარეშეა მისი მნიშვნელობა განათლების სფეროშიც.

ჩემი პროფესიული არჩევანიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, ვცადე პრაქტიკაში გამეერთიანებინა ფოტოგრაფია და სოციოკულტურული ცოდნა. ფოტოგრაფიას ვხედავ, როგორც იდეების და ფიქრების გადმოცემის ხელსაწყოს – დაახლოებით ისეთს, როგორიცაა მწერლისთვის კალამი და მხატვრისთვის ფუნჯი. რა იქნებოდა კალამი მწერლის, ან ფუნჯი მხატვრის გარეშე? ისინი თავად ვერ შექმნიან ნამუშევარს. ასევეა ფოტოგრაფია. ამიტომ განათლება და იმის გაზიარება თუ რა, როგორ და რატომ უნდა გადავიღოთ, როგორ უნდა გა-

მოვავლინოთ გაყალბებული ფოტოები, როგორ გავამდიდროთ ჩვენი შრომა მულტიმედიური ტექნიკებით, შეიძლება იყოს კარგი მეთოდი საიმისოდ, რომ კიდევ ერთხელ გავაცნობიეროთ, დავაფასოთ და დავიცვათ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა.

დამოწმებანი

- კენკიშვილი, კახაბერ. 2004. ლომისის წმინდა გიორგის ეკლესია. *კარიბჭე* 5. <https://www.orthodoxy.ge/eklesiebi/lomisa/lomisa.htm> (ნანახია 10.09.2024).
- ყინწვისის მონასტერი. 2015. *novators.ge*. <http://novators.ge/dzeglebi.php?id=107>. (ნანახია 13.08.2024).
- Ambebi.ge. 2016. „არც წმინდა გიორგის და არც ღმერთს არ ჭირდება ეგ სისხლით მორწყული მიდამო“ – დეკანოზი თამაზ ლომიძე ლომისობაზე <https://www.ambebi.ge/article/167862-qarc-tsminda-gi-orgis-da-arc-ghmerths-ar-tcirdeba-eg-siskhlith-mortsyuli-midamoq-dekanozi-thamaz-lomidze-lomisobaze/> (ნანახია 10.09.2024)
- Baudrillard, Jean. 1994. *Simulacra and Simulation*. University of Michigan. <https://0ducks.wordpress.com/wp-content/uploads/2014/12/simulacra-and-simulation-by-jean-baudrillard.pdf>.
- Bousé, Derek. 2022. Restoring the Photographed Past. *The Public Historian* 24 (2): 9-40.
- Brooks, Graham. 2001-2002. Heritage at Risk from Tourism. *Icomos*. <https://www.icomos.org/public/risk/2001/tourism.htm> (ნანახია 07.08.2024).
- Bunyan, Marcus. 2018. Exhibition: 'Dorothea Lange: Politics of Seeing' at Jeu de Paume, Concorde, Paris. <https://artblart.com/2018/12/16/exhibition-dorothea-lange-politics-of-seeing-at-jeu-de-paume-concorde-paris/> (ნანახია 15.05.2024).
- Collier, John, Jr. 1967. *Visual Anthropology: Photography as a Research Method*. New York: Holt, Rinehart and Winston. <https://archive.org/details/visual-anthropolo0000unse/page/4/mode/2up>
- Cosentino, Antonio, Milene Gil, Marilene Ribeiro, and R. Di Mauro. 2014. Technical Photography for Mural Paintings: The Newly Discovered Frescoes in Aci Sant'Antonio (Sicily, Italy). *Conservar Patrimônio* 20: 23-33. DOI: 10.14568/cp2015001. arp.org.pt/revista_antiga/pdf/2015001.pdf (ნანახია 17.08.2024).
- Dobriyanova, Teodosia. 2023. Mashable. *How 3D modelling is helping the restoration of Paris' Notre-Dame*. 18.04. <https://mashable.com/video/notre-dame-3d-model-autodesk-reconstruction-fire> (ნანახია 17.08.2024).
- Evans, Richard, J. 2000. *In Defence of History*. New York: W.W. Norton and Company.

- King, David. 2014. *The Commissar Vanishes: The Falsification of Photographs and Art in Stalin's Russia*. New Edition. London: Tate Publishing Limited. <https://archive.org/details/commissarvanishe0000king/page/84/mode/2up>
- Lago, Federica. 2018. Image Forensics in Online News. *2018 IEEE 20th International Workshop on Multimedia Signal Processing (MMSP)*. <https://ieeexplore.ieee.org/document/8547083> (ნანახია 10.08. 2024).
- Martinez, William. 2022. UV & IR Forensic Photography Equipment Considerations – Kolari Vision. *Kolari Vision*. 18.01. <https://kolarivision.com/uv-and-ir-forensic-photography-equipment-considerations/> (ნანახია 07.08.2024).
- NeRF: Neural Radiance Fields. 2021. *Semantic Scholar*. Spring. <https://www.semanticscholar.org/paper/Strata-NeRF-%3A-Neural-Radiance-Fields-for-Stratified-Dhiman-Srinath/b728d4c0a1c66e4e6f2fedebf52881e5c-62f1a8f> (ნანახია 16.08. 2024).
- Norris, Dana and Oliver Watson. 2021. Illuminating the Imperceptible, Researching Mina'i Ceramics with Digital Imaging Techniques. *Journal of Imaging* 7 (11): 233. DOI: 10.3390/jimaging7110233.
- Ray, Larry. 2020. Social Theory, Photography and the Visual Aesthetic of Cultural Modernity. *Cultural Sociology* 14 (2): 139-159.
- Restoration of Notre-Dame Cathedral in Paris Embraces Digital Technology, Building Information Modeling. 2021. *Autodesk*. 12.04. <https://adsknews.autodesk.com/en/news/notre-dame-cathedral-restoration/> (ნანახია 16.08.2024).
- Ruby, Jay. 2000. *Picturing Culture: Explorations of Film and Anthropology*. Chicago: University of Chicago Press. https://www.google.pl/books/edition/Picturing_Culture/OjtEUXFL600C?hl=en&gbpv=1
- Schwartz, Dona. 1989. Visual Ethnography: Using Photography in Qualitative Research. *Qualitative Sociology* 12 (2): 119-154. https://www.depts.ttu.edu/education/our-people/Faculty/additional_pages/duemer/epsy_6304_class_materials/Visual-ethnography.pdf.
- Tinkler, Penny. 2013. *Using Photographs in Social and Historical Research*. London: SAGE Publications. https://www.researchgate.net/profile/Paul-Jobling/publication/304924513_Using_photographs_in_social_and_historical_research/links/5bb350de45851574f7f47862/Using-photographs-in-social-and-historical-research.pdf.

George Darchiashvili

Tbilisi Apollon Kutateladze State Academy of Art, Georgia

giorgi.darchiashvili@art.edu.ge

DOI: 10.32859/kadmos/16/214-236

The Role of Photography and Multimedia in Documenting Cultural and Historical Heritage

Abstract

The article explores the role of multimedia tools, particularly photography, in preserving memory by helping anthropologists and historians in documenting the details of traditions, seminal events, and artifacts that might otherwise be lost. Photography's ability to capture detailed representations of architecture, frescos, and other representations of fine art greatly supports the work of restorers and conservators. The use of photography and multimedia tools in education, i.e. in training students in fields related to history and cultural heritage, is an increasingly important academic pursuit.

This article discusses three main uses of photography: as a tool for restoration, as a means of revealing that which is otherwise invisible to the untrained eye, and as a method for documenting traditional customs. It concludes with an overview of the educational potential of photography and multimedia.

In the context of living heritage, the issue of subjectivity and the inherently interpretative nature of photography is also addressed. The introduction positions photography as a medium that emerged alongside modern social sciences. While acknowledging the limitations of media, including photography, to fully capture social reality, this article treats those limitations as a mere background issue. The focus remains on cases in which the camera and multimedia tools can efficiently achieve a high degree of objectivity and bring tangible research results.

შედარებითი კორპუსები: შედგენის მეთოდოლოგია და გამოყენების სფეროები

შესავალი

კორპუსული ლინგვისტიკა გამოყენებითი ენათმეცნიერების ერთ-ერთი დარგია, რომელიც მოიაზრებს ბუნებრივი ენის შესწავლას კომპიუტერისა და პროგრამული ინსტრუმენტების მიერ დამუშავებული ვრცელი ენობრივი მონაცემების საფუძველზე (Hunston 2022, 1). კორპუსულმა რეგოლაციამ დიდი ცვლილებები გამოიწვია ენათმეცნიერებასა და მომიჯნავე დარგებში, მათ შორის ზოგად და სპეციალიზებულ ლექსიკოგრაფიაში. სწორედ კორპუსები იქცა ზოგადი ენისა და დარგობრივი ლექსიკონების შედგენის პროცესში უმნიშვნელოვანეს წყაროდ. მაკენერისა და უილსონის თანახმად, „კორპუსი არის სასრული სიდიდის მქონე ტექსტების ერთობლიობა, რომელიც იკითხება მანქანის/კომპიუტერის მიერ და შედგენილია იმგვარად, რომ ასახავს საკვლევი ენის ან ენის ვარიანტის მაქსიმალურად რეპრეზენტაციულ სურათს“ (McEnery and Wilson 2001, 32).

კორპუსები შესაძლებელია იყოს ერთენოვანი ან ორენოვანი/მრავალენოვანი. არსებობს ორი სახის ორენოვანი/მრავალენოვანი კორპუსი: პარალელური და შედარებითი (Bowker and Pearson 2002, 92). პარალელური კორპუსებისგან განსხვავებით, რომლებიც შეიცავენ პირდაპირ თარგმანებს ორ ან მეტ ენაზე (Hunston 2022, 27), შედარებითი კორპუსი შედგება ორ/რამდენიმე ენაზე ან ერთი ენის რამდენიმე ვარიანტისთვის შედგენილი ერთენოვანი ქვეკორპუსებისგან, რომელთა შესადგენად გამოყენებულია მსგავსი სტრუქტურა და დაცულია ბალანსისა და რეპრეზენტაციულობის პრინციპი (ერთი ჟანრის ტექსტები, ერთი დარგის ტექსტები, ერთი პერიოდის ტექსტები) (Hunston 2002, 15; McEnery and Xiao 2007, 2). შედარებითი კორპუსების გამოყენების კვლევისადმი ინტერესი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში იღებს სათავეს (Fung and McKeown 1997; Rapp 1999) და დღესდღეობით, ერთ-ერთ პრაქტიკულ ალტერნატივად განიხილება, განსაკუთრებით დარგობრივ ორენოვან/მრავალენოვან პროექტებში,

როდესაც რთულია პარალელური ტექსტების მოძიება (Utka et al. 2022; Furtado and Teixeira 2022).

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ენასთან მიმართებით შექმნილია ზოგადი ენის შედარებითი კორპუსი, რომელიც შეიქმნა „არანეას“ ვებზე-დაფუძნებული შედარებითი კორპუსების ოჯახის პროექტის ფარგლებში (Benko 2024). მიუხედავად ამისა, ამ ეტაპზე დარგობრივი შედარებითი კორპუსების შედგენა და გამოყენების ეფექტურობის შესწავლა ლექსიკოგრაფიულ პრაქტიკაში სიახლეა ქართული ორენოვანი/მრავალენოვანი სპეციალიზებული ლექსიკოგრაფიისთვის.

წინამდებარე სტატიაში მიმოვიხილავთ შედარებითი კორპუსების რაობასთან, მათი გამოყენების სფეროებსა და უშუალოდ დარგობრივი შედარებითი კორპუსების შედგენის მეთოდებთან დაკავშირებულ საკითხებს, რაც მოგვცემს საშუალებას, შევიმუშაოთ აუცილებელი პრინციპები და კრიტერიუმები ინგლისური და ქართული დარგობრივი შედარებითი კორპუსების შედგენისათვის.

შედარებითი კორპუსების რაობა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შედარებითი კორპუსების შექმნისათვის აუცილებელ წინაპირობას სწორედ მათი შედგენის პრინციპებისადმი მსგავსი მიდგომა წარმოადგენს. კენინგის თანახმად, შედარებითი კორპუსებიც განსხვავდება სხვადასხვა პარამეტრისა და მათში შემავალი ინფორმაციის მიხედვით (Kenning 2010, 448). შედარებითი კორპუსების ნაირსახეობებიც შეგვიძლია რამდენიმე ძირითადი პარამეტრის მეშვეობით დავახასიათოთ, როგორცაა შემავალი ენების რაოდენობა (ერთენოვანი/მრავალენოვანი), სპეციალიზაციის ხარისხი (ზოგადი ენის/დარგობრივი) და შემავალი ტექსტების ტიპი (წერილობითი/ზეპირმეტყველების/ორივე/მულტიმოდალური).

პირველი დიქტომია, რომელიც გვაქვს კორპუსებში, ეყრდნობა მასში შემავალი ენების რაოდენობას. შედარებითი კორპუსები, თავის მხრივ, შესაძლოა, იყოს ერთენოვანი, ორენოვანი ან მრავალენოვანი. ერთენოვანი შედარებითი კორპუსების შემთხვევაში გვაქვს ერთი ენის ტექსტები, მაგრამ შესაძლოა, გვქონდეს სხვაობა სხვა კრიტერიუმების მიხედვით (Sharoff et al. 2013, 5). მაგალითად, სამიზნე აუდიტორია – დარგის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისთვის შედგენილი ტექსტები (Deléger and Zweigenbaum 2009), დროის მონაკვეთი – მე-19 საუკუნის პრესის შედარება თანამედროვე პრესასთან (Rosset et al. 2012), წყარო – ერთი და იგივე მოვლენა გადმოცემული სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოს მიერ (Wang and Callison-Burch 2011) ან ერთი ენის რამდენიმე ვარიანტზე შედგენილი სპეციალიზებული შე-

დარებითი კორპუსები (Wissik 2010). ამავე ტიპს შეგვიძლია მივაკუთვნოთ ბრიტანული ეროვნული კორპუსის 1994 და უახლესი 2014 წლის ვერსიები, რომლებიც მსგავსი პრინციპების მიხედვითაა შედგენილი (Brezina, Hawtin and McEnery 2014; Love et al. 2017).

ორენოვანი შედარებითი კორპუსების მაგალითია ინგლისურ-შვედური ახალი ამბების კორპუსი (Talvensaari et al. 2007), აგრეთვე, სხვადასხვა დარგობრივი შედარებითი კორპუსი (Utka et al. 2022; Yu 2024). უნდა აღინიშნოს, რომ ზანეტინის აზრით, ცალკეული ენების ეროვნული კორპუსები, რომლებიც მსგავსი სტრუქტურის მქონეა ფართო გაგებით, შეგვიძლია ჩავთვალოთ დაბალანსებულ ზოგადი ენის შედარებით კორპუსებად (Zanettin 2012, 150).

მრავალენოვანი კორპუსების მაგალითია „პარლამინტის“ (ParlaMint) კორპუსი, რომელიც შედგება ევროკავშირის წევრი 17 სახელმწიფოს ენაზე წარმართული საპარლამენტო დებატებისგან კოვიდ 19-ის თემაზე (Erjavec et al. 2023). შედარებითი კორპუსები შექმნილია მსგავსი სტრუქტურისა და ანოტაციების დართვის წესების მიხედვით და წარმოადგენს სასაუბრო შედარებითი კორპუსების მაგალითს.

მეორე პარამეტრი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია, შედარებითი კორპუსების დიქტომია გულისხმობს კორპუსების სპეციალიზაციის ხარისხის მახასიათებელს, კერძოდ, კორპუსების დაჯგუფებას ზოგადი ენის და დარგობრივ/სპეციალიზებულ კორპუსებად. ზოგადი ენის კორპუსებს განეკუთვნება ერთენოვანი კორპუსები, როგორცაა „ბრაუნი“ (Brown) და „ლობი“ (LOB – Lancaster-Oslo-Bergen), რომლებიც მოიცავს სხვადასხვა ჟანრის ტექსტებს: პრესა, მხატვრული ლიტერატურა და სხვა (Francis and Kucera 1979; Johansson et al. 1986). რაც შეეხება დარგობრივ, ანუ სპეციალიზებულ კორპუსებს, რიგი მკვლევრებისა მხოლოდ ამ ტიპის კორპუსებს მიიჩნევენ შედარებით კორპუსებად (Kenning 2010, 488; Munday, Finto and Blakesley 2022, 86). შედარებითი დარგობრივი კორპუსი მოიაზრებს ტექსტების ერთობლიობას, რომლებიც რეპრეზენტაციულია და ასახავს კონკრეტულ დარგობრივ ენას/ვარიანტს. როგორც წესი, ამ ტიპის კორპუსები იქმნება ერთი დარგის (მაგალითად, მედიცინა) ტექსტების გამოყენებით, ხოლო სხვა პარამეტრები, როგორცაა ჟანრი (მაგალითად, სახელმძღვანელოები, სტატიები), ზომა და ენა, განსხვავდება კვლევის მიზნისა და კორპუსის შედგენის კრიტერიუმების მიხედვით (Zanettin 2012, 151; Fantinuoli 2018, 139). მაგალითად, ამ ტიპის კორპუსს მიეკუთვნება „შედარებითი კორპუსებისა და კომპიუტერის მიერ მხარდაჭერილი (CAT) თარგმნის“ კვლევის ფარგლებში შექმნილი სამენოვანი მკერდის კიბოს დარგობრივი კორპუსი, რომელიც შედარებითი კორპუსებიდან მორ-

ფო-კომპოზიციური თარგმანის მეთოდის გამოყენებით ინგლისური, ფრანგული და გერმანულენოვანი სამედიცინო ტერმინოლოგიის მოძიებასა და ამოღებას ისახავდა მიზნად (Delpuch 2014).

მესამე მნიშვნელოვანი პარამეტრი, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია შედარებითი კორპუსების დახასიათება, გულისხმობს მათში შემავალი ტექსტების ტიპებს, კერძოდ შედარებითი კორპუსები შესაძლოა, იყოს წერილობითი (Furtado and Teixeira 2022; Kupietz et al. 2024) ზეპირმეტყველების (Erjavec et al. 2023), ორივე სახის ტექსტის შემცველი (Čermáková et al. 2021) ან მულტიმოდალური (Segouat and Braffort 2009). როგორც ერთენოვანი კორპუსების შემთხვევაში, შედარებით კორპუსებშიც ჭარბობს წერილობითი სახის კორპუსები, როგორც ზოგადი ენის, აგრეთვე დარგობრივი ენის შემთხვევაში.

შედარებითი კორპუსების გამოყენების სფეროები

მართალია, აკადემიურ სივრცეში შედარებითი კორპუსებისადმი ინტერესი ჯერ კიდევ 1990-იან წლებში ჩნდება, მაგრამ 2008 წლიდან შედარებითი კორპუსების შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაო შეხვედრების ორგანიზებით (Building and using comparable corpora, BUCC) საფუძველი ეყრება ამ ტიპის კორპუსების შესახებ არსებული საკითხების სისტემურ კვლევას. სამუშაო შეხვედრების ყოველწლიური ხასიათი კი სამეცნიერო წრეებში შედარებითი კორპუსების მიმართ სულ უფრო მეტად მზარდ ინტერესზე მეტყველებს.

შედარებითი კორპუსებისადმი ინტერესის ზრდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორით არის განპირობებული. პირველ რიგში, მათი ფართო ხელმისაწვდომობით, ვინაიდან ინტერნეტსივრცეში ერთი და იმავე საკითხის ან დარგის შესახებ არსებული ტექსტების მოძიება მაღალი ხარისხის პარალელური მასალების მოძიებაზე ბევრად ადვილია (Granger 2010, 4; Alonso et al. 2012, 390). გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ პარალელური კორპუსების რიცხვის ეტაპობრივი ზრდის მიუხედავად, კვლავაც პრობლემურ საკითხად რჩება ყველა დარგისათვის საკმარისი რაოდენობით პარალელური ტექსტების შეგროვება და ამ გზით, კორპუსების რეპრეზენტაციულობის გაზრდა. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა საქმე ენება ახლად აღმოცენებულ ან განვითარების პროცესში მყოფ დარგებს, როგორცაა განახლებადი ენერჯია, კიბერუსაფრთხოება (Blancafort et al. 2010, 263; Utka et al. 2022) ან კონკრეტულ საკითხებსა და თემებს, როგორცაა, მაგალითად, კოვიდ-19 და ვაქცინაცია, სადაც მზარდი ინტერესი ამ თემისადმი უკუპროპორციულია იმ ორენოვან პარალელურ ხელმისაწვდომ მასალათა რაოდენობისადმი.

დენობასთან, რისი მოძიებაც ამ ეტაპზე არის შესაძლებელი (Filippova, Can and Corpas Pastor 2021, 61).

გარდა ამისა, შედარებითი კორპუსების გამოყენების სფეროების ჩამონათვალი საკმაოდ მრავალფეროვანია და მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორცაა დისკურსის ანალიზი, პედაგოგიკა, სოციოლინგვისტიკა, პრაგმატიკა, ტიპოლოგიური კვლევები, შეპირისპირებითი ლინგვისტიკა / ტერმინოგრაფია, თარგმანმცოდნეობა, ბუნებრივი ენის დამუშავება და მანქანური თარგმნის მოდელები, ტერმინებისა და დარგობრივი ლექსიკონების ავტომატური გენერირება, ენათაშორისი ინფორმაციის მოძიება და სხვა (Maia 2003, 28; Sharoff, Rapp and Zweigenbaum 2023, 125).

შედარებითი კორპუსების შედგენისა და გამოყენების საკითხის შესახებ აქტუალური თემების დასადგენად გავანალიზებთ BUCC-ის¹ ოფიციალურ ვებსაიტზე წარმოდგენილი 2008-2024 წლების საკონფერენციო კრებულებიდან 123 სტატია და გამოყვავით რამდენიმე ძირითადი თემატური კატეგორია, რომელშიც გამოყენებული იყო შედარებითი ტიპის კორპუსები: სხვადასხვა სახის შედარებითი კორპუსების შედგენა (ზოგადი, სასწავლო, დარგობრივი), ინფორმაციის ამოღების ავტომატური და არაავტომატური მეთოდები (პარალელური წინადადებების ამოღება შედარებითი კორპუსიდან, ორენოვანი ტერმინოლოგიის ამოღება, ორენოვანი/მრავალენოვანი ლექსიკონების ავტომატურად გენერირება, თარგმნითი ეკვივალენტების მოძიება და სხვა), მანქანური თარგმანი, შეპირისპირებითი ლინგვისტური კვლევები და შედარებითი კორპუსების შედგენისა და/ან გამოყენებისთვის პროგრამული ინსტრუმენტების შექმნა (იხ. ცხრილი 1).

თემატური კატეგორია	სტატიების რაოდენობა
შედარებითი კორპუსების შედგენა	34
ინფორმაციის ამოღების ავტომატური და არაავტომატური მეთოდები	61
მანქანური თარგმნა	11
შეპირისპირებითი ლინგვისტური კვლევები	14
შედარებითი კორპუსების შედგენისა და/ან გამოყენებისთვის პროგრამული ინსტრუმენტების შექმნა	3

ცხრილი 1. შედარებითი კორპუსების შესახებ BUCC-ის საიტზე გამოქვეყნებული სტატიების თემატიკის რაოდენობრივი ანალიზი

1 იხ. <https://comparable.limsi.fr/bucc2024/bucc-introduction.html> [წვდომის თარიღი: 05.12.2024]

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ შედარებითი კორპუსების შედგენა, მათი გამოყენება და ინტეგრირება, მათ შორის ორენოვანი/მრავალენოვანი ტერმინოლოგიური და ლექსიკოგრაფიულ პროექტებში კვლევის აქტუალური საგანია. გარდა ამისა, სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზმა გვიჩვენა, რომ დარგობრივი შედარებითი კორპუსები იქმნება როგორც ინგლისურისა და სხვა ენებისთვის, როგორცაა ინგლისური და იტალიური (Gaballo 2010; Giampieri 2024), ინგლისური და ლიეტუვური (Utka et al. 2022; Usinskiene and Rackeviciene 2022), ინგლისური, ფრანგული, ესპანური, პორტუგალიური და გერმანული (Tagnin and Teixeira 2012; Araceli et. al 2012; Daille 2017; Bartolomé-Díaz and Frontini 2020; Furtado and Teixeira 2022;), აგრეთვე, სხვა ენობრივი წყვილებისთვის, რომელშიც ინგლისური არ ფიგურირებს (Goeriot, Morin and Daille 2009; Yu 2024). ხოლო დარგების ჩამონათვალი საკმაოდ მრავალფეროვანია და მოიცავს სამართლის (Wissik 2010; Giampieri 2024), საავტომობილო ინდუსტრიის (Yu 2024), კულტურული მემკვიდრეობის (Araceli et. al 2012); არქიტექტურის (Bartolomé-Díaz and Frontini 2020), კიბერუსაფრთხოების (Utka et al. 2022), მიგრაციის (Furtado and Teixeira 2022; Usinskiene and Rackeviciene 2022); სამედიცინო (Goeriot, Morin and Daille 2009; Delpesch 2014, Daille 2017), განახლებადი ენერჯის (Gornostay et al. 2012; Daille 2017), ბუნებრივი კატასტროფების (Buendia Castro 2013), ქვის ქრის (Gaballo 2010) და სხვა დარგებს.

დარგობრივი შედარებითი კორპუსების შედგენის მეთოდოლოგია

რეპრეზენტაციულობის, ბალანსისა და კორპუსის ზომის განსაზღვრა მნიშვნელოვან როლს ასრულებს დარგობრივი შედარებითი კორპუსების შექმნისათვის საჭირო კრიტერიუმების შემუშავების დროს და ამ პროცესს შესაძლოა, თან ახლდეს სპეციფიკურად დარგობრივი შედარებითი კორპუსების შედგენისათვის დამახასიათებელი პრობლემები და მათი გადაჭრის გზების ძიება.

რეპრეზენტაციულობა გულისხმობს იმას, თუ რამდენად სანდო და მეტ-ნაკლებად ამომწურავია კონკრეტული ენის ან ენის ვარიანტის კორპუსი. ბაიბერის თანახმად, კორპუსის ნიმუში უნდა შეიცავდეს სამიზნე პოპულაციის სრულ მრავალფეროვნებას, რაც შეიძლება ორი პარამეტრის მიხედვით გავზომოთ: სიტუაციური და ლინგვისტური (Biber 1993, 243). პირველი გულისხმობს საკვლევ პოპულაციაში ანუ დარგობრივი კორპუსების შემთხვევაში კონკრეტულ დარგებში არსებული ტექსტების ტიპების, ჟანრებისა და რეგისტრების განსაზღვრას, ხოლო ლინგვისტური მახასიათებელი მოიაზრებს თითოეულ ტექსტში სიტყვათა და თითოეულ ჟანრში შესული ტექსტების რაოდენობას.

რაც შეეხება ბალანსს, იგი მოიაზრებს კორპუსის შინაგან ერთგვაროვნებას, რომელიც განისაზღვრება თითოეული სახის ცვლადის (სიტუაციური ან/და ლინგვისტური) პროპორციით (McEnery and Brookes 2022, 37). დაბალანსებული და რეპრეზენტაციული კორპუსების მაგალითს წარმოადგენს „ბრაუნისა“ და „ლობის“ კორპუსები, სადაც თითოეული 4 მსხვილი ჟანრობრივი კატეგორია დაყოფილია 15 ქვეკატეგორიად და თითოეულში თანაბარი რაოდენობით არის წარმოდგენილი ხუთას-ხუთასი ტექსტი, თითოეული ტექსტი კი 2000 სიტყვაფორმისგან შედგება (Francis and Kucera 1979; Johansson et al. 1986).

რეპრეზენტაციულობისა და ბალანსის საკითხი უფრო მეტად პრობლემურია დარგობრივი კორპუსების, მათ შორის, დარგობრივი შედარებითი კორპუსების შემთხვევაში. კოესტერის თქმით, თუკი კორპუსში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი კონკრეტული ჟანრი, სჯობს, დავეყრდნოთ სიტუაციურ რეპრეზენტაციულობას (Koester 2022, 51). ამ შემთხვევაში საჭიროა, ამ ჟანრის ფარგლებში არსებული ქვეჟანრების ან სხვადასხვა მოსაზრების და დაწესებულების განსაზღვრა, რომლებიც იყენებენ ამ ჟანრის ტექსტებს და ამ გზით, რეპრეზენტაციულობის დაცვა (Usinskiene and Rackeviciene 2022; Giampieri 2024, Yu 2024). მაგალითად, ფურტადო და ტეიქსეირა მიგრაციული დარგობრივი შედარებითი კორპუსის შედგენის პროცესში ეყრდნობიან იმ ავთენტიკურ ჟანრებს, რაც რეალურად გამოიყენება მიგრაციის დარგში და თავშესაფრის მაძიებელთა სოციალურ ჯგუფებში (Furtado and Teixeira 2022, 5). ამ მიდგომას ისინი კორპუსით-განპირობებულს უწოდებენ და თვლიან, რომ ამ თვალსაზრისით, კორპუსს უფრო მეტი შანსი ექნება, იყოს ამ დარგის რეპრეზენტაციული ნიმუში. დარგობრივ ტერმინოლოგიურ კორპუსებში რეპრეზენტაციულობისა და ბალანსის დაცვის კუთხით განსხვავებული მოსაზრება აქვთ სხვა მკვლევრებს. მათი აზრით, რეპრეზენტაციული და დაბალანსებული კორპუსი შეიცავს თანაბარი პროპორციული რაოდენობით სხვადასხვა საკომუნიკაციო დონის ტექსტებს (Bowker 1996, 45). მათი პოზიციის თანახმად, დაბალანსებული დარგობრივი კორპუსის შესაქმნელად საჭიროა როგორც მაღალი სპეციალიზაციის, ასევე ნახევრად-სპეციალიზებული და არასპეციალისტებისათვის გამიზნული ე.წ სამეცნიერო-პოპულარული ჟანრის ტექსტების შეტანა, რაც შექმნის დარგის მეტ-ნაკლებად სრულყოფილ და სანდო ნიმუშს. ამგვარ მიდგომას იყენებენ დარგობრივი შედარებითი კორპუსების შედგენის დროს (Buendia Castro 2013, 348; Utko et al. 2022).

უნდა აღინიშნოს, რომ ფურტადო და ტეიქსეირა (2024, 56) იუ-

რალექსის 2024 წლის კონგრესზე თავის მოხსენებაში ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტზე, რომ კორპუსის რეპრეზენტაციულობისა და ბალანსის საკითხი განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის და არ არის გადაჭრილი მრავალენოვან შედარებით სპეციალიზებულ კორპუსებთან მიმართებით, სადაც კულტურულ და ლინგვისტურ სხვაობებს შესაძლოა მოჰყვეს დამატებითი პრობლემების წარმოშობა მრავალენოვანი კორპუსების რეპრეზენტაციულობისა და ბალანსის შეფასებისას. მეტიც, დაშვება, რომ ყველა ენაში გვაქვს მსგავსი ტექსტური ტიპოლოგია და თანაბრად ვხვდებით ყველა ჟანრს, მცდარია და სინამდვილეში, არ შეესაბამება არსებულ რეალობას (Furtado and Teixeira 2024, 56). სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად გონივრულ ალტერნატივად ესახებათ რეპრეზენტაციულობისა და ბალანსის საკითხის გადაჭრა ერთ ენაში, რომელიც ამოსავალ ენას წარმოადგენს (Utka et al. 2022, 131; Furtado and Teixeira 2024, 57), შემდეგ ეტაპზე კი სხვა ენებში საკვანძო სიტყვების/სინთურული სიების ან ლექსიკური მრავალფეროვნების მაჩვენებლების შედარება ეკვივალენტების მოსაძიებლად, როგორც ამას აღნიშნავენ შემდეგი ავტორები: ბუნდია კასტრო (2013), უსიენსკე და რასკევიჩიანი (2022), ფურტადო და ტეიქსეირა (2022). მსგავს მოსაზრებას ლინგვისტური მახასიათებლების მიხედვით, კორპუსების რეპრეზენტაციულობისა და ბალანსის გასაზომად იზიარებს კოესტერი (2022, 51), რომელიც საუბრობს ლექსიკურ დონეზე „სატურაციის“ ან „სასრულობის“ ხარისხის გაზომვაზე (McEnery and Wilson 2001, 148-67). კორპუსი ითვლება საკმარისი სატურაციის ხარისხის მქონედ ანუ რეპრეზენტაციულად, თუკი ახალი მონაცემების დამატება არ იწვევს ახალი ლექსიკური ერთეულების გამოჩენას (Koester 2022, 52). მაგალითად, ამ მიდგომას ვხვდებით შემდეგ ავტორებთან: ბუნდია კასტრო (2013), გიამპიერი (2024, 46), სადაც, მიუხედავად შედარებითი კორპუსების განსხვავებული სიდიდეებისა, მეტი ტექსტის დამატება არ იწვევს ლექსიკური მრავალფეროვნების გაზრდას და შესაბამისად, კორპუსები საკმარისად რეპრეზენტაციულადაა მიჩნეული.

რაც შეეხება დარგობრივი შედარებითი კორპუსების სიდიდეს, დარგობრივ კონტექსტში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მასალების ხარისხს და არა მათ სიდიდეს. ბეიკერის თანახმად, „დარგობრივი კორპუსის შედგენის პროცესში, შესაძლოა, უფრო მეტად შერჩევითი მიდგომა გამოვიყენოთ ტექსტების ამორჩევის პროცესში, რაც გულისხმობს იმას, რომ ტექსტური მონაცემების ხარისხი ან მათი შინაარსი უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ვიდრე ტექსტური მასალის რაოდენობა“ (Baker 2006, 29).

დარგობრივი შედარებითი კორპუსების შემთხვევაში ვხვდებით

განსხვავებული სიდიდის კორპუსებს, რაც განპირობებულია კვლევის მიზნებითა და ხელმისაწვდომი მასალების რაოდენობით. მაგალითად, ტერმინოლოგიის მოძიებისათვის, მათ შორის ტერმინთა ვარიანტების ამოღებისათვის, კომპოზიციური თარგმნის ავტომატური მეთოდის დამუშავებისა და გლოსარიუმების შედგენისათვის სამიზნე ტოკენების რაოდენობა თითოეული ენისათვის 300,000-800,000 სიტყვაფორმას შეადგენს (Goeriot, Morin and Daille 2009; Delpech 2014; Daille 2017; Usinskiene and Rackeviciene 2022). სხვა შემთხვევებში კი სიდიდე 1 მლნ. ტოკენიდან 3 მლნ.-მდე აღწევს (Alonso et al. 2012; Utka et al. 2022; Furtado and Teixeira 2022).

შედარებით კორპუსებში მთავარი სირთულე ერთგვაროვანი სიდიდის კორპუსების შედგენაა, რაც ენების განსხვავებული მორფოსინტაქსური მახასიათებლებითა და ხელმისაწვდომი მასალების მოცულობით არის განპირობებული. მიუხედავად იმისა, რომ რიგ კვლევებში კორპუსების სიდიდე მეტ-ნაკლებად იდენტურია ყველა ენისათვის (Utka et al 2022, Furtado and Texteira 2022), სიტყვაფორმათა არაერთგვაროვნება არ წარმოადგენს სიახლეს დარგობრივი შედარებითი კორპუსებისათვის (Gaballo 2010, Buendia Castro 2013), რაც ძირითადად ინგლისურ ენასთან შედარებით მეორე ენაში არასაკმარისი ხელმისაწვდომი მასალების რაოდენობით იყო განპირობებული.

დიდი ხნის განმავლობაში არამსგავსი მოცულობის კორპუსები ე.წ. „არადაბალანსებულ სპეციალიზებულ კორპუსებად“ მიიჩნეოდა, ვინაიდან ლიჩის (2003) მოსაზრებით, მსგავსი რაოდენობის სიტყვაფორმების არსებობა შესაძლებელს ხდის შედარებითი ტიპის კვლევების ჩატარებას სხვადასხვა ენის ვარიანტისათვის. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მორინი და ჰაზემი (2016, 576) თვლიან, რომ იმ შემთხვევაში, თუკი შედარებითი კორპუსის შემადგენელი ერთ-ერთი ენა ინგლისურია, ეს უდავოდ იწვევს სიტყვაფორმათა არაერთგვაროვან რაოდენობას, ვინაიდან ინგლისურ ენაზე შექმნილი სამეცნიერო ლიტერატურისა თუ სტატიების რაოდენობა ჭარბობს სხვა ენებს, თუმცა აღნიშნული ფაქტიც კი არ უშლის მათ ხელს ე.წ. „არადაბალანსებული შედარებითი კორპუსიდან“ ლექსიკონების გენერირების ავტომატური მოდულების დამუშავებაში (Morin and Hazem 2016, 576).

შედარებითი კორპუსების შედგენის პროცესში კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს შედარებითობის ხარისხის და კრიტერიუმების განსაზღვრა წარმოადგენს. შაროვის აზრით, შედარებითობის ცნება ეყრდნობა ჩვენს უნარს, შევაფასოთ არსებული განსხვავებები ისეთი ტიპის კორპუსებს შორის, რომლებსაც ჩვენ შედარებითად მივიჩნევთ, მაგრამ ეს პროცესი ჯერ კიდევ უფრო მეტად ჩვენს ცოდნასა და უნა-

რებზეა დამოკიდებული, ვიდრე მეცნიერებაზე (Sharoff 2013, 113). ერთმანეთისგან განარჩევენ მაღალი შედარებითობის, სუსტი შედარებითობის და კავშირის არმქონე ტექსტებისგან შემდგარ შედარებით კორპუსებს (Sharoff et al. 2013, 3). შედარებითობის განსაზღვრისთვის სამეცნიერო ლიტერატურაში შეგვიძლია გამოვყოთ მსგავსება ექსტრალინგვისტური (გარეგანი) პარამეტრების დონეზე, რომელიც მოიაზრებს მსგავსებას დარგის, ჟანრის, პერიოდის, ტექსტების შეგროვების მეთოდის და საკომუნიკაციო კონტექსტების მიხედვით (Maia 2003, 3; McEney and Xiao 2007; Goeuriot, Morin and Daille 2009, 56; Daille 2017, 87).

გარდა ამისა, ვხვდებით სხვადასხვა სახის სტატისტიკური საზომის გამოყენების მაგალითებს. ძირითადად კორპუსების სინშირული სიების/საკვანძო სიტყვების შედარებას საზიარო ლექსიკის რაოდენობის განსაზღვრისათვის (Utka et al. 2022; Usinskiene and Rackeviciene 2022). აგრეთვე, ვხვდებით ლექსიკური მრავალფეროვნების მსგავსების გაზომვას TTR (type/token ratio) (ტიპების ტოკენებთან შეფარდებისა) ან STTR (Standardized type/token ratio) (ნორმალიზებული ტიპების ტოკენებთან შეფარდების) განსაზღვრის მეშვეობით შემდეგ კვლევებში ბუნდია კასტრო (2013, 346), სეგირი (2014), ფურტადო და ტეიქსეირა (2022; 2024, 57).

ამრიგად, ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას დარგობრივი შედარებითი კორპუსების შედგენის პროცესში სხვადასხვა ენობრივ წყვილში ხელმისაწვდომი მასალისა და ჟანრების არაპროპორციული გადანაწილება ქმნის, რაც მოითხოვს მკვლევრების მხრიდან მკაფიო კრიტიკურიუმების შემუშავებას კორპუსების შედარებითობის უზრუნველყოფისთვის, რისთვისაც შესაძლებელია ვიხელმძღვანელოთ როგორც მხოლოდ ექსტრალინგვისტური (გარეგანი) პარამეტრების მსგავსებით, აგრეთვე, სხვადასხვა სტატისტიკური საზომის მსგავსებასთან კომბინაციით.

დასკვნა

შეჯამების სახით, უნდა ითქვას, რომ პარალელური კორპუსების სიმჭირის ან არარსებობის შემთხვევაში, შედარებითი კორპუსების გამოყენება, განსაკუთრებით ახლად აღმოცენებული ან მაღალი ინტერესის მქონე დარგებისთვის, კვლევის აქტუალური საგანია, მათ შორის, ორენოვანი/მრავალენოვანი ზოგადი ან დარგობრივი ენის ლექსიკონების შესადგენად. სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ინგლისური და ქართული დარგობრივი შედარებითი კორპუსების შედგენისათვის აუცილებელი წინაპირობა შედარებით-

თობის კრიტერიუმების შემუშავებაა, კერძოდ, მსგავსება დარგის, ტექსტების ჟანრების, საკომუნიკაციო კონტექსტისა და პერიოდების მიხედვით. აგრეთვე, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ქართული და ინგლისური ენის დარგობრივ ტექსტებს შორის რაოდენობრივი არაერთგვაროვნება გვაქვს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია რეპრეზენტაციულობის საკითხი გადაიჭრას ამოსავალ, ქართულ ენაში, ხოლო შემდეგ ეტაპზე სიხშირული სიების ან ლექსიკური მრავალფეროვნების მაჩვენებლების შედარების გამოყენებით განისაზღვროს ინგლისური და ქართული კორპუსების მსგავსება.

დამოწმებანი

- Alonso, Araceli, Elena Blancafort, Clement De Groc, Chrystel Million and Geoffrey Williams. 2012. METRICC: Harnessing Comparable Corpora for Multilingual Lexicon Development. In *Proceedings of the 15th EURALEX International Congress* (August 2012), 389-403. Oslo, Norway.
- Baker, Peter. 2006. *Using Corpora in Discourse Analysis*. London & New York: Continuum.
- Bartolomé-Díaz, Zaida and Francesca Frontini. 2020. Building a Domain-specific Bilingual Lexicon Resource with Sketch Engine and Lexonomy: Taking Ownership of the Issues. *Proceedings of the Globalex Workshop on Linked Lexicography* (May), European Language Resources Association, 62-68. Marseille, France. <https://aclanthology.org/2020.globalex-1.11.pdf>.
- Belinda, Maia. 2003. What are Comparable Corpora? *Proceedings of the Corpus Linguistics Workshop on Multilingual Corpora: Linguistic requirements and technical perspectives*. Lancaster, U.K. <https://repositorio-aberto.up.pt/bitstream/10216/14024/2/whatare000072831.pdf>.
- Benko, Vladimir. 2024. The Aranea Corpora Family: Ten+ Years of Processing Web-Crawled Data. In *Text, Speech, and Dialogue. TSD 2024. Lecture Notes in Computer Science*, 1-16. Cham: Springer. https://doi.org/10.1007/978-3-031-70563-2_5.
- Biber, Douglas. 1993. Representativeness in Corpus Design. *Literary and Linguistic Computing*, 8 (4): 243-257. https://doi.org/10.1007/978-3-031-70563-2_5.
- Blancafort, Helena, Béatrice Daille, Tatiana Gornostay, Ulrich Heid, Claude Mechoulam, and Serge Sharoff. 2010. TTC: Terminology Extraction, Translation Tools and Comparable Corpora. In the *Proceedings of the 14th EURALEX International Congress*, 263-268. Leeuwarden/Ljouwert, The Netherlands. <https://euralex.org/publications/ttc-terminology-extraction-translation-tools-and-comparable-corpora/>.
- Bowker, Lynne. 1996. *Towards a Corpus-based Approach to Terminography*.

- Terminology* no. 3: 27-52. <https://doi.org/10.1075/term.3.1.03bow>.
- Bowker, Lynne and Jennifer Pearson. 2002. *Working with Specialized Language: A Practical Guide to Using Corpora*. London/New York: Routledge. <https://doi.org/10.4324/9780203469255>.
- Brezina, Vaclav, Abi Hawtin and Tony McEnery. 2021. The Written British National Corpus 2014 – Design and Comparability. *Text & Talk* no 41 (5-6): 595-615. <https://doi.org/10.1515/text-2020-0052>.
- Buendia Castro, Miriam. 2013. *Phraseology in Specialized Languages and its Representation in Environmental Knowledge Resources*. PhD diss., University of Granada.
- Čermáková, Anna, Jarmo Jantunen, Tommi Jauhiainen, John Kirk, Michal Křen, Marc Kupietz and Elaine Uí Dhonnchadha. 2021. The International Comparable Corpus: Challenges in Building Multilingual Spoken and Written Comparable Corpora. *Research in Corpus Linguistics*, no. 9 (1), 89-103. <https://doi.org/10.32714/ricl.09.01.06>.
- Daille, Béatrice. 2017. Primitive Exploration of Variants Using Comparable Corpora. In *Term Variation in Specialised Corpora: Characterisation, Automatic Discovery and Applications*, 83-108. *Terminology and Lexicography Research and Practice*. no. 19. Amsterdam: John Benjamins. <https://doi.org/10.1075/tlrp.19>.
- Deléger, Louise and Pierre Zweigenbaum. 2009. Extracting Lay Paraphrases of Specialized Expressions from Monolingual Comparable Medical Corpora. In *Proceedings of the 2nd Workshop on Building and Using Comparable Corpora: from Parallel to Non-Parallel Corpora*, 2-10. Association for Computational Linguistics, Singapore. <http://aclweb.org/anthology/W/W09/W09-3102>.
- Delpéch, Estelle Maryline. 2014. *Comparable Corpora and Computer-assisted Translation*. UK, USA: ISTE, John Wiley & Sons. <https://doi.org/10.1002/9781119002659>.
- Erjavec, Tomaž, Maciej Ogrodniczuk et al. 2023. The ParlaMint Corpora of Parliamentary Proceedings. *Lang Resources & Evaluation* 57, 415-448. <https://doi.org/10.1007/s10579-021-09574-0>.
- Fantinuoli, Claudio. 2018. The Use of Comparable Corpora in Interpreting Practice and Teaching. *The Interpreters' Newsletter* no. 23: 133-149. DOI: 10.13137/2421-714X/22402.
- Filippova, Darya, Burcu Can, and Gloria Corpas Pastor. 2021. Bilingual Terminology Extraction Using Neural Word Embeddings on Comparable Corpora. In *Proceedings of the Student Research Workshop Associated with RANLP 2021*, 58-64, Online. INCOMA Ltd. <https://aclanthology.org>.

- org/2021.ranlp-srw.9.pdf.
- Francis, W. Nelson and Henry Kucera. 1979. *Brown Corpus Manual*. Department of Linguistics, Brown University, Providence, Rhode Island, US. <http://korpus.uib.no/icame/manuals/BROWN/INDEX.HTM>.
- Fung, Pascale and Kathleen McKeown. 1997. Finding Terminology Translations from Non-parallel Corpora. In *Proceedings of the 5th Annual Workshop on Very Large Corpora*, 192-202. Hong Kong, China. <https://aclanthology.org/W97-0119.pdf>.
- Furtado, Anna and Teixeira, Elisa. 2022. Multilingual Corpus on Migration and Asylum (COMMIRE): planning, compilation, and overall content. *Texto Livre* no. 15: 1-18. DOI: 10.35699/1983-3652.2022.36965.
- Furtado, Anna Beatriz Dimas and Elisa Duarte Teixeira. 2024. Representativeness and Balance in Multilingual Comparable Corpora for Specialized Lexicography Revisiting Available Standards and Measures. Abstract. In *the Book of Abstracts of the XXI EURALEX International Congress* (8-12 October 2024): 56-58. https://euralex.jezik.hr/wp-content/uploads/2021/09/Euralex_boa_20.pdf.
- Gaballo, Viviana. 2010. Translating Stones: a Corpus-based Linguistic and Lexicographic Study in Specialized Terminology. *Lexis [Online]*, no. 4: 55-64. DOI: 10.4000/lexis.583.
- Giampieri Patrizia. 2024. The Use of Comparable Corpora on (General) Terms and Conditions as a Pedagogical Tool in Translation Training between English and Italian. Doctoral thesis. L-Università ta' Malta, Malta.
- Goeuriot, Lorraine, Emmanuel Morin, and Béatrice Daille. 2009. Compilation of Specialized Comparable Corpora in French and Japanese. In *Proceedings of the 2nd Workshop on Building and Using Comparable Corpora: from Parallel to Non-parallel Corpora (BUCC)*, 55-63, Singapore. Association for Computational Linguistics. <https://aclanthology.org/W09-3110.pdf>.
- Gornostay, Tatiana, Anita Gojun, Marion Weller, Ulrich Heid, Emmanuel Morin, Beatrice Daille, Helena Blancafortd, Serge Sharoffe, and Claude Méchoulam. 2012. Terminology Extraction, Translation Tools and Comparable Corpora: TTC Concept, Midterm Progress and Achieved Results. *LREC 2012 Workshop on Creating Cross-language Resources for Disconnected Languages and Styles (CREDISLAS)*. (May): 1-4. Istanbul, Turkey. <https://hal.science/hal-00819909/document>.
- Granger, Sylviane. 2010. Comparable and Translation Corpora in Cross-linguistic Research. Design, Analysis and Applications. *Journal of Shanghai Jiaotong University* no. 2: 14-21. https://sites.uclouvain.be/cecl/archives/Granger_Crosslinguistic_research.pdf.
- Hunston, Susan. 2002. *Corpora in Applied Linguistics*. Cambridge: Cambridge

- University Press. <https://doi.org/10.1017/CBO9781139524773>.
- Hunston, Susan. 2022. *Corpora in Applied Linguistics*. 2nd edition. Cambridge: Cambridge University Press. <https://doi.org/10.1017/9781108616218>.
- Johansson, Stig, Eric Atwell, Roger Garside and Geoffrey Leech. 1986. *The Tagged LOB Corpus: User's Manual*. The Norwegian Centre for the Humanities. <http://helmer.aksis.uib.no/icame/manuals/LOBMAN/INDEX.HTM>.
- Kenning, Marie-Madeleine. 2010. What are Parallel and Comparable Corpora and How Can We Use Them? In *The Routledge Handbook of Corpus Linguistics* 1st edition, ed. Anne O'Keeffe and Michael McCarthy, 487-500. London & New York: Routledge. <https://doi.org/10.4324/9780203856949>.
- Koester, Almut. 2022. Building Small Specialised Corpora. In *The Routledge Handbook of Corpus Linguistics* 2nd edition, ed. Anne O'Keeffe and Michael McCarthy, 48-61. London: Routledge. <https://doi.org/10.4324/9780367076399>.
- Kupietz, Marc, Piotr Banski, Nils Diewald, Beata Trawinski, and Andreas Witt. 2024. EuReCo: Not Building and Yet Using Federated Comparable Corpora for Cross-Linguistic Research. In *Proceedings of the 17th Workshop on Building and Using Comparable Corpora (BUCC) @ LREC-COLING 2024*, 94-103, Torino, Italia: ELRA and ICCL. <https://aclanthology.org/2024.bucc-1.10.pdf>.
- Leech, Geoffrey. 1991. The State of the Art in Corpus Linguistics. In *English Corpus Linguistics. Studies in Honour of Jan Svartvik*, 8-29. New York/London, NY/England: Routledge.
- Love, Robbie, Claire Dembry, Andrew Hardie, Vaclav Brezina and Tony McEnery. 2017. The Spoken BNC2014: Designing and Building a Spoken Corpus of Everyday Conversations. *International Journal of Corpus Linguistics* no. 22(3): 319-344. <https://doi.org/10.1075/ijcl.22.3.02lov>.
- McEnery, Tony and Andrew Wilson. 2001. *Corpus Linguistics. An Introduction*. 2nd ed. Edinburgh, Scotland: Edinburgh University Press.
- McEnery, Tony and Richard Xiao. 2007. Chapter 2. Parallel and Comparable Corpora: What is Happening? *Incorporating Corpora: The Linguist and the Translator*, edited by Gunilla Anderman and Margaret Rogers, Bristol, 18-31. Blue Ridge Summit: Multilingual Matters. <https://doi.org/10.21832/9781853599873-005>.
- McEnery, Tony and Gavin Brookes. 2022. Building a Written Corpus: What are the Basics? In *The Routledge handbook of Corpus Linguistics* 2nd edition, ed. Anne O'Keeffe and Michael McCarthy, 35-47. London: Routledge. <https://doi.org/10.4324/9780367076399>.
- Morin, Emmanuel and Amir Hazem. 2016. Exploiting Unbalanced Specialized

- Comparable Corpora for Bilingual Lexicon Extraction. *Natural Language Engineering*. No. 22(4):575-601. DOI: 10.1017/S1351324916000140.
- Munday, Jeremy, Sara Ramos Pinto and Jacob Blakesley. 2022. *Introducing Translation Studies Theories and Applications*. London: Routledge <https://doi.org/10.4324/9780429352461>.
- Rapp, Reinhard. 1999. Automatic Identification of Word Translations from Unrelated English and German Corpora. In *Proceedings of the 37th Annual Meeting of the Association for Computational Linguistics*, 519-526. Association for Computational Linguistics. <https://doi.org/10.3115/1034678.1034756>.
- Rosset, Sophie, Cyril Grouin, Karën Fort, Olivier Galibert, Juliette Kahn and Pierre Zweigenbaum. 2012. Structured Named Entities in Two Distinct Press Corpora: Contemporary Broadcast News and Old Newspapers. In: *Proceedings of the Sixth Linguistic Annotation Workshop*, 40-48. Association for Computational Linguistics, Jeju, Republic of Korea. <http://www.aclweb.org/anthology/W12-3606>.
- Seghiri, Miriam. 2014. Too Big or Not Too Big: Establishing the Minimum Size for a Legal Ad Hoc Corpus. *HERMES – Journal of Language and Communication in Business*, 27(53): 85-98. <https://doi.org/10.7146/hjlc.v27i53.20981>.
- Segouat, Jérémie and Annelies Braffort. 2009. Toward Categorization of Sign Language Corpora. In *Proceedings of the 2nd Workshop on Building and Using Comparable Corpora: from Parallel to Non-parallel Corpora (BUCC)*, 64-67, Singapore. Association for Computational Linguistics. <https://acl-anthology.org/W09-3111.pdf>.
- Sharoff, Serge. 2013. Measuring the Distance Between Comparable Corpora Between Languages. In *Building and Using Comparable Corpora*. Eds Sharoff Serge, Reinhard Rapp, Pierre Zweigenbaum and Pascale Fung, 113-130. Heidelberg, Berlin: Springer-Verlag. https://doi.org/10.1007/978-3-642-20128-8_6.
- Sharoff, Serge, Reinhard Rapp and Pierre Zweigenbaum. 2023. *Building and Using Comparable Corpora for Multilingual Natural Language Processing. Synthesis Lectures on Human Language Technologies*. Cham: Springer. <https://doi.org/10.1007/978-3-031-31384-4>.
- Talvensaari, Tuomas, Jorma Laurikkala, Kalervo Järveli, Martti Juhola and Heikki Keskustalo. 2007. Creating and Exploiting a Comparable Corpus in Cross-language Information Retrieval. *ACM Transactions on Information Systems* no 25(1): 1-4. <https://doi.org/10.1145/1198296.119830>.
- Usienske, Olga and Sigita Rackeviviene. 2022. Parallel and Comparable Cor-

- pora for Terminology Analysis in the Domain of Migration. In the *Conference Proceedings Language for International Communication: Linking Interdisciplinary Perspectives: Language for Specific Purposes in the Era of Multilingualism and Technologies*. no. 4: 143-155. Latvia, Riga: University of Latvia Press. <https://doi.org/10.22364/lincs.2023.12>.
- Utkā, Andrius Sigita Rackeviciene, Liudmila Mockiene, Aivaras Rokas, Marius Laurinaitis and Agne Bielinskiene. 2022. Building of Parallel and Comparable Cybersecurity Corpora for Bilingual Terminology Extraction. In *Selected Papers from the CLARIN Annual Conference 2021*. ed. by Monica Monachini and Maria Eskevich, 126-138. DOI: <https://doi.org/10.3384/9789179294441>.
- Wang, Rui and Chris Callison-Burch, 2011. Paraphrase Fragment Extraction from Monolingual Comparable Corpora. In: *Proceedings of the 4th Workshop on Building and Using Comparable Corpora: Comparable Corpora and the Web*, 52-60. Association for Computational Linguistics, Portland. <http://www.aclweb.org/anthology/W11-1208>.
- Wissik, Tanja. 2010. Development and Use of Comparable Specialized Corpora of National German Varieties. In *Conference paper from Using Corpora in Contrastive & Translation Studies*, 1-18. Ormskirk, United Kingdom. www.lancaster.ac.uk/fass/projects/corpus/UCCTS2010Proceedings/papers/Wissik.pdf.
- Yu, Chenlu. 2024. A German-Chinese E-dictionary of Manufacturing Technology in Automotive Industry Entry Design. In *Lexicography and Semantics. Proceedings of the XXI EURALEX International Congress*, 661-668. Institute for the Croatian Language. Despot. https://euralex.jezik.hr/wp-content/uploads/2021/09/Euralex-XXI-proceedings_1st.pdf.
- Zanettin, Federico. 2012. *Translation-Driven Corpora: Corpus Resources for Descriptive and Applied Translation Studies*. Manchester: St. Jerome Publishing, Routledge. <https://doi.org/10.4324/9781315759661>.

Ketevan Mchedlishvili

Ilia State University, Georgia

ketevani.mchedlishvili.3@iliauni.edu.ge

DOI: 10.32859/kadmos/16/237-253

Comparable Corpora: Compilation Methods and Areas of Application

Abstract

Comparable corpora and their application in research have been an object of interest since the 1990s. Following the establishment of the annual workshop series “Building and Using Comparable Corpora” (BUCC) in 2008, there has been an increasing interest in comparable corpora and the study of their effectiveness for bilingual/multilingual projects. Although there is a general comparable corpus of the Georgian language compiled as part of the “Aranea” project, a family of web-crawled comparable corpora, currently, there are no specialized comparable corpora available for the Georgian language. In general, the application of comparable corpora for bilingual/multilingual specialized lexicography in Georgia is a novel research topic that has not been explored before. Therefore, this review paper aims to analyze the concept and types of comparable corpora. It also discusses the advantages of using comparable corpora and the areas of their application. Furthermore, the paper focuses on the methods of compiling specialized comparable corpora, in particular, such issues as representativeness, balance, corpus size, and comparability criteria.

კონფერენციის მიმოხილვა

CONFERENCE REVIEW

გიუნტერ ბერგჰაუსი
ბრისტოლის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი
ბელა წიფურია
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
bela_tsipuria@iliauni.edu.ge
DOI: 10.32859/kadmos/16/254-261

ქართული ფუტურიზმის 100 წელი*

ისტორიული ავანგარდი მოიცავს დავიწყებულ მომენტებსა და სცენებს, რომლებიც ჯერ კიდევ საჭიროებს ხელახლა აღმოჩენას და შესწავლას. ცენტრალური და პერიფერიული მოძრაობები ერთმანეთს ხელახლა უნდა დაუკავშირდეს, რათა დავინახოთ, თუ როგორ განვითარდა, მაგალითად, ფუტურისტული ავანგარდი სხვადასხვა ნაციონალურ კულტურაში. ისტორიული გარემოებების გამო, გარკვეულ ეტაპზე ზოგიერთი კულტურა გამოეთიშა ესთეტიკის კვლევის უფრო ფართო საერთაშორისო ქსელს, რაც ნიშნავდა, რომ სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში განხორციელებული ავანგარდული ექსპერიმენტები დანარჩენ ქვეყნებში ათწლეულების განმავლობაში უცნობი დარჩა. ერთ-ერთი ასეთი დავიწყებული მომენტი იყო თბილისური ავანგარდი, რომელიც 1917-1918 წლებში აღმოცენდა და რამდენიმე წლის შემდეგ ფუტურისტული ჯგუფის H2SO4-ის წარმოშობაც განაპირობა. საბჭოთა ხელისუფლებამ ორივე მომენტი წაშალა ქართული კულტურული მემკვიდრეებიდან და ქვეყანა ევროპული კულტურული განვითარების ფართო პროცესს ჩამოაშორა. ამიტომ, პოსტსაბჭოთა ათწლეულებში საქართველოს მოუწია წამოეწყო გახანგრძლივებული მცდელობები თავისი მხატვრული მემკვიდრეობის დასაბრუნებლად, რომელთა შორისაა დიდი ოდენობა ფუტურისტული ნამუშევრებისა სახვით ხელოვნებასა და ლიტერატურაში.

* სტატიის ორიგინალური ინგლისური ვერსია იხ: Tsipuria, Bela. „100 Years of Georgian Futurism“. In *International Yearbook of Futurism Studies*, vol. 15 (2025), ed. Günter Berghaus, 432-438. Berlin: De Gruyter, 2025.

ქართული ფუტურისმი ჩაისახა მაშინ, როცა ბორის ლოპატინსკი 1911 წელს პარიზიდან თბილისში დაბრუნდა და ჩამოიტანა მარინეტის *ფუტურისმის დაარსება და მანიფესტი*, გამოქვეყნებული, სავარაუდოდ, *ფუტურისმის ანთოლოგიაში*, რომელიც ასევე შეიცავდა სხვადასხვა ფუტურისტულ მანიფესტს. ეს ნაწერები ენთუზიაზმით მიიღო ორმა ძმამ, ილიამ და კირილ ზდანევიჩმა. ამის შემდეგ ორივე მათგანმა რამდენიმე წელი გაატარა რუს ფუტურისტებთან სანკტ-პეტერბურგსა და მოსკოვში, სადაც ილიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მარინეტის რუსეთში ვიზიტის დროს 1914 წელს.¹ მანაც, მისი ძმის მსგავსად, შეიმუშავა ფუტურისმის საკუთარი, თავისებური ხედვა. ისინი დაბრუნდნენ სამშობლოში და შეუერთდა თავისუფალი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ახალ, ცოცხალ ავანგარდულ სცენას, თუმცა, ილიას მოკლე ხანში, 1920 წელს, პარიზში ემიგრაციაში მოუწია წასვლა.

1919 წელს, თბილისში დაარსდა ჯგუფი „41“, რომელიც შედგებოდა რუსი ემიგრანტებისა და ქართველი პოეტებისა და მხატვრებისგან. მათ ოცდაათამდე არტიტული წიგნი გამოუშვეს. მათგან გამორჩეულია ალექსეი კრუჩენინისა და ძმები ზდანევიჩების წიგნები, რომლებიც ფუტურისტული წიგნის დიზაინის შედეგებს შორისაა. მაშინ როცა ქართველი მოდერნისტი პოეტები თავიანთ ნაწარმოებებს ქართულ ენაზე ქმნიდნენ, რუსი ემიგრანტი პოეტები ჩართულნი იყვნენ კულტურულ დიალოგში რუსულ ენაზე გამოცემული ტექსტების მეშვეობით. თუმცა ზოგჯერ მათი პოეზია ლინგვისტურ ჩარჩოებსაც სცდებოდა, რადგან ზაუმის ალოგიკური სტილით იწერებოდა.

თბილისური მოდერნიზმის მომენტი უეცრად შეწყდა ბოლშევიკების მიერ 1921 წელს საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შემდეგ. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირის არსებობს პირველ წლებში შეიქმნა ქართველი ფუტურისტების კიდევ ერთი ჯგუფი, H2SO4, რომელმაც 1924 წელს გამოსცა ჟურნალი H2SO4. ჟურნალი მოიცავს უაღრესად დახვეწილი დიზაინით შექმნილ ას გვერდს, ესეებით, ლექსებითა და შავ-თეთრი ილუსტრაციებით.² მიუხედავად იმისა, რომ პერიოდულ ორგანოდ იყო ჩაფიქრებული, მეორე ნომერი არასოდეს გამოსულა. თუმცა, პირველი ნომერი მოდერნისტული წიგნის დიზაინის ღირსშესანიშნავ ნიმუშად ითვლება არა მხოლოდ კავკასიის რეგიონში, არამედ საერთაშორისო ფუტურისმშიც. H2SO4 იყო პირ-

1 იხ. Lapshin: *Marinetti e la Russia*, pp. 178–181 and Tobin: “Marinetti’s Visit to Russia in 1914 through the Lens of the Russian and Italian Press”.

2 ჟურნალის ციფრული ასლები იხ: <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/147211> და http://www.modernism.ge/?action=photogallery&p_id=462&b
ქართველ ფუტურისტთა ტექსტები იხ: <https://avant-garde.iliauni.edu.ge>

ველი ფუტურისტული გამოცემა, რომელიც მთლიანად ქართულ ენაზე დაიწერა. მას მოჰყვა ფუტურისტული პოეზიის რამდენიმე კრებული, ასევე რამდენიმე ახალი პერიოდული გამოცემა.

ფუტურისტული ჯგუფისა და ჟურნალ H_2SO_4 -ის (1924) ასი წლის იუბილემ შთააგონა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შედარებითი ლიტერატურის ინსტიტუტი და უმაღლესი კვლევების ცენტრი, ჩატარებინათ საერთაშორისო კონფერენცია, რომლის ფარგლებშიც ქართული ფუტურიზმის ასი წლის იუბილის აღნიშვნა სხვა, ურთიერთშედარებადი და ხშირად დაკავშირებული ავანგარდისტული ტენდენციების განხილვასთან ერთად წარიმართა. ქართულმა უნივერსიტეტმა გერმანულ მხარესთან, ლიუნებურგის ლოეფანას უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტთან თანამშრომლობით დაგეგმა და განახორციელა პროგრამა, რომელიც 1910-1920-იანი წლების სხვადასხვა ავანგარდულ სცენას მიუბრუნდა და ერთმანეთს შეადარა. სამეცნიერო კონფერენციაზე ავანგარდის მომენტების გახსენება, ავანგარდის სცენების შეკავშირება, 2024 წლის 9-11 ოქტომბერი, წარმოდგენილი მოხსენებებიდან ბევრი უშუალოდ ფუტურიზმზე არ იყო ფოკუსირებული და, შესაბამისად, ამ ანგარიშში მათ არ განვიხილავთ.

კონფერენციაზე სულ შვიდი მოხსენება შეეხებოდა H_2SO_4 -ს და იმ შემოქმედებს, რომელთაც ეს პუბლიკაცია შესაძლებელი გახადეს.

პირველი იყო გაგა ლომიძის მოხსენება, სახელწოდებით *მოდერნიზმის მომენტების გახსენება: 1910-1920-იანი წლების საქართველო*. მოხსენებაში H_2SO_4 და ქართული ფუტურიზმი კავკასიაში კულტურული განახლების უფრო ფართო კონტექსტში იყო განთავსებული. გამოიკვეთა პარიზის, როგორც საწვრთნელი მოედნის მნიშვნელოვანი როლი საქართველოში მოდერნიზტული სცენის განვითარებისთვის. 1910-იან წლების თბილისის ინტელექტუალური ცხოვრების მიმოხილვის შემდეგ ლომიძემ წარმოადგინა პირველი ფუტურისტული ჯგუფი 41° და მისი საქმიანობა, წიგნების გამოცემა და პოეზიის საღამოების მოწყობა. როცა 1920-იან წლებზე გადმოინაცვლა, მომხსენებელმა განიხილა H_2SO_4 -ში შეტანილი რამდენიმე პუბლიკაცია, განსაკუთრებით — კინოსთან დაკავშირებული, და დაასრულა ნაწყვეტების ჩვენებით კოტე მიქაბერიძის ავანგარდისტული ფილმიდან *ჩემი ბებია*. 1929 წელს, ფილმის გამოსვლის დროს, ქვეყანა უკვე რუსეთის მიერ იყო ოკუპირებული. მიქაბერიძის ფილმი ანტისაბჭოთა ნამუშევრად გამოცხადდა და აიკრძალა. ხელოვნებასა და პოლიტიკაში სტალინურმა შეზღუდვებმა და რეპრესიებმა ბოლო მოუღო საქართველოს ცოცხალ კულტურულ პროცესს და მრავალ ავანგარდისტ ხელოვანს შინაგანი ემიგრაციისკენ უბიძგა.

ქეთევან კინწურაშვილიმა თავის მოხსენებაში დედა ენიდან H_2SO_4 -მდე განიხილა გრაფიკული დიზაინის ისტორია საქართველოში და აჩვენა, თუ როგორ ცდილობდა დიზაინი აესახა სენსორული შთაბეჭდილებები თანამედროვე ცხოვრების სტილისა, რომელმაც მეოცე საუკუნის დასაწყისში თბილისამდეც მოაღწია. ეს მოიცავდა ქართული ანბანის ახალ დიზაინსაც. იაკობ გოგებაშვილის ილუსტრირებული სახელმძღვანელო, *დედა ენა* (1876), ცდილობდა ქართული ენის აღორძინებას, მაშინ როცა რუსეთის იმპერიული პოლიტიკა საფრთხეს უქმნიდა მის პოზიციას მის საკუთარ მიწაზე. ეს აღმოჩნდა მძლავრი შენატანი ქართული ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების საქმეში და, შესაბამისად, იქცა სახელმწიფოებრიობის მშენებლობის აუცილებელ ინსტრუმენტად. *დედა ენის* სურათები წარმოდგენილი იყო ფუტურისტული ჯგუფის მანიფესტში *საქართველო – ენისქი* (1922) და H_2SO_4 -ში, რადგან პოეტების ინტერესმა ხმის ვიზუალიზაციისადმი მიიყვანა ისინი ასო-ნიშნების შემოქმედებით დამუშავებამდე, რამაც გააძლიერა ფუტურისტული პოეზიის ვიზუალურ-სმენითი განზომილება.

გიუნტერ ბერგჰაუსის პლენარულ მოხსენებაშიც, *საერთაშორისო ფუტურისმი და ურთიერთგანაცოფიერება ისტორიულ ავანგარდში*, H_2SO_4 უფრო ფართო კონტექსტში განთავსდა: თავდაპირველად კავკასიისა, სადაც, ასევე, სომეხი ყარა-დარვიში (იაკობ გენჯიანის ფსევდონიმი) პროპაგანდას უწევდა თავის კონცეფციას „აღმოსავლური ფუტურისმისა“, შემდეგ კი – მთლიანად აღმოსავლეთ ევროპისა. პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის ფუტურისმის უაღრესად განსხვავებული ფორმების კონტრასტის ჩვენებით გიუნტერ ბერგჰაუსმა წარმოაჩინა ფუტურისტული ესთეტიკის არაორთოდოქსული ვარიანტების მთელი რიგი, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა მარინეტის მიერ შემოთავაზებულ „futurismo mondiale“-ს საკმაოდ ვიწრო დეფინიციას. ამგვარად, მოხსენებაში H_2SO_4 ნაჩვენებია იყო როგორც ინოვაციური ფუტურისტული პერიოდული გამოცემების ფართო ოჯახის განუყოფელი ნაწილი, ისევე, როგორც ქართული ავანგარდის დამოუკიდებელი წარმომადგენელი.

კატარინა ჭელიძემ მოხსენებაში H_2SO_4 -ის *დეკორაციები და ავანგარდის მყრალი პრაქტიკები* ავანგარდის სენსუალურ განზომილებაზე გაამახვილა ყურადღება. მან ტრანსკულტურულობის პრიზმიდან განიხილა ქართული კულტურული სცენის თანმხვედრი გამოცდილება და ზოგიერთი კონკრეტული მომენტი. უფრო კონკრეტულად, H_2SO_4 -ის კოლექტივის მიერ გამოყენებული შემოქმედებითი პრაქტიკების საფუძველზე, მან სცადა წარმოეჩინა სუნის გამოყენება პერფორმანსულ გარემოში, და ეჩვენებინა თვით სუნის პერფორმატულობაც კი

სოციოპოლიტიკურ და სოციოკულტურულ კონტექსტში. მან აჩვენა, თუ როგორ ახლდა ჯგუფ H_2SO_4 -ის მხატვრულ პროგრამას სხვადასხვა დესტრუქციული ქმედებები დედაქალაქ თბილისში. ჯგუფმა სუნი აირჩია, ასევე, როგორც საკომუნიკაციო მედიუმი ჟურნალ H_2SO_4 -ში ტრადიციონალისტი ადამიანებისა და კონსერვატიული კულტურული გარემოს დასახსიათებლად.

ლევან გელაშვილმა მოხსენებაში *კინონარატივი ქართულ ფუტურისტიკაში და H_2SO_4 -ის 100 წელი* წარმოადგინა ახალი ონლაინ პლატფორმა, რომელიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შედარებითი ლიტერატურის ინსტიტუტში შეიქმნა. ის აერთიანებს პოეტურ ტექსტებს, ესეებსა და კრიტიკულ მასალას, რომლებიც დაკავშირებულია ქართულ ავანგარდისტულ და ფუტურისტულ ლიტერატურასთან.³ ქართველი ფუტურისტების მიერ გამოყენებული ნარატიული ტექნიკის განხილვისას გელაშვილმა გააანალიზა, თუ როგორ ეფუძნებოდა ფუტურისტული პოეტიკის კინემატოგრაფიული თავისებურებები მონტაჟის პრინციპებს. კინემატოგრაფიის გავლენა შესამჩნევია 1920-იან წლებში ქართულ ფუტურისტიკაში, როდესაც ავტორებმა ღიად განაცხადეს, რომ მათი მიზანი იყო მათი წერის სტილის „კინემატოგრაფირება“ და განაცხადეს, რომ ჩარლი ჩაპლინი მათი ლიტერატურული სკოლის მეთაური იყო. შედეგად, მათ პოეზიაში შეიქმნა კინემატოგრაფიული რიტმი და ტექსტისა და გამოსახულების კომბინაცია კინემატოგრაფიული მონტაჟის ტექნიკის თანახმად.

ნინო ქავთარაძემ მოხსენებაში *ნიკოლოზ შენგელაიას კინემატოგრაფიული სინტაქსი H_2SO_4 -დან ელისომდე* ასევე ხაზი გაუსვა კავშირს კინემატოგრაფიული მონტაჟის პრინციპებსა და ფუტურისტულ პოეტიკას შორის – როგორც ეს ჩანს ნიკოლოზ შენგელაიას ნამუშევრებში, ფუტურისტისა, რომელიც კინორეჟისორი გახდა და გადაიღო ფილმი *ელისო* (1928 წ.). ქავთარაძემ აჩვენა, თუ რამდენად შედარებადია შენგელაიას H_2SO_4 -ის პერიოდის პოეტური ტექსტები მის კინამეტოგრაფიულ ექსპერიმენტებთან – ექსპრესიულობის, რიტმული სტრუქტურისა და ტემპო-რიტმული მახასიათებლების თვალსაზრისით.

თამარ პაიჭაძემ მოხსენებაში *ფუტურისტიკაში, დადა და ზაუმი ტფილისში* განიხილა ქართულ ფუტურისტიკის ლინგვისტური ექსპერიმენტები 1920-იან წლებში, ზაუმის სტილში დაწერილი ქართული და რუსული პოეზიის ფონზე. ფუტურისტული პოეზიის ამ ორ განშტოებას შორის გარკვეული კავშირებისა და ანალოგიების მიუხედავად, ქართული ზაუმური პოეზია შეიცავდა განსხვავებულ მახასიათებლებს: „ზესინტაქსური“ ალოგიკური ენის უარყოფას, ასევე ინტუიციურ და ასოციაციურ კავშირებს ქართულ ტექსტებში წარმოდგენილი ფრაზეოლოგიური და ფონეტიკური ინოვაციების ფარგლებში.

2024 წლის ოქტომბერში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული თავყრილობა სათანადო შეხსენება იყო, თუ როგორ შეუძლია ინტერავანგარდული ალიანსების საერთაშორისო ქსელს წარმოშვას მხატვრული განვითარება, რომელიც ახალ წახნაგებსა და ფერებს შესძენს ფუტურისტულ დაჯგუფებათა ფართო ოჯახს მთელს

3 იხ. <https://avant-garde.iliauni.edu.ge>

მსოფლიოში. ამან აჩვენა, რომ ფუტურიზმს ჰქონდა გამჭოლი, შორსმწვდომი და, ხშირად, სიღრმისეული გავლენა სხვა ქვეყნებზე. თუმცა, მან ასევე აჩვენა, რომ ფუტურისტი შემოქმედები არასდროს ერთგულდნენ რეცეპტების მონოლითურ ნაკრებს, არამედ იყენებდნენ იდეებსა და ხერხებს მრავალი სხვადასხვა წყაროდან. ტრადიციონალისტური ხელოვნების ალტერნატივების მოძიების მათეული მცდელობები ნიშნავდა, რომ მათ აითვისეს ფუტურიზმის ასპექტები და გააერთიანეს ისინი შთავაზონების სხვა, ადგილობრივ წყაროებთან. ამან განაპირობა ფუტურიზმების ფართო სპექტრის წარმოშობა, და ეს მკვეთრად განსხვავდებოდა იმისგან, რაც ფ. ტ. მარინეტის ავტორობითა და რეჟისორობით შეიქმნა. ქართული ჟურნალი *H2SO4* აჩვენებს, რომ ფუტურიზმს გამანაყოფიერებელი გავლენა ჰქონდა კავკასიაში, თუმცა ასევე ავლენს, რომ ქართულმა ფუტურიზმმა იტალიიდან და რუსეთიდან მიღებული იდეები ადგილობრივ დღის წესრიგს მოარგო.

დამოწმებანი

- Chepyzhov, Pavel V.: *New Georgian Book Design, 1920s-30s*. Warsaw: Wydawnictwo Naukowe, 2018.
- Chikhradze, Mzia: "A City of Poets: The Cultural Life of Tbilisi 1910-1930." *Modernism / Modernity* 21:1 (January 2014): 289-305.
- Chikhradze, Mzia: "Futurist Book: Tbilisi, 1917-1919." Peter Skinner, and Dimiti Tumanishvili, eds.: *Georgian Art in the Context of European and Asian Cultures*. International Symposium of Georgian Art, Dedicated to Vakhtang Beridze. Tbilisi, June 21-29, 2008. Proceedings. Tbilisi: Georgian Arts and Culture Center, 2009. 310-316.
- Chikhradze, Mzia: "The Georgian Avant-garde: Futurism and More." *International Yearbook of Futurism Studies* 10 (2020): 172-199.
- H2SO4*. No.1. Tiflis: "Zaria vostoka", 1924. Reprint Tbilisi: Giorgi Leonidzis Sakhelobis Kartuli Literaturis Sakhelmtsipo Muzeumi, 2011.
- Kintsurashvili, Ketevan, and David Janiashvili: *The Zdanevich Brothers from 1892/4 to 1921: Polish Traces in the Georgian Avant-garde*. Tbilisi: KJArt-Books, 2019.
- Lapshin, Vladimir Pavlovich: *Marinetti e la Russia: Dalla storia delle relazioni letterarie e artistiche negli anni dieci del XX secolo*. Milano: Skira, 2008
- Tobin, Jordan: "Marinetti's Visit to Russia in 1914 through the Lens of the Russian and Italian Press." *International Yearbook of Futurism Studies* 9 (2019): 3-34.
- Tsipuria, Bela: "H2SO4: The Futurist Experience in Georgia." *International Yearbook of Futurism Studies* 1 (2011): 299-322.

ვებგვერდები

http://www.modernism.ge/?action=photogallery&p_id=462&b

<https://avant-garde.iliauni.edu.ge>

<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/147211>



ფოტოზე: კონფერენციის პროგრამა: ავანგარდის მომენტების გახსენება, ავანგარდის სცენების შეკავშირება, 2024 წლის 9-11 ოქტომბერი. დიზანი: ნინო ბოლქვაძის. სრული პროგრამა იხ: <https://iliauni.edu.ge/ge/siaxleebi-8/gonisdziebebi-346/konferenciebi-440/avangardis-momentebis-gaxseneba-avangardis-scenebis-shekavshireba-h2s04-is-100-wlistavisadmi-midzgvnili-saertashoriso-konferencia.page>

Günter Berghaus

University of Bristol, UK

Bela Tsipuria

Ilia State University, Georgia

bela_tsipuria@iliauni.edu.ge

DOI: 10.32859/kadmos/16/ 254-261

100 Years of Georgian Futurism*

Abstract

The centenary of the Futurist group and journal *H2SO4* (1924) prompted the Institute of Comparative Literature and the Centre for Advanced Studies of Ilia State University in Tbilisi to set up an international conference, *Recalling Avant-garde Moments, Reconnecting Avant-garde Scenes*, 9–11 October 2024. The Georgian university teamed up with the Institute of Philosophy and Art History of Leuphana University of Lüneburg and organized a programme that retraced and compared various avant-garde scenes of the 1910s and 20s. Here, a celebration of one-hundred years of Georgian Futurism was combined with a discussion of other, comparable and often related avant-garde tendencies. Among the papers presented, the conference offered altogether seven presentations focusing on Futurism, discussing the Tbilisi avant-garde of 1917-1921, *H2SO4* and the artists who made this publication possible.

The gathering at Ilia State University in October 2024 was a fitting reminder how an international network of inter-avant-garde alliances can give rise to artistic developments that add new facets and fresh colours to the broad family of Futurist groups all over the world. It showed that Futurism had a pervasive, far-reaching and often profound influence in other countries. Yet, it also showed that Futurist artists never followed a monolithic set of prescriptions but rather incorporated ideas and devices from many sources. Their attempts at finding alternatives to traditionalist art meant that they adopted aspects of Futurism and combined them with other, indigenous sources of inspiration. This resulted in a wide spectrum of Futurisms that were distinctly different from the one created and directed by F.T. Marinetti. The Georgian journal *H2SO4* shows that Futurism had a fertilizing influence in the Caucasus, yet also revealed that Georgian Futurism adapted the ideas received from Italy and Russia to a local agenda.

* For the original English version of the article, see: Tsipuria, Bela. „100 Years of Georgian Futurism“. In *International Yearbook of Futurism Studies*, vol. 15 (2025), ed. Günter Berghaus, 432-438. Berlin: De Gruyter, 2025.

უცხოური ქართველოლოგია KARTVELIAN STUDIES ABROAD

ბერნარ უტიე
საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრი
DOI: 10.32859/kadmos/16/262-266

ძველი იერუსალიმური წესის სახარების საკითხავთა ქართული რედაქციის საძიებლის ფრაგმენტი*

მამა დევოსი** არაერთხელ დაინტერესებულა „ეგერიის მოგზაურობით“ და აღუნიშნავს მ. თარხნიშვილის მიერ 1959-1960 წწ. „იერუსალიმის ეკლესიის დიდი ქართული ლექციონარის“ გამოცემის მნიშვნელობა პილიგრიმის მიერ ლიტურგიასთან დაკავშირებით მოწოდებული ცნობების გასაშუქებლად.

Colligite fragmenta: ახლა, როცა კ. კეკელიძის 1912 წლისა და ზემოთ მითითებული გამოცემის შემდეგ ვამზადებთ ამ დიდი ტექსტის *editio maior*-ს, ვაგრძელებთ „იერუსალიმის ეკლესიის დიდი ქართული ლექციონარის რედაქციის“ ფრაგმენტებისა და უშუალო დამოწმებების გამოქვეყნებას.¹ თუმცა, ძვირფასი მამა დევოსი ჩვენ შორის აღარაა, მათი მნიშვნელობა რომ შეაფასოს. დარწმუნებული ვარ, იგი ამას დიდი ინტერესითა და ზედმიწევნით ზუსტად გააკეთებდა. დაე, ზეციური იერუსალიმიდან დეტალურად შეაფასოს მიწიერი იერუსალიმის ლიტურგიის ეს მცირედი ნარჩენები.

* Bernard Outtier, “Un fragment d’index géorgien des lectures évangéliques selon l’ancien rite de Jérusalem”, *Cahiers d’orientalisme* 25, Genève, 2005, p. 273-278.

** მამა პოლ დევოსი – (1913-1995) იეზუიტი ბერი, ბოლანდისტი. იკვლევდა სლავურ, კოპტურ და სირიულ ტექსტებს [ც.ბ.].

1 ეს მეექვსე სტატიან ანალოგიური ფრაგმენტებისადმი მიძღვნილი სტატიების სერიიდან: Fragments onciaux du Lectionnaire géorgien, I. Fragments de Bzommar (Liban), in: *Bedi Kartlisa* (ქვემოთ – BK), XXXIII, 1975, p.110-118; Fragments onciaux du Lectionnaire géorgien, II, in: *BK XXXIV*, 1976, p. 97-101; Nouveau fragments onciaux du Lectionnaire géorgien ancien, in: *Lingua restituta orientalis*, Festgabe J. Assfalg, Wiesbaden, 1991, p. 269-271; Nouveaux fragments onciaux du Lectionnaire géorgien ancien, IV, in: *Langues orientales anciennes, Philologie et linguistique* 4, 1993, p. 31-34; Deux fragments onciaux inédits d’un Lectionnaire géorgien de Jérusalem, (V), in: *Христианский Восток*, н. с. II, 2001, стр. 220-226.

ფურცლები, რომლებსაც ქვემოთ გაგაცნობთ, შემონახულია ერენის მატენადარანში ლიტერით: ქართული ფრაგმენტები 35 და 36. ჩვენ ადრეც აღვნიშნეთ მათი არსებობის შესახებ ძველი ქართული ლექციონარის დამოწმებათა ზოგადი ტიპოლოგიის განხილვისას.² ფურცლის დიდი ნაწილის აღსადგენად ეს ორი ფრაგმენტი ერთად უნდა განვიხილოთ. მათი ზომებია, შესაბამისად, 164 x 110 და 163 x 111 მმ. დაწერილი იყო ორ სვეტად, გვერდზე 18 სტრიქონი. სტრიქონებს შორის მანძილი 9 მმ, ასოების სიმაღლე 4 მმ, მთავრულებისა 12 მმ; მანძილი სვეტებს შორის – 20 მმ, სვეტის სიგანე 60 მმ. გარე აშია 50 მმ, ზედა – 15 მმ, ქვედა – 45 მმ. რექტოს მეორე და ვერსოს პირველი სვეტი სრული სახით არის შემონახული, დანარჩენს წაჭრილი აქვს თავი. ორივე სვეტი შემოფარგლულია დაკანონების წერტილების ორი ვერტიკალური ხაზით სვეტიდან 33 მმ-ის მანძილზე. ტექსტი დაწერილია საკმაოდ თხელ, თეთრი ფერის ეტრატზე ღია ყავისფერი მეღვინით. უხვადაა გამოყენებული სინგურიც. დაზიანებამდე ხელნაწერის ზომა იქნებოდა 260 x 240 მმ. იგი უნდა ყოფილიყო ოთხთავი, რომელსაც ერთოდა ლიტურგიკულ საკითხავთა საძიებელი, მითითებული ჰქონდა ტექსტის დასაწყისი, დასასრული და ამონასეული ნაწილების ნომრები, რაც მისი მთელი ლიტურგიკული წლის დღესასწაულებისთვის გამოყენების საშუალებას იძლეოდა. აქედან გამომდინარე, ის წარმოადგენდა ლექციონარის პარალელურ სახარების საკითხავთა დამოწმებას. მეტად დახვეწილი და თანაბარი ხელი, სავარაუდოდ, X ს-ის მეორე ნახევრით უნდა თარიღდებოდეს. ფურცელი სომხური ხელნაწერის ფორზაცებად გამოსაყენებლად გაუჭრიათ, რასაც მოწმობს XIX საუკუნეში მისი მფლობელის სანახევროდ ჩამოჭრილი და წაშლილი ორი მინაწერი ნოტრიგირით, დათარიღებული იმპ/იმპტ-ით, 1250/1252, ანუ ახალი წელთაღრიცხვის 1801/1803 წლებით.

საქმე ეხება ქართულად ნათარგმნ იერუსალიმურ ლიტურგიას, უფრო ზუსტად, სახარებებს, რომლებიც იკითხებოდა წითელ პარასკევსა და აღდგომის მეორე ორშაბათს შორის. ამ პერიოდისთვის გვაქვს კალასა და ლატალის ლექციონარების ხელნაწერების, Sin.geo-37-ისა და პარიზის BnP3-ის თარხნიშვილისეული გამოცემა (რომლებსაც მივუთითებთ გამოცემის მიხედვით, როგორც K, L, S, P), ასევე Sin.geo-38-ის ბოლოს დართული, იოანე ზოსიმეს მიერ 979 წ. სინაზე კომპილირებული საძიებელი.³ არსებობს სხვა გამოუქვეყნებელი დამოწმებებიც. გთავაზობთ ფრაგმენტის ტექსტს:

2 B. Outtier, K. Kekelidzé et le Lectionnaire géorgien, in: *BK XXXVIII*, 1980, p. 23-35, cf. p. 33.

3 Ed. G. Garitte, Un index géorgien des lectures évangéliques selon l'ancien rite de Jérusalem, in: *Le Muséon* 85, 1972, p. 337-398.

[35ra]

[ზ სახარებად მა]რკოზისი: ს~ზ:
[ხოლო სტრატი]ოტთა მათ
[:ვიდრე: გალ]ილეადთ იერუსალჴმ:
[გ სახარებად ლუ]კადსი: ტ~იზ:
[და მოჰყვ]ანდეს სხოვ
[:ვიდრე: იხი]ლეს ესე ყოველი
[დ სახარებად ი]ოვანჴსი რ~ჟზ:
[და მათ წ]არიყვანეს
[:ვიდრე: ...] ოვგოვმირჴს
[მწოვხრის]ა: ჟამსა
[36ra]

სახარებაჴ: მათჴსი: ტ~მჴ:
და ვითარცა შემწოვხრდა:
[:ვიდრე:] და წარვიდა:
შემდგომად: ჟამი
სა: სახარებად: იოვანჴსი: ს~ვ:
ამისსა შემდგომად:
:ვიდრე: საფლავი იგი:
შაბათსა: ცისკრად: სახარე

[35 rb]

ზად მათჴსი: ტ~ნა:
ხვალისაგან' რომელ არს:
ვიდრე: დასისათანა:
შაბათსა: მწოვხრი: ჟამის-წირ
ვასასა: სახარებად: მათჴსი: ტ~ნბ:
მწოვხრი შაბათსა:
:ვიდრე: და ვიდრე ოვკოვნისამდე:
აღვსებასა: ცისკრად:
სახარებად: იოვანჴსი: ს~თ:
ერთსა მას შაბათ:

[36rb]

:ვიდრე: და ესრჴთ ჰრქოვა მას:..
სამხრად: სახარებად: მარკოზისი: ს~ლ:
და ვითარცა გარდაკდა:
ვიდრე: რამეთოვ ეწინოდა:
მეცხრესა: ჟამსა:
სახარებად: ლოვკადსი: ტლთ:
და აჰა ორნი მათგან
:ვიდრე: პოვრისასა:

[35 va]

მწოვნრისა: ჟამსა: სახარებად

იოვანჴსი: ს~იგ:

და ვითარცა შემწოვნრდა:

:ვიდრე: მრწმენეს:.

ა ~ ბ ~ სახარებად: ლოვკადსი: ტლდ:

და შეოვდგეს მას დე

ვიდრე დაოვკვრდა საქმეჴ ესე:

:ა ~ :გ ~ სახარებად: ლოვკადსი: ტლთ:

და აჴა ორნი მათგან:

ვიდრე: პოვრისასა:

[36 va]

:ა~: დ~ სახარებად: ლოვკადსი: ტმ:

და ვითარ იგინი ამას:

ვიდრე ფერკნი მისნი:

:ა~: ე~ სახარებად მათჴსი: კდ:

და ვითარცა იხილა იესოვ' ერი:

:ვიდრე: ზეცათასა:

ა~ ვ~ სახარებად იოვანჴსი: სით:

ამისსა შემდგომად

[35 vb]

ვიდრე მკოვდ[რეთით]

ა~ ბ~ სახარებად იოვანჴს[ი სკზ]

და ოდეს ისა[დილნეს]

:ვიდრე: აღწერილი [წიგნები]

ბ~: კ~: სახარებად იოვანჴს[ი:]

ახალ-კვრიაკის[ა ა~:]

პირველითგან [იყო სიტ]

:ვიდრე: ქრისტ ე იესოვის მი[ერ იქმნა]

მეცხრესა ჟა[მსა მწოვნრი]

სახარებად ლოვკადსი: [ტმ:]

[36 vb]

და ვიდრე იგი ამას იტყო

ვიდრე: ფერკნი მისნი

მწოვნრისა ჟამსა იოვანჴსი სლზ

და შემდგომად რვისა დლი

:ვიდრე: სახელითა' მისითა:

:ბ~: ბ~ სახარებად იოვანჴსი ჴ:

ღმერთი არასადა ვინ იხი

ვიდრე და ნათელ სცემდა:

რამდენიმე შენიშვნა: გასაოცარია ასეთი თანხვედრა იერუსალიმის სომხურ ლექციონართან.⁴ სრულად ან ერთი-ორი მუხლის ფარგლებში ოცდაერთი დღესასწაულიდან ემთხვევა ჩვიდმეტი. ასევე, გასაოცარია აღდგომის ხუთშაბათს გრძელი საკითხავების არსებობა: მათე 5:1-16 vs მათე 5:1-12; ჩვენი ფრაგმენტი აქ თანხვედება ხელნაწერებს Sin.geo-38 და 54.⁵ წითელ პარასკევს წაკითხულ უკანასკნელ ფრაგმენტს კალის ლექციონარი იზოლაციიდან გამოჰყავს სომხურ-ქართულ ტრადიციაში; მათეს თავის „კლასიკური“ თხრობის ეს დუბლეტი სამარხის შესახებ (წინა საკითხავში) გვხვდება წესებში, რომელთა მიხედვითაც ოთხივე სახარება იკითხება „გვიანდელი“ სირიული და კოპტური ტრადიციების შესაბამისად.⁶ „დუბლეტის“ სხვა შემთხვევას ამყარებს ლატალის ლექციონარი, სადაც აღდგომის საღამოს საკითხავი, ლუკა 24:13-35, გატანილია იოანე 20:19-25-ის წინ. აქ „ეგერიას მოგზაურობის“ ყურადღებით წაკითხვა დაგვანახებს, რომ „სომხური ლექციონარის“ შემდეგ აღწერილი ვითარება გამარტივდა. აღდგომის კვირის სამშაბათსა და ოთხშაბათს გვაქვს თანხვედრა სომხურსა და Sin.geo-38-თან – ისევე, როგორც ბიბლიური საკითხავების თანმიმდევრობაში – განსხვავებით მხოლოდ და მხოლოდ ლატალის ლექციონარისგან. ახალ კვირას აღდგომის მსგავსი ვითარებაა: ერთი მათგანი გატანილია მეცხრე საათის, მეორე კი – ჟამის წირვის საკითხავად.

ამგვარად, აშკარაა, რომ ამ წამებული, მაგრამ შემონახული ფურცლის დამოწმება საშუალებას გვაძლევს, უკეთ გავეცნოთ იესოს წამებისა და აღდგომის მისტიერიას იერუსალიმში – მისტიერიას, რომლის მარადიულ ზეიმს ახლა უკვე მამა დევოც უერთდება.

ფრანგულიდან თარგმნა
ცისანა ბიბლიეიშვილმა
კავკასიის უნივერსიტეტი
საქართველო

tsissana@hotmail.com

4 Ed. A. Renoux, *Le codex arménien Jérusalem 121, II. Edition comparée du texte et de deux autres manuscrits* (=Patrologia orientalis, t. XXXVI, fasc. 2, n. 168), Tournhout, 1971.

5 აღწერილია ბ. უტიეს მიერ, იხ. B. Outtier, *Un témoin partiel du Lectionnaire géorgien ancien* (Sin. georg.-54), in: *BK*, XXXIX, 1981, p. 76-88; cf. p. 84.

6 იხ. S. Janeras, *Le Vendredi-saint dans la tradition liturgique byzantine, Structure et histoire de ses offices* (= *Studia anselmiana* 99, *Analecta liturgica* 13), Rome, 1988, p. 353- 354.

არსებობდა თუ არა ძველ ქართულში სიტყვა „რია“?*

ეს სიტყვა, რომელსაც ვხვდებით მელესი ანტიოქიელის ჰომილიაში (CPG 3425(8)), გადამწერის შეცდომაა.

თანამედროვე ქართულ ენაში სიტყვა „რია“ არ გვხვდება; იგი მომდინარეობს ძირიდან „რევა“ და ნიშნავს „არევ-დარევას, აურზაურს, ალიაქოს“.¹

იმის გასარკვევად, არსებობდა თუ არა ეს სიტყვა ძველ ქართულში, მოგახსენებთ, რომ იგი არ გვხვდება სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში, ლექსიკონებით აღჭურვილ ძველი ტექსტების გამოცემებში, რომელთა გაცნობაც შევძელით და, ჩვენდა გასაოცრად, არც ძველი ქართული ენის ლექსიკონში, რომელშიც ი. აბულაძემ თავი მოუყარა ყველა ყურადსაღებ სიტყვას, რომელსაც ძველი ქართული ტექსტების გამოცემის ნაყოფიერ გზაზე შეხვდა.² თუმცა, ასეთი გამოტოვება გასაოცარია, რადგან მისი გამოცემული ტექსტი, რომელიც ცნობილია მხოლოდ ქართულ ენაზე, შეტანილია თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ხელნაწერში A-95 და შეიცავს სიტყვას „რია“.

საქმე ენება მელესი ანტიოქიელის ჰომილიას ხარებაზე (CPG 3425(8)).³ წინასწარმეტყველი ასე განმარტავს ლუკა 1:32-ს: „მისცემს მას უფალი ღმერთი მისი მამის, დავითის ტახტს და უკუნისამდე იმეფებს იაკობის სახლზე და მის მეფობას არ ექნება დასასრული“:

* Bernard Outtier, “Le mot რია existe-t-il en géorgien ancien?” *Bedi Kartlisa* XLII, 1984, p. 246-247.

1 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ა. ჩიქობავას რედაქციით, ტ. VI, თბილისი. 1960. Col. 429: რია-რია.

2 ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), გამოქვეყნებული ელ. მეტრეველისა და ც. ქურციკიძის მიერ, თბილისი, 1973.

3 ი. აბულაძე, მრავალთავი, in: ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე 14, 1944, გვ. 265, 1.5. ამ პუბლიკაციის ერთი ეგზემპლარი მოგვაწოდა ღირსმა მამამ მ. ვან ესბროკმა, რომელიც ამზადებს ქართულ და სომხურ ენებზე შემონახული მელესი ანტიოქიელის თხზულებების სრულ გამოცემას. სწორედ მან დავისვა ლექსიკასთან დაკავშირებული შეკითხვა. ტექსტი ხელმეორედ გამოიცა ი. აბულაძის შრომების III ტომში, თბილისი, 1982, გვ. 55

(და მეუფებდეს) რომელ ალუთქუა დღეთა მათ იაკობისთა, და მეუფებდეს იერუსალჴმს, და არა ხოლო იერუსალჴმს ერთსა მას ნათესავსა ზედა, და არცა ამას რიას⁴ ხოლო, ათსა მას ნათესავსა ზედა, არამედ მეუფებდეს ყოველსა მას ზედა სახლსა იაკობისსა და ზედა ათორმეტთა მათ ნათესავთა იაკობისთა. და არა თუ ვითარცა მეუფებდა იგი დავითისი განეწესოს მეუფებდა მისი შემდგომთათვის, და არცა ნათესავთაგანსა ვის მიეცეს კელმწიფებდა მისი, ვითარცა მეუფეთა მათ ისრაჴლისათა, არამედ უკუნისამდე ჟამთა მეუფებდეს, და სუფევისა მისისა დასასრული არა იყოს.

როგორც ვხედავთ, ტექსტი გრძელდება შეპირისპირებათა სერიით, რაც განკუთვნილია ქრისტეს მეფობის უნიკალურობის ხაზგასასმელად მეფე დავითის მემკვიდრეებთან მიმართებით. ეს არ იქნება იერუსალიმითა თუ იუდეით შემოფარგლული მეფობა; აქ ავტორი მიგვანიშნებს ისრაელის გამოყოფას დავითის სახლისგან, საიდანაც წარმოიშვნენ იუდეის და ბენიამენის სამეფოები, რომელთა დედაქალაქიც იერუსალიმი იყო, და ისრაელის სამეფოს, რომელიც მოიცავდა ათ სხვა ტომს და მისი ცენტრი იყო სიქემი და სამარია (იხ. 1 მეფეთა, 12). ე.ი. ამიერიდან აშკარაა, რომ უნდა იკითხებოდეს:

და მეუფებდეს იერუსალჴმს, და არა ხოლო იერუსალჴმს ერთსა მას ნათესავსა ზედა, და არცა ამას სამარიას ხოლო, ათსა მას ნათესავსა ზედა, არამედ ...

ამ ცნობილი ხელნაწერის გადამწერი ზოგჯერ დაუდევრად იქცეოდა: სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლება ეფრემისეული წმ. ანტონის აპოფთეგმების ტექსტიდან (f. 169r), „აწ“-ის ნაცვლად „ა“; „სიმკნესა“-ს ნაცვლად „საკსენებელსა“. ე.ი. სულხან-საბამ⁵ და ი. აბულაძემ სამართლიანად არ შეიტანეს სიტყვა „რია“ თავიანთ ლექსიკონებში და არ შეიძლება დავეყრდნოთ ამ ფრაგმენტს იმის სათქმელად, რომ ეს სიტყვა ძველ ქართულში არსებობდა.

ფრანგულიდან თარგმნა
ცისანა ბიბლიეიშვილმა
კავკასიის უნივერსიტეტი
საქართველო
tsissana@hotmail.com

4 თავის ფუნდამენტურ ნაშრომში “Les plus anciens homéliers géorgiens”, Louvain-la-Neuve, 1975, p. 309, მ. ვან ესბროკმა შეგნებულად გამოტოვა ამ სიტყვის თარგმანი.

5 სულხან-საბა იცნობდა ამ ხელნაწერს: იხ. მისი ციტაციები სიტყვებზე „მერკი“ და „ქორიქობი“ (ტექსტი ცნობილია მხოლოდ ამ ხელნაწერით, ყოველ შემთხვევისთვის, პირველი მათგანისთვის).

ჩვენი ავტორები

Contributors

გიუნტერ ბერგჰაუსი – ფილოლოგიის ჰაბილიტაციური დოქტორი;
უფროსი მკვლევარი, ბრისტოლის უნივერსიტეტი

Günter Berghaus – Dr. phil. habil., Senior Research Fellow at University of Bristol

ცისანა ბიბილეიშვილი – პროფესორი, კავკასიის უნივერსიტეტი

Tsisana Bibileishvili – Professor, Caucasus University

ნინო ბოკუჩავა – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

Nino Bokuchava – PhD student, Ilia State University

მაია დამენია – დოქტორი, ასისტენტ-მკვლევარი, ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტი

Maia Damenia – PhD, Assistant Researcher, Ilia State University, the Institute of
Linguistic Studies

გიორგი დარჩიაშვილი – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელო-
ბის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დოქტორანტი

George Darchiashvili – PhD student, Tbilisi Apollon Kutateladze State Academy
of Art

სტივენ დერნფორდი – დამოუკიდებელი მკვლევარი, დიდი ბრიტანეთი

Stephen P B Durnford – independent researcher, UK

თამარ ლომიძე – საპატიო ემერიტუსი, ილიას სახელმწიფო უნივერ-
სიტეტი

Tamar Lomidze - Honorary Professor Emeritus, Ilia State University

ქეთევან მჭედლიშვილი – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

Ketevan Mchedlishvili – PhD student, Ilia State University

ეკატერინე ნანიტაშვილი – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის და
გოტინგენის უნივერსიტეტი დოქტორანტი

Ekaterine Nanitashvili – PhD student, Ilia State University, Georg August
University of Göttingen

თამარ სუბელიანი – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

Tamar Subeliani – PhD student, Ilia State University

თამთა სურმავა – მკვლევარი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

Tamta Surmava – researcher, Ilia State University

ბერნარ უტიე – საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცე-
ნტრის (CNRS) კვლევითი ხელმძღვანელი, ემერიტუს-მკვლევარი;
ბიბლიური რელიგიების კვლევითი ცენტრის (CERL) მონოთე-
ისტური კვლევების ლაბორატორიის (LEM) ნამდვილი წევრი

Bernard Outtier – Director of Research Emeritus at CNRS; Statutory Member
of the Laboratory of Monotheist Studies, CERL

მერაბ ლალანიძე – პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტი

Merab Ghaghanidze – Professor, the University of Georgia

ბელა წიფურია – პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

Bela Tsipuria – Professor, Ilia State University